ალექსანდრე გუგუშვილი

ზაგრა 2

თბილისი

2021

შონი ალმასი და ჩუმი ტყეს უახლოვდებოდნენ... ჩუმი ფიქრებით სხვაგან იყო... მდუმარედ მიჰყვებოდა მათ... შონი ამბობდა: „ტყეში შევალთ თუ არა, საფრთხეს თავიდან ავიცილებთ,.. ერთი ხმალი გვაქვს... ერთი შუბი და ერთი დანა“.. „შუბი მე მომეცი... დანა ჩუმს ჰქონდეს... ყველა შეიარაღებული ვიქნებით“... თქვა ალმასმა „უსაფრთხო ადგილია... მთავარია, ყაჩაღები არ შეგვხვდენენ“... შონს გაეცინა... „რა უნდა წაგვართვან... სულ რამდენიმე ვერცხლიღა დამრჩა... ასეა, თუ ისე, ოცნების კარიბჭემდე მაინც მივაღწევთ... ერთის მხრივ კარგია, ბააგრაზე ვერაფერი გავიგეთ... ესეიგი... ის ცოცხლია... სად უნდა ვეძებოთ, ასე უაზროდ ხომ არ ვივლით... რას იტყვი ალმას?!".. „მეფემ გადაწყვიტოს, რა უნდა ვქნათ, არ ვიცი, სხვა რა გავაკეთო", უპასუხა მეგობარმა... „ეგრეა, მეტი მართლაც რა გავაკეთოთ... ახლობლემაც არ იციან, სად არის... რაინდებთან ყოფილა ხომ? ჰოდა... მიხედავენ... სხვა, რა ვიფიქრო მეც არ ვიცი“... დაიჩივლა ჩუმმა... ალმასს ხელი გადახვია და ჰკითხა: „როგორ ხარ?" ჩუმი მღელვარედ სუნთქავდა... ნერვიულობა ეტყობოდა... „არ ვიცი, რა ვთქვა... ვინსენტის გარეშე თითქოს ნახევარი კაცი გავხდი... ცოტა ხნის წინ ერთი მეგობარიც დავკარგე... ერისი მოკლეს ცოფიანებმა“.. ალმასმა ალერსით ურჩია... „არ მისცე გრძნობებს უფლება დაგასუსტოს“... ჩუმმა ამოიოხრა: „რა დაასუსტებს, მეგობრებზე ფიქრი უფრო გააძლიერებს“... ძალა მოიკრიბა და უფრო იმედიანად განაგრძო სვლა... შონი და ალმასი საუბარს განაგრძობდნენ...

ამ დროს ვინსენტი ციხის სარდაფში გაბრუებული იწვა... ბნელოდა... მხოლოდ პატიმრების ხმა ისმოდა... შუადღე გადასულიყო სარდაფის ჭერზე რკინის კარი გაიხსნა... უღიმღამო შუქი შემოიჭრა... პატიმრები ერთმანეთში რაღაცას საუბრობდნენ...ცოტა ხანში ცოფიანი მეომარი გამოჩნდა, ჩირაღდნით ხელში... კიბეზე ფეხი დადგა და ზემოთ მყოფთ უხმო... კიბეზე ფრთხილად ჩამოდიოდა, რამდენიმე მეომარიც მიჰყვა... ბოლოში მდგომსაც ჩირაღდანი ეჭირა... მეომრებს შორის ჟორდანის შვილი - იდი, ნოზას - ბოზა და მათი ოთხი მეგობარი მოდიოდნენ... მოღალატეთა შვილები. თავიანთი ამქრით... ბოზა სულ 11 წლის იყო... აწოწილი, გამხდარი... შავი, მოკლე თმებით, გრძელი სახით და თხელი ტუჩებით... თითქოს ჩვეულებრივი თვალებით... ერთი შეხედვით იტყოდი, რომ

ლამაზი, წყნარი, კეთილი ბავშვიაო... თუმცა მცირედი დაკვირვების შემდეგ იგრძნობდი მის გულქვაობას და სისასტიკეს... ეს თვისებები ისე სწრაფად იზრდებოდნენ მასში, რომ ზრდასრული ადამიანის ბოროტებასაც კი აჭარბებდნენ. ამ მხრივ ის ყველა დანარჩენს სჯობდა... მისი დამალული ზიზღი, ადამიანების მიმართ, ენით აუწერელი იყო... წინ მიმავალ ცოფიანს ჯერ იდი მიჰყვებოდა... მერე ბოზა... მათ მეგობრები მისდევდნენ... იდი წინ ყვირილით მიიწევდა... ბოზა ტოლს არ უდებდა... მომხდურნი ცნობისმოყვარეობით და მოუთმენლობით გამოირჩეოდნენ. შეჰყურებდნენ საცოდავ პატიმრებს... გაფაციცებით ვინსენტს ეძებდნენ... „ვინსენტ! სად ხარ? მე ვარ - იდი!“... დაჰბღავლა მოსულმა... „ხმა ამოიღე ვირთხავ! შენს დასაკლავად მოვედით... ახლა გაჩვენებთ, ვინ არის რაინდი!". აჰყვა ბოზა... ირგვლივ სრული სიჩუმე ჩამოვარდა... შეშინებული პატიმრები კედლებს აჰკვროდნენ... „იდი! ხედავ? შიშით ხმას ვერ იღებს“... დაასკვნა ბოზამ... ირონიით სავსე, ბავშვის ხმამ შიშით ტანში დაუარა პატიმრებს... იდიმ ფეხი მრისხანედ დადგა სარდაფის იატაკზე.... მეომარს ჩირაღდანი გამოსტაცა... გამგელებული ვინსენტს ეძებდა... გვერდით ბოზა ედგა... დამფრთხალი პატიმრების სახეებს ნელ-ნელა ნათელი მოეფინა... იდიმ კვლავ შეჰყვირა: „ხმა ამოიღე ცხოველო ვინსენტ! ხმა ამოიღე!..“ სიბნელეში ოდნავ გასაგონი ხროტინის ხმა გაისმა... ვინსენტი იდის უხმობდა... იდი ხმას გაჰყვა... ვინსენტის ირგვლივ პატიმრები მიმოიფანტნენ... მხოლოდ ერთი დარჩა... მას ავადმყოფის თავი მუხლებზე ედო... იდიმ ჩირაღდანი მიანათა... თითქმის უგონო მდგომარეობაში ვინსენტი შეეცადა წამომდგარიყო... ხელიც ვერ გაანძრია... თვალებს ძლივსღა ახელდა... ბუნდოვნად ხედავდა ჩირაღდნიან იდის... ამ უკანაკნელმა დაიღრიალა, "მოდით, მოდით აქ არის მშიშარა"... იგი ფეხებით შესდგა უძლურს... დაუნდობლად სცემდა... პატიმარმა ვინსენტის დაცვა სცადა... მკლავები შემოჰხვია... განრისხეული იდი ახლა პატიმარს ეცა... იქამდე ურტყა, სანამ გონება არ დაჰკარგა... არაადამიანურად ღრიალებდა: "მოგკლავთ... ყველას დაგხოცავთ თქვე ღორებო"... იდის ბოზაც შეუერთდა... ისიც ულმობლად სცემდა... აგინებდა და აფურთხებდა... მათი მხლებლები ერთობოდნენ ამ სანახაობით... თუმცა ვინსენტის ცემას ვერ ბედავდნენ... იდი სიამოვნებით იცინოდა... ბოზა არ ჩერდებოდა... მისი ღრიალი ციხის კედლებს აზანზარებდა... "ჩირაღდანი კარგად მოანათეთ" ღრიალებდა... ვერ ძღებოდა ვინსენტის სისხლით... "პირი გააღე პირუტყვო, პირი - მეთქი"... დაიღალა...

ახლა მეგობრებს მიუბრუნდა... ნება დართო მათ ეცემათ ვინსენტი... დამფრთხალნი,შეშინებულნი ურტყამდნენ... მისი ცემით ყველა დაიღალა. ვინსენტი უგონოდ ეგდო... იდიმ ხარხარით ხელი მაღლა ასწია და პატიმრებს დაუღრიალა: "დღეისთვის საკმარისია... რატომ მოვკლათ... არ სჯობია? ვუყუროთ, როგორ ჩამოახრჩობენ!" ბოროტი ბოზა ვერ დაკმაყოფილდა სისასტიკით... თუმცა იდიმ დაამშვიდა... "მე რა ვთქვი, ვერ გაიგე?" იძულებული გახდა თავი დაენებებინა მომაკვდავისთვის... გამხეცებული უკან შეტრიალდა... უცებ მოტრიალდა და ვინსენტს დაუყვირა: "თქვენი რაინდობა დასრულდა... ბააგრაღა დაგვრჩა და იმასაც მოვსპობთ"... ვინსენტს ამ სიტყვამ გონება გაუნათა - "ბააგრა"... სისხლში მცურავს - უღონოს... თითქოს ძალა მოეცა... რაღაცას ეძებდა... სახით ბოზას ჩექმის წვერს შეეხო... ბოზამ ბოროტად იყვირა: "შეხედეთ ამას, ფეხზე უნდა მემთხვიოს... მიდი ვინსენტ! ჩემს ჩექმას აკოცე!.." ყველამ ყურადღება ვინსენტს მიაპყრო... იგი ძლივს ირხეოდა... პირი გააღო... ჩექმის წვერი ჩაიდო... ბოზას არ სჯეროდა ეს ყოველივე... მედიდურად დასცქეროდა მომაკვდავს... მოულოდნელად ვინსენტმა მთელი ძალით ჩაავლო კბილები მის ფეხს... სიმწრისაგან დაკრუნჩხული ბოროტი ბიჭი ძირს დაეცა... მეომრები ვინსენტს მისცვივდნენ... ისევ შესდგნენ ფეხებით... ბოზას ფეხი მაინც ვერ გაუთავისუფლეს... ერთერთმა მეომარმა რაინდს კისერზე ჩირაღდანი მიადო... რამდენიმე წუთი გაუძო... მალე გული წაუვიდა... შეშინებული ბოზა ბღაოდა... ვინსენტს ისე მძლავრად ჩაესო მისთვის კბილები, რომ მეომრებმა ძლივს მოაშორეს... ჩექმიდან უმალ სისხლმა გამოჟონა... ტკივილისაგან ბოზა იკრუნჩხებოდა... მეგობრებმა ხელში აიყვანეს და გასასვლელისაკენ გაეშურნენ... გასულებიც კი არ იყვნენ, რომ შეძრწუნებული პატიმრები ვინსენტს შემოეხვივნენ... ერთმანეთს ეუბნებოდნენ. "ეს მენის შვილია"... პატიმრებს ისეთი სიხარული და სიამაყე დაეუფლათ, დაავიწყდათ, სად იმყოფებოდნენ... ყველა ვინსენტს ეფერებოდა... ბოზა ნადირივით ღრიალებდა... მისი ხმა მთელ ციხეს ესმოდა... უმალ ექიმთან მიიყვანეს... ჩექმა გაუჭრეს... ცერა თითზე ღრმა ჭრილობა ჰქონდა... იდი გაცეცხლებული ყვიროდა... ბოზას გვერდიდან არ შორდებოდა... ამშვიდებდა: "ბოზა! აი, ნახავ, ყველა თითს დავაჭრით მაგ ღორს, სანამ ჩამოახრჩობენ..." ბოზას არც ესმოდა იდის ხმა, ტკივილისაგან გული მისდიოდა... ბოროტი იდი ფარისევლობდა, თავს აჩვენებდა თითქოს ძლიერ განიცდიდა მის მდგომარეობას... სინამდვილეში საერთოდ არ

აღელვებდა ეს ამბავი... ფიქრობდა! "კიდევ კარგი, მე არ ვიდექი იქ"... თავისთავს პრინცად მიიჩნევდა... საღამოსათვის პატიმრები სტუმრების მოლოდინში იყვნენ... ვინსენტი ბურანში იყო... ირგვლივ ერთმანეთში საუბრობდნენ... ყოველ გაფაჩუნებაზე მათ ტანში ჟრუანტელი უვლიდათ... ნაცემი პატიმარი კედელს მიეყრდნო... იგი კვალვ ვინსენტის თავს ეფერებოდა... მდუარედ მისჩერებოდა კარს... თითქოს ევედრებოდა, არ გაღებულიყო... ღამის წყვდიადი დღის სინათლემ შეცვალა... კარი არ იღებოდა... ვინსენტი მძიმედ სუნთავდა... "ჩვენნაირები მარტო არ კვდებიან"... წაილუღლუღა...

ვინსენტს ტკივილი გაუმძაფრდა... ახალშეძენილი მეგობრისთვის პასუხის გაცემა ვერ შესძლო... პატიმარი განაგრძობდა "ვიცი, რომ ჩემი გესმის... შენ ჩემზე პატარა ხარ , რაღაცას გეტყვი და სანამ სუნთქავ, არ დაივიწყო... როცა ვინმე ღირსებას ეხება, იცოდე! ის თავად უღირსია და ცდილობს ღირსეულ ადამიანს ღირსება მოუკლას... ამას ვერ შესძლებს... რაც აგიჟებს... აბოროტებს, რომ ვერ აქცია უღირსად... არასოდეს დაგავიწყდეს შენი სახელი... შენი პიროვნება.. წუმპეშიც რომ ამოგსვარონ ღირსებას მაინც ვერაფერს დააკლებენ... ის უკვდავია... მას ვერავინ წაგართმევს"... უეცრად ვინსენტის ხროტინი მოისმა... პატიმარი გაჩუმდა... თავი პირთან მიუტანა... მკერდზე ხელი ნაზად შეახო და გაისუსა... ვინსენტმა ძალა მოიკრიბა... მეგობარს ხელზე შეეხო და ძლივს გასაგონად ამოიკვნესა: "მა. მა. ჩემს. ა-აქვს ეს ჩე-მთვის ნათქვამი"... რაც შეეძლო, ხელზე მოუჭირა... პატიმარმა თავი ასწია... კედელს მიეყრდნო... შეეცადა არ აქვითინებულიყო... ეს ყველაფერი ვინსენტმა იგრძნო... შეეცადა რაღაც ეთქვა... პატიმარი სმენად იქცა... "კი-დევ მი-თხრა, ბი-ჭებს ცრე-მლი თვალზე ადგებათ... ლაჩ-რებს კი, ცრემლთან ერთად ბღავილი"... რაინდი გაღიმებას შეეცადა... ტკივილმა შეაწუხა... პატიმარმა ვეღარ მოითმინა... ცრემლები ღაპა-ღუპით წამოუვიდა...

გავიდა კიდევ ერთი საშინელი დღე... არავინ მოსულა... ვინსენტი უკვე გონზე იყო... საკვებისა და წყლის მოლოდინში პატიმრები ღელავდნენ... არაფერს აწვდიდნენ... ერთ-ერთმა პატიმარმა ვეღარ მოითმინა და კიბეებზე ასვლას შეეცადა... სხვებმა დაუშალეს "არ ახვიდე, თორემ მოგკლავენო". მან უპასუხა: "შიმშილით სიკვდილს, მირჩევნია, მახვილით მოვკვდე"... ჭერს ხელებით დაუბრახუნა და იყვირა: "წყალი მაინც მოგვაწოდეთ ძაღლებო!"... უეცრად კარი გაიღო და კიბეზე მდგარ პატიმარს სახეში შუბი მოხვდა... იგი უგონოდ დაეცა... ბადრაგმა დაიღრიალა: "თქვენთვის ეყარენით მანდ

ჩუმად... ახლა თქვენთვის არავის სცხელა... ბელადი მოკვდა... ლენი ყველას ჩაგხოცავთ... თქვენი ხმა არ გავიგო"... ამ სიტყვებით ბადრაგმა კარი დაახეთქა... პატიმრები დაჭრილს მისცვივდნენ... მაგრამ უკვე გვიანი იყო... სარდაფის ბოლოს მიიტანეს, სადაც მიცვალებულებს წვავდნენ - ყოველ მეათე დღეს... მომხდარის შემდეგ სარდაფში მაინც იდუმალმა სიხარულმა დაისადგურა - ყველას აინტერესებდა, როგორ მოკვდა ბელადი... საუბარს ვერავინ ბედავდა... ვინსენტს თავისი მეგობარი შეეხმიანა: "კარგია... თავი მოკვდა... ახლა ხელ-ფეხიც გაუხმებათ"... ვინსენტი ფიქრს მისცემოდა... ნატრობდა - ხელ-ფეხი მაინც არ დაეტეხათ მისთვის... სიკვდილზე არც ფიქრობდა... უფრო გაქცევაზე... სიბნელეს მიშტერებოდა, თითქოს იქედან მაშველს ელოდა... ამომწვარი კისერი გაუღიზიანდა... მეგობრის მუხლებს ახლა შუბლით ეყრდნობოდა... უეცრად ზემოდან საშინელი ხმაური გაისმა... ცხადი იყო, რაღაც უბედურება ხდებოდა. ხმაური კარგა ხანს გაგრძელდა, სარდაფში სრული სიჩუმე ჩამოვარდა... ყველა დაიძაბა ცუდის მოლოდინში... ვინსენტმა სიჩუმით ისარგებლა და ხმადაბლა იკითხა: "აქედან ვინმე გაქცეულა?" პატიმრები დუმდნენ... ისევ მეგობარმა გასცა პასუხი: "აქედან კი გასულან, მაგრამ ციხის კედლებს ვერავინ გასცილებია"... იგი ხარობდა, ვინსენტი სიკვდილზე კი არა, მომავალზე ფიქრობდა... საშინელი სუნი... სინესტე... შიმშილი... ტკივილი აღარავის ახსოვდა... ყველა ახლის მოლოდინში იყო... რა მოხდებოდა... უარეს დღეში ხომ არ ჩაჰყრიდნენ?!.

ამ დროს ნოზა გამწარებული დაეძებდა ბააგრას... ტვინი არეოდა... გაცოფებული მეომრები ევედრებოდნენ ქალაქში დაბრუნებულიყვნენ... ნოზა კი იმას გაემწარებინა, როგორ დაუსხლტა ბააგრა ხელიდან... დიდი ხნის ბჭობის შემდეგ ივარაუდეს, რომ პრინცესა ტყეში დიდხანს ვერ გაძლებდა მარტო... თუ ისევ ცოცხალი იყო... გადაწყვიტეს, უკან დაბრუნებულიყვნენ... ჟორდანი და ბოლი ტყის გზაზე აუჩქარებლად მოძრაობდნენ, გარემოს ყურადღებით აკვირდებოდნენ... იქნებ რაიმესთვის მიეგნოთ... ჟორდანი ნერვიულობდა... არ იცოდა, რა ხდებოდა ქალაქში. დებომ რა ქნა... ერთდღესაც ნოზას რაზმი და ჟორდანი ერთმანეთს გადაეყარნენ... ორივე რაზმი ძალზე დაქანცულიყვნენ... მცირე საუბრის შემდეგ, გადაწყვიტეს ცოტა ხნით დაესვენათ, იქვე დაბანაკებულიყვნენ... რამოდენიმე კოცონი დაანთეს... ზოგმა ცხენები დააბინავა, ზოგიც უმალ ძილს მიეცა... რამდენიმე მთავარი მეომარი, ბოლი, ჟორდანი და ნოზა ერთერთ

კოცონს შემოუსხდნენ... ჟორდანი ნერვიულობდა... ბოლის კი მისი შეშინებული ქმედებები არ გამოჰპარვია... ფიქრობდა როგორ ანერვიულებდა პატარა პრინცესას არსებობა... ამ დროს ჟორდანი დებოზე ფიქრობდა, არ იცოდა, რა მოიმოქმედა ქალმა. თავი ხელში აიყვანა... ნოზას გახედა... მის სახეზე ისევ შიში აღბეჭდილიყო... აღელვებულმა ჰკითხა: "დაწვრილებით მიამბე ყველაფერი?" ღრმად ამოისუნთქა... თავი ჩაქინდრა და სმენად გადაიქცა... მან იცოდა, რომ ქალაქში უნდა დაბრუნებულიყო... ამაზე ფიქრი გულს უხეთქავდა... ნოზა ყველაფერს აღელვებული ყვებოდა... მხოლოდ ბააგრას გადამრჩენს არ ახსენებდა... არც ის უთქვამს მოკლა, თუ არა, ცოფიანი მეომარი... ცოტა ხანში ისევ შიშმა შეიპყრო... ის მეომარი განთქმული იყო თავის ვაჟკაცობით... არავის ესიამოვნებოდა მისი სიკვდილი... ღალატი მთლად გააკვირვებდათ... ნოზა საუბარს განაგრძობდა... მალი-მალ მეომრებს გადახედავდა... მათ სახეებს აკვირდებოდა... იმ მეომრის სიკვდილის დროს, ვინც მის გვერდით იყო, ჟორდანს მიმართა: "რაინდები მკვდრები არიან... არწივი მე მოვკალი... ბააგრა კი, ჯერ-ჯერობით, თუ სუნთქავს... მალე ველარ ისუნთქებს... ტყე მოუღებს ბოლოს"... ჟორდანმა თავი ასწია... ნოზას დააკვირდა. ამ უკანასკნელმა თვალი აარიდა... ბოლოს სიცილი აუტყდა და ჟორდანს მიუგო: "მკვდარია შენი ბააგრა... მკვდარი... ამ ტყეს გახედე... აქ ბავშვი კი არა, ჩემი მეომარიც კი ვერ გასძლებს ათი დღეც კი"... ტყე ისეთი უდაბური იყო, მისი შემხედვარე ადამიანი მხოლოდ ერთს ინატრებდა, რაც შეიძლება მალე გასცლოდა იქაურობას... შეშინებულმა ჟორდანმა ნოზას შეხედა... ფარისევლურად იკითხა: "თუ ბააგრა მკვდარია. მისი გვამი სადაა, სად?!" თითქოს მართლა ადარდებდა ბააგრას ბედი... ბოლი სიცილს ვერ იკავებდა... უყურებდა ჟორდანს და გრძნობდა, როგორ შეეპყრო შიშს მისი გონება... თუმცა ვერ ხედავდა მის გვერდით ზურგში დამრტყმელ მოღალატეს... შეეცადა სიცილი შეეკავებინა... მაგრამ, ვერ ახერხებდა... პირიქით კიდეც უმატა... მთელი არსებით ჟორდანს დასცინოდა... ამ დროს ჟორდანმა მას ზურგში დანა ჩასცა... ბოლის საზარელი ხმა აღმოხდა: "გვამი გინდა ბააგრასი, გვამი?!" ფეხზე წამოდგა, ხელები ფართოდ გაშალა, ტყეს გახედა: "გვამი შეჭმულია, ის აღარ არსებობს... ნადირმა შეჭამა... ერთ ლუკმად გადაყლაპეს შენი ბააგრა"... ბოლი ისევ ღრიალებდა... მას მეომრებიც აჰყვნენ... ჟორდანს შიში გაუმძაფრდა... საშინელმა ეჭვმა მოიცვა... ფიქრობდა, რომ დებო გამოიჭირეს მოწამვლისას... ახლა კი, მის ქალაქში დაბრუნებას ელოდებიან...

ეჩვენებოდა, როგორ ყვირის მისი მეუღლე: "ჟორდანმა მაიძულა, მეც მომწამლა, ჭკუაზე აღარ ვარ!" ცოლის ხმა უფრო და უფრო მკაფიოდ ესმოდა ეჭვით შეპყრობილს... თავი დახარა ხელები შემოიჭდო, თვალები სიმწრით დახუჭა... მოუთმენლად დაიღრიალა. "ყველანი გაჩუმდით! გაჩუმდით!" - ნოზა შეკრთა... იქაურობას გაეცალა - შორიდან აკვირდებოდა ცოფიანმა მეომრებმა ჟორდანის შემყურე თავი ვერ შეიკავეს... სიცილი დააყარეს... თუმცა მას ეს არც შეუმჩნევია... ისევ ცოლის ხმა ესმოდა... ხვდებოდა, ეს ყველაფერი ამაო იყო... მაგრამ თავს ვერ ერეოდა... ნოზა ისევ შორიდან ათვალიერებდა ჟორდანს... მიახლოებას ვერ ბედავდა... ცოტა ხანში ჟორდანი გონს მოეგო წამოდგა... მეომრები საუბარზე გადასულიყვნენ... ბოლი გემრიელად მიირთმევდა ხორცს... ჟორდანი თვალებით ეძებდა ნოზას... შენიშნა თუ არა.. მოახლოება უბრძანა... გვერდიგვერდ ჩამოსხდნენ. ნოზა ღელავდა, იცოდა, ჟორდანი მხოლოდ ბააგრაზე ნერვიულობდა... შიშობდა, ყველაფერი მას არ დაბრალებოდა... დუმდა... ჟორდანი ცდილობდა თავი ხელში აეყვანა... თითქოს მოახერხა კიდეც... გაიფიქრა: "მოსახდენი უნდა მოხდეს, რაც იქნება იქნება, მთავარია, არ გავგიჟდე"... ამოიხვნეშა... მეომრები გადაათვალიერა. მერე ბოლის ზურგს შეხედა... ის ხუმრობდა ცოფიანებთან... ჟორდანმა ფიქრი განაგრძო: "თუ გადავრჩი, შე საწყალო, ჩემი მონა იქნები, თავი თავადი გეგონება... ბააგრები ამოვწყვიტე... თქვენ ვინ ხართ, სულელებო! ცოფიანები კი არა, ბრმებიც აღარ ხართ, მათხოვრებო!" ნოზას მიმართა: "ვიცი, რომ შენ ყველაფერი გააკეთე, რაც შეგეძლო"... ამ უკანასკნელმა შიშით მიუგო: "თავადო! წეღან ვერ ვთქვი, რომ ბააგრა თითქმის ხელში გვყავდა, ათი ნაბიჯიღა გვაშორებდა მისგან, მაგრამ მთავარმა ცოფიანმა მეომარმა ის გააქცია, მე კი მოვკალი ის მეომარი... ის რომ არა, ბააგრა ახლა აქ გვეყოლებოდა"... ჟორდანის გაოცებას ზღვარი არ ჰქონდა: "რა თქვი?!... გაიმეორე!" ნოზამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო... ჟორდანს ერთის მხრივ გაუხარდა, რომ ცოფიანმა უღალატა... გადაწყვიტა ქალაქისკენ წასვლისას ეთქვა ბოლისთვის ყველაფერი... იქამდე ვერავინ გაბედავდა "მწარე სიმართლის" თქმას... ეს ბოლის დაამცირებდა... ის მოღალატე მისი მეგობარი იყო და დიდ პატივს სცემდა... ნოზას შიში მოეხსნა... ჟორდანიც დამშვიდდა...

ამ დროისათვის თითქოს ქალაქიც მშვიდად გამოიყურებოდა... თუმცა ეს იდილია მოჩვენებითი იყო... მთელი მოსახლეობა დაბნეული და გამწარებული იყო... არავინ

იცოდა რა უნდა მოემოქმედა... ქალაქში ჭორი გავრცელდა, რომ დენი თავისი სიკვდილით არ მომკვდარა... არავინ იცოდა ეს როგორ მოხდა... დენის "მარჯვენა ხელი" მხოლოდ ბოლი იყო... ის კი მისგან შორს იყო... ირგვლივ შიში და დაბნეულობა მეფობდა... გათენდა... სუსხიანი ამინდი იდგა... ქალაქმა გაიღვიძა... მონები და გლეხები თავიანთ საქმეს შეუდგნენ... კარიბჭესთან მეომრები კოცონს შემოჰხვეოდნენ... კარიბჭე ღია იყო... ყველა დენის მოულოდნელ სიკვდილზე საუბრობდა... ცოტა ხანში მინდორში მხედრები გამოჩნდნენ... მათთან ერთად ექიმი ფორესტი და დებო იყო... სოფლიდან ბრუნდებოდნენ... დებო ცხენზე დედოფალივით ჩამომჯდარიყო... გვერდით ფორესტი მოდიოდა... უკან რამოდენიმე ათეული მხედარი მოსდევდათ... ძაღლებიც ახლდნენ... დებო და ექიმი დუმდნენ... მხოლოდ ძაღლების ყეფა და მეომრების საუბარი ისმოდა... ფორესტი ნერვიულობდა... დებო თითქოს მშვიდად იყო... უეცრად ცხენი შეაჩერა... ქალაქის კარიბჭეს დააკვირდა... ფორესტმა გაუსწრო მას... როცა უკან მოიხედა, დაინახა ქალის უზომოდ კმაყოფლი სახე... მეომრებიც შეჩერდნენ... ვერავინ გაბედა დებოსთვის გაესწრო... ექიმი ქალაქს უყურებდა... ადგილზე გაშეშდა... უკნიდან დებოს ხმა მოესმა: "ეს ის არის, რასაც ვფიქრობ"... დებოსკენ არც გაუხედავს ისე ჩაილაპარაკა: "ნამდვილად ასეა"... მოულოდნელად ქალის გულისგამგმირავი კივილი გაისმა: "ვაი, რა უბედურება დაგვატყდა... რა უბედურება!!!" კივილით გააჭენა ცხენი ქალაქისაკენ, ყველანი დებოს მიჰყვებოდნენ... კარიბჭესთან მყოფნი ერთად შეგროვდნენ მოსულთა დასახვედრად - მალევე იცნეს მოსულნი. "ჩვენები არიან... ჩვენები..." ექიმი დებოს დაეწია... ქალმა გამოხედა... თვალებით ერთმანეთს შეხვდნენ... ჩუმად გაუღიმა... ექიმს სახე გაუბრწყინდა... აჩქარდნენ კარიბჭისაკენ... ქალაქის გალავანზე შავი დროშა ფრიალებდა... გლოვობდნენ... დებო და ფორესტი მიხვდნენ... მათმა ნამოქმედარმა შედეგი გამოიღო... ორივეს გამარჯვებისა და სიამაყის გრძნობა დაეუფლა... ქალბატონი ქალაქში საშინელი კივილით შევარდა: "რა მოხდა, რა?!"... მეომრებმა პასუხის გაცემაც ვერ მოასწრეს... კივილ-წივილით ჩაუქროლა დებომ... ასე გააგრძელა გზა სასახლემდე... სასახლესთან ცხენი შეაჩერა... გიჟივით ჩამოხტა... კივილს განაგრძობდა... მასთან მიახლოება ვერავინ გაბედა... მსახურები ცხენს ეცნენ... "რა მოხდა, რა? ჩემი შვილი სადაა, ხმა ამოიღეთ!.."; შეშინებულმა მონამ ძლივს ამოილუღლუღა: "იდი კარგადაა, ცოცხალია... ცოცხალი"... "აბა, რა მოხდა, პირუტყვო! თქვი! ამოღერღე!"... დაჰკივლა ქალმა... მონამ კანკალით

მიუგო: "ბატონი დენი გარდაიცვალა... ქალბატონო!"... დამწუხრებულმა თავი ჩაქინდრა... დებომ კივილი განაგრძო... ხელები თავზე წაიშინა და კიბეებზე ავიდა... "ეს რა მითხარით... რა!"... იქვე მყოფი ფორესტი მონას გამოელაპარაკა: "ეს როდის მოხდა, ან რატომ?" შეშინებულმა მონამ აკანკალებული ხმით მიუგო: "არ ვიცით, ბატონო! რა მოუვიდა... მესამე დღეა, რაც გარდაიცვალა"... ამ დროს დებოს შეძრწუნებული ხმა გაისმა: "მიშველეთ! ვინმემ დამეხმარეთ, გული გამიჩერდა მგონი"... კიბეებზე ჩამომჯდარიყო... ორივე ხელი მკერდზე მიეკრა... ფორესტმა მონებს უბრძანა, წყალი მოეტანათ.... კიბეებზე საჩქაროდ აირბინა, ორივე საკმაოდ კარგი მსახიობი გამოდგა... მონამ წყალი მოარბენინა თასით... ფორესტმა დებოს სახეზე შეაპკურა, ცოტა დაალევინა... მონების გასაგონად... აღელვებით მიმართა: "ქალბატონო დებო! წამობრძანდით... სასახლეში შევიდეთ... დასვენება გჭირდებათ"... ამ დროს იდი და ბოზა კიბეებზე ჩამოდიოდნენ... ეს უკანასკნელი კოჭლობდა... ექიმმა მკაცრად გადახედა და მიმართა: "რაღას მოსეირნობთ... ვერ ხედავთ ქალბატონი ცუდად არის... დამეხმარეთ"... მალე მთავარი მეომრებიც გამოჩნდნენ... სასახლესთან უამრავი ადამიანი მოსულიყო... გაცხარებულნი საუბრობდნენ: "ქალბატონი ცუდად გამხდარა... ეგონა მის შვილს შეემთხვა უბედურება, ასეთია დედის გული"... დებო არ ცხრებოდა... კიბეზე ასვლაში მიეხმარნენ... მისი თვალთმაქცობა საკმაოდ დამაჯერებელი იყო: "ღმერთო! ეს რა უბედურება დაგვემართა... სულ რამდენი დღით დავტოვე ქალაქი და აი, სიცოცხლე გამიმწარდა. მიმიყვანეთ ლენთან... მაჩვენეთ... მაჩვენეთ... სანამ გული გამჩერებია"... იდი დედას შეწუხებული მისდევდა... ყველანი გზას უთმობდნენ მოწიწებით... დარბაზამდეც მიაღწიეს... ლენი შუაგულ დარბაზში, ხის, ლამაზ ტახტზე იყო დასვენებული... ტანზე ძვირფასი ქსოვილი გადაეფარებინათ... სახე უჩანდა... თითქოს მშვიდად ეძინდა... კედლებზე დანთებული კელაპტრები მის ყველა ნაკვთს უფრო მკვეთრად წარმოაჩენდა... ლამაზად მოვარაყებულ ტახტს შავი ქსოვილი ჰფარავდა... ოთახში სამარისებულ სიჩუმეს დაესადგურა... ირგვლივ საკმევლის სუნი ტრიალებდა... დარბაზში შესვლისას დებომ ფორესტს ხელი ჰკრა და მიცვალებულისაკენ კივილით გაექანა: "ეს რა არის, ამას რას მოვესწარი"... მიუახლოვდა დენს და დაატირა: "რა მოგივიდა მეგობარო! ამას რას ვხედავ"... ნამდვილი სპექტაკლი იყო... დებო არ ჩუმდებოდა... ცხედარს გარს უვლიდა, ვიშვიშებდა... ფორესტი მეომრებს ელაპარაკებოდა. კედელს აკრული იდი და ბოზა

სიცილს ძლივს იკავებდნენ... ცოტა ხნის შემდეგ, ექიმი დებოს მიუახლოვდა. მხარზე ხელი დაადო... სთხოვა, დამშვიდებულიყო: "გთხოვთ, დამშვიდდით ქალბატონო!... ამდენი ნერვიულობა არ შეიძლება"... ყურში კი ჩასჩურჩულა: "ყველაფერი ჩინებულად მიდის"... ხმამაღლა კი დებოს სთხოვა, სკამზე ჩამომჯდარიყო... ერთი ხელი მხარზე დაადო, მეორე კი ხელში ჩასჭიდა... კედელთან მდგომ სავარძლამდე მიაცილა...მეომრებიც იქვე იდგნენ... ფორესტმა მსახურებს უბრძანა დამამშვიდებელი ნაყენი მიერთმიათ ქალბატონისთვის... თვითონ კი დაქანცული იერით, თითქოს ძალზე დამწუხრებული იყო, ჩამოჯდა... უმალ მეომრები შემოეხვივნენ და საუბარი გაუბეს... ექიმმა ცნობისმოყვარეთა იერიში მოიგერია და უთხრა: "ბატონებო! ცოტა ხანს მადროვეთ... ქალბატონს ნაყენს დავალევინებ და შემდეგ ვისაუბროთ"... მეომრებმა მოუბოდიშეს დებოს... იგი გაუნძრევლად იჯდა... თვალს არ აშორებდა მიცვალებულს... ნაყენიც მოართვეს ვერცხის ლანგარზე, ვერცხლის ჭიქით... "ძლივს" დალია... მერე არტისტულად ხელები ისევ მუხლებზე დაირტყა... ექიმი ისევ აწყნარებდა... "ახლა კარგად გახდები... დამშვიდდი... მინდა მოვისმინო, ეს ბატონები რას ამბობენ"... ხელი ორი მთავარი მეომრისაკენ გაიშვირა... დებო "შეკრთა" ... "რა ხდება, კიდევ ხომ არაფერი უბედურებაა ჩემს თავს?!" "დამშვიდდით ქალბატონო! არაფერი მომხდარა"... უბრალოდ, მინდა მოვუსმინო, სულ ესაა"... ქალი არ ცხრებოდა ... ტიროდა... ცხვირსახოცით ხშირად იწმენდდა "ცრემლებს"... თან მეომრებს შეჰყურებდა: "თქვით... რას გაჩუმებულხართ?!" ფორესტმა უბრძანა, ყველაფერი დაწვრილებით მოეთხროთ... ერთერთმა ნაბიჯი წინ გადმოდგა და ქალბატონთან გაჩერდა... თვალები გაუსწორა და დაიწყო: "რამდენიმე დღის წინ, დენთან ერთად ვსადილობდით, სრულიად მოულოდნელად დენს თავი უკან გადაუვარდა, ხროტინი დაიწყო... უცებ ამოუვიდა სული... ჩვენ მაშინვე ექიმი ვიხმეთ... გასინჯა... ვერაფერი უშველა.. უკვე გარდაცვლილი იყო... ჩვენ მსახურები ვაიძულეთ, დენის საჭმელი შეეჭამათ, სასმელიც დაელიათ... ყველა მონა ახლაც კარგად გრძნობს თავს... ექიმს გარდაცვალების მიზეზი ვკითხეთ... პასუხი არ აქვს... ამბობს "შეიძლება, ლუკმა გადასცდა და დაიხრჩოო"... ზუსტი პასუხი გვაინტერესებს, მაგრამ ის დუმს"... დებომ სათქმელი არ დაამთავრებინა... განრისხებულმა ბრძანა: "აქ მოათრიეთ ის ექიმი... დროზე აქ მოიყვანეთ"... შემდეგ ისევ "აქვითინდა". "ეს რა საშინელება დაგვატყდა თავს... დენის გარეშე ჩვენი ყოფა როგორ იქნება... ეს რა დღე გაგვითენდა"... შეწუხებული

მეომარი ქალს გაეცალა... ცოტა ხანში დარბაზში შუახნის, ჭაღარა, მაღალი მამაკაცი, მოკლე წვერით, სასიამოვნო გარეგნობის, ჭკვიანი თვალებით, ფორესტს მიუახლოვდა... დაბნეულად შეცბუნებული ჩანდა... მის დანახვაზე დებომ იკივლა: "შენ ხარ ის ექიმი, რომელმაც ვერ გიაგო, რით დაიღუპა დენი?!"... თითქოს ცრემლები ახრჩობდა, ძლივს მეტყველებდა... ექიმი შეკრთა... "არ ელოდა ასეთ შეხვედრას... თითქმის ჩურჩულით უპასუხა: "ქალბატონო! შევამოწმე, ვნახე, რომ ლუკმა ყელში ჰქონდა გაჩხერილი... სხვა რა უნდა მეფიქრა... საჭმელ-სასმელი გადავამოწმეთ, მოწამლული არ აღმოჩნდა"... ფორესტი ფეხზე წამოდგა... ანიშნა გაჩუმებულიყო... შეეკითხა: "სხვა რაიმე რატომ არ შეამოწმეთ, სასმელისა და საკვების გარდა?!" მეომრებს მიუტრიალდა და დაუყვირა: "სხვა ექიმი ვერ ნახეთ? ხუთი დღეა წასული ვარ, მეტი ხომ არა?!"... "გავიგეთ, რომ იგი ბააგრების ექიმი ყოფილა"... თქვა ერთერთმა მეომარმა... დებო წამოიჭრა "მართლია... აქ ხშირად მოეთრეოდა... ახლა გამახსენდა... ეს დენს რატომ მიხედავდა... ახლავე გაკოჭეთ და საპრობილეში ჩააგდეთ... ეს პირუტყვი აქ აღარ დავინახო!"... ფორესტმაც კვერი დაუკრა: "გაათრიეთ აქედან... გაათრიეთ!"... საცოდავი ექიმი მეომრებმა ბუმბულივით აიტაცეს... გაოგნებული ციხისკენ გააქანეს... დებო "ვაი-ვიშს" განაგრძობდა... ფორესტი დენის ცხედარს მიუახლოვდა... გულდასმით დააკვირდა... თითები ნაზად შეახო გარდაცვლილის ყელს... "ლუკმა რომ გადასცდა, ალბათ საყლაპავი მილი აქვს დაზიანებული... მოულოდნელად დაიხრჩო... ექიმი მის გვერდით რომ ყოფილიყო, იქნებ გადარჩენილიყო... მოწამვლით კი... მის მოწამვლას ვინ გაბედავდა... გამორიცხულია!!"... ერთმა მეომარმაც დაუდასტურა: "ჩვენც ეგ ვიფიქრეთ, მისი მოწამვლა აბსურდია... საჭმელ-სასმელი იმ ექიმმა შეამოწმა... ზუსტად არაფერი უთქვამს... ამან სულ გაგვაგიჟა... ერთ ცხვარს მიირთმევდა ერთ ჯერზე... ნეკნსაც კი არ ტოვებდა... ლუკმა როგორ ვერ გადაყლაპა?!" ფორესტმა მეომარს მხარზე დაადო ხელი და დაამშვიდა: "დაწყნარდით ბატონო! თქვენ მეომრები ხართ და იცით, რას ნიშნავს მოულოდნელობა... დენი მართლაც მოულოდნელობის მსხვერპლია... ახლა ვეღარაფრით ვუშველით... სჯობს იმაზე ვიფიქროთ, ჩვენს ქვეყანაში როგორ გადავასვენოთ"... მეომრები დამშვიდდნენ... ფიქრი მიცვალებულის გადასვენებაზე დაიწყეს... დებოს "ცრემლთა ნაკადული" არ წყდებოდა... ლამის ექიმმაც დაიჯერა მისი მწუხარება... ფორესტი ფიქრობდა, რომ ქალს დენის შიში ატირებდა... თუმცა მწარედ ცდებოდა... დებო გამარჯვებას ზეიმობდა...

გულში შიშის იოტისოდენა ადგილიც კი არ ჰქონდა... ნოზას ვაჟი ბოზა და მისი მეგობარი კვლავ კედელთან იდგნენ... ვინსენტისაგან მიყენებული ტკივილი ბოზას არ დაამებოდა... გაბოროტებული ყოველდღე აკითხავდა რაინდის შვილს ციხეში და სცემდა... შეურაცხყოფდა... ეს არ აკმაყოფილებდა... უნდოდა რაღაც ახალი მოეფიქრებინა... თუმცა მისი ბოროტი სული ვერაფერს იგონებდა... ეს უფრო აცოფებდა... ფორესტი, მეომრებთან ერთად მზადებას შეუდგა... დენი ყინულოვან ქვეყანაში უნდა გადაესვენებინათ... ექიმი გავიდა - იდი და ბოზა თან გაიყოლა... ქალბატონი კიდევ დიდხანს "ჭირვეულობდა"... მსახურების გამოკითხვას შეუდგა... ყველა დეტალი აინტერესებდა... ამ ამბით ხარობდა... მეომრები ცოტა არ იყოს გაოცებულნი იყვნენ ქალბატონის ამ ყოფით... ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ: "რა დღეშია... თითქოს მეუღლე გარდაეცვალა"... "ქალს რას გაუგებ... იქნებ, კიდევაც ხარობს"... "არა! არა! სიხარული არაფერ შუაშია... დენი რომ არა, ახლა დედოფლის ტახტი თავისუფალი არ იქნებოდა... ის ხომ პირველი ქალბატონია... გული მიგრძნობს, მეფეც თავად იქნება... "დაიცა, აბა, ჩვენიანი აქ მეფედ არ დაჯდება"... "ვის რად უნდა ეს ციცქნა სახელმწიფო"... აქაურები ერთმანეთს თავად ხოცავენ ყოველთვის"... "ამ ქვეყანას ადრე "ლაგო" ერქვა... მერე ვენახის ქვეყანა შეარქვეს... მერე "ბააგრების"... ახლა ჟორდანის ქვეყანა გახდება"... ზოგიერთი მეომარი სიცილს ძლივს იკავებდა... ერთ-ერთმა პირზე ხელი აიფარა და საუბარი ისე განაგრძო: "ხვალ კი დებოს ქვეყანა გახდება". "ჯობია, აქედან გავიდეთ, თორემ დაგვინახავენ... მეც ძლივს ვიკავებ სიცილს"... მეომრები გასასვლელისაკენ გაემართნენ... ერთერთი მათგანი დებოს მონებთან საუბარს გაფაციცებით უსმენდა... მერე სხვებს მიმართა: " მაინც საშიშია ასეთი ქალი... ქალი, რომელიც თამაშში ჩაერთო... ის ყველაფერს იკადრებს"... მეომრებმა შეაწყვეტინეს და იქაურობას გაეცალნენ...

საღამო მოუახლოვდა... სასახლეში ხალხი ნელნელა იშლებოდა... დენის გადასვენების თაობაზე მეომრები დიდხანს ბჭობდნენ... დაღამდა... დებო და ფორესტი საძინებელში შესულიყვნენ... ქალბატონი ვერცხლით მოჩუქურთმებულ ტახტზე იწვა... მეფის ტახტზე... მსახური ქალები უხმო დასტრიალებდნენ თავს... ერთერთმა დათვის უზარმაზარი ბეწვი გადააფარა... სასთუმალი გაუსწორეს... ოთახში რამდენიმე ჩირაღდანი ანთებული დატოვეს და ფეხაკრეფით გავიდნენ საძინებლიდან... დებო ჩუმად იწვა თითით კბილებს ეხებოდა, თითქოს ილესავსო... განვლილ დღეზე

ფიქრობდა... სიამოვნებით გულს იმშვიდებდა... "ყველაფერი კარგადაა... კარგზე კარგად! ნეტავ, მშიშარა რას ფიქრობს ახლა?!"... გაეღიმა მერე ფიქრო განაგრძო: "ექიმიც და ქმარიც, ორივე მშიშარა მყავს... გამომივიდნენ რა... ექიმი და მეფე... ნეტავ, ფორესტი თუ მოვა სალაპარაკოდ... მე მასთან არ გადავალ.... თვითონ მოეთრეს... კეთილი ინებოს... საცოდავი... სად წავა... ახლა მე ვარ აქ მთავარი... მამაკაცია... ვერ მოითმენს... აუცილებლად მოეთრევა... კაცი და მოთმინება ვის გაუგია... უნდა დავძლიო მოლოდინი... მალე ჩემს ხელში აღმოჩნდება... ჰო! მართლა! კარი ღია უნდა დავტოვო... ასე აჯობებს"... ამ ფიქრებით ქალი საწოლიდან წამოდგა... კართან ჩუმად მივიდა... მიაყურადა, დერეფანში ხომ არავინ იყო... კარის საკეტი მოქაჩა... ოდნავ ღია დატოვა...

ამ დროს ექიმი ფორესტიც იგივეს ფიქრობდა... თითქოს ერთმანეთის აზრებს კითხულობდნენ... ისიც საწოლზე წამოწოლილიყო... ვერ ისვენებდა... წამოჯდა... თვალდახუჭული საწოლის თავს მიეყრდნო... ტუჩებს თითებით აწვალებდა: "ნეტავ დებო თუ მოვა... რას გაიგებ... ქალია... ვერავინ გაიგებს თავში რა უქრის... თუმცა უნდა ვაღიარო... ძალზე ჭკვიანია.. ასეთი ჭკვიანი და ცბიერი ქალი ჯერ არ შემხვედრია. მასთან ძალიან ფრთხილად უნდა ვიყო... უდიდესი სიფრთხილე მმართებს... დავიჯერო, ჩემთან ლაპარაკი არ სურს?! იქნებ მოვიდეს... ცოტას დაველოდები... თან შუაღამეს გადაცილდება... თუ არ მოვა, მე მივალ... მოვეფერები... მეტი რა უნდა ქალს... ცოტას მივუალერსებ და უცებ ხაფანგში აღმოჩნდება... ვნება მაინც სძლევს, როგორი ჭკვიანიც არ უნდა იყოს... ზუსტად ასეთი ქალი მჭირდება... როცა ყელში ამომივა, ვიცი, როგორ უნდა მოვიშორო... ქალის დამარცხება ადვილია... დანებდი და ის თვითონ დამარცხდება"... ექიმი ფიქრს აგრძელებდა... ოცნებებში შეჭრილი, თვალებდახუჭული ხედავდა, როგორ დასტრილებდა ავადმყოფებს, გასაცოდავებულებს, ისინი კი იმედის თვალით შეჰყურებდნენ... თავის ექსპერიმენტებს ახორციელებდა... სახეზე ღიმილი დასთამაშებდა... თვალი გაახილა... შეეშინდა ოცნებებში არ დაკარგულიყო... ისევ დახუჭა და გააგრძელა... ეს ყოველივე ენით აუწერელ სიამოვნებას ჰგვრიდა... დრო ნელა გადიოდა... დებოს თვალი არ მოუხუჭავს... კარს მიშტერებოდა... ლოდინი აუტანელი ხდებოდა... თითქოს ექიმი აიძულებდა, თავად ხლებოდა... მაგრამ ქალი ჯიუტად იდგა... დაჟინებით ელოდა ფორესტს... ფიქრადაც არ გაუვლია თავად მისულიყო ექიმთან... ფორესტი ლოგინიდან მშვიდად წამოდგა... ტანთ ჩაიცვა... ფრთხილად გავიდა

საძინებლიდან... დებო ისე იმ მდგომარეობაში იყო... მის მტკიცე ხასიათს ესეც ამტკიცებდა... ლოდინმა გაამართლა... კარი უხმაუროდ გააღო... ქალის შინაგანმა ზეიმმა ზენიტს მიაღწია... ექიმმა უხმაუროდვე დაკეტა კარი... საწოლისაკენ მიემართა... ოთახში სანთელი ოდნავ ბჟუტავდა... ექიმს სახე ოდნავ უჩანდა... დებო დაჟინებით უმზერდა... სიამაყით აივსო... ფორესტი საწოლზე ჩამოჯდა... ნაზად მიეალერსა... სიჩუმე დაარღვია... "რას იტყვი?" დებოს გაეღიმა... ფორესტის სისუსტე იგრძნო... "რა უნდა ვთქვა... ყველაფერი ჩინებულად მიდის... ახლა მე მოვუვლი... არ ინერვიულო... "ნებისმიერ სულელს შეუძლია მოიპაროს, მხოლოდ, ჭკვიანს შეუძლია მონაპოვარი შეინარჩუნოს"... დაუდასტურა ფორესტმა... ქალმაც მიუალერსა ექიმს... "მე სულელი არ ვარ... ვფიქრობ, არც შენ ხარ უტვინო"... უპასუხა მოსულს... ფორესტი გვერდით მიუწვა დებოს... ბაგეებს თითები შეახო... მეორე ხელით თმები გაუსწორა და გააგრძელა: "მართალი ხარ, ჩემო პრინცესა! ისიც მართალია, რომ ახლა სახელმწიფო ჩვენს ხელშია, ბოლის შესახებ კი, სანერვიულო არაფერია... მე მას მთელი ცხოვრება ვიცნობ, ის ვერ შეგვეწინააღმდეგება... შენი ქმარი კი, შენს ხელში უნდა იყოს... ხომ ასეა?!"... დებომ თვალი გაუსწორა და ღიმილით მიუგო: "ნამდვილად ასეა, ჟორდანი ჩემს ხელშია... შენც ჩემს ხელში ხარ... საყვარელო!"... ფორესტს ტანში უსიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა... ქალს ეს არ გამოჰპარვია... მისკენ შეტრიალდა... ვნებით ანთებული მიეკრა... მხურვალე ტუჩებით დაეწაფა ექიმის ბაგეს... კაცმა ამოსუნთქვა ძლივს მოასწრო... ვნების ზღვაში შესცურეს... დაცხრა ვნება... ფორესტი მედიდურად წამოწვა... კმაყოფილმა ღრმააზროვანი საუბარი წამოიწყო... "როგორ ხარ... საყვარელო?"... ქალი მეტად ნასიამოვნები სჩანდა... ვნებიანი ღიმილით უპასუხა: "მშვენივრად მონსტრო"... ექიმმა დებოს სახე მოატრიალებინა... თვალებში ჩახედა... ქალს თვალები უციმციმებდა... "მინდა კარგად მომისმინო"... ქალმა გაიცინა: "გისმენ მონსტრო!" კაცი გაღიზიანდა... სახეზე ხელი მოუჭირა და მკაცრად მიუგო: "სახუმაროს არაფერს ვამბობ"... დებომ ხელი მოიშორა და ბრაზით უპასუხა: "გისმენ"... "ჰო! ასე სჯობია"... ქალმა სათქმელი არ დაამთავრებინა და მკვახედ გააგრძელა: "თქვი, რა გინდა?!"... ფორესტს ესიამოვნა დებოს გაბრაზება: "კარგია, უბრალოდ, კარგად მომისმინე"... დებო პასუხმა გააცეცხლა: "გისმენ! ბოლოსდაბოლოს ამოღერღე, რა გინდა?!"... "ხვალ დენს გადაასვენებენ თავის ქვეყანაში"... დებო ჩაფიქრდა: "მერე?!" "მაცალე, ბოლომდე მათქმევინე... ჰოდა, სანამ გადაასვენებენ, სიტყვა ხომ უნდა თქვას

ვინმემ... მათ შორის მინდა შენც იყო"... ქალი აფორიაქდა: "პირდაპირ თქვი, რა გინდა... სულელი გგონივარ?! მიკიბ-მოკიბვის გარეშე თქვი" ფორესტი მშვიდად იყო: "საუბარს ნუ მაწყვეტინებ... დაწვრილებით იმიტომ გიხსნი, რომ ძალზე სერიოზული რამ მინდა გთხოვო"... დებო დამშვიდდა... თუმცა თვალები წინანდელივით უელავდა... "მინდა სიტყვით გამოხვიდე... უნდა აქო და ადიდო განსვენებული... ბოლოს კი დენის საპატივცემულოდ სიკვდილის დასჯას გააუქმებ... რადგან მან გადაარჩინა ეს ქვეყანა... ამით მისდამი პატივისცემას გამოხატავ"... დაამთავრა ფორესტმა... დებო გველნაკრავივით წამოხდა: "რეებს როშავ... რეებს?!" ექიმიც წამოჯდა "სიყვარულით" შეხედა ქალს... ტუჩებზე თითი მიადო და ნაზად უთხრა: "საყვარელო! მოითმინე, მე ხალხი მჭირდება, რაც უფრო მეტნი იქნებიან, ჩვენთვის უკეთესია... თან დაფიქრდი... ამის შემდეგ ისინი იფიქრებენ, რომ შენ ყველაზე კეთილი და გულმოწყალე დედოფალი ხარ... მათ თვალში ამაღლდები... ხალხი ბრბოა!.. დაიმახსოვრე!"... დებო მიხვდა, ექიმი არც თუ ისე ცუდ იდეას სთავაზობდა... სახე გაებადრა... "ერთი წუთით... მინდა შენი სახე ნორმალურად დავინახო"... პატარა გოგოსავით წამოფრინდა საწოლიდან... ყველა ჩირაღდანს დაურბინა... აანთო... ისევ ფორესტთან დაბრუნდა... მთელი სერიოზულობით მიუგო: "კარგად მოგიფიქრებია, მართალია "ერთ თავს ორი სჯობსო"... ვფიქრობ... მე და შენ ერთად შორს წავალთ"... ქალმა გაიღიმა... ფორესტს ცხვირზე თითი მიადო: "აბა, კიდევ რას ფიქრობ, მითხარი... ჩემო მონსტრო"... მისმა სიტყვებმა ცინიზმი გაუძლიერა ექიმს და სიამაყით გააგრძელა, მოკლედ, შენი სიტყვით გამოსვლამდე დიდი დრო გვაქვს... მოვემზადებით... ახლა კი... ჩემზე გეტყვი... ხალხი კი მეყოლება მაგრამ შენობაც მჭირდება ექსპერიმენტებისათვის... ამას სახლში ვერ ვიზამ... გესმის? საყვარელო... ვიცი, რომ ქალაქგარეთ საგიჟეა, არცთუ კარგ ადგილას... მინდა ჩემი ლაბორატორიიდან ფართო არეალი იშლებოდეს, კარგად უნდა ვხედავდე ყველაფერს... თანაც იქ მისასვლელად მხოლოდ ერთი გზა უნდა არსებობდეს"... დებო ექიმს გულისყურით უსმენდა... იგი საუბარს აგრძელებდა, "ის გიჟები, ქალაქგარეთ, კარგია... ციხიდან ჯერ იქ გადავიყვან და შემდეგ გადავარჩევ ჩემთვის ვარგისიანთ... კიდევ კიდევ, მინდა გთხოვო... ის კაცი მჭირდება, საწამლავი ვინც მოამზადა... შენ მაშინ თქვი, ტყეში ცხოვრობსო... ასეთი საწამლავი ჯერ არ მინახავს, არც გამიგია, ვინმე ამზადებდეს... ცხადია, ძალზე ნიჭიერია"... დებომ ვერ მოითმინა... საუბარი შეაწყვეტინა: "მისი ნამდვილი სახელია -

"როკი"... ფორესტმა ღიმილით უპასუხა: "ჰოდა, საყვარელო! ზუსტად ის როკი მჭირდება"... ქალმა უცებ საქმიანი იერი მიიღო: "მე ვიცი, დაახლოებით, სად ცხოვრობს... უმეტეს დროს მიწაში ატარებს... ტყეში მეომრებს დავტოვებ... გამოჩნდება, სად წავა, დაიჭერენ და მოგიბრძანებენ..." ექიმი თითქოს შეევედრა: "დაწვრილებით მიამბე მასზე... ისიც მითხარი... ჩემთვის გამოსადეგი შენობა თუ გეგულება"... ქალბატონმა გააგრძელა: "ძველად ერთ კლდეში ციხესიმაგრე იყო, რომელსაც მხოლოდ ერთი მისასვლელი ჰქონდა... წინ კი გაშლილი მინდორია... იქიდან ყველაფერი ხელისგულივით მოსჩანს... ახლა იქ მხოლოდ ნანგრევებია... მის აღდგენას და გაახლებას დიდი დრო დასჭირდება"... გახარებულმა ფორესტმა მიახალა: "ეს პრობლემა არ არის... პატიმრებს, გიჟებს და მონებს ვამუშავებ... უცებ გაკეთდება ყველაფერი... ახლა შენ როკიზე მიამბე"... დებო დაფიქრდა, ბევრი არაფერი იცოდა, მაგრამ რაც იცოდა, ლამაზად უამბო... ბოლოს ალერსით უთხრა: "ახლა კი მინდა რაღაც იცოდე! ჩემმა შვილმა მითხრა, რომ მთავარი რაინდის შვილი ციხეში ჰყავთ... ჩემი ბიჭი და მისი მეგობრები მივიდნენ სანახავად... იმ ცხოველს ერთერთისთვის ფეხის თითი კინაღამ მოუჭამია თურმე... ცოცხალი როგორ დავტოვოთ - მითხარი... რაინდების ოჯახებიდან მხოლოდ ისღაა ცოცხალი... სხვები საიქიოს გაისტუმრეს ცოფიანებმა"... ექიმმა ქალი დაამშვიდა: "რა განერვიულებს... ხომ არ გავიწყდება, რომ სახელმწიფო ჩვენს ხელშია ფარით და მახვილით... მთავარია, არ ვიჩქაროთ... ყველაფერი ისე იქნება, როგორც დედოფალი ისურვებს"... კაცი ნაზად შეეხო ქალის ტუჩებს... დებო მოეშვა... მოდუნდა... ფორესტს საფიქრალი არ ავიწყდებოდა... "როკი აუცილებლად ჩვენს ხელთ უნდა იყოს... ის ნამდვილი ალქაჯია... როგორც ჩანს კიდევ ბევრ სიკეთეს მოგვიტანს"... "მაგაზე ნუღარ ფიქრობ... ჩათვალე, რომ შენს ხელთაა... როგორც კი დროს გამოვნახავთ, მეომრებს წავიყვანთ... ვინ იცის, იქნებ ახლაც გზაში გველოდება"... აკისკისდა ქალი... სიცილი ექიმსაც გადაედო... "ჩუმად... არავინ გაგვიგოს"... ხელი ააფარა ქალმა... კაცმა ხელზე აკოცა და ღიმილით მიუგო: "ვინ უნდა გაგვიგოს... კიდევ დაგვრჩა ვინმე მოსაწამლი?!"... დებომ ალერსს ალერსითვე უპასუხა... ორივენი ისევ ვნების მორევში აღმოჩნდნენ... ცოტა ხნის შემდეგ ნასიამოვნები წყვილი საწოლში ნებივრობდნენ... ქალი ექიმის ხელს ეთამაშებოდა: "მართლაც მონსტრი ხარ" ამ სიტყვებზე ღრმად ამოისუნთქა: "შენთვის ის ვიქნები, რაც გაგიხარდება... თუ არ ვარ, იცოდე: გავხდები"... დებო ხარობდა: "ვნახოთ, ვნახოთ საყვარელო"... "ლამაზი სხეული

გაქვს, ენით აუწერელი"... მიუალერსა ქალს... "მორჩი ახლა, სჯობს ის მითხრა, კიდევ რა ფიქრები გიტრიალებს თავში?"... ექიმი ჩაფიქრდა: "მალე გათენდება... სჯობს შენ იფიქრო, ხვალინდელ სიტყვით გამოსვლაზე... რა უნდა თქვა"... " მე გონიერი ქალი ვარ, კაცისგან ჭკუის სწავლება არ მჭირდება... მე მგონი, ამდენი იცით... არა?! პატივცემულო ექიმო?!" ფორესტმა გაიღიმა: "მართალი ხარ, მართალი... გულწრფელად უნდა ვაღიარო... შენნაირი ჭკვიანი ქალი ცხოვრებაში არ შემხვედრია... შენი გონიერება და არტისტულობა... შენი ტალანტი განუმეორებელია... ვარსკვლავთა ვარსკვლავი ხარ... მშვენიერო"... ამ ანკესს დებო არ წამოეგო... მტკიცედ მიუგო: "ჰოდა! გამოფხიზლდი და მომისმინე, რაც შეიძლება ხშირად - ექიმო, მონსტრო!"... "აი, ახლა მომეწონა ჩემი წოდება... შე ისეთი ხარ, მე კი არა, მალე ყველა ხელისგულზე გატარებს... ხანდახან მეც მომისმინე... მეც არ ვარ შენზე ნაკლები"... ქალს გაეცინა: "თქვენ, კაცები უჩვენოდ მაინც არ ვარგიხართ... მოდი! ქალებს ნუ განვსჯით საყვარელო!"... "იცოდე, შენი ფარული მონა-მორჩილი ვარ"... დაუყვავა კაცმა... საუბარი გრძელდებოდა... მოსვენებას არ აპირებდნენ... თავზე დაათენდათ... ფორესტი თავის საძინებელს დაუბრუნდა. დარბაზში, სადაც დენი იყო დასვენებეული, რამდენიმე მეომარი იყო... ნელ-ნელა ხალხი ემატებოდა... ცოტა ხანში დარბაზი გაივსო... ფორესტიც მათ შორის იდგა... მეომრებთან საუბრობდა... მალიმალ ათვალიერებდა დარბაზში მყოფთ... თვალებით დებოს ეძებდა... შეწუხებული იყო... მალე იდის მოჰკრა თვალი... თავისთან იხმო... იდი მოჩვენებითი, დაწყნარებული სახით მიუახლოვდა ექიმს... უკან ბოზა მოჰყვებოდა... მთავარმა მეომრებმა ერთმანეთს გადახედეს... ფორესტმა იკითხა: "ქალბატონი დებო არ მობრძანებულა?!"... "ბატონო ფორესტ! დედა დილაადრიან იყო აქ"... იყო პასუხი..."მოძებნეთ ქალბატონი და გადაეცით, რომ ლენი უნდა გადავასვენოთ უკვე"... დაამატა ექიმმა... იდიმ თავი მდაბლად დაუკრა... უსიტყვოდ გაეშურა დედის სანახავად... დებო კედელთან სკამზე იჯდა, რამდენიმე ქალბატონთან ერთად, თავჩაღუნული მოსთქვამდა... იდიმ ფორესტის დანაბარები გადასცა... მას ბოზაც ახლდა... ვირთხასავით აცეცებდა თვალებს, ცდილობდა მისი "მწუხარე სახე" ყველას დაენახა... ქალბატონმა თავაუწევლად მიუგო შვილს: "ექიმს უთხარი და მთავარ მეომრებს აქ მოვიდნენ... თავს ცუდად ვგრძნობ"... მალე ფორესტი და მისი მხლებლები დებოსკენ გამოემართნენ... ხალხი გზას უთმობდა... დერეფანი გაკეთდა ქალბატონამდე... ფორესტი ქალს მიუახლოვდა და მოწიწებით

მიუგო: "დროა ქალბატონო, უნდა გადავასვენოთ ჩვენი ბელადი"... დებომ თავი ძლივს ასწია... აცრემლებული თვალები ცხედარს მიაპყრო, წამოდგა და აუჩქარებლად ჩაილაპარაკა: "ცოტა ხანს გარეთ დავასვენოთ... ეზოში... ყველა დაემშვიდობოს მას"... ამის შესახებ, ექიმს თითქოს პირველად გაეგო, ისე გაიკვირვა... თავი დაუქნია და მეომრებს გადაულაპარაკა: "ქალბატონი მართალს ამბობს... ჩვენ როგორ ვერ მოვიფიქრეთ, ეს... მთელმა სახელმწიფომ გაიგოს... რაოდენ დიდი სიყვარული გაგვაჩნდა დენის მიმართ... ყველანაირი პატივი მივაგოთ"... დებოს აზრი მეომრებს ესიამოვნათ... დანარჩენებს უბრძანეს მიცვალებული სასახლის ეზოში დაესვენებინათ... დარბაზში მყოფნი წამოიშალნენ და ეზოსკენ დაიძრნენ... ფორესტი დებოს თვალს არ აშორებდა... ფიქრობდა: "ამ ქალთან მართლაც დიდი სიფრთხილე მმართებს... მასზე რაც მიფიქრია, არ შევმცდარვარ... ძალზე საშიში და ჭკვიანია... არაფერია... მამაჩემმა მასწავლა ბავშვობაში ჭკვიანების დამარცხება... "დანებდი, რომ დაამარცხო"... ასე, რომ ჩემო გენიოსო! მე ვერ მომწამლავ... დაიჯერე, რომ შენი მჯერა"... ქვითინით მიმავალ დებოს გარს ქალები ეხვივნენ... თითქოს ეჭირათ, რომ არ დაცემულიყო... დენი სასახლის წინ, კართან დაასვენეს... ქალაქიდან გასასვლელთან ურემი იდგა, შავებით მორთული, მასში ორი შავი ულამაზესი ცხენი შეებათ... ეზო უამრავი უიშვიათესი ყვავილით მოერთოთ, ცდილობდნენ ამით გამოეხატათ უდიდესი პატივისცემა... ცერემონიას თითქმის მთელი ქალაქი ესწრებოდა... ადამიანები ცდილობდნენ ცხედართან მიახლოებას, რათა ბოლოჯერ შეევლოთ თვალი... ვინც მიახლოებას ვერ ახერხებდა, ქალაქის კარიბჭეზე ასულიყო და იქედან აკვირდებოდა... მონები და გლეხები, შიშით, თუ რიდით, თავის აწევასაც ვერ ბედავდნენ... მოღალატე თავადები შინაგანად ხარობდნენ... იდი და მისი მეგობრები ვითარებას სასახლის კედლიდან აკვირდებოდნენ... მეომრებმა გამოსამშვიდობებელი სიტყვები წარმოთქვეს... კიბიდან ჩამოდიოდნენ... ფორესტი მათკენ გაეშურა... მისი სიტყვით გამოსვლის დრო იყო... უზომოდ ღელავდა... დებომ თვალი მოჰკრა... მისკენ გამოემართა... გზა გადაუღობა... ფორესტი შეჩერდა... "მე ვიტყვი"... გამოსცრა ქალმა... ექიმი მოულოდნელობისაგან გაშეშდა... ხმა ვერ ამოიღო... უცებ დამშვიდდა... ქალს მადლიერებით სავსე თვალებით მიაშტერდა... იგი სიტყვით გამოსვლებს მიუჩვეველი იყო... დასაკლავი ცხვარივით მიემართებოდა კიბისკენ... დებომ იხსნა... შვებით ამოისუნთქა... ქალი უკვე ცხედარს მიახლებოდა... აცრემლებული

უყურებდა... მერე ნელი სვლით კიბეზე ავიდა... ბოლო საფეხურზე მკერდზე ხელი იტაცა... ქალები მისცვივდნენ მოიშორა ისინი... "გამშორდით"... შეშინებულებმა უკან დაიხიეს... დებომ თავი ამაყად ასწია... ყველა მას მიაშტერდა... მეომრები გაკვირვებულნი მოუთმენლობისაგან ადგილს ტკეპნიდნენ... ქალბატონმა იქაურობას თვალი მოავლო... მზერა ქალაქის კარიბჭეზე გადაიტანა... ბოლოს ისევ ცხედარს დახედა... ჩუმად, ძლივს გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა... "დენ-დენ!" თავი ასწია... გასწორდა... თითქმის ყვირილით მიმართა ხალხს: "რა უნდოდა დენს, რა?" წამით გაჩუმდა... ისევ გააგრძელა: "რატომ დაგვეხმარა დენი!.. რატომ?! მას არაფერი აკლდა... ყველაფერი ჰქონდა, რასაც მოისურვებდა... მას ჩვენთვის სიკეთე უნდოდა... მშვიდობა უნდოდა ჩვენს ქვეყანაში... სიყვარულით მოვიდა ჩვენს დასახმარებლად... ჩემს ქმარს უარი ვერ უთხრა... ის ხომ ყველაზე სუკეთესო მეგობარი იყო მისთვის... საუბედუროდ დენმა მიგვატოვა... დაგვიტოვა თავისუფალი ქვეყანა... ამიტომ მისი სახელით... დენის სახელით... მინდა ყველას ვუთხრა, რომ დღეიდან ჩვენს სახელმწიფოში სიკვდილით აღარავინ დაისჯება"... სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა... მთავარი მხედრები გაშეშდნენ... დებო განაგრძობდა: "ამის გამო, მისი სახელი უკვდავი იქნება... მან დიდი სიყვარული და სიცოცხლე დათესა უკუნითი - უკუნისამდე"... მთავარ მეომრებს აღარ უკვირდათ... დებო განაგრძობდა: "დიახ! თქვენ არ მოგესმათ ეს... გახსოვდეთ! ეს დენის დამსახურებაა და არა მარტო ეს... ძვირფასი დენი წავიდა ამ ქვეყნიდან... მაგრამ მან დატოვა თავისი მეგობრები... მთავარი მხედრები... ისინი ახლა აქ იმყოფებიან და... ჩვენ გვჯერა, რომ არასოდეს მიატოვებენ გასაჭირში ჩვენს სახელმწიფოს"... უცებ ერთ-ერთმა მთავარმა მხედარმა ტაში შემოჰკრა... მას სხვებიც აჰყვნენ... ამას ყიჟინა მოჰყვა... ხალხი დებოს თვალს არ აშორებდა... მისმა სიტყვამ გადაფარა სხვა დანარჩენი... გაჩუმებას არ აპირებდა... ხალხი შეაჩერა და განაგრძო: "ისე გავაცილოთ ჩვენი გმირი დენი უკანასკნელ გზაზე, რომ მსგავსი პატივი არავის ერგოს"... ხალხმა იქუხა: "დენს გაუმარჯოს! ჩვენს დიდ ბელადს"... ფორესტი დებოს მიუახლოვდა... ხელზე ემთხვია და დენის ცხედართან მიაცილა... ქალმა გარდაცვლილს საბოლოოდ აკოცა ხელზე... შემდეგ მეომრებს უბრძანა: "აიყვანეთ ბელადი... მივაცილოთ ქალაქის კარიბჭემდე!"... რამდენიმე მეომარი მკვირცხლად მივარდა ცხედართან... კუბო მხრებზე შემოიდეს და კარიბჭისაკენ დაიძრნენ... უკან მთავარი მეომრები მიჰყვნენ... შემდეგ დებო გაჰყვა ქვითინით... ფორესტი შორიახლო

მისდევდა ქალს... თვალს არ აშორებდა გაოგნებული... დებოს სიტყვები ყურში ჩაესმოდა... ფიქრობდა, "რამდენი შეუძლია ამ ქალს"... მხედარმთავრები ერთმანეთში საუბრობდნენ... დებომ ექიმი იხმო და დაავალა... "ჩემს მსახურებს უთხარი, რომ სასახლეში სუფრა გაშალონ... ღვინო სულ გამოიტანონ... ყველაფერი უხვად უნდა იყოს... გლეხებს და მონებს არაფერი დააკლონ, რაც დარჩება სახლში გაატანონ"... უცებ გვერდზე ქალებმა ჩაუარეს... დებომ უძლურის სახე მიიღო... ცრემლისაგან ამღვრეული თვალები ფორესტს მიაპყრო და გააგრძელა: "ხომ ყველაფერი გაიგე?"... სიტყვებს სიკაცრე ეტყობოდა... ამან ექიმი გამოაფხიზლა: "დიახ, ქალბატონო დებო"... "იჩქარონ!"... უბრძანა ქალმა... შემდეგ სწრაფად შეტრიალდა და მგლოვიარეებს შეუერთდა... ხალხს არაფერი გამოჰპარვია... ყველა მიხვდა, რომ ამ ქალს მმართველობის ხელში ჩაგდება სურდა... დასკვნების გამოტანას არავინ ჩქარობდა... მეომრებს სულაც არ ანაღვლებდათ, ვინ მართავდა ამ სახელმწიფოს... მშიშარა თავადები ხმას ვერასოდეს ამოიღებდნენ... ეს ყველაფერი დებოს გათვლილი ჰქონდა... ერთადერთი, რაშიც ცდებოდა ეს ფორესტი იყო... ტყუილად ეგონა მის კლანჭებში... ქალს თითქოს ფიქრების გაქარვება სურდა... ცას ახედა, ღრუბლები მოძალებოდნენ... მზეს ფარავდნენ... ისე ჩაიხუთა, ჟანგბადი არ იგრძნობოდა... უეცრად ქარი ამოვარდა... ცხედარს გადაფარებული ტილო ააფრიალა.. გადასძვრა... მგლოვიარეებს გადაუფრინა და ზედ დებოს და მის გვერდზე მყოფთ გადაეფარა. ქალს შიშისაგან გული წაუვიდა... მოვარდნილ ქარს სუსხი და სიცივე მოჰყვა... დებო გონს მოვიდა... მაგრამ თვალთმაქცობდა... გაისმა მხედართმთავრის ხმა: "ქალბატონი სასახლეში წაიყვანეთ"... მათ უკვირდათ დებოს ამხელა პატივისცემა გარდაცვლილის მიმართ... თუმცა ვერცერთი მათგანი ვერ მიხვდა, რის გამო დაკარგა გონება ქალბატონმა... იგი შიშისაგან თვალს არ ახელდა... თითქოს ნაჭრის ნაცვლად დენის ხელები იგრძნო...

სასახლეში ელვისებური სისწრაფით მაგიდებს შლიდნენ... ყველა ციბრუტივით ტრიალებდა... ფორესტი გულწასულ დებოს კიბეებზე შეეგება... მსახურებს უბრძანა, საძინებელში შეეყვანათ... ოთახში დებო გაბრწყინებული სახით წამოწვა... როგორც კი მარტო დარჩა ექიმთან... თუმცა მწუხარებას მოჩვენებით ისევ ინარჩუნებდა... ცალი თვალი გაახილა... შეხედა, როგორ მოემართებოდა ფორესტი მისკენ... ნაზი... თითქოს მწუხარე ხმით, ჰკითხა: "კარი დაკეტე?" ფორესტს გაეღიმა... საწოლის კიდეზე ჩამოჯდა...

ქალს თავზე ხელი გადაუსვა და ალერსით მიუგო: "რა არის, ბოლომდე იმსახიობე"... დებომ კაცის ხელი გულზე მიიღო და უთხრა: "უსმინე! კინაღამ გული გამიჩერდა... მეგონა დენი წამოდგა"... ფორესტს სიცილი აუტყდა... მეორე ხელი პირზე აიფარა... ქალმა გაკვირვებით ჰკითხა: "რა გაცინებს?... კინაღამ მოვკვდი... მართლა!"... ექიმმა სიცილი შეწყვიტა და დაამშვიდა: "ყველაფერი კარგადაა... დამშვიდდი... ნუღარ ნერვიულობ"... იგი მიუახლოვდა დებოს და ვნებით დაეწაფა მის ბაგეებს... თითქოს ასე მის დამშვიდებას ცდილობდა... ფორესტი ნიჭიერი ექიმი იყო... იცოდა, ანერვიულებულ ქალს ვნება ყველაფერს ავიწყებს... ქალებს ჰგონიათ, მათი ალერსისას - მათზე გიჟდებიან... უყვართ ისინი... ვერც კი წარმოუდგენიათ, სიყვარულისა და პატივისცემის მაგივრად, უმეტეს შემთხვევაში სიკვდილი ეფერებათ...

იდი და ბოზა მსახურებს სვავებივით დასტრიალებდნენ... ლანძღვა-გინებით აჩქარებდნენ, სუფრა დროზე გაეშალათ... ორივე გრძნობდა, რომ ძალაუფლება ახლა მათ ხელში გადასულიყო... ბოზას სისხლიანი თვალები ირგვლივ ბოროტებას აფრქვევდნენ... იღრინებოდა შინაგანად კი სიხარულს მოეცვა... ოცი ასეული მიაცილებდა მიცვალებულს... მხედართმთავრები და მეომრები სინანულით შესცქერონენ, როგორ შორდებოდა ქალაქს მათი ბელადი... მისი გარდაცვალებით გამოწვეული სიმწარე და ეჭვი ნელ-ნელა ცხრებოდა... ახლა ისინი ბოლიზე ფიქრობდნენ...

ამ დროისათვის ვინსენტი ციხის სარდაფში თითქმის უგონოდ იწვა... რამდენიმე დღის უჭმელობამ სულ დააუძლურა... თუმცა ცდილობდა, პატიმრების საუბარი არ გამოჰპარვოდა... სარდაფში ექიმიც იმყოფებოდა... ცდილობდა, ვინსენტისთვის მიეხედა... პატიმრებსაც ანუგეშებდა... დაძაბული სიტუაცია იყო... ტუსაღები ერთმანეთს უღრენდნენ... ექიმს ეშინოდა, ყველაზე სუსტს თავზე არ დასხმოდნენ გაბოროტებულნი... მერე მათი შეჩერება შეუძლებელი იქნებოდა. ვინსენტის გვერდით მწოლ პატიმარსაც შიმშილისაგან გონება ებინდებოდა... ექიმი მათ გვერდით მიწვა... ჩუმად წამოიწყო: "ეცადეთ, საჭმელზე არ იფიქროთ, რაც შეიძლება დიდხანს იძინეთ... მალე საკვებსაც მოგვაწვდიან"... ვინსენტს თავზე მიეალერსა... პატიმარს კი უთხრა: "შენ როგორ ხარ, ხომ გესმის რას ვამბობ?"... პატიმარი არც განძრეულა... დაქანცული ხმით უპასუხა: "ჩემზე არ იდარდო ექიმო! ჯანზე ვარ... ვინსენტს მიხედე... დანარჩენების არ შეგეშინდეს... ცოცხლად შევჭამ"... ექიმმა სანუგეშოდ მხარზე ხელი დაადო... გაჩუმდნენ... საკვები

არსად ჩანდა... წყლის მარაგიც ამოწურულიყო... ექიმი ძალიან წუხდა ვინსენტის გამო... თვითონ ამ საშინელებას რამდენიმე დღე კიდევ გაუძლებდა... ნერვიულობისაგან ხვნეშოდა... საკუთარ თავში გამოსავალს ეძებდა... ფიქრებმა ლაბირინთისკენ გაიტაცეს... თავის თავს ელაპარაკებოდა: "ჰო, ეგრეა! მეტი არაფერი დარჩა! ერთი-ორი დღეც და ასე თუ გაგრძელდა, ჩემს სისხლს დავალევინებ... რამდენიმე დღე გაუძლებს... ახალგაზრდაა... მეტი არაფერი დაგვრჩენია"... სევდით და სინანულით ეფერებოდა ვინსენტს... ამ საშინელებისაგან პატიმრები გმინავდნენ... სასოწარკვეთა უფროდაუფრო მატულობდა... ერთი პატიმარი წამოდგა... კედელს მიეყრდნო და ექიმს მიმართა: "ძალზე აირია აქაურობა... ასე დავჯდები, ჯობია"... ექიმმა ამოიხვნეშა და მიუგო: "მეც ჯანზე ვარ ფრენკ!" პატიმარს გაეღიმა... ვინსენტი დაძინებას ცდილობდა... უნდოდა აქაურობისთვის ყურადღება არ მიექცია... თან ექიმს უსმენდა... პატიმრებში აგრესიულნი ცოფებს ჰყრიდნენ... ცემისა და ყვირილის ხმა ისმოდა... რამდენიმე პატიმარი შეჯგუფდა... სიბნელეში ბუნდოვნად ჩანდნენ... ჭერიდან რკინის კარის ხმა გაისმა... ვიღაც კარის გაღებას ცდილობდა... სრული სიჩუმე ჩამოვარდა... ყველას ყურადღებამ კარისკენ გადაინაცვლა... ექიმს პულსი აუჩქარდა... ჭერზე სწრაფად გადაიხსნა კარი... შუქი შემოვარდა... პატიმრები კიბესთან მიცვივდნნ... ასვლას ვერავინ ბედავდა... გამოჩნდა ბადრაგის ტანი... გაისმა მრისხანე ხმა: "მიიღეთ საჭმელი ღორებო!"... რამდენიმე წამში კიბეებზე ტომრები ჩამოცვივდა... პატიმრები მისცვივდნენ... ერთმანეთს ეცილებოდნენ საშინელება ტრიალებდა... ისევ ბადრაგის ღრიალი: "წყლის ჭურჭელი მომაწოდეთ! მერე დახოცეთ ერთმანეთი!"... რამდენიმე პატიმარმა კიბეებზე აირბინა... ბადრაგმა დაცინვით უთხრა: "გაიხარეთ! სიკვდილით დასჯა აიკრძალა სახელმწიფოში... გაგიმართლათ, თუ სიცოცხლე სიკვდილზე უარესი არ გაგიხდათ"... პატიმარს ჭურჭელი გამოართვა და კარს მოშორდა... კარი ღიად დარჩა... სარდაფში ყველა პატიმრის სახე გამოჩნდა... კიბეზე ასული პატიმარი ჩაფიქრებული ელოდა წყალს... შუახნის, ოდნავ მელოტი, კბილებჩამტვრეული, საშუალო სიმაღლის, შიმშილისაგან დასუსტებული, მაგრამ მოქნილი, ძლიერი და უშიშარი იყო... მას ფრენკი ერქვა... აქ ცოფიანი მეომრების ცემისთვის იყო... ბადრაგი უკან მალე მობრუნდა... ცხვრის ტყავის ჭურჭლით წყალი მოიტანა და სარდაფში ჩააგდო... ერთერთმა ტუსაღმა ჭურჭელი ხელთ იგდო... გახარებულმა ჩაიკრა... ბადრაგმა დაიყვირა: "დროზე დასცალეთ ტომრები და წყლის

ჭურჭელი... მომაწოდეთ!"... (ერთერთ პატიმარს ფრენკს) საჭმელი უბეში ჩაეყარა და ვინსენტისაკენ მიემართებოდა... სიხარულით ცას სწეოდა... ჰკითხეს: "რა გიხარია ფრენკ! გვითხარი, ასეთი რა გითხრა იმ მაღალმა?!" "აღარ ჩამოგვახრჩობენ"... აღმოხდა... მეორე პატიმარმა ღიმილით მიუგო: "აბა, დაგვწვავენ ღორები?!" ფრენკს გაეცინა... ექიმს და ვინსენტს მიუახლოვდა... ჩამოჯდა... წყალი ექიმს მიაწოდა... უბიდან საჭმლის ამოლაგებას შეუდგა... ექიმმა ხელზე დაისხა წყალი... ვინსენტს შუბლი და სახე დაუსველა... რამდენიმე ყლუპიც დაალევინა... გაოცებულმა ფრენკს ჰკითხა: "წეღან რა თქვი ფრენკ?!" ფრენკმა უკეთესი საჭმელი გადაარჩია... ექიმს მიაწოდა და უპასუხა: "ეს ვინსენტს ვაჭამოთ"... ექიმს ხელი გაწვდილი დარჩა... კითხვა ისევ გაუმეორა... "ბადრაგმა მითხრა, "სიკვდილით დასჯა აიკრძალაო"... ისეთივე სიხარულით უპასუხა ფრენკმა... ექიმი მშვიდად შეტრიალდა ვინსენტისაკენ... თავი აუწია... პატარ-პატარა ლუკმებს აწვდიდა... ირგვლივ ყველა გამალებით თქვლეფდა საჭმელს... მალე ბადრაგის საზიზღარი ხმა ისევ გაისმა: "დროზე! ტომრები და წყლის ჭურჭელი!"... პატიმრები ამოძრავდნენ... "წყლის ჭურჭელი აქ დავიტოვოთ... ბადრაგი რას გაიგებს, ხომ არ დაითვლის"... თქვა ფრენკმა...ექიმმა ვინსენტს წყალი სწრაფად დაალევინა, აპკურა კიდეც... ჭურჭელი ფრენკს გაუწოდა: "მიდი, მიუტანე... მერე დაგელაპარაკები"... გაკვირვებულმა ფრენკმა ღიმილით ჩამოართვა ჭურჭელი და კიბეებისკენ გაემართა... რამდენიმე წუთში კარი დაიკეტა... ჩამობნელდა... ფრენკი ძლივს მიუახლოვდა მეგობრებს... "კარგი იყო... დავნაყრდი... შემწვარ-მოხრაკული აჯობებდა"... ექიმის სახეს ვერ ხედავდა... სილუეტიც კი გაქრა... მხოლოდ ხმა ისმოდა... ისევ ვინსენტს აჭმევდა... ექიმმდა მშვიდად მიუგო ფრენკს: "ხალხს მოედანზე აღარ ჩამოახრჩობენ... სადმე, ბნელ ჯურღმულში ჩაკლავენ, სულელი ბოროტი საშიშია... უტვინოდ მოქმედებს"... "ვიცი, ვიცი ბატონო" ჭმშვიდად უპასუხა მეგობარმა... "ჰოდა, თავს ნუ იტყუებ... მივხედოთ ვინსენტს. ჯანზე მოვიყავნოთ... ძალიანაა ნაწამები... მაგრამ... ვფიქრობ გადაიტანს... ახალგაზრდაა... სხეულმა უნდა გაუძლოს"... განუმარტა ექიმმა... ფრენკმაც დაუდასტურა: "ჯანმრთელი ბიჭია... გადაიტანს... ძლიერია... არ დანებდება"... "შენს პირს თაფლი და შაქარი... მეც იმედი მაქვს, ეგრე იქნება... მთვარია, თავი არ ჰქონდეს დაზიანებული... დანარჩენს მე გასწავლი, თავი როგორ უნდა დაიცვას"... განაგრძობდა ექიმი... "იცი, ექიმო! ახლა რა გავიფიქრე? სიკვდილით დასჯა რომ აკრძალეს, ალბათ რაღაც აქვთ

ჩაფიქრებული"... ექიმიც დაეთანხმა... "მართლია, ფრენკ! ეს ჩანაფიქრიც მალე გამოაშკარავდება... ვინ იცის, რა ჩაიფიქრა ქალბატონმა დებომ, ეს მისი მოფიქრებულია... მის უკან ვინმე თუ დგას ისიც გამჟღავნდება... ამჟამად ჩვენი დარდი ისევ ვინსენტია... მერე გამოჩნდება გზა"... "ექიმო! ეს თუ სიმართლეა, დღეს თუ არა, ხვალ მაინც გავიქცევი აქედან... ამქვეყნად არავინ მყავს... დასაკარგიც არაფერი მაქვს"... "შორიდან გიცნობ ფრენკ! ახლა ერთს გთხოვ, ვინსენტი ფეხზე დამაყენებინე... შემდეგ ისეთ ხრიკებს გასწავლი, არასოდეს რომ არ გაგიგონია... ნუთუ არ გიკვირს, რომ არავინ სცემეს, მოკვლაზე ხომ საუბარი ზედმეტია... ვიმეორებ... რაღაც სერიოზული აქვთ ჩაფიქრებული... არა მგონია! ხალხის სიკეთით შემოტრიალება მოინდომონ"... ფრენკმა აღელვებით მიუგო: "ექიმო მე თქვენს გვერდით ვარ, ასეთ მდგომარეობაში როგორ მიგატოვებთ... ვინსენტი ხშირად მინახავს, ქალაქში... ურთიერთობა არ მქონია... მაგრამ ცხადია... ამ ბიჭს სიცოცხლე ფეხებზე არ ჰკიდია"... "ჰოდა! ეს სიამაყეა... სხვა არაფერი... ბრძენი უნდა იყო... მაშინ ხარ ღირსეული... ვინსენტი ჯერ ბავშვია"... აღმოხდა ექიმს... "საკვები ორი დღე გვეყოფა" თქვა ფრენკმა... "საკვები ყოველდღე იქნება... ეს პრობლემა მოხსნილია... ახლა დროა, ვინსენტს მივხედოთ".. უთხრა ექიმმა... ცოტაოდენმა საკვებმა ვინსენტი სააქაოს მოაბრუნა... თვალები გაახილა... ეცადა ექიმი და ფრენკი დაენახა... მათი ხმა ესმოდა... თვითონ ლაპარაკის თავი არ ჰქონდა... იცოდა რა მდგომარეობაშიც იყო... არ დარდობდა... მას მხოლოდ შურისძიების ცეცხლი სწვავდა... ეს ჰმატებდა ძალას... იდი და მისი მეგობრები აღარ აკითხავდნენ საწამებლად... ერთადერთი ბოზას არ ავიწყდებოდა... იდის ხშირად ახსენებდა ვინსენტს... პასუხი ასეთი იყო "ჩვენს ხელში არაა - ჩემო ბოზა? სად წავა?!"... ბოზას ეს პასუხი თითქოს ამშვიდებდა... თუმცა სიბრაზე მაინც ეტყობოდა...

ქალაქი დამშვიდდა... დაძაბულობა მოიხსნა... ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა... მხოლოდ პატიოსან ხალხს არ ასვენებდა ყალბი სიმშვიდე... მოუსვენრობა დღითიდღე მატულობდა... ვინსენტის მდგომარეობა უმჯობესდებოდა... საუბარიც აღარ უჭირდა... აზრი მოემატა... მხოლოდ ფეხზე ადგომა უჭირდა...

ექიმი ფორესტი ვერ დამშვიდდა. ოცნება მოსვენებას არ აძლევდა... აქეთ ქალბატონი დებო... როკის ადგილსამყოფელის ჩვენებაზე ვერ დაითანხმა... ქალაქის უკანა მხარეს ფორესტი, დებო და ცოფიან მეომართა ასეული ტყისაკენ დაადგნენ გზას... ნელი სვლით

მიემართებოდნენ... ამინდი საკმაოდ კარგი გამოდგა.... შუადღე იყო... დებო მალიმალ ფორესტს გადახედავდა... გულში ეცინებოდა... ექიმი მოუთმენლად და დაძაბულად მიუყვებოდა გზას... დაფარული ირონიით და სრული სერიოზულობით ქალბატონი შეეკითხა: "ექიმო ფორესტ! რამ დაგძაბა, ოცნების გზას ადგახარ... მალე სამყარო შენს ხელთ იქნება... უფრო სწორად ჩვენს ხელში... რა გინდა კიდევ?!"... თავშეუკავებლად გადაიხარხარა ქალმა... ფორესტმა მკაცრად შეხედა... ქალის გადმოყრილმა კბილებმა და ტუჩის კუთხეებში დაგროვილმა ქაფმა ზიზღი მოჰგვარა... გაიფიქრა: "ავადმყოფი!" უმალ მიუგო: "რაში მჭირდება მთელი სამყარო... მე ერთი პატარა ნაწილიც მეყოფა... ვისაც სამყაროს დაპყრობა სურდა, ადრე თუ გვიან ყველა დაეცა... ამიტომ მეც არ შევეცდები... მცირედით დავკმაყოფილდები"... ექიმი გაჩუმდა... გზას გახედა... მერე ისევ დებოს.... ის აღარ იცინოდა... ღიმილით შეჰყურებდა ექიმს... "რა გინდა, საყვარელო! თქვი"... "დღესვე მინდა მანახო ის მიტოვებული ციხე"... თითქოს უბრძანა... დებომ თავი დაუქნია, როგორც მეფეს ისე დაეთანხმა: "გაჩვენებ ბატონო ექიმო... დღესვე გაჩვენებთ... როგორც ინებებთ მბრძანებელო"... ფორესტი ისევ გზას გასცქეროდა... მალე ტყეც გამოჩნდა. მიუახლოვდნენ... დებომ ასეულს შეჩერება უბრძანა... ფორესტი დუმდა... იქაურობას ათვალიერებდა... დებო თითქოს მხედართმთავარი იყო, ისე იძლეოდა ბრძანებებს: "გაიშალეთ ტყის პირას, არავინ იჩქაროთ... ტყე თანდათან ხშირდება... სიარული გაჭირდება... ყურადღებით იყავით... იქნებ ის ვირთხა სოროდან გამოსულიც კი იყოს... ვისაც ვეძებთ, ბებერია... გრძელი თმებით და წვერით... მოხრილი დადის... ბალახებს ეძებს... კუზიანი გეგონება"... ფორესტმა ქალს შეაწყვეტინა: "ერთი მათქმევინეთ ქალბატონო!" დებო გაჩუმდა. ინტერესით შეხედა ექიმს... ფორესტმა მეომრების ყურადღება მიიპყრო... ნახევრად თხოვნით მიმართა: "უპირველეს ყოვლისა! დაიმახსოვრეთ! არანაირი უხეშობა, პირიქით, პატივით მოეპყარით, ის ძალზე საჭირო ადამიანია... არ შეაშინოთ, თუნდაც გაქცევა სცადოს... ეს ჩემი თხოვნაა... ბრძანებაც"... ფორესტი შეყოვნდა, იქ მყოფთ თვალი გადაავლო... შემდეგ იკითხა: "ყველაფერი გასაგებია?!" მეომრებმა ერთხმად განუცხადეს თანხმობა... დაიშალნენ... ბრძანებისამებრ ყველა ცალ-ცალკე მიდიოდა ნელა და უხმაუროდ... სიარული რთულდებოდა... უცებ დებოს ბრძანება გაისმა: "ყველა მის გარშემო მოგროვდა. "დააკვირდით აქაურობას... ზუსტად ამ ადგილას ვარ ნამყოფი... ზუსტად არ ვიცი, სად არის მის ბუნაგში

ჩასასვლელი... აქ გაიშალეთ პატარ-პატარა ჯგუფებად... მშვიდად დაელოდეთ! დღეს თუ არა, ხვალ მაინც გამოჩნდება, სახლი მიწაში აქვს... უსაქმოდ რომ არ ვიჯდეთ, აქაურობა დაათვლიერეთ, ადგილ-მდებარეობა შეისწავლეთ, თუ რაიმეს შენიშნავთ, ფრთხილად იყავით... ყველაფერი საგულდაგულოდ შეამოწმეთ... ყველაფერს მოგიტანენ, რაც დაგჭირდებათ"... რამდენიმე მეომარმა დებოს შეჰყვირა: "ღვინო, ღვინო არ დაგავიწყდეთ!"... დებო დაეთანხმა... ერთი ათეული თან გაიყოლა... ფორესტსაც უხმო... ექიმი ისევ მეომრებთან მივიდა... ისევ გაუმეორა ყველაფერი და დაამატა: "თუ იპოვით უმალ შეგვატყობინეთ... თქვენ არანაირი გადაწყვეტილება არ მიიღოთ!".... მის წინ მდგომმა მეომარმა ღიმილით მიუგო: "ექიმო! ნუ ნერვიულობთ... ასეთ საქმეზე პირველად არ ვართ"... "იმედი მაქვს, მკვდარს არ მომიყვანთ, ან ნაცემს"... დაამთავრა ფორესტმა... მეომარმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა... ექიმი ცხენზე ამხედრდა... ქალბატონს ეღიმებოდა მასზე: "რა შეშინებული ხარ, დამშვიდდი"... დაამშვიდა.... ფორესტმა უიმედო სახით გახედა და მიუგო: "ჩვენს მეომრებს შენ კარგად არ იცნობ, ისინი ხალხის ხოცვა-ჟლეტით ერთობიან"... დებომ ცხენს მათრახი გადაჰკრა და ექიმს შესძახა: "ეს შენ არ იცნობ ექიმო! მათ"... სვლა განაგრძეს... ირგვლივ გარემო სასიამოვნო იყო... ყვითლად შემოსილი ტყეები... მიწა ხმელი ფოთლებით მოფენილი... მათი შრიალი ადამიანს კარგ განწყობას უქმნიდა... ქალმა ცხენი შეაჩერა... ფორესტს დაელოდა: "მინდორს მალე გავივლით... მალე შენს ციხე-სიმაგრეს დაინახავ... მინდა ბედნიერი გიხილო"... ქალმა სვლა გააგრძელა... ექიმი სუნთქვაშეკრული იჯდა ცხენზე და მოუთმენლობა ჰკლავდა... უკან მიჰყვებოდა დებოს... ტყიდან გამოვიდნენ... წინ უზარმაზარი მინდორი გადაეშალათ... ყველა შეჩერდა... ქალმა ღიმილით შეხედა ფორესტს... თითი კლდისკენ გაიშვირა... ექიმის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა... კლდემდე საკმაოდ გრძელი გზა იყო... ოდნავ სჩანდა კლდეზე ამოკვეთილი პატარა საფეხურები... ფორესტმა თავი ვეღარ შეიკავა... ცხენი პირდაპირ იქითკენ გააჭენა... დებო თვალს არ აშორებდა... ფიქრობდა: ეს ექიმია თუ გიჟი? რას უნდა ელოდო მისგან... პასუხი ერთია... ყველაფერს... აუჩქარებლად გაჰყვა ფორესტი კლდესთან მივიდა... უმალ ჩამოხტა ცხენიდან... დაღლილობა დავიწყებოდა... კიბეები სწრაფად აირბინა... დებომ მეომრებს უბრძანა ექიმს მიჰყოლოდნენ... თვითონ კი, კიბეებზე ასვლა დაეზარა... იქაურობას გადახედა და ფიქრებს მიეცა... ფორესტის სიხარულს ზღვარი არ ჰქონდა...

აღტაცებით შეჰყვირა... ხმაში იგრძნობოდა ყოვლის შემძლე ადამიანი... მეფე, მეომარი, მმართველი. "ჩირაღდნები! მალე! ჩირაღდნები!"... მოთმინება საერთოდ გაჰქრობოდა... ხან ერთ გამოქვაბულში შერბოდა... ხან მეორეში... ცდილობდა სიბნელეში ყველაფერი გაერჩია... ისევ იყვირა: "დაყრუვდით?! მალე მეთქი!"... მისი ხმა გამოქვაბულებიდან ექოდ დაბრუნდა... ფორესტს გაეცინა... ხელები გაშალა... ისევ იყვირა: "მესალმები?! ჰო, ეს მე ვარ! ვიცი, რომ მელოდი... ვიცი... ახლა თვალებში ჩაგხედავ"... ჩირაღდნის შუქი შენიშნა... მეომრებს მოსვლა არ აცალა... თავად შეეგება... მივარდა... ხელიდან გამოსტაცა... აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს... იქაურობით მეომრებიც დაინტერესდნენ... ნანახმა ფორესტის მოლოდინს გადააჭარბა... ყველა ერთხმად ამბობდა: "ეს საოცრებაა... დაუჯერებელია"... იქაურობას ნიჭიერი ხელოვანის ხელი ეტყობოდა... ყველაფერი ძალზე ოსტატურად იყო გაკეთებული... საკნები ისე იყო განლაგებული, შეგეძლო თითოეულიდან გარეთ გასულიყავი... სხვადასხვა ზომისა და ტიპის კარებები საკმაოდ დაჟანგებულიყვნენ... ერთერთი გამოქვაბულის კუთხეში დიდი ლოდი იდო... გვერდით ჩასასვლელი კიბეები ამოეკვეთათ... ფორესტი იქითკენ გაემართა... ახლოს მისულმა შენიშნა წვეთ-წვეთად მომდინარი წყალი ამოღრმავებულ ქვაბში გროვდებოდა... "წყალსაცავი"... ჩაილაპარაკა... წყალს გემო გაუსინჯა... მოეწონა... გამოქვაბულის სიმაღლე ორ ათეულ ნაბიჯს აღემატებოდა... ექიმმა კედლები შეათვალიერა და შესძახა: "არასოდეს მიგატოვებთ!... არასოდეს!"... მეომრები ფორესტს ისე უყურებდნენ, როგორც გიჟს... ის უაზროდ ხარხარებდა... გარეთ გამოვიდა... გამოქვაბულს თვალი შეავლო... მთავარი შესასვლელი მთლიანად აღსადგენი იყო... შიგნითაც ბევრი სამუშაო... თუმცა მას ეს აღარ ადარდებდა... იპოვა ის, რაზეც ოცნებობდა... უფრო მეტიც... გამოქვაბულიდან ყველაფერი ხელისგულივით სჩანდა... კლდიდან გადაიხედა... უმალ უკან დაიხია... ქვემოთ უზარმაზარ უფსკრულს დაეღო პირი... ყურადღება ისევ გამოქვაბულზე გადაიტანა... მერე აღტაცებული კიბეებზე დაეშვა... დებო დაბლა ელოდებოდა... იღიმებოდა, თუმცა ფორესტი ამას ვერ ამჩნევდა... მიუახლოვდა... "აბა! როგორ მოგეწონა?!" ჰკითხა ქალმა... ეს კითხვა უადგილო იყო... ექიმის სახეზე ამოიკითხავდი ყოველივეს... დებო პასუხს არ დაელოდა: "ხომ გითხარი ექიმო! არ ინერვიულო-მეთქი"... კაცმა გვერდით გაუარა და ჩაიბუტბუტა: "ხანდახან ექიმი მეც მჭირდება"... უცებ შემოტრიალდა... ქალს ხელზე ეამბორა.... ცხენზე შეჯდომაში დაეხმარა... ცხენზე

მოკალათებულმა დებომ გადმოსძახა: "იქნებ მაინც გეთქვა რამე, ექიმო!" ფორესტი ცხენზე ამხედრდა და უპასუხა: "სიტყვები ამ მყოფნის, ნანახის გადმოსაცემად... კიდევ ერთი რაღაც მოვიფიქრე!"... "მიდი, თქვი ექიმო! გულდასმით გისმენ"... დებო იცინოდა... ფორესტმა სერიოზულად შეხედა: "ერთი წუთით შეჩერდი... მერე ერთად ვიცინოთ"... დებო შეეცადა შეჩერებულიყო.... ექიმმა თქვა: "არაა საჭირო როკის დაჭერა... უბრალოდ, გაიგონ - სად ცხოვრობს... მეომრებს თუ დაინახავს, თავი მოაჩვენონ, თითქოს უბრალოდ ისვენებენ აქ... ნელ-ნელა გაეცალონ იქაურობას... ეჭვი რომ არ გაუჩნდეს... მერე კი... მე თვითონ მივხედავ მას"... დებოს არ გაჰკვირვებია ფორესტის აზრი და ღიმილით მიუგო: "როგორც თქვენ ბრძანებთ, ბატონო! კიდევ ხომ არ გაქვთ სათქმელი?" "ხვალვე მჭირდება პატიმრები... გამოქვაბულში დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი"... დაამატა ექიმმა... "ესეც ასრულდება ბატონო! ახლა აფორიაქებული ხართ... გთხოვთ, დამშვიდდეთ"... ირონიული ღიმილით დაამშვიდა ქალმა... "მღელვარებას მართლაც ვერ ვიოკებ... ახლა როკიღა დაგვრჩა"... დებომ კვლავ დაამშვიდა... შემდეგ მეომრებს უბრძანა: "ყველაფერს ისე გააკეთებთ, როგორც ექიმი ბრძანებს"... ფორესტი კმაყოფილებისაგან გაიტრუნა...

ქალაქში დაბრუნებულმა ექიმმა ვერ მოითმინა... მაშინვე ციხეს მიაშურა... საკნებში უკვე არჩევდნენ შედარებით ახალგაზრდა პატიმრებს... ჯანმრთელებს... იდგა ბადრაგების ყვირილი და ფორიაქი... პატიმრები ვერ ხვდებოდნენ რა ხდებოდა... მეომრები და ბადრაგები ციხეში შესვლისას პირზე ხელს იფარებდნენ... აუტანელი სუნი იდგა... "როგორ ყარს აქაურობა... საჰაერო არსად აქვს?" კითხულობდნენ... "კი აქვს, მაგრმა გაჭედილია... მკვდრებს როცა ვწვავთ"... "ჩვენ ხომ არ გაგიწმინდავთ".... იღრიალა ერთერთმა მეომარმა... "გული მერევა"... საკნებში შესულები პატიმრებს ფეხზე ადგომას უბრძანებდნენ... ყველა კედელთან ჩაამწკრივეს... ფრენკს და ექიმს ვინსენტი ძლივს ეჭირათ... ყველა პატიმარი დაიბნა... ერთ-ერთმა მეომარმა ბრძანა: "ვისაც აგირჩევთ, კედლის მოპირდაპირედ დადგება... თუ ვერ გაიგეთ, რა ვთქვი, მოგკლავთ!"... დაიწყეს არჩევა... ერთერთი ვინსენტს მიუახლოვდა... ჩირაღდანი მიანათა და ზიზღით ჩაილაპარაკა: "ეს რა არის, რას ჰგავს?!" ბადრაგმა ღიმილით უპასუხა: "ამასთან ჟორდანის შვილი სტუმრობს მეგობრებით"... მეომარი ყურადღებით დააკვირდა... ფრენკს უბრძანა ხელი გაეშვა და მეორე მხარეს გადასულიყო... ფრენკმა წყნარად გაუშვა... სევდით ექიმს გადახედა და მოპირდაპირე მხარეს გადავიდა... მეომრები აგრძელებდნენ თავიანთ

საქმეს... ექიმმა ვინსენტი გულში ჩაიკრა... მეომრებმა სიცილი დააყარეს... პატიმრები შეშინდნენ და დაიბნენ... "რა იყო,შეგეშინდათ?" იკითხა ერთ-ერთმა მეომარმა... "სიკვდილით აღარ სჯიან... უბრალოდ ასე კლავენ"... ამ სიტყვებზე ბადრაგებმაც გადაიხარხარეს... მეომარი გახალისდა: "თქვენ სიკვდილი არ გელოდებათ... თავდადებით იმუშავებთ... კარგ საჭმელსად და ღვინოსაც მიიღებთ... თუ არა და... იქვე ჩაგხოცავთ... მადლობას ეტყვით ჩვენს ექიმს ფორესტს, მაღლაა. არ ჩამოვიდა... თქვენს აყროლებულ სუნს ვერ იტანს... ხვალ დილით ყველას დაგბანენ და ქალაქგარეთ წაგიყვანენ სამუშაოდ... მშენებლები იქნებით"... მეომარი განაგრძობდა ლაპარაკს... პატიმრებმა შვებით ამოისუნთქეს... დაძაბულობა მოეხსნათ... ექიმი კედელს მიეყრდნო... ვინსენტის თავი მხარზე მიიდო და ჩუმად ჩასჩურჩულა... "მგონი ფრენკს ეშველა"... ვინსენტს სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა... ფრენკს გახედა და ღიმილით ჩაილაპარაკა: "კარგი კაცია, ეკუთვნის"... "მთავარია, გაქცევისას არ დაიჭირონ"... დაამატა ექიმმა..."ცოტა წაუშტერებს"... ამ სიტყვებზე ვინსენტს გაეცინა... მკერდში ყრუდ ტკივილი იგრძნო... სუნთქვა შეეკრა... ექიმმა იყვირა... "ჩქარა, წყალი! იხრჩობა!" ფრენკი დაუფიქრებლად ეცა პატარა წყლის საცავს და პეშვით წყალი მიურბენინა... მეომრებს ფრენკის საქციელი არ მოეწონათ... ბადრაგს უბრძანეს როზგით დაესაჯათ.... სიამოვნებით შეასრულეს ბრძანება... მეომრები სხვა პატიმრებს მიდგნენ: "მთავარი უნდა გითხრათ ახლა, ვინც მუშაობაში თავს გამოიჩენს, პატიმრობისგან გათავისუფლდება"... მერე ბადრაგებს მიმართეს: "ეყოფათ, თორემ არ ივარგებენ სამუშაოდ... ფორესტის წყენინებას სჯობს - ხელი მოვიჭრათ... ახლა ის დიდი კაცია"... ბადრაგიც და მეომრებიც საკნიდან გავიდნენ... ზემოთ ფორესტი იდგა და გახარებული პატიმრებს ამოწმებდა... ფრენკი ვინსენტის და ექიმის გვერდით იყო... ვინსენტზე დარდობდა... თავისი გაროზგვა არც ახსოვდა... თითქოს არაფერი მომხდარიყოს... ექიმი გულმოდგინედ უვლიდა ავადმყოფს... ცოტა ხნის შემდეგ შვებით ამოისუნთქა "კარგია... შენთვის დროებით სიცილი აკრძალულია... მკერდის ძვალი დაზიანებული გაქვს... იქ რა ხდება, ვერ ვიტყვი"... ფრენკი მოუთმენლად შეეკითხა: "ექიმო! რა სიცილი, ვერ გავიგე"... ექიმმა ვინსენტს პირზე ხელი ააფარა... მეორე ხელი მკერდზე ნაზად მიადო და ფრენკს უპასუხა: "გთხოვ, ახლა გაჩუმდი... მერე ყველაფერს აგიხსნი... ვინსენტს კვლავ ეცინებოდა... ექიმი ამის საშუალებას არ აძლევდა... ირგვლივ ისევ სიბნელე ჩამოწვა... დარჩენილი პატიმრების სილუეტები ძლივს ჩანდა...

ფრენკი და ექიმი ისევ საუბრობდნენ: "რას იტყვით ექიმო?" "გაქცევის შანსი მოგეცა ფრენკ! მეტი რა გითხრა?"... "ეს მეც მაშინვე გავიფიქრე... მაგრამ მე თქვენი ბედი მაღელვებს... თქვენ რა მოგელით?"... "ფრენკ! ახლა მთავარია ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა... არ იჩქარო... ფრთხილად იყავი... ყველაზე კარგად იმუშავე... ეს თავისუფლებას მოგიტანს". ფრენკი შეწუხდა: "მე თქვენ ორივე შემიყვარდით... ამდენი სითბო არავისგან მიგრძვნია... მთელი ცხოვრება ვყაჩაღობ... ამქვეყნად მხოლოდ თქვენ ორნი ხართ, ვისიც არ მეშინია"... ექიმს გაოცებისაგან აღმოხდა: "ჩვენი რატომ უნდა გეშინოდეს, ვერ გავიგე, რას ამბობ, ყველა პატიოსან ადამიანად გთვლის ქალაქში და მეც არ გამიგია შენზე რაიმე ცუდი"... ფრენკს ჩაეცინა და მშვიდად მიუგო: "მე სხვა ქალაქებში ვყაჩაღობდი... ლაგოში პატიოსნად ვცხოვრობდი... ჩემზე ეჭვს ვერავინ აიღებდა... ჩვენს ქალაქს პაპაჩემიც დიდ პატივს სცემდა... აქ არც ის იპარავდა... ამბობდა ხოლმე: "ლაგო ყველაზე მშვენიერი ქალაქია დედამიწაზე"... ბააგრებსაც დიდ პატივს სცემდა... შენს წინაშე ასე გულახდილად იმიტომ ვსაუბრობ, რომ ჩემი გული სუფთა იყოს თქვენთვის... შიში იმიტომ არ მაქვს, რომ დარწმუნებული ვარ, შენ და ვინსენტი ზურგში მახვილს არასოდეს ჩამარტყავთ"... საუბარში ვინსენტიც ჩაერია: "ფრენკ! თუ მართლა გიყვარვართ, გთხოვ, უკან მოუხედავად გაიქეცი... ჩვენზე არ იდარდო... საკუთარ თავს თვითონ მივხედავთ... მხოლოდ ერთი დაიხსომე... ოცნების კარიბჭეში რომ მიხვალ კაპიტანი "ნინო" იკითხე... ის მოგხედავს... ჩემი ბავშვობის მეგობარი "ჩუმიც" იქ დაგხვდება პირობა მომეცი, რომ ასე მოიქცევი... ჩვენ კარგად ვიცით, აქედან თავის დაღწევა ძალიან რთულია"... ვინსენტი მშვიდად საუბრობდა... მოძრაობა უჭირდა... პირსაც ფრთხილად ამოძრავებდა... კისერზე ჩირაღდნით მიყენებული დამწვრობის გამო... დასიებოდა... სითხე ჩაგუბებოდა... ვინსენტის ნაუბარმა ფრენკს გული აუჩუყა: "დამშვიდდი ვინსენტ! რასაც მეტყვი, ყველაფერს გავაკეთებ... ყველას გავაგებინებ რა დღეში ხართ... თუმცა ჩემი წუხილი თქვენდამი, ამით არ განელდება... ვინსენტ! გთხოვ!... თავს გაუფრთხილდი... ხომ ხედავ ამ მხეცებს შენი ტკივილი როგორ სიამოვნებთ"... საუბარში ექიმიც ჩაერია: "ფრენკი მართალია, ვინსენტ! ჭკუას უნდა მოუხმო"... "ეს მხეცები თავს არ დაგანებებენ"... დაუმატა ფრენკმა... ვინსენტს გაოცებისაგან სახე დაემანჭა. "რას ამბობთ... რას მირჩევთ... გგონიათ ვერ მივხვდი, რისი თქმა გინდათ? იქნებ გინდათ, რომ ამ ღორებს ფეხები დავუკოცნო... თქვენ ამას მთავაზობთ?!"... ექიმი ვინსენტს მიუახლოვდა.... მკერდზე

ხელი მიადო და უთხრა: "მომისმინე! ამას არავინ გეუნება ამათ ფეხები დაუკოცნო, უბრალოდ, არ შეეპასუხო... არ უკბინო... დროებით თავი გაისულელე, ვითომ გიჟი ხარ... აღარ ხარ ამქვეყნიური... აღარ აზროვნებ... გესმის?!" ვინსენტმა არ დაამთავრებინა: "რას ამბობთ ექიმო! ან შენ - ფრენკ? არ გრცხვენიათ?! ლაჩარი გავხდე და ჩემი ნებით დავეცე? ქედი მოვუხარო ამ ცხოველებს?!" "ერთი წუთით გაჩერდი, დამამთავრებინე სათქმელი"... ახლა ექიმმა შეაწყვეტინა... ფრენკიც გაისუსა, დაიბნა, რა ეთქვა, აღარ იცოდა... გულისტკივილი გაუასმაგდა... "კარგად მომისმინე!" დაიწყო ისევ ექიმმა. "რასაც გთავაზობ, ეს ლაჩრობა არ არის... სიბრძნეა... ასეა, თუ ისე, შენ ცოცხალს არ დაგტოვებენ... მაგრამ... თუ დაინახეს, რომ საღ ჭკუაზე არ ხარ, დიდი შანსია, თავი დაგანებონ... მაშინ კი... შენც ფრენკის მსგავსად, შეგეძლება თავი დააღწიო ამ საშინელებას... თავის მოგიჟიანებას მე გასწავლი, იმასაც გასწავლი, მერე როგორ გამოხვიდე ამ მდგომარეობიდან... იმედია, ახლა გაიგე, რასაც გეუბნები".... სიხარულით ფრენკმა იყვირა: "ექიმი მართალია... მართალი"... ვინსენტი ისევ ბრაზობდა... შუბლშეჭმუხვნილმა მიუგო: "არასოდეს! მაგას არასოდეს ვიკადრებ!".. ეს თქვა და წვალებით მეორე მხარეს გადატრიალდა... მეგობრებს ზურგი შეაქცია და მიაძახა: "ორივემ თავი დამანებეთ!"... ექიმმა ღრმად ჩაისუნთქა... შეეცადა თავი ხელში აეყვანა... მცირე დუმილის შემდეგ თითქოს თავისთავს ესაუბრებოდა, ჩაილაპარაკა: "ჰოდა, მოაკვლევინე აბა ამათ ცემაში თავი... ამაყი ხარ... სიამაყე ღირსებაში აგრევია... არაფერია! ბიჭები გამოჩნდებიან, შურს იძიებენ... გამოჩნდებიან მაძიებლები... ამობუგავენ ამ ღორებს... მაგრამ ერთი რამ მაინტერესებს და მითხარი: დედოფალი ანნა რომ გიყვარდა?!" ვინსენტს ტანში ჟრუანტელმა დაუარა... ექიმს ეს არ გამოჰპარვია... საუბარი ისევ მშვიდად განაგრძო: "ანნას შვილები შენი ძმადნაფიცები არ იყვნენ?!" ვინსენტის გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა... ექიმი ყველაფერს გრძნობდა... ისევ აგრძელებდა საუბარს... "როგორ გგონია ახლა ბააგრა კარგ დღეში იქნება?! იცი, რამდენი მეომარი გაგზავნეს მის შესაპყრობად... ასეულობით... ასეულობით მეომარი ხუთ რაინდს და ერთ ბავშვს დაედევნა... ვინღა დარჩა პრინცესას ცოცხალი... რაინდებს არ ვგულისხმობ... შენს ტოლებზე ვამბობ... არავინ... ყველა მოკლეს... შენ კი ცემაში ამოგხდიან სულს შენივე სიამაყის გამო... შენ ლაბირინთში აღმოჩნდი... შენი სიამაყე ხაფანგია, რომელსაც თავი უნდა დააღწიო... თორემ დაიღუპები... გონებას უნდა მოუხმო... გადარჩენაზე უნდა

იფიქრო!"... ექიმი წამით შეყოვნდა... ყველა გასცლოდა... ვინსენტი ძალიან ღელავდა... ექიმმა ბრაზით მიუგო: "დაიხსენი შენი ტვინი ხაფანგიდან... დაიხსენი... დედაშენი და შენიანები მთებში გაიხიზნენ შენი გადარჩენისათვის... ბააგრას ძმები აღარ ჰყავს... ერთი, შენ დარჩი ძმასავით რომ ჰყავხარ... რას იზამ, ასე აცემინებ თავს და თითებს დაიჭამ სანამ ცოცხალი ხარ?! ბააგრა მკვდარი რომ იყოს აქ მოიყვანდნენ, აქ, ქალაქში... გესმის?!" ფრენკი ექიმს პირდაღებული უსმენდა... ვინსენტი ტკივილს ვეღარ გრძნობდა... მისი ფიქრები სხეულიდან ძალიან შორს იყვნენ... გადმოტრიალდა... ფრთხილად წამოჯდა... კედელს მიეყრდნო და ჩაიჩურჩულა: "ბააგრა, - ბალანჩი, - ერის, დედა, და... ცოცხლები და მკვდრები... ყველანი ჩემთან ხართ!"... სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა... აქა-იქ კვნესისა და ხვრინვის ხმა თუ მოისმოდა... სიჩუმე ისევ ექიმმა დაარღვია... "დამავიწყდა მეთქვა, ბალანჩი უკვე ახსენე, გამახსენდა ბალანჩის დედა გაიპარა, მაგრამ ყველა ბალანჩი ამოხოცეს... სამი თვის შემდეგ ერთი გამოჩნდა... ხუთი წლის გოგო, რომელიც მშობლებმა სარდაფში დამალეს... ამ ხნის განმავლობაში ბავშვი სარდაფიდან არ ამოსულა... შემდეგ მეომრებმა სხვა სახლში გადაინაცვლეს... გოგონა გლეხებს უპოვნიათ სარდაფში... უგონოდ... წუმპეში... თურმე ბოძს ღრღნიდა... რამდენიმე თვეში გოგონა გამოკეთდა... როგორც კი აზროვნების უნარი დაუბრუნდა, პირველი ეს იკითხა: "მაჩვენეთ ვინ მოკლა ჩემი მშობლები"-ო... გლეხები შეშინდნენ და მოატყუეს, რომ მშობლები გაქცეულები არიან... უთხრეს, რომ მხოლოდ თვითონ დაიჭირეს... საოცრად გახარებია... კითხვაზე, რატომ გაუხარდა ასე ძალიან... უპასუხნია: "ვინსენტი ცოცხალია!"... ვინსენტი თითქოს კედელს მიელურსმნა... გაშეშდა... ფრენკმა ალერსით უთხრა: "ფრთხილად ძმაო, ძვლები დამტვრეული გაქვს"... ვინსენტმა სიტყვა არ დაასრულებინა "არაფერი მტკივა... ცოტა ხანს ფიქრი მაცალეთ"... ექიმმა ჩაიბუტბუტა: "ტკივილი ამ დროს სადღაც ქრება... მიზანი ხომ სიცოცხლეზე მეტია"... ისევ სამარისებური სიჩუმე გამეფდა...

ზუსტად ამ დროს, ქარავანი, რომელსაც დატყვევებული ბააგრა მოჰყავდათ, გზაჯვარედინზე შეჩერებულიყო... გაშლილ მინდორს ბოლო არ უჩანდა... ალაგ-ალაგ უზარმაზარი ლოდები ეყარა... საჩრდილობლად რამდენიმე ხეც იდგა... ირგვლივ ყველაფერი გაყვითლებულიყო... მზე ჩადიოდა... ძალზე დასუსტებული ბააგრა ურემზე იჯდა... სიცივისაგან ხელები დალურჯებოდა მუხლებზე შემოეხვია... დამფრთხალი თვალებით გარემოს ყურადღებით ათვალიერებდა... სახესა და სხეულზე ჭრილობები

შეშუპებოდა... ვაჭრები ტყვეებს არჩევდნენ... მათი ერთი ნაწილი კარიბჭისკენ მიმავალ გზას უნდა გაჰყოლოდა... მეორე კი, უდაბნოსაკენ, ურემზე ბააგრასთან ერთად რამდენიმე ქალი და ბავშვი იყო... ისინი ჩამოსვეს. ჩამოსვლისას ბააგრას მოეფერნენ... გაუღიმეს... პრინცესას არაფრის თავი არ ჰქონდა... ტყვეებიდან არავინ იცოდა საით გაამწესებდნენ... ბააგრას მკვდარი ზღვის ეშინოდა... მასზე ბევრი რამ სმენოდა... გოგონა მცირე ჯგუფში აღმოჩნდა... მთელი ძალით ცდილობდა, შიში დაემალა.. ამ ჯგუფში ოთხი ურემი და ხუთ ათეულამდე ტყვე იყო... ქალები ურემზე მოათავსეს... მამაკაცებს ხელები შეუკრეს და მწკრივში ჩააყენეს, ერთმანეთზე გადაბმულნი... ორი ჯგუფი ერთმანეთს დაშორდა...

ქარავანი გზას გაუყვა... ყველა დუმდა... მცირე მანძილი გაიარეს თუ არა ერთ-ერთმა ქალმა ჩაილაპარაკა: "გადავრჩით, უდაბნოში მივყავართ" ბააგრამ შეხედა ქალს და ნაღვლიანად ჰკითხა: "ვინ არის უდაბნოში მეფე?". ქალმა დაკვირვებით შეხედა პატარა გოგოს, ყურადღებით დააკვირდა მის თითებს და ტანში ჟრუანტელმა დაუარა... მოთენთილი ბააგრა თვალს არ აშორებდა მას და პასუხს ელოდა. ტყვე-ქალი: "ეს რა არის? ფრჩხილები დაგაძვრეს პატარავ? ". ბააგრამ ღრმად ჩაისუნთქა, მას დიდხანს საუბარიც არ შეეძლო, მაგრამ თავს ძალა დაატანა და ქალს პასუხი გასცა "არა, ქალბატონო, გზაში დამძვრა". ქალმა შეწუხებულად გაიღიმა. "მე ქალბატონი არ ვარ"... ბააგრა გაჩუმდა, ტაატით მიმავალი ურემი ქაღალდის ფურცელივით აქანავებდა მას. ქალმა საუბარი განაგრძო: "უდაბნო არაბეთია, იქ მეფეები არ ჰყავთ, შენ რომ მეფეს იძახი, იქ იმას სულთანი ჰქვია, ძალზე მდიდარი ქვეყანაა, სადაც მივყავართ. იმ ქალაქს უდაბნოს მარგალიტს უწოდებენ, სულთანზე კი ამბობენ, რომ ბოროტი არ არის. ქალაქი დაახლოებით უდაბნოს შუაგულში მდებარეობს, ჩვენ იქ გაგვყიდიან, ოჯახებში მონებად ვეყოლებით, მაგრამ ეს არაფერია, მთავარია მკვდარ ზღვაში არ მოვხვდით, რადგან არ გამიგია იქიდან ვინმეს თავი დაეღწია". ყველა შიშით უსმენდა ქალის ნაუბარს, ბააგრა კი ოდნავ დამშვიდდა, თითებზე დაიხედა და თავისთვის ჩაილაპარაკა: ესეც გაივლის. ეს სიტყვები მოსაუბრე ქალს არ გამოჰპარვია და გაოგნებულმა იკითხა: "ასე იმშვიდებ ხოლმე თავს?". ბააგრა: "დიახ!" ქალმა ღიმილით და სიყვარულით სავსე თვალები შეავლო მას და უთხრა: "ვინმემ ხომ არ გასწავლა ეს სიტყვები?" ბააგრა კვლავ დაეთანხმა: "დიახ!". ტყვე ქალი: "მართალი უსწავლებიათ, მაგრამ, როცა გამოკეთდები, ეს სიტყვები აღარ

იქნება კარგი და სჯობს შენს თავს უთხრა "ყველაფერი კარგად იქნება". ბააგრას გაეცინა ქალის ნათქვამზე, ისევ საკუთარ თითებს დახედა, ჩაკოცნა და ჩაულაპარაკა: "ყველაფერი კარგად იქნება". ამის შემყურე ქალს გული აუჩუყდა, ცრემლები მოაწვა მაგრამ არ უნდოდა გოგონას დაენახა მისდამი ამხელა გულისტკივილი და ცრემლები ჩუმად მოიწმინდა. ტყვე-ქალი: "აი ეს არის ყველაზე მართალი"... ბააგრა უღონოდ იღიმებოდა და ქალიც შეეცადა გამხიარულებას. საუბარში დრო შუმჩნევლად გაიპარა, აცივდა და ეს სიცივე ძვლებამდე აღწევდა ბააგრას სხეულში. ქალმა შეატყო, რომ კანკალებდა და შეეცადა დაემშვიდებინა ის: "არაფერია, ეს მალე გაივლის, ისეთ სიცხეში აღმოვჩნდებით, რომ ბევრჯერ ვინატრებთ გრილ ნიავს"... გოგონამ გაუღიმა, ანიშნა, რომ მედგრად იჯდა... ქალებმა საუბარი წამოიწყეს, ტყვე-ქალიც შეუერთდა მათ, მაგრამ ბააგრას თვალს არ აშორებდა, გოგონამ რამდენიმე წუთს შეძლო ყურის დაგდება, მაგრამ დაღლილობამ თავისი გაიტანა და მჯდომარეს ჩაეძინა. ქალი თვალებით ესიყვარულებოდა მას. ყველაფერი რიგზე იყო, ქარავანი უდაბნოსკენ მიირწეოდა.

ვინსენტი დუმილს არ არღვევდა, ექიმი მოთმინებით ელოდა მის პასუხს, ვინსენტის სუნთქვა ზარის ხმასავით მოისმოდა, ნათელი იყო ის სიბრაზეც, რომელიც ასე ბობოქრობდა მის გონებაში... ექიმი გახარებული იყო შინაგანად. ვინსენტს ჰკითხა: ის ბალანჩი, პატარა გოგო, რატომ ღრნიდა ხის ბოძს?! ექიმი პასუხს არ დაელოდა და თქვა: "მაგით იკვებებოდა, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო". ვინსენტი. "ახლა საღ ჭკუაზეა ის ბავშვი?" ექიმი: "დიახ, მაგრამ ხვდება, რომ მშობლებთან დაკავშირებით ატყუებენ და გლეხებს სთხოვს ბრძოლა მასწავლეთო შურისსაძიებლად". ვინსენტი "კარგი ექიმო, შენსა და ფრენკის შემოთავაზებას მივიღებ"... ფრენკს გაუხარდა. "მაგარი ხარ ვინსენტ, მე ფეხით გავიქცევი, შენ - გონებით". ექიმიც სიხარულმა მოიცვა, როგორც იქნა მისმა ფსიქოლოგიამ ნაყოფი გამოიღო, წამალმა იმოქმედა. ვინსენტი გონებით უკვე ფეხზე იდგა, ახლა ცხენზე უნდა აემხედრებინა ის, მახვილი ორივე ხელში ჩაედო და ბრძოლა ესწავლებინა. ექიმმა მთელი გრძნობით დაუწყო საუბარი. "ვინსენტ, ახლა ყველაზე მთავარი უნდა გაიგო და დაიმახსოვრო, რადგან ის, რაც ახლა უნდა გასწავლო, ძალზე სახიფათოა. ადამიანები მას საშიშად არ აღიქვამენ და ზუსტად მაგაში უშვებენ შეცდომას, მას არაფრად აგდებენ. მას ბატონი ტყუილი ჰქვია ვინსენტ. ტყუილი გონების ჭაობია, შედიხარ ტყუილში და მას უფრო ღრმად შეჰყავხარ. შენ გგონია იტყუები და

გახარებული ხარ, არადა ხაფანგში იმყოფები. მაგ ჭაობში ერთხელ თუ შედგი ფეხი, მეორე ფეხს ბატონი ტყუილი თვითონ გადაგადგმევინებს და რაც უფრო ღრმად შეტოპავ, მით უფრო შორდები საკუთარ თავს და იქიდან გამოსვლა თითქმის შეუძლებელი ხდება. მხოლოდ ერთი გზა არსებობს: პირველი, უნდა იცოდე სად შედიხარ და მეორე, არ უნდა არ უნდა დაგავიწყდეს რომ იგონებ და ბატონი ტყუილი არ ხარ. უნდა იცოდე, რომ ტყუილი თამაშია, თუცა უნდა გახსოვდეს, რომ თამაშის დროს არ უნდა ითამაშო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გამჟღავნდები. დაიმახსოვრე ეს დღე, ეს წამები, ეს ციხე, უნდა დამიმახსოვრო მე, ფრენკი, რომელიც ახლა გვისმენს, რადგან ამ წუთიდან შენ ტყუილში ადგამ ფეხს, ჭაობში შედიხარ, თამაშს იწყებ და როცა უკან დაბრუნების ჟამი დადგება, ეს დრო უნდა გაგახსნედეს, რადგან თამაშმა თავის ჭკუაზე არ გადაგიყვანოს, ბატონი ტყუილის მართვის სადავეებში არ მოექცე, არ გაგიჟდე და ბოროტის მოციქული არ გახდე. ცხოვრებაში ალბათ უამრავი გიჟი გინახავს, მათი უმრავლესობა სწორედ ასე გადავიდა ჭკუიდან, ვეღარ დაუბრუნდენ საკუთარ თავს". ვინსენტი გაქვავებული იჯდა და უსმენდა ექიმის ღაღადს, თითქოს რაღაც ჩაერტყათ თავში, არც ფრენკი იყო უკეთესად. კარგა ხნის პასუხის შემდეგ ექიმმა საუბარი გააგრძელა: "ახლა კი მითხარი, რა გაიგე და რას გრძნობ, შეგიძლია შენი განცდები გადმომცე?" ვინსენტი ღრმად სუნთქავდა. მცირე ყოყმანის შემდეგ თქვა: "ამ სიტყვებმა გამაბრუეს, თითქოს სხვა რაღაცას ვუსმენდი და აქ არ ვიყავი, სადღაც შორს დავეხეტებოდი, ისეთ ადგილას, სადაც არასდროს არ ვყოფილვარ. ამ ყველაფერმა კი უდიდესი სიამოვნება მომანიჭა". ექიმი: "კარგია, ზუსტად ეგ არის სხვა ჭკუაზე გადასვლა, შენ იწყებ ტვინის ფლობას, სიამოვნება კი ამქვეყნიერობიდან გათავისუფლებამ მოგანიჭა, ამავე დროს კი ლაბირინთში, ხაფანგში და ბატონი ტყუილის სამფლობელოში დარდი მოგეხსნა, დარდი მიწიერი, ვინსენტ. ახლა მინდა გკითხო: უჩემოდ შეძლებ იმ მდგომარეობიდან გამოსვლას და დაბრუნებას რეალობაში საკუთარ თავთან და შენს ნაცნობებთან? მე ფიზიკურად გასწავლი რა უნდა გააკეთო რომ ბევრი არ იწვალო, ეს ძალზე საშიში რამ არის, მაგრამ ერთხელ თუ შეძლებ დამოუკიდებლად ამის გაკეთებას, ჩათვალე რომ შენი თავი მთლიანად შენს განკარგულებაშია და როგორც მოისურვებ, ისე დაატრიალებ ბედის ბორბალს. ვინსენტ, ხომ გინახავს ქალაქში თეატრალური დასი, შენ მათზე გაცილებით უკეთესი მსახიობი იქნები, ნებისმიერ როლს

ითამაშებ და გახდი მსახიობი სანამ ხორციელ ხაფანგს თავს არ დააღწევ. არ გაჩერდე, თორემ მთელი ცხოვრება ლაბირინთში იქნები. უკანასკნელად გეკითხები: შეძლებ ამ ყველაფერს?" ვინსენტი სრულ მზადყოფნაში იყო: "დაწვრილებით ამიხსენით როგორ უნდა გამოვიდე, მზად ვარ ყველაფრისთვის, მთელი გულით გისმენთ". ფრენკი გაოცებული იყო. ექიმი: "წყალი თითქოს უბრალო რამ არის, მაგრამ ის დედამიწაზე ყველაზე ძლიერი სტიქიაა. სანამ წყალს დალევ, დაელაპარაკე, მიესალმე, ადიდე, მოეფერე და მერე დალიე. მთავარია, არაფერი სთხოვო. წყალს ესმის ადამიანის ხმა. რაც შეიძლება, ხშირად იბანავე, იცურავე, მდინარეს შეგიძლია სთხოვო, რაც გინდა, ყველაზე კარგი წყალქვეშ ყოფნაა, დაელაპარაკე, მაგრამ მასში ეჭვი არასოდეს შეიტანო, თორემ ბოროტად მოგიტრიალდება. ცურვისას ძალა არ დაატანო თავს, დაუმეგობრდი დინებას და ისიამოვნე მასთან ერთად, შეგიძლია წყალში არ იმოძრაო, უბრალოდ გაჩერდი და იფიქრე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ცულზე, ჩანჩქერს ხანგრძლივად მიუშვირე სხეული და სთხოვე, რომ შინაგანი ჭუჭყი მოგაშოროს, ის ჭუჭყი, რომელიც გონებაში გაქვს. ყური დაუგდე წყლისგან გამოსულ ხმას, ზღვის ტალღებს უსმინე, რომელიც ყველაზე ჭკვიანია წყლის ხმებში, ეს ხმებიც ექიმები არიან. მაგრამ არ უნდა მოუსმინო მკვდარი ზღვის ტალღებს, რადგან ის მკვდარია. დანარჩენი კი შენზეა ვინსენტ დამოკიდებული. გამოსვლის დროს უკან არ გაიხედო, ტყუილს არ შეხედო, თორემ უმალ იქ აღმოჩნდები". წამიერად ექიმი გაჩუმდა, ვინსენტის სუნთქვას მიუგდო ყური, შემდეგ კი განაგრძო: "გასაგებად გიხსნი ვინსენტ? თუ რამე ვერ მოგაწვდინე სჯობს, ახლავე მითხრა". ვინსენტი: "ვერც კი გადმოგცემთ, ისე კარგად მესმის შენი ნაუბარი". ვინსენტი მართლაც მთელი გულისყურით უსმენდა ექიმს. ექიმი: "მშვენიერია ვინსენტ, მაგრამ კიდევ ერთი რამ მინდა დაიმახსოვრო, როცა მიხვდები, რომ სხვას იმას აფიქრებინებ, რაც შენ გინდა და მისი ტვინი შენს ხელშია, არ გაამაყდე, არ გაამპარტავანდე, არ გაჯობოს სიამაყემ, რომელიც თვითონვეა მატყუარა, ის აგწევს მაღლა და შემდეგ მიწაზე დაგანარცხებს ღოროვით. სიამაყე დაცემული მდგომარეობაა, ის თითქოს ღირსებას ჰგავს, არა და თვითონაა პირველი მტერი ღირსების". მცირე სიჩუმის შემდეგ, ექიმმა კვლავ ჰკითხა ვინსენტს სიამოვნებდა, თუ არა ის მდგომარეობა, რომელშიც იყო. ვინსენტმა უცებ გასცა პასუხი: "ვგრძნობ ძალა მემატება და მასთან ერთად სიამოვნებაც, ამის აღწერა არ შემიძლია, ექიმო". სიტყვა "ექიმო" ვინსენტმა თითქოს მოწიწებით და

უდიდესი პატივისცემით წარმოთქვა. ექიმი: "არც ამან უნდა მოგატყუოს, ზედმეტმა სიამოვნებამ თავი არ დაგაკარგვინოს, გახსოვდეს! შენი თავი მუდამ შენს ხელთ უნდა იყოს, თუ რამე დასჭირდება წამალი საკუთარ თავში უნდა ეძიოს, და შველას სხვაგან არ დაუწყოს ძებნა. უმალ ლაბირინთში მოხვდება მაშინ, ვინსენტ". ვინსენტმა წყნარად და პატივისცემით მიუგო: "გასაგებია, ექიმო". ექიმს გაეცინა:ვ"როდიდან დამიწყე მოწიწებით საუბარი, ციხის სარდაფში არ ვყრივართ რაინდის შვილო?"... ვინსენტს გაეღიმა და თქვა: "ციხე არ არსებობს, თუ გონება ციხეში არ არის". ფრენკი დაძაბული უსმენდა ამ ყველაფერს და ცდილობდა ერთი სიტყვაც არ დავარდნოდა ძირს. ექიმმა მასაც მიმართა ღიმილით: "მგონი შენც გაიგე რაღაც ხომ, ფრენკ?". ფრენკმა ინსტიქტურად მიუგო: "დიახ, დიახ". ექიმმა ყურადღება ისევ ვინსენტზე გადაიტანა: "ამ ყველაფრის შემდეგ, ვთქვათ დაგიწყეს ცემა, შეურაცხყოფას გაყენებენ, შენ ამ დროს არც ხელებს იქნევ, არც ფეხებს და რა თქმა უნდა არ იკბინები". ამ სიტყვებზე ექიმს სიცილი აუვარდა, მას ფრენკი და ვინსენტიც აყვნენ. ექიმმა კი სიცილი-სიცილით გააგრძელა საუბარი: "ჰო და! ვინსენტ შენ იმდროს ერთს იტყვი წყნარად, მშვიდად და მთელი სერიოზულობით: "თივა არ მოიტანეთ? ისინი შეგეკითხებიან: "რა თივაო". ეს იმას ნიშნავს იცოდე ანკესზე წამოეგნენ, მცირე ეჭვიც რომ გაუჩნდეთ, ჩათვალე, რომ მათი ტვინის რამდენიმე სიმი მაინც შენ ხელთაა. მათი შეკითხის შემდეგ, შენ გაოცებული მიუგებ: თივა ცხენებისთვის, ჩემი ცხენებისთვის, აგერ კუთხეში მშივრები დგანან... თუ იმ წუთშივე არ აგყვნენ, არ დაიბნე, იცოდე ადრე, თუ გვიან მაინც შენს ხელში აღმოჩნდებიან და გკითხავენ ცხენებზე, შენ კი უნდა დაარწმუნო, რომ ცხენები აქ არიან, ბოლომდე უნდა ითამაშო, არ გაჩერდე თორემ უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება ეს. რაც არ უნდა გაკადრონ, დაიმახსოვრე, სიამაყემ არ მოგატყუოს, სიტყვაც არ წამოგცდეს, სამი წლის ბავშვივით უნდა ისაუბრო. ხომ გინახავს ქალაქში ბავშვები გასულელებულები? ზუსტად უნდა დაემსგავსო მათ. ერთხელაც თუ გაიფიქრეს, რომ გაგიჟდი და ჭკუიდან გადახვედი, ჩათვალე, რომ გაიმარჯვე, ამხედრებული ხარ მათ თავებზე, რადგან ადამიანი რასაც ფიქრობს, ის არის, თვითონ აღმოჩნდებიან გიჟის მდგომარეობაში აი, მაგალითად, იდი და ბოზა ისედაც სულელები არიან, მაგრამ შენ ამაზე არ უნდა იფიქრო, თამაშის დროს ის უნდა აფიქრებინო, რაც შენ გინდა და მაშინ ჩაიგდებ მაგათ ფიქრებს ხელში და სხვების ფიქრებიც შენს ხელთ აღმოჩნდება. ისინი ვერც კი მიხვდებიან, როგორ ოსტატურად ასრულებ შენს როლს. მე

ერთი როლის თამაში შემოგთავაზე და მითხარი, რომელი გინდა აგიხსნა დაწვრილებით, რადგან დროთა განმავლობაში, სიტუაციის მიხედვით, როლებიც უნდა შეცვალო, ხან მეფე, ხან მონა და ა.შ."... ვინსენტი ჩაფიქრებულიყო, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ფრენკმა დაასწრო და გაოცებულმა იკითხა: "როგორ უნდა გამოვიდე, ის ამიხსენით უფრო დაწვრილებით, რადგან გამოსვლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შესვლა"... ექიმს გიჟური სიცილი აუტყდა, ფრენკი და ვინსენტი მთელი სერიოზულობით შეჰყურებდნენ მას, და ორივე ერთსა და იმავეს ფიქრობდა, მათ წინაშე იდგა უნიჭიერესი ადამიანი, რომლის შესახებაც არავისგან სმენიათ, ის უდიდესი სიბრძნის მატარებელი იყო. ექიმის სიცილზე რამდენიმე პატიმარსაც გაეღვიძა და სიცილს აყვნენ ინსტიქტურად, დაავიწყდათ სად იმყოფებოდნენ... ექიმმა სცადა სიცილის შეკავება და ისევ მიმართა ფრენკს: "შენც მისმენდი ფრენკ?". ფრენკი: "რათქმაუნდა გისმენდი, მეც გამომადგება თქვენი სწავლება". "ვინსენტ! შენ რას იტყვი?" - ჰკითხა ექიმმა. "მე ყველაფერი გავიგე, მაგრამ შევძლებ კი ამ ყველაფერს, არ ვიცი". იყო პასუხი. ექიმი: "ეჭვი, ეჭვი, ის ბოროტია, გატყუებს, უნდა რომ დაგაბნიოს, რადგან ხედავს, რომ ძლიერი ხარ, არ შეუძლია შენი დახრჩობა. ამიტომ თავისუფლად უნდა ითამაშო, ამ თავისუფლებას კი სიფრთხილით დაიცავ. ექიმებში თუ მოხვდები, გაგესაუბრებიან, შემდეგ კი აუცილებლად გეტყვიან, რომ მათ გაშორდე, მათ შენი ზურგის დანახვა ენდომებათ, რადგან ავადმყოფი თუ შეტრიალდა მისკენ ზურგით და ფიქრები შეცვალა, ექიმი ამას უცებ ამჩნევს. დაიმახსოვრე, თუ ეჭვობ, რომ თამაში წააგე, მაინც არ დანებდე, ბოლომდე ითამაშე და აუცილებლად მოიგებ, გამორიცხულია ბოლომდე ითამაშო და არ მოიგო. გავა დრო უფრო უკეთეს თამაშს ისწავლი... შენ შეხვალ ძლიერი მოთამაშეების რანგში. ახლა კი მითხარი, რაც ფრენკს აინტერესებს, იმის გარდა რამე შეკითხვა ხომ არ გაქვს?" ვინსენტი: "მთელი ჩემი სხეული სხვა რაღაცას გრძნობს და არ შემიძლია სიტყვებით ამის გამოხატვა"... ვინსენტს სიხარულის სიცილი აუტყდა. ექიმი: "ჰო, ვინსენტ, მაგას ახსნა არ უნდა, შენ უკვე თამაშობ. რას იტყვი, ხომ მაგარი გრძნობაა?"... ვინსენტის სიცილი ექიმსაც გადაედო, ისინი გულიანად ხარხარებდნენ, პატიმრები გაოგნებული უყურებდნენ მათ და ფიქრობდნენ: "გაგიჟდნენ საწყლები". სიცილისგან ვინსენტი ისევ ცუდად გახდა. ექიმს ამაზე უფრო გაუმძაფრდა სიცილი და ძლივს წარმოთქვა: "წყალი". ფრენკმა სიბნელეში ძლივს მიაგნო წყალს და ექიმს მიუტანა. ექიმი: "ვინსენტს გული

დაუზილე წყლით და სახეც". კარგა ხნის გულიანი სიცილის შემდეგ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა. ექიმიც მძიმედ სუნთქავდა დაღლილობისგან, შემდეგ ფრენკს მიმართა: "ფრენკ, მომისმინე, ეს თამაში იოლი არ არის, არ უარყოფ, კარგი გამოსვალია ნებისმიერ მდგომარეობიდან, მაგრამ საშიში თამაში ნიშნავს სიკვდილთან თამაშს. ბევრმა მოიგიჟიანა თავი, მაგრამ უკან ბოლომდე ჯერ არ გამოსულა არავინ. საინტერესო ისაა, რომ, ძლიერი, რომელსაც ამის გაკეთება შეეძლო, არ გამოდიოდა, ფრენკ". ფრენკმა გაოცებით იკითხა: "კი, მაგრამ რატომ ექიმო თუ კი შეეძლო რატომ არ ბრუნდებოდა". ექიმი შეყოვნდა, ტუჩები მოიწმინდა და თქვა: "რატომ? სიამოვნებდა, ფრენკ, თამაში"... ისევ გაჩუმდა ექიმი და მცირე ხნის შემდეგ სინანულით განაგრძო: "თამაში უდიდეს სიამოვნებას გვრით, მაგრამ ეს ხაფანგია, რომელმაც ლაბირინთში მოაქცია. ვინსენტს იმიტომ ვასწავლი, რომ სხვა გზა არ აქვს, ხაფანგიდან ხაფანგით თავის დაღწევა სჭირდება. ადამიანი ისე რჩება ხოლმე ლაბირინთში, რომ მთელი ცხოვრება თამაშში გაჰყავს, მაგრამ ამას თვითონ ვერ ხვდება ამიტომ არ უნდა დაგავიწყდეს რომ ადამიანი ხარ ფრენკ!"... ექიმი გაჩუმდა, ვინსენტი ძალზე ღელავდა. ექიმი: "დაწყნარდი ვინსენტ! ხედავ რა შეუძლია თამაშს? სხვა სამყაროში გადადიხარ, არადა პირიქით, იმ სამყაროს ხედავ საღად, სადაც ხარ". ვინსენტი პირით სუნთქავდა და ენას კბილებით იქავებდა, ხმას არ იღებდა. ექიმი ჩაფიქრდა: "ხომ არ ვუსწრაფებ ამ ბავშვს სიკვდილს?" შემდეგ სიჩუმე დაარღვია: "ახლა ორივემ კარგად დაიმახსოვრეთ, რასაც გეტყვით, ეს ყველაზე მთავარი წესია, დააკვირდით და რაც შეიძლება ჩაიბეჭდეთ გონებაში, თუ შეგეშლებათ და რასაც გეტყვით ვერ გააკეთებთ, ჩათვალეთ, რომ ფსკერზე ხართ და ვერასდროს ამოხვალთ იქიდან. უკანასკნელად გიმეორებთ - როცა თამაშობთ არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ თამაშობთ! ამ წესს თუ დაიმახსოვრებთ თქვენი თავი მუდამ თქვენს ხელთ იქნება. ახლა გონება აამოძრავეთ, მე დაგელოდებით... თქვენ შეკითხვები დამისვით!"... სიჩუმე ჩამოვარდა არ გასულა დიდი დრო და გაისმა მშვიდი ხმა: "მე მუდამ თქვენს გვერდით ვერ ვიქნები მე გასწავლეთ გონებით ცურვა, რათა არ დაიხრჩოთ. მეტს ვერაფერს დაგეხმარებით. ჯერ უნდა მიხვიდეთ მეორე ნაპირამდე და შემდეგ უკან გამობრუნდეთ, იმ ადგილმადე, საიდანაც გადაგაგდეთ. იფიქრეთ, იმსჯელეთ, არ იჩქაროთ, მე დაგელოდებით, არ გაჩერდეთ და ფიქრებს პასუხი გაეცით ფიქრებით. თუ რაიმეს თქმა მოგინდებათ ორი სიტყვით მეტყვით, ვიმეორებ, ორი სიტყვით!"... ისევ დუმილი...

დიდხანს არ გაუვლია, ფრენკმა ვერ მოითმინა, საფეთქლებთან ხელები მიიდო და თქვა დაბნეულმა: "ძალიან დავიბენი". ექიმი დუმდა, დრო გადიოდა, და მოისმა მშვიდი, წყნარი, გაწონასწორებული ხმა, ექიმი გაშეშდა. ვინსენტი: "რასაც ფიქრობ ის ხარ". ცოტა ხანს შეისვენა და შემდეგ განაგრძო: "შემიძლია სხვანაირადაც ავხსნა". ექიმის მშვიდი, კმაყოფილებით აღსავსე ხმა სიყვარულთან ერთად სიხარულსაც გამოხატავდა: "მშვენიერია". ამ სიტყვაზე ფრენკმა თითქმის წყლიდან ამოყვინთა და თქვა: "კინაღამ გავგიჟდი?!" ვინსენტმა და ექიმმა ჩაიცინეს. ექიმი: "ვინსენტ, დავუშვათ ადამიანს ელაპარაკები და უყურებ თვალებში, ისე მოიქეცი თითქოს რაღაცას აკეთებ, თვალი მოაშორე და მის ხმას უსმინე, არა სიტყვებს. როდესაც მას თვალებში არ შეხედავ, მოდუნდება და გაყიდის თავს, მაგას ხმაში იგრძნობ, გაიგე?" ვინსენტი: "გავიგე, მაგრამ ცოტა გავოცდი". ექიმი: "არაფერია, რელობაში რომ გამოცდი ნახავ, რომ მართალია". ვინსენტი: "მართალია, მჯერა, მაგრამ ადრე ეგეთი რამ არ ვიცოდი". "რატომ არ მეკითხები, იქნებ მე დამინახონ ჩემივე ხმითო?" ვინსენტი: "ზურგს თუ შეუძლია გაგყიდოს, ხმასაც იგივე ძლევს ხომ? და ვინც არ იცის თამაშის წესები და თამაშობს, ის მკვდარია". ექიმმა პირში ჰაერი დაიგუბა, ჩაისუნთქა ცხვირით და ნახშირორჟანგი პირიდან გამოუშვა, შემდეგ კი სიხარულით მიუგო: "ძლიერი მშვენიერება ხარ ვინსენტ". ექიმმა ხელები მუშტად შეკრა, ხმაურიანად ამოისუნთქა. ექიმი: "კარგი მოსწავლე არ ხარ, შენ გენიოსი ხარ, გენიოსი". ფრენკი დაცქვეტილი უსმენდა ორივეს, ბოლოს კი ხმა ამოიღო: "ჩემზე რას იტყვი ექიმო?" ექიმი: "იხრჩობოდი, ვინსენტის გონებამ გიშველა, მთავარია, გამოხვედი და იცი შესვლაც და გამოსვლაც, ცუდ ფიქრებში ნუ ჩერდები, ფრენკ, გააგრძელე ფიქრი. ფრენკმა სიტყვა არ დაამთავრებინა: "გასაგებია, გასაგები, ექიმო". ექიმი: "კიდევ ერთი რამ არის მთავარი, უნდა შეგეძლოს ამოცნობა დამხრჩვალია, თუ არა, ადამიანი, გიჟია თუ არა. მოკლედ, დაუჯდები სუფრასთან და გაუბამ საუბარს.. ეს ყველაზე ადვილი დასანახია, არ არსებობს მოითმინოს... იქნებ მკვდარი კი არა დაჭრილია გონებით ნერვული სისტემით, გაშორდი, რადგან რას და როდის იკადრებს თვითონაც არ იცი. დაჭრილი და მკვდარი ერთი მედალიონის ორი მხარეა". ვინსენტი: "გასაგებია ექიმო!". ფრენკმა ისევ მოუთმენლად იკითხა: "ექიმო, როგორ გავიგო, ქალი მატყუებს, თუ არა". ექიმმა გაიღიმა და თქვა: უბრალოდ გახდი მასზე სუსტი და დაინახავ ვინ დგას შენს გვერდით"... ფრენკი: "მაგარია... და კიდევ, როგორ შევაყვარო თავი იმას,

ვინც სუსტად მყოფს არ მიმატოვებს?". ექიმი: "ლექსი მიუძღვენი, სიმღერა უმღერე, სულ რომ არ გამოგიოდეს არცერთი სიტყვა, ის დაინახავს სიყვარულს და მიხვდება, რომ სუსტი კი არა, აფერისტი ხარ" ფრენკი ამ სიტყვებმა ჩააფიქრა, ექიმი და ვინსენტი კი გულიანად იცინოდნენ. ექიმი: "ვინსენტ, ახლა წამოწექი და ივარჯიშე გონებით, ოღონდ არ გადაღალო, ხანდახან დაასვენე, უბრალოდ არაფერზე არ იფიქრო". ვინსენტი: "გავიგე ექიმო!" ვინსენტმა ეს სიტყვები დამაჯერებლად წარმოთქვა. ექიმი კი ფრენკისკენ შეტრიალდა: "ფრენკ მითხარი, კიდევ რა გაინტერესებს? არ მოგერიდოს არაფრის". ფრენკი ჩაფიქრდა და შემდეგ სწრაფად წამოთქვა: "ქალებზე მომიყევით ექიმო, ქალებზე". ექიმი: "კონკრეტულად რა გაინტერესებს?" ფრენკი: "ყველაფერი, ფეხის ფრჩხილებიც კი" . ექიმმ გ ულიანად გაიცინა და შემდეგ საუბარი დაიწყო: "ქალი ვერ ახსნა ვერავინ, ისევე, როგორც სიყვარული. აქედან გამომდინარე ქალი და სიყვარული მიახლოებულნი არიან ერთმანეთთან, ქალები, რომლებიც უსიყვარულოდ დადიან, უდანაშაულონი არიან, მათ ნაცვლად ადამიანმა ისინი უნდა იპოვოს და განიკითხოს, ვინც ასეთ დღეში ჩააგდო, თუ რა თქმა უნდა თვითონ არ არიან ისინი. ქალი მამაკაცზე უფრო სუსტია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის უძლურია. ქალის სუსტი წერტილი შურისძიებაა. ბრძოლის ველზე გასული ვერც კი გრძნობს როგორ მარხავს საკუთარ თავს. ქალის ღირსება შეილახა, ის დაიბნა და ღირსების ადგილი სიამაყემ დაიკავა. ქალს ფიქრები ატყუებს და მას ჰგონია სიყვარული მოუკლეს, ტკივილს ფსკერზე მიჰყავს და ბრმავდება. სიყვარული კი მარადიულია, მისი მოკლვა არავის შეუძლია, ტკივილისგან დაბნეულებს ლაბირინთში ხვდებიან და თავისივე ხელით მარხავენ მას. სიყვარული კი ზღვის ფსკერზე დაშვებული, ცოცხლად დამარხული, იმედით სუნთქავს, რომ ოდესმე მისი პატრონი თვალს გაახელს და დაინახავს, რომ მის გვერდით სიკვდილი იდგა სიყვარულის ნიღბით. ტკივილი ყველაზე კარგი მასწავლებელია ამ ქვეყნად, მაგრამ ერთი მხრიდან მარტო არ უნდა შეხედო მას. უნდა უხაროდეთ მათ, ვისაც მკვდრებმა ჭრილობა მიაყენეს, რადგან ბევრ შემთხვევაში მკვდრები მთელი ცხოვრება გვერდით უდგანან ადამიანებს, სიტკბოთი, სითბოთი გამორჩეულები, ალერსით სისხლს უშრობენ, ვერ გრძნობენ. ამას იმიტომ გეუბნები - ფრენკ, რომ ცხოვრებაში ოდესმე სიყვარულით მკვდარი ქალი თუ შეგხვდება, მეორედ არ მოკლა, და თუ შეძლებ, ამოიყვანე ის ფსკერიდან, შემდეგ ხელი გაუშვი, წინ წადი, თუ არ გამოგყვა და სხვა გზა აირჩია, გაუშვი, გაუშვი, ფრენკ, მიეცი

საშუალება თვითონ მიუახლოვდეს თავის თავს, და უკან თუ დაბრუნდა, იქ, სადაც ამოიყვანე, არ იფიქრო, რომ ის მკვდარია და ბინადრობს მკვდარ ზღვაში და თუ გისმენდა და გვერდით გედგა, მხოლოდ იმიტომ, რომ შენიველი ხელით შენივე გული დაეხრჩო". ფრენკი: "აღფრთოვანებული ვარ ექიმო, გთხოვ, კიდევ მომიყევი რამე". ექიმმა სევდიანად გააგრძელა საუბარი. "ქალი სიყვარულში ძლიერია და მას ბადალი არ ჰყავს ამ ქვეყანაზე და თუ შეგხვდა ქალი, რომელიც ფეხებსა და მკერდს კი არა, სიყვარულს გაჩუქებს, შენც იგივე მიაწოდე, აი მაშინ იხილავ ბედნიერებას, რადგან ორი ადამიანის შეერთებული სიყვარული მარადიულია და თუ გერგო მაგის ბედი, ჩავალე, ორივე მარადიულობაში შედგამთ ფეხს"... ფრენკი დაბნეული იყო, "ექიმო, ამდენი მე არ მესმის, მარადისობა, სიყვარული, უფრო მარტივად არ შეიძლება?" ექიმს გაეღიმა: "ფრენკ ამიხსენი, შენ ქალი გინდა, რომ ოჯახის შექმნა თუ...?" ექიმი გაჩუმდა, ფრენკმა უცებ მიახალა: "ოჯახიც მინდა და ყველაფერიც"... ექიმი გაოცდა და იკითხა: "შენ ქალთან ურთიერთობა გქონია ოდესმე?" ფრენკი: "კი, კი ექიმო, მქონია, დუქნის ქალებთან". ექიმი: "არა ფრენკ, მე სხვა რამე გკითხე, ქალთან გილაპარაკნია გიმეგობრია ოდესმე?" ფრენკი: "დედაჩემთან ექიმო, დედაჩემთან". ექიმი ჩაფიქრდა, ფრენკმა არ აცადა: "რა არის ექიმო, რატომ გაჩუმდით?" ექიმმა წუხილით მიუგო: "ფრენკ მომისმინე! ქალს უბრალოდ დაელაპარაკე, ისე როგორც მე გელაპარაკები, ქალი არასდროს არ დაამცირო, თუნდაც დუქნის ქალი იყოს, პატივისცემით მოეპყარი, თუნდაც გატყუებდეს, არ გაბრაზდე ამ დროს, უბრალოდ ადექი და თვალებში სიყვარულით ჩახედე და შენ დაინახავ პატარა, გამწარებულ ბავშვს და ეცადე ცუდი რამე არ აგრძნობინო. სხვა დროს თუ შეგხვდა სადმე, დაინახავ რომ მეტ-ნაკლებად შენი მოერიდა - შენი, შენ კი გაგიხარდება ადამიანის დანახვა. ვნება, ფრენკ, სივყარულს მხოლოდ და მხოლოდ კლავს, თბილ საქციელში სიყვარულში მყოფნი ვნებას თავისთავად ღებულობენ, უბრალოდ თავისუფლად, ღირსებით, პატივისცემით და ამის გამოც ნება მათ ვერ მარხავს, ვერ ახრჩობს". ექიმი სინანულით დადუმდა, შემდეგ კი თითქმის ბრძანებით და ამავდროულად თხოვნით მიუგო: "ფრენკ! არასდროს, არასდროს! გესმის რას გეუბნები?! არასდროს არ შეხედო ქალს, როგორც საჯდომს, ქალი არ მოკლა, თუნდაც შენ გკლავდეს"... ექიმი გაჩუმდა, ფრენკს ღელვისგან პირი უშრებოდა და პასუხის გაცემას ვერ ახერხებდა, სახეზე თითქოს ცეცხლი წაკიდებოდა. ვინსენტი თითქოს მათ არ უსმენდა, თუმცა მთელი გულისყური

ექიმის საუბრისკენ ჰქონდა მმიართული. უცებ ექიმმა ვინსენტს შეხედა და ჰკითხა: "შენ გვისმენდი ვინსენტ?" ვინსენტმა თავისუფლად მიუგო: "დიახ, გისმენდი". ექიმი: "კარგია, კარგი, იქნებ რაიმეს თქმა გინდა? ვინსენტმა უცებ, დაუფიქრებლად წარმოთქვა, თითქოს ითმენდა აქამდე სიტყვის თქმას: "ამ შემთხვევაში ქალი და მამაკაცი ერთი ადამიანია, უბრალოდ ქალი საკმაოდ მეტ დარტყმებს ღებულობს ისეთს, რომელსაც მამაკაცი ვერ გადალახავს და უმეტეს შემთხვევაში იმარჯვებს, რადგან ქალი სიყვარულის მატარებელია!". ექიმი სიხარულმა მოიცვა, მან იგრძნო ვინსენტის სიტყვებში თავისი ბავშვობის მასწავლებელი, მას გაახსენდა თავისი ბავშვობა. მცირე დუმილის შემდეგ კი სიხარულით წამოიძახა: "ქალი სიყვარულის მატარებელია... ამდენი მე არ მიფიქრია. მე ხომ ვთქვი, შენ გენიოსი ხარ, გენიოსი". ვინსენტი: "მეცინება ექიმო, ნუ მაქებ, თორემ ისევ ცუდად გავხდები, ჯობია ისევ გვიამბოთ რამე"... ექიმი: "მალე გათენდება, დილით ფრენკს წაიყვანენ, ჩვენ კი უამრავი დრო გვექნება სასაუბროდ, ჯობია ფრენკს ვესაუბრო, შენ კი, თუ სურვილი გაქვს მოგვისმინე". ვინსენტი: "კარგი, ექიმო". შემდეგ კი ფრენკს მიუბრუნდა: "ფრენკ, როგორ ხარ? ხომ არ დაიბენი?" გაისმა ჩაფიქრებული ხმა: "მგონი აღარაფერი დამაბნევს, მე თუ არ დავაბნიე ჩემივე თავი". ვინსენტმა, ექიმს უთხრა შემდეგ ღიმილით: "მგონი ფრენკისგან კარგი მოსწავლე გამოვა, რას იტყვით ექიმო?" ექიმი: "კარგი მოსწავლეა უკვე, მოსმენის უნარი ჰქონია რაც მთავარია". ფრენკმა დარცხვენით თქვა: "ექიმო, ბოლოს ქალებზე რომ საუბრობდი, ვერ ვიგრძენი თავი კარგად რაღაც". ექიმი: "ჰო და კარგია, კარგი, ცოცხალი ხარ, სუნთქავ - და როცა ფრთებს გაშლი, არ დაგავიწყდეს ახლა რასაც გრძნობ"... ფრენკს გაეცინა და უმალ მიუგო. "ზუსტად ფრთები მაკლია ექიმო, სხვა არაფერი"... ვინსენტმა ღიმილით თქვა: "დავიღალე ჯდომით, შენს მუხლებზე დავდებ თავს და ისე მოგისმენთ". ფრენკს გაუხარდა, ხელების ცეცებით მონახა ვინსენტის თავი და მუხლებზე დაიდო. ვინსენტმა კმაყოფილად მიუგო: "ახლა ილაპარაკეთ რამდენიც გინდათ". ექიმი: "შემეკითხე ფრენკ, რა გაინტერესებს, რა ვერ გაიგე ან რა გაწუხებს". ფრენკმა ექიმს სიტყვა შეაწყვეტინა: "თქვენ მანერვიულებთ, თქვენ ორივე ექიმო". "ხომ გითხარი ჩვენს თავს მივხედავთ - მეტი, ჩვენ ორნი ვართ, შენ კი მარტო ხარ და შენს თავზე იზრუნე. სჯობს დაფიქრდე რა ვერ გაიგე ან რა გინდა რომ გაიგო კიდევ". ჩაფიქრებული ფრენკი ღრმად სუნთქავდა: "არ ვიცი რა გკითხოთ, აღარ ვიცი". ექიმი: "კარგი, დამშვიდდი და ყურადღებით მომისმინე: "შენ არ გჭირდება თავის

მოგიჟიანება, შენ თავს მოისულელებ უბრალოდ და ყველას ბიძიათი მიმართავ, თითქოს პატარა ბავშვი ხარ, მთავარი კი კარგად მუშაობაა და გათენდება ის დღეც როცა კი არ გაიქცევი, არამედ მშვიდად წახვალ მათგან შორს, შენ თვითონ გაგიკვირდება ისე აღმოჩნდები თავისუფლებაში. მშვიდად იყავი, გაიღიმე, გაიცინე ლექსად ააწყვე შენი სათქმელი, იმღერე, რაც უფრო ცუდად გამოგივა, მით უკეთესი, დანარჩენი შენ თვითონაც იცი უკვე". ფრენკი მაინც სევდიანი იყო: "გავიგე ექიმო, მაგრამ თქვენზე დარდი არ მშორდება" - თქვა ნაღვლიანად. ექიმი: "მერე რა? დამალე ის ფიქრი შენში, ის დღეც დადგება, ყველა ერთად რომ ვიქნებით". ფრენკი: "ვინსენტზე ძალიან ვღელავ, შეძლებს კი თქვენი სწავლების ხორცშესხმას?". სანამ ექიმი რამეს იტყოდა ვინსენტმა დაასწრო: "შევძლებ, ფრენკ, შევძლებ. სიტყვას გაძლევ, აქედან გავაღწევ, ყველაფერს აღვასრულებ, რაც ექიმმა გვასწავლა, მაგრამ შენც მომეცი სიტყვა, რომ არ იდარდებ ჩვენზე". სიხარულის ხმა გაისმა: "უკვე აღარ ვდარდობ, დავმშვიდდი, მართლა დავმშვიდდი, გულიდან ლოდი მომეხსნა, შენს ხმაში შენივე თავისუფლება ვიგრძენი ვინსენტ, მე კი იმ კაპიტანს და შენს მეგობარს მალევე ვნახავ, თავისუფლების სუნი მცემს ბიჭებო!". გათენებამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი, ფრენკი და ექიმი კი მოსვენებას არ აპირებდნენ, ვინსენტი, ნახევრად ძილში მყოფი, მაინც ყურადღებით ისმენდა ყველაფერს...

ამ დროს კი ჟორდანი, ნოზა და ბოლი თანმხლებ რაზმთან ერთად ლაგოს სახელმწიფოს უახლოვდებოდნენ, გზად კი გადაწყვიტეს ერთ-ერთ სოფელში შეესვენათ. სოფლელებმა შიშით ვერ უამბეს ლენის გარდაცვალების ამბავი, რამაც ძალზე ცუდად იმოქმედა ჟორდანზე. გამთენიისას რაზმი ქალაქისკენ მიმავალ გზას უნდა დადგომოდა, მაგრამ შეშინებულმა ჟორდანმა ბოლის მიუგო: "მე და ნოზა ახლავე წავალთ ქალაქში, აქ უაზრო ლოდინი არ შემიძლია, დავიღალე". ბოლი თითქოს ელოდა ამას, არანაირი ეჭვი არ აღძვრია: "წადი, მე რას მეკითხები შენს სახელმწიფოში". ჟორდანმა არც აცია, არც აცხელა, სასწრაფოდ წამოხტა და ნოზასაც უბრძანა ცხენზე ამხედრება. რამდენიმე წუთში კი ნოზა და ჟორდანი ქალაქისკენ მიჰქროდნენ. ჟორდანი გულში ფიქრობდა, რომ ნოზა წინ გაეშვა და თუ არ დაბრუნდებოდა, მაშინ თვითონ გაიქცეოდა ქალაქიდან შორს. შუადღე მოახლოვდა, მალე ქალაქიც გამოჩნდა, ჟორდანმა ცხენი გააჩერა და შეწუხებულმა თქვა: "მთელი ქალაქი ხელისგულივით მოსჩანს, რაღაც გულზე მომაწვა,

არავის უთხრა რომ ცუდად ვარ, უბრალოდ წყალი მომიტანე". ჟორდანმა თავი მოიავადმყოფა და მინდორზე წამოწვა. შეშფოთებულმა ნოზამ მყისვე მიუგო: "ექიმსაც მოვიყვან ბატონო". ჟორდანი თითქოს გაბრაზდა: "არ მჭირდება ექიმი, ახლა ის ვალაპარაკო რომ გზას ვერ უძლებსო?! უბრალოდ წყალი მომიტანე, გასაგებია?!" ნოზა: "კარგი ბატონო, გასაგებია". ნოზა ადგილიდან მოწყდა, ელვის სისწრაფით მიაჭენებდა აწყვეტილ ბედაურს, ჟორდანმა კი თვალი გააყოლა და როდესაც დაინახა კარგა მანძილზე იყო წასული, უმალ წამოხტა. მან ყველა სტრატეგია შეიმუშავა გასაქცევად. თუ ამის საჭიროება დადგებოდა. ნერვოზულმა შიშმა შეიპყრო ის, აკანკალდა, თავის მოკვლაც კი გაიფიქრა რამდენჯერმე. უკან მომავალმა ნოზამ თვალი რომ ვერ მოჰკრა თავადს, იქაურობა მოათვალიერა. ჟორდანმა ეს შენიშნა და თვითონვე იხმო ხელით - ნოზამ მწოლიარე ბატონთან მიირბინა და ცივ-ცივი წყალი მიაწოდა: "დალიეთ, დალიეთ ბატონო, როგორ გრძნობთ თავს?" ჟორდანი: "არ ვარ კარგად ნოზა". წყალს ისხამდა სახეზე და შიშით ნოზას ვერაფერს ეკითხებოდა. მასაც ნერვიულობა აღბეჭდვოდა. ბოლოს საკუთარ თავს სძლია ჟორდანმა და ჰკითხა: "შენ რაღა მოგივიდა, ცუდად ხომ არ ხარ?" ნოზამ ყოყმანით მიუგო: "როგორ გითხრათ ბატონო, არ ვიცი". ჟორდანს ამის გაგონებაზე გული საშინლად აუცახცახდა და სათქმელი ძლივს ამოღერღა: "თქვი რა მოხდა, თავი არ მომაკვლევინო, ვერ ხედავ ისედაც ცუდად ვარ". ნოზამ შიშით მიუგო: "არ მინდა ინერვიულო ბატონო, მაგრამ უბედურება დაგვატყდა თავს". ჟორდანს კი ახლა მართლა ეცა ელდა, თავს ვეღარ იმორჩილებდა... ნოზა დაბნეული ბლუკუნებდა: "ჩვენი მხსნელი, ბატონი და ბელადი გარდაცვლილია, ლენი გარდაცვლილია". ჟორდანმა ძლივს მიუგო: "ახლავე ქალაქში გაიქეცი და ექიმი მომიყვანე, უთხარი, რომ ლენის გარდაცვალების ამბავი რომ გაიგო, გულწასული ცხენიდან ჩამოვარდა - თქო". ნოზა ცხენზე ამხედრდა, ჟორდანს მართლა შეაწუხა გულმა, რადგან მის სიხარულს მეტის ატანა აღარ შეეძლო, მიწაზე წამოწოლილი სიცილი იგუდებოდა. რამდენიმე ხანში კი ნოზას და რამდენიმე ცოფიან მეომართან ერთად ვითომ გულდათუთქული ქალაქისკენ მიემართებოდა. მიუახლოვდა თუ არა, სასახლის კიბეებზე მოთქმა-გოდება დაიწყო: "ლენი სად არის, ლენი? ლენი მაჩვენეთ!" მის ფარისევლობას საზღვარი არ ჰქონდა, უცებ მას ხალხი შემოეხვია და ამშვიდებდნენ. მალე დებოც გამოჩნდა შავებით მოსილი, ჟორდანს შემოეხვია და ასე ჩახუტებულები ჩამოსხდნენ იქვე. ჟორდანი: "სად არის ჩემი

მეგობარი ლენი, სად არის ჩემი ერთგული მეგობარი? სად არის ჩემი ლენი, ჩემი მამა". ასე მსახიობობდნენ, ორივე შესანიშნავად ასრულებდა თავის როლს, ორი მკვლელი, ორი ოსტატი. ჟორდანს დასამშვიდებლად ღვინო მიუტანეს, მაგრამ მიწოდებულ სასმისს ჟორდანმა ხელი ჰკრა, გიჟივით წამოხტა და მთელი სისასტიკით დაუყვირა იქ მყოფთ. "ქალაქიდან ერთხელ გავედი და ერთ კაცს ვერ მიმიხედეთ, ყველა დასახოცნი ხართ"... შემდეგ დებოს მივარდა, ყელში ეცა, ფეხზე წამოაყენა, არაადამიანური ხმით ბღაოდა: "შენ ხარ პირველ რიგში მოსაკლავი და შემდეგ დანარჩენი". დებო მართლაც იხრჩობოდა, იქ მდგომმა მეომრებმა ძლივს გამოსტაცეს ხელებიდან. დებო შვილთან მივარდა, გადაეხვია და ისტერიულად ატირდა. ჟორდანი გასასვლელისკენ მიდიოდა, უცებ შემოტრიალდა და დაიყვირა: "მარტო მინდა დარჩენა, ჩემი შვილის დანახვაც კი არ მინდა, გადით აქედან". იგი საძინებლისკენ გაემართა, ხმა საკმაოდ დამაჯერებელი ჰქონდა: "თქვენ როგორ უნდა იყოთ ცოცხლები, ნამდვილი ღორები ხართ!"... ამ სიტყვებით მან საძინებლის კარი მიიჯახუნა და ხელები პირზე აიფარა, რომ არ გადაეხარხარა. თან ფიქრობდა: "ეს იდიოტები... როგორ მიყურებდნენ. ეჰ, ლენი, ლენი, მოკვდი არა? ნეტავ სად დაფრინავ ახლა, სულელი გეგონე ხომ? მიწა ხომ კარგად დაგაყარეს? თბილად ჩალპები. ყველას ამოვხოცავ, ყველას, ნამდვილი მეფე მე ვარ!". საწოლისკენ გადადგა ნაბიჯი, მისი ფიქრები ახლა დებოს გადაწვდა. "კინაღამ არ დავახრჩე? ისე დამეხრჩო აწი რაღაში მჭირდება"... ამ ფიქრებზე ისეთი სიცილი აუვარდა, თავი ბალიშში ჩარგო, რომ მისი ხმა გარეთ არ გასულიყო. უცებ შეჩერდა, გაახსენდა რომ კარი არ დაუკეტია, მაგრამ იფიქრა დებო შუაღამეზე მაინც მოვიდოდა მასთან, ამიტომ წამოწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო და ფიქრთა დინებას მიჰყვა. თუმცა საკმაოდ დაღლილიყო... ძილმა თავისი გაიტანა, ჩაეძინა.. შუაღამისას კარი, მართლაც გაიღო, დებომ ბნელ ოთახში თავი შეჰყო, ფრთხილად გაანათა ჩირაღდანით ოთახი, შეათვალიერა... ჟორდანის გახელილი თვალები დაინახა, გაიღიმა და ფეხაკრეფით მივიდა მასთან. ერთმანეთის დანახვაზე სიცილი აუტყდათ... ქალმა თავის შეკავება მაინც მოახერხა და იკითხა: "შენსკენ მშვიდობაა საყვარელო?". ჟორდანმა სიცილით უპასუხა: "როგორც მე მინდა ყველაფერი ისე არაა, მაგრამ მთლიანობაში ყველაფერი მშვენივრადაა. ახლა შენ მიამბე, კარგად ჩაიარა ყველაფერმა? რაიმე საფრთხე ხომ არ გველის?".. დებო გვერდით მიუწვა და სიამაყით განაცხადა: "მოკლედ გეტყვი, მოვწამლე და ისე გავაკეთე, თითქოს ლუკმა

გადასცდა... თუმცა მეომრები არ იჯერებენ, რაღაცას ეჭვობენ, მაგრამ არ იციან რა იფიქრონ, მართლაც ყველა მეომარი სულელი ვირია"... ამ სიტყვებზე ჟორდანის სიცილი სადღაც ჩაიკარგა, მოულოდენლად ეცა დებოს ყელში, ქალის აწითლებული სახე და გაფართოებული თვალები მეტყველებდნენ, რომ ასე დიდხანს ვერ გაძლებდა, დებო შეეცადა წინააღმდეგობის გაწევას, თუმცა უშედეგოდ, მისი ხელები დასუსტდა, თვალები გადაუტრიალდა, ჟორდანი სიმწრით ჩასძახოდა: "რა ლუკმა, რის ლუკმა, ამ სიბერეში სულ გამოშტერდი? ამ სისულელეებს ვინ დაიჯერებს, მოგკლავ, საქონელო, მოგკლავ!" დებო უფრო და უფრო ხროტინებდა... ჟორდანმა იგრძნო, რომ კვდებოდა და ხელი გაუშვა, ლანძღვით ძლიერი სილა უთავაზა, შემდეგ გველნაკბენივით მოშორდა და ოთახში იწყო წინ და უკან სიარული. ორივე ხელი მუშტად ჰქონდა შეკრული და კბილებს აკრაჭუნებდა: "ლუკმა გადასცდაო, ლუკმა, იდიოტი... იდიოტი... კაცი გოჭს ყლაპავდა უმად, ლომივით იყო და მოულოდნელად ლუკმა გადასცდა თურმე!"... დებო საწოლზე წამომჯდარიყო, ხელები ყელზე ეკიდა და შეშინებული ადევნებდა თვალს ჟორდანს, შემდეგ წამოდგა, კედელს მიეყრდნო, აქვითინდა და იქვე ჩაცუცქდა... ჟორდანი არ ჩერდებოდა, მის ბრაზიან და არეულ სახეს გულისწასვლამდე მიჰყავდა ქალი... ჟორდანი მის პირდაპირ გაჩერდა, თმებში ჩაავლო ხელი, თავი გადაუწია, სახეში ჩააშტერდა და კბილებში გამოსცრა: "ყველაფერს ექიმს დააბრალებთ! გაიგე?!!!". დებო: "რომელს?" ჟორდანმა ამის გაგონებაზე ცოფები ჰყარა: "რომელს და ბააგრების ექიმს, სულელო აბა სხვას ვის უნდა დავაბრალო, ნუ მაგიჟებ!" დებომ კანკალით მიუგო: "ის უკვე ციხეშია, რადგან ლენს ვერ მიხედა სამაგალითოდ". ჟორდანი გვერდით ჩამოუჯდა: "ყველაფერი კარგად გააკეთე, რა მოგივიდა, მაშინვე უნდა დაგებრალებინა მისთვის ყველაფერი და სიკვდილით დაგესაჯა. ასე დამთავრდებოდა ყველაფერი. მე უნდა გასწავლო ყველაფერი? შენ ცოფიანი მეომრები მართლა სულელები ხომ არ გგონია?" ჟორდანი გაჩუმდა, დებო მაინც კანკალებდა.. კაცს თითქოს შეებრალა, ნაზად შეხედა და უთხრა "ახლა დამშვიდდი, ხვალ დილით სუფრასთან მე მოვაგვარებ ყველაფერს, ის ექიმი ცოფიანებს უნდა მივუგდოთ და ეჭვიც გაიფანტება"... დებო შეშინებული უცქერდა ქმარს. რადგან არასდროს ენახა ჟორდანი ასეთ დღეში.. და ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ის ასეთი აგრესიული იქნებოდა. როგორც იქნა ჟორდანმა თავი ხელში აიყვანა... და ცდილობდა დებოც დაემშვიდებინა და ყველა წვრილმანი გამოეკითხა. როცა ყველა

დეტალი შეიტყო, დამშვიდდა და უფრო საღი გონებით შეუდგა გეგმის შემუშავებას, ის ფაქტი, რომ ექიმი ფორესტი მათ ხაფაგწში იყო მომწყვდეული, დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. ბოლოს ჟორდანმა ცოლს თვალები შეუმშრალა, ლოყაზე მიუალერსა და წყნარად მიუგო: "ახლა გახვალ ოთახიდან და ყველას ეტყვი, ვერ დავაწყნარე, მახრჩობდათქო. ბოლისთან ილაპარაკე რაც შეიძლება ბევრი. ფორესტს კი არაფერი უთხრა. არ უნდა იცოდეს, რომ მე ყველაფერი ვიცი, ჰო, მართლა, ბოლი რომ ჩამოვიდა თვითონ გინახულა თუ შენ დახვდი?".. დებო: "არა, თვითონ მნახა". ჟორდანი: "როგორ გისმენდა, შენს ნათქვამში ეჭვი ხომ არ ეპარებოდა?". დებო: "არა, არა, მას სჯერა შენი, შენ ხომ მასთან ერთად იყავი". ჟორდანი: "კარგი, თუ ბოლი ახლა დარბაზში ზის და ქეიფობს, გაიარე იქ ისე, თითქოს შემთხვევით მოხვდი და უთხარი, რომ ჟორდანი ძალზე ეჭვიანობს იმ ექიმზე, ციხეში რომ არის-თქო. ახლა წადი და ხვალ შენი ხმა არ გავიგო სუფრაზე. გასაგებია?!" დებო საძინებლიდან გავიდა, ჟორდანი კი მარტო დარჩა თვის ფიქრებთნ. იმის შიში, რომ ეჭვი მასზე არ მიეტანათ ტვინს უწამლავდა და მოსვენებას არ აძლევდა, მთელი ღამე ბორგავდა, ფიქრები ფიქრებს ეჯახებოდნენ. თუ ექიმზე გადაბრალება არ მოხერხდებოდა, მაშინ დებოს სიცოცხლეს გამოასალმებდა.

უსასრულო ღამე როგორც იქნა მიილია, გათენდა და მსახურები საუზმისთვის მზადებას შეუდგნენ. სასახლის დარბაზში სუფრა გაშლილიყო. რამდენიმე ხანში მაგიდის ირგვლივ ისხდნენ დებო, ფორესტი, ბოლი, იდი, ნოზა და რამდენიმე მთავარი მხედარი, ყველა დუმდა და ჟორდანის შემოსვლას ელოდა. სამი მსახური მაგიდის ახლოს იდგა, ორი მეომარი შუბებით ხელში დარბაზის შემოსასვლელთან იმყოფებოდა. რამდენიმე წუთში ჩაფიქრებული ჟორდანიც გამოჩნდა. ფიქრობდა: "არ უნდა შემატყონ, არა, არა... ერთი ბოლი უნდა გამოვაშტერო, დანარჩენები კი ენას გადაყლაპავენ".. მთელი ღამის უძილო, შიშს აყოლილი ჟორდანი მდგომარეობიდან ვერ გამოდიოდა, თუმცა ყველანაირად ცდილობდა დამშვიდებულიყო: "დაწყნარდი, ნუ ღელავ, ყველაფერი კარგად მიდის, მთავარია, რომ ლენი მკვდარია. სუფრასთან გავჩერდები და ყველას ბრაზით შევხედავ ბოლის გარდა. თუნდაც შემატყონ, რომ არეული და აღელვებული ვარ, მერე რა, მე ხომ ჩემს უსაყვარლეს მეგობარს დავტირი???". ცოტა ხნით ფიქრი შეწყვიტა... მაშინვე განაგრძო: "არამგონია ბოლი მეფის ადგილზე იჯდეს, ახლა ეს დიდ როლს თამაშობს, თუ ბოლი მეფის სავარძელზე ზის მაშინ მე რა ვქნა?"... ამ ფიქრებმა ჟორდანი

შორს წაიყვანა, ის უკვე დარბაზის კარებთან იმყოფებოდა, მეომრებმა ორივე კარი ფართოდ გააღეს, თავჩაღუნულმა ჯორდანმა მძიმედ ასწია თავი და თითქოს ხელმეორედ დაიბადა; მეფის სავარძელი ცარიელი იყო... მიუახლოვდა სუფრას, ყველას სევდიანი თვალებით გადახედა, შემდეგ კი ბოლს მიუგო: "ბოლ მშვიდად ჩამოხვედით?"... ამ სიტყვებით ჟორდანმა სკამს ხელი გადაუსვა და ჩამოჯდა. ბოლი: "ჩვენ კი მშვიდად ჩამოვედით, მაგრამ შენ რა ჰქენი, ქალს ახრჩობდი აქ?!" ჟორდანმა პასუხი არ გასცა, მუშტი დაადო მაგიდას და მგლოვიარე კაცივით მიუგო იქ მყოფთ: "მე და ბოლი ქალაქში არ ვიყავით და მინდა თითოეულ თქვენთაგანს გკითხოთ: რომელმა თქვენგანმა დაიჯერა, რომ ლენს ლუკმა გადასცდა? ერთი ვიცი, ქალმა დაიჯერა, სხვა ვინმე არის აქ ქალი?! რატომ არ დაუფიქრდა არავინ იმას, რომ ბააგრების ექიმს სძულდა ლენი, რატომ არავინ დაუკვირდა, რომ ექიმი თვითონ ეჭვობდა მოწამვლას და ამით თავის თავს ფარავდა? თქვენ უნდა დაგეცვათ ლენი".. ბოლი ჩაერია საუბარში: "მეც ასე ვიფიქრე ჟორდან, მთელი ღამე თეთრად გავათენე, მთელი ღამე"... ჟორდანს ძალა მიეცა, ღრმად ამოისუნთქა, თითქოს გულ-მკერდიც ამოაყოლა და მოღუშულმა თქვა: "ბოლ, გთხოვ, მაცადე!'. ბოლი დადუმდა, ჟორდანმა კი მხედარმთავრებს გახედა ეჭვის თვალით: "თქვენ რას აკეთებდით, რას ფიქრობდით? თქვენ არ იყავით აქ დარჩენილი ლენის მცველებად, იქნებ ფიქრობდით, რომ ლენი საკუთარ თავს თვითონ მიხედავდა?!" ერთ-ერთმა მეომარმა სიტყვა შეაწყვეტინა და თქვა: "ჩვენ ყველაფერი შევამოწმეთ და მოწამლული არაფერი იყო, არაფერი"... განრისხებულმა ჟორდანმა მაგიდას ხელი მოუსვა, ყველაფერი ძირს დაყარა და გამწარებულმა იყვირა: "გაჩუმდით! გაჩუმდით! თქვენი ხმა არ გავიგო! აქ მხოლოდ ბოლის აქვს უფლება, რომ სიტყვა შემაწყვეტინოს. იქნებ მე ვცდები, ხომ არ ფიქრობთ?"... მეომარი გაჩუმდა, ჟორდანმა ბოლს გახედა, რომელიც მშვიდად იჯდა: "ბოლი უსმენ მთავარმხედარი რას ამბობს?" ბოლმა ბრაზით მიუგო: "მესმის, მესმის, ყრუ არ ვარ". ბოლი ანერვიულდა, ჟორდანი მიხვდა, რომ მის ანკესს ყველა წამოეგო: "ბოლი, შენც მინდა შეგეკითხო, რატომ ჩვენს გარდა არავინ იფიქრა, რომ ლენი მოკლეს, ნუთუ მარტო ჩვენ გვიდევს თავში რაღაც და სხვებს არაფერი?" ბოლი სულელივით დაიბნა და წარმოილუღლუღა: "მე არ ვიცი ვის რა უდევს თავში, მაგრამ მე მეომარი ვარ და ვფიქრობ მეომარივით". ჟორდანი: "კარგი , არაა საჭირო ამის გაზვიადება". შემდეგ მან მხედარმთავრებს გახედა და იკითხა: "სადაა ის ექიმი?". იმავე მხედარმთავარმა მიუგო:

"ციხის სარდაფში". ჟორდანი: "მე თვითონ გამოვათრევ მაგას და მეომრებს, როგორც ღორს, ისე მივუგდებ საჯიჯგნად". შემდეგ ბოლს გახედა და უთხრა: "ახლა შენ ხარ ლენის ადგილზე, შენ ხარ ბელადი". ბოლის სახე გაუბრწყინდა, ჟორდანს კი მთლიანად მოეშვა ლოდი გულიდან ფეხზე წამოდგა, მსახურებს ღვინით სავსე თასის მოტანა უბრძანა და სადღეგრძელო წარმოთქვა: "ყინულოვანი ქვეყნის ახალ ბელადს ბოლს გაუმარჯოს, და როგორც ჩვენს ქვეყანაში ამბობენ: მეფე მოკვდა, მეფეს გაუმარჯოს!". ყველა ფეხზე წამოდგა, ბოლი გაოცებული შეჰყურებდა ჟორდანს, ისმოდა მილოცვები და იცლებოდა სასმისები, არავის ახსოვდა ლენი, ჟორდანმა დააგვირგვინა თავისი ჩანაფიქრი. სიხარულისგან გაბრუებული ბოლის თავი სიზმარში ეგონა. მას მთელი ღამე არ სძინებია იმაზე ფიქრში თუ როგორ დაესაკუთრებინა ლენის ადგილი. შიშობდა, რომ ამას ვერ შეძლებდა, რადგან ძალიან ბევრი მხედართმთავარი იყო ერთ ჯგუფად შეკრული და აი, ჟორდანმა მთელი მისი დარდი და საფიქრალი ერთ წამში გააქრო. ჟორდანი ჩამოჯდა მეფის ადგილზე და ბოლს მიმართა: "მითხარი ბოლ, ბელადს რა საჩუქარი სურს, თუ მეფით მოგმართო?" სახეგაბრწყინებულმა ბოლმა მიუგო: "რაც გაგიხარდებათ ის მიწოდეთ, საჩუქარი კი მე მაქვს თქვენთვის მოსართმევი დაგოს მეფეო". ბოლო სიტყვები ხმადაბლა წარმოთქვა, რათა ცოდიან მეომრებს არ გაეგონათ. ბოლი უაღრესად მადლიერი იყო ჟორდანის და არ იცოდა სამაგიერო როგორ გადაეხადა. მან ისევ მიმართა ჟორდანს: "მე აქ მცხოვრები არ ვარ ჟორდან, უნდა წავიდე, მაგრამ თუ დაგჭირდი ჩათვალე, რომ ლენი შენთვის ცოცხალია, რაც არ უნდა მთხოვო ყველაფერს შეგისრულებ". ჟორდანი უცებ ფეხზე წამოდგა და ბოლს მიუახლოვდა. ბოლმა თავი უხერხულად იგრძნო მოულოდნელობისგან. თვალცრემლიანი ჟორდანი გადაეხვია მას და ღრმა სინანულით მიუგო: "ახლა შენც მტოვებ, მტრები თავს რომ დამესხან რა უნდა ვქნა უთქვენოდ?"... ბოლი შეეცადა მის დაწყნარებას, გვერდით მჯდომ მხედარმთავარს უბრძანა ჟორდანისთვის ადგილი დაეთმო და ჟორდანი გვერდით დაისვა, ღვინო დაუსხა და სადღეგრძელო წარმოთქვა: "ეს ჩემი ქვეყანა არ არის, მე იქ მინდა ყოფნა, სადაც ჩემი ოჯახია. მერე რა რომ მივდივარ, ჯარს საკმაოდ დიდი რაოდენობით დაგიტოვებ, მეტი რა გინდა? გასაგებია, რომ არ გესმის შენ ომის ხელოვნება, მაგრამ არაფერია, გამოცდილ მხედართმთავარს დაგიტოვებ, შენ მხოლოდ უხელმძღვანელე"... ჟორდანი: "მე შენ გენდობი ბოლი და გიცნობ, რა კაციც ხარ, ხუმრობა გიყვარს, მაგრამ გვერდში დგომა

იცი". ჟორდანი თან ტიროდა, თან ნაზად იღიმოდა, მისი მსახიობური ტალანტი სიბოროტეში იხრჩობოდა და მხოლოდ ბოროტებას აშლევინებდა გამხმარ ფრთებს. ბოლი: "დამშვიდდი, ერთიც დალიე, ეს დაგაწყნარებს. რამდენიც გინდა იმდენ მეომარს დაგიტოვებ, არ ინერვიულო არაფერზე, მიგულე შენს ძმად"... ჟორდანი შინაგანად ხარობდა, მან იგრძნო გამარჯვება. ჟორდანი: "იმხელა საჩუქარი უნდა გაგიკეთო, რაც არასოდეს არ გაუკეთებიათ შენთვის და ვერც მომავალში ვერ გაგიკეთებენ". ნასიამოვნებმა ბოლმა ღვინო ჩამოასხა და ჟორდანთან ერთად ვახტანგურად დალია: "ჩემს ძმას გაუმარჯოს, ჟორდანს". ჟორდანმა თვალი გაუსწორა მას ამაყად და ცრემლიანი თვალებით წარმოთქვა: "ჩემს ძმას გაუმარჯოს". ქეიფი გაჩაღდა, მხედართმთავრები ხარებივით ეწაფებოდნენ გასნხვავებულ თასებს. ერთ-ერთი მათგანი, კარგი ნასვამ-ნაჭამი, ფეხზე წამოდგა და ჟორდანს მოწიწებით მიუგო: "ჩვენო ბატონო, ლაგოს მეფეო, მოგვიყევით როგორ ჩახოცეთ რაინდები, გთხოვ"... ბოლმა გადახედა მთავარმხედრებს, რომლებმაც მხარი აუბეს მთქმელს, დააკვირდა თავის დილამდე მყოფ კონკურენტებს და ბრძანებით მიუგო: "არავითარი ბატონი, მეფით მიმართავთ მას ყველა, ორი თქვენგანი კი აქ დარჩება და დაიცავს ლაგოს სახელმწიფოს". ყველა მხედარმთავარი ფეხზე წამოდგა ჟორდანის, როგორც მეფის სადღეგრძელოს შესასმელად. ჟორდანი მეფის ადგილზე გადაჯდა და თითოეულ მათგანს ყურადღებით ათვალიერებდა, გულში კი ფიქრობდა: ეს მხოლოდ დასაწყისია, თქვე მართლა ჩერჩეტო ვირებო! ყველანი ჩამოსხდნენ. ჟორდანმა თითი გაიშვირა, უბრალოდ, როგორც მათხოვრებს, წარმოთქვა: "რაინდების ამბავი ჩემს მარჯვენა ხელს, ნოზას ჰკითხეთ, თუ როგორ ჩაახრჩო ჭაობში ისინი და არწივი როგორ ჩამოაგდო ციდან, მოგიყვებათ". ამ სიტყვებით მან ნოზას გახედა და უთხრა: "იმ ღლაპზეც მოუყევი, ბააგრაზე". ამის გაგონებაზე იდიმ თავი ვერ შეიკავა, წამოხტა სკამიდან და იყვირა სიხარულით: "ჩახოცეთ??" ჟორდანს გაეცინა და ბოლს გახედა: "ჩემი სისხლი და ხორცია, სძულს რაინდები"... ბოლი: "თუ ისურვებს თან წავიყვან გავწვრთნი". ჟორდანი: "მადლობა ძმაო ყურადღებისთვის". მერე იდის გახედა და უთხრა: "კი არ ჩავხოცეთ, ჩავახრჩვეთ, ჩავახრჩვეთ ჩემო ბიჭო"... იგი საკმაოდ შეთვრა, ერთდროულად ყველას ელაპარაკებოდა გაურკვევალად. იდი ყურადღებით უსმენდა ნოზას და მის სახეზე ზიზღით დაკმაყოფილებული ღორის გამოხედვა აღბეჭდილიყო. ცოტა ხნის შემდეგ კი სიამყით წამოდგა, მამასთან მივიდა და უთხრა: "მამა, მეგობრებთან მინდა

მივიდე და ყველაფერი ვუამბო"... მთვრალი ჟორდანი იდის ორად ხედავდა, თითი გაიშვირა მისკენ და წამოილუღლუღა: " ის ერთი მე ვარ მგონი და მეორე შენ ხომ პრინცო?". ბოლიმ იდის მიუგო: "წადი იდი, მამაშენი შეთვრა. თუ გინდა მეომრებიც გაიყოლე, ქალაქში ათასი ნასვამი დადის". იდი: "გმადლობთ ბელადო მეფეებისა"... ბოლს ძალზე ესიამოვნა იდის ფარისევლობა, თავი დაახრევინა და შუბლზე ეამბორა როგორც შვილს.. ბოლი: "წადი და ჩემი სახელით, სადაც გესიამოვნება იქ წაიყვანე მეომრები, დახოცე ვინც გინდა"... იდი ამ სიტყვებმა უზომოდ გაახარა, ჟორდანი რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის. ბოლის სკამის საზურგეს გადააწვა და მსახურებს უყვირა მისთვის ღვინო დაესხათ. იდი ბედნიერი გარბოდა სასახლის დერეფანში. ჟორდანი შეწუხდა და ფეხარეული აივანზე გავიდა, დებო მშვიდად იჯდა და საუბარს ყურს უგდებდა, ფორესტი ჟორდანს აკვირდებოდა და მასთან მისვლა გადაწყვიტა. სუფრაზე ჭამა-სმა და სიცილ-ხარხარი გრძელდებოდა. ვისღა ახსოვდა საწყალი ლენი. ჟორდანს სასმლისგან ტვინი ერეოდა, სიხარულით გასცქეროდა ქალაქს თავისთვის იცინოდა. ფორესტი მას მიუახლოვდა, "მეფემ" უმალ თავი შემოატრიალა და ჰკითხა: "ექიმო, ექიმო როგორ ბრძანდებით, როგორ?" წამოიძახა ქედმაღლურად... ფორესტი არ დაბნეულა, პირიქით, ძლიერად იდგა მის წინ. ფორესტი: "კარგად მეფეო, კარგად"... ჟორდანი: "თქვენზე მსმენია უნიჭიერესი ექიმი ბრძანდებით"... ფორესტი: "ადამიანი ყოველთვის ამატებს ან აკლებს, სიმართლეს მაინც ვერ წვდება". ჟორდანს გაეცინა ხელი მხარზე დაადო ექიმს, თავს ძლივს იკავებდა, სასმელი მოსძალებოდა. ჟორდანი: "ექიმო, რას იზამთ, დარჩებით ჩვენს ქვეყანაში თუ ბელადს გაყვებით?". ფორესტი: "თუ ნებას დამრთავთ მეფეო"... ჟორდანი ჩაფიქრდა, თითქოს გამოფხიზლდა, ექიმს დააკვირდა და ჩაფიქრებულად მიუგო: "ვფიქრობ, ერთი მტერი მოვიშორეთ და გამოდის, რომ მოკავშირენი ვართ, დარჩით ექიმო, დარჩით, მგონი კარგად გავუგებთ ერთმანეთს"... ამ სიტყვებით მან ექიმს მხარზე მოუთათუნა ხელი, როგორც პატარა ბიჭს, მაგრამ ფორესტმა ეს შეურაცხყოფა არ შეიმჩნია: "მეფეო, ექიმს მე ვაკვრევინე თავი ციხეში, ის მე ცოცხალი მჭირდება". ჩაფიქრებული ჟორდანი თვალს არ აშორებდა: "კარგი, მაშინ თქვენ გამოიყვანეთ ვინმე სხვა მისი მსგავსი და მეომრებს მიუგდეთ, ვერც მოასწრებენ გარჩევას და ცნობას, ისე გაატყავებენ. მე კი ბრძანებას გავცემ მეომრებს ღვინო მიართვან. ახალი ბელადის საპატივცემულოდ, როცა შეთვრებიან, მათთვის ექიმი და ავადმყოფი უკვე

სულერთი იქნება". ჟორდანი თავის სიტყვებზე ახარხარდა. "ჩვენ მართლა გავუგებთ ერთმანეთს მეფეო". აივანზე შუბოსანი მეომარი გამოჩნდა და ჟორდანის წინ დადგა: "ბოდიშს ვიხდი შეწუხებისთვის"... "რა მოხდა?". "მშვიდობაა, ექიმ ფორესტთან მაქვს შეტყობინება". ჟორდანმა ხელი ექიმისკენ გაიშვირა და თქვა: "თქვი!". ფორესტი: "გისმენთ, ბრძანეთ". "ექიმო, ტყეში რომ ასეული დატოვეთ, გუშინ საღამოს დაბრუნდნენ, არ შეგაწუხეს ბატონო და ასეულის მთავარი გელოდებათ სასახლის შემოსასვლელში". "უთხარით, აქ მოვიდეს"... მეომარმა თავი დაუკრა მათ, მშვიდად შეტრიალდა და გასასვლელისკენ გაემართა. ექიმს იმედი მიეცა, ჟორდანი კი გაკვირვებული იდგა: "რა ხდება ექიმო?" ფორესტმა მშვიდად მიუგო: "ახლავე ყველაფერს გაიგებთ, მოვიდეს მეომარი". რამდენიმე წუთში ასეულის მეთაურიც გამოჩნდა და ფორესტს მიუახლოვდა. ექიმმა უცებ იკითხა: "ყველაფერი კარგადაა?". "დიახ, ექიმო". ფორესტმა ისევ არ აცალა თქმა: "მოყევი მალე რა ხდება?" ჟორდანი ყურადღებით უსმენდა მათ, თან ღვინოს შეექცეოდა. "როგორც კი მოსაღამოვდა კოცონი დავანთეთ, ორ-ორ ათეულებად ვიყავით გაყოფილნი. შუაღამისას ერთ-ერთმა მეომარმა ხელი მკრა და თითი ჩაბნელებული ტყისაკენ გაიშვირა, აშკარად ჩირაღდნის შუქი მოჩანდა, შორს ამოძრავდა მცირე მანძილზე და იმავე ადგილს დაუბრუნდა, იქ რამდენიმე წამი იდგა და შუქიც გაქრა. მეომრები გავაფრთხილე, რომ არ განძრეულიყვნენ, მე კი შორიდან მოვიარე და მარტო მივედი იმ ადგილას, მეომრებს ვუბრძანე ცეცხლში შეშა დიდი რაოდენობით შეეყარათ. დიდხანს არ მიწვალია, მიწაზე კარები ვიპოვე, ხის ტოტებით და ფოთლებით იყო ნაწილობრივ დაფარული და როგორც თქვენ მიბრძანეთ ისე მოვიქეცი, უკან დავბრუნდი და თქვენ წინაშე ვდგავარ. რას მიბრძანებთ?" ფორესტს ეს ამბავი ძალიან გაუხარდა: "ადგილს ხომ მიაგნებ?" თვალდახუჭული ექიმო - უპასუხა მეომარმა. "ძალიან კარგი, ახლა წადი და მე თვითონ გნახავ". "გმადლობთ ექიმო". ამ სიტყვებით აივანს მოშორდა. ჟორდანი იცინოდა: "რა არის ექიმო, თქვენ, ექიმების და ჯადოქრების გარდა არაფერი გაინტერესებთ"... "ის ბევრის მცოდნეა და აუცილებლად დამჭირდება". "მასთან სიფრთხილეს გირჩევთ, ერთი ქედმაღლობა, ერთი შეცდომით ნათქვამი სიტყვა და მისგან ვერაფერს მიიღებთ, რა თქმა უნდა ცოცხალი თუ დაგტოვათ"... ჟორდანი ისე იცინოდა, რომ ეზოში მყოფებმა ყურადღება აივნისკენ გადმოიტანეს "არაფერია, მოვუბამ მე მას ენას, ახლა კი წავალ, მეფეო თქვენი ნებართვით, მეომრებისთვის ღვინის ამბავს

მივხედავ!"... ჟორდანი შეჰყურებდა მას და სიცილს ვერ იკავებდა. "მიხედეთ ექიმო, მთავარია სასმელი იყოს მეტი, ვიდრე საკვები". "მოხარული ვარ მეფეო ერთმანეთს რომ გავუგეთ მოხარული", ჟორდანმა თითით ანიშნა, რომ თავი ახლოს მოეწია და ყურში ჩასჩურჩულა: "ვინც ვერ გამიგებს, ლენს გაყვება, რა თქმა უნდა თქვენი და თქვენი ექიმ-ჯადოქრების დახმარებით". "მე მარად თქვენს სამსახურში ვიქნები". უპასუხა ჟორდანმა სიცილი შეწყვიტა და თქვა: ჰო და მიხედე ახლა შენს საქმეს. ჟორდანმა ამაყად მოავლო თვალი არემარეს, მისი შიში სადღაც გამქრალიყო თითქოს, მაგრამ სადღაც, მალულად მაინც ბინადრობდა მასში. დებო ყურადღებით დააკვირდა დარბაზში შემოსულ ექიმს, თვალი გაუსწორა და ღიმილით იკითხა, პასუხიც იგივე აღმოჩნდა ქალიც სრულად დამშვიდდა. ამ დროისთვის იდი ბოზასთან გახარებული ხარხარით საუბრობდა. ყველა მხედართმთავარი კმაყოფილი იყო, ისე უბრალოდ დაკარგეს შანსი ბელადობის, რომ ერთმანეთისგან მალავდნენ ბრაზს და სიმწარეს, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჟორდანის მეოხებით დაიმსახურეს.

ამ დროისთვის ციხის სარდაფში იგივე სიტუაცია იყო, განსხვავება იმაში მდგომარეობდა მარტო, რომ გადარჩეული პატიმრები იქ არ იმყოფებოდნენ, მათ შორის არც ფრენკი. ვინსენტი და ექიმი ფრენკზე ღელავდნენ, მასზე საუბრობდნენ, თან ექიმი ვინსენტის იარებს შეხებით ამოწმებდა. უეცრად სარდაფის ჭერზე კარი გაიღო, კიბეზე რამდენიმე ადამიანი დაეშვა. ჩირაღდნებით ხელში და საძაგელი ყვირილით: "როგორ ხართ ღორებო, გიხარიათ სიკვდილით დასჯა რომ აკრძალეს, აგერ ცოცხალი სიკვდილი მოვიდა". ბოროტი და დამცინავი სიტყვების მოსმენა დაცემულთათვის ძნელი მოსასმენი იყო. ვინსენტი წამოჯდა და კედელს მიეყრდნო. ექიმს უთხრა: "ექიმო, თქვენ ცოტა იქით გაიწიეთ, გთხოვთ"... ექიმს ტანში ჟრუანტელმა გაუარა და განზე გადგა, ხელები მუხლებზე შემოიხვია და დაძაბული ელოდა ვინსენტთან მომავალ სტუმრებს. მისი გული ხან საშინლად ძგერდა, ხან კი თითქოს ჩერდებოდა, ნერვიულობისგან პირი უშრებოდა. ნერწყვი ყელში ეჩხირებოდა და ხელები უბუჟდებოდა. ვინსენტი კი თავისუფლად, აუღელვებლად ელოდა მოახლოებას ცემის, ლანძღვისა, დამცირებისა, ის მიეჩვია ამ ყველაფერს. სარდაფის კარი ღია იყო და მეტ-ნაკლებად შეიძლებოდა სტუმრების გარჩევა, იდი, ბოზა და მათი მეგობრები მოსულიყვნენ... თითოეული პატიმრის ყურადღება მოსულთა და ვინსენტისკენ იყო მიმართული, ისინი ფიქრობდნენ,

რომ ვინსენტი ამას ვეღარ გაუძლებდა. კედელს მიყრდნობოდა, გადატეხილი თითები ქვაზე დაელაგებინა და თვალს არ აშორებდა იდის, ის მიუახლოვდა ტუსაღს, ჩირაღდანი სახესთან მიუნათა და ფეხი მძლავრად ჩაარტყა მკერდში. იდის ბოზამაც მიბაძა. წაქცეულს გამალებით ურტყამდენენ, აფურთხებდნენ და უყვიროდნენ: "ჩაიხრჩვნენ რაინდები ჭაობში, მამაშენიც ჩაიხრჩო, გესმის? ჩაიხჩო!" ბააგრა ცხოველებმა დაგლიჯეს და ის თქვენი არწივი კი მიწაზე უსულოდ დაეცა. ბოზა აღარ ურტყამდა, ის მხოლოდ აფურთხებდა ზიზღით. ექიმი დადუმებული იჯდა, მას მთელი არსებით "ბატონი შიში" დაუფლებოდა. შიში იმისა, რომ ვინსენტი არ დაცემულიყო, არ გაეცა პასუხი. მან იცოდა, რომ ვინსენტის ერთი შეურაცხმყოფელი სიტყვაც კი სიკვდილს უდრიდა. გულწასული ვინსენტის გამოსაფხიზლებლად წელზე ჩირაღდანს ადებდნენ და ცემას აგრძელებდნენ, მეგობრები კი განზე იდგნენ და სანახაობით ერთობოდნენ. ექიმს ლამის გული წასვლოდა ამის შემყურეს, წამოწვა და ფიქრებში ევედრებოდა: "ვინსენტ გთხოვ, უბრალოდ თქვი თივა, ცხენები, გთხოვ, ვინსენტ, გთხოვ, გემუდარები, მხოლოდ ერთი სიტყვა, თივა... თივა"... ვინსენტის გონებაში ბააგრას ბავშვობა წარმოისახა, მან თვალები დახუჭა, მის წინ ბააგრა იდგა, პატარა მომღიმარი სახით, სქელი წარბებით და ვინსენტს ტკბილეულს აწვდიდა. აკანკალდა, მთელი სხეული სიხარულისგან უცახცახებდა. მას ბააგრას ხმა მოესმა: "ვინსენტ მე ცოცხალი ვარ!" ვინსენტმა თვალები გაახილა, მაგრამ ბოზას ნერწყვი მოხვდა უმალ, ბოზამ ისევ ჩააფურთხა, ვინსეტმა კი გაბრუებულ-გაკვირვებული ხმით, ისე თითქოს აქაც არაფერი მომხდარა, წარმოთქვა: "თივა მომიტანეთ?" იდი გაჩერდა და ბოზასაც ანიშნა გაჩერებულიყო, გაკვირვებულმა დახედა ვინსენტის თვალებს, რომლებიც სისხლის ზღვაში ცურავდა. ექიმს ვინსენტის სიტყვები არ გაუგია, ფიქრებს აგრძელებდა ისევ. ვინსენტს ევედრებოდა... იდიმ ჩირაღდანი სახესთან მიუნათა ვინსენტს და გაოგნებულმა იკითხა: "რაა?" მან ფეხით ამოატრიალა, ზურგზე დაეცა, სახიდან ჩამოსულ სისხლის წვეთებს ჩირაღდანი უშრობდა. იდიმ ისევ გაიმეორა კითხვა: "რა თქვი? ვერ გავიგე".. ფეხით შეანჯღრია ნაგვები ბურანში ძლივს ხედავდა მას. ისევ წამოილუღლუღა: "თივა არ მოიტანეთ, თივა?" იდიმ ამის გაგონებაზე წიხლი ჩაარტყა, ბოზამ კი ჩააფურთხა: "რა თივა, რას ამბობ, შე საქონელო რას?". "გაეცი პასუხი საქონელო". ბოზამაც ფეხი ჩაარტყა. ვინსენტმა სისხლი ამოაფურთხა. იდი გამწარებული იყო, სახეში ურტყამდა და ჰკიოდა. გამეცი პასუხი, მოგკლავ! ისევ გაისმა

მშვიდი, დაწყნარებული, აუღელვებლი ხმა; "თივა ჩემი ცხენებისთვის, თივა"... იდი გონს ვერ მოსულიყო რა ხდებოდა: "რა ცხენები, რა თივა?!". ბოზა ჩაიცუცქა ვინსენტის თავთან, ჩახედა თვალებში, დამცინავად გაუღიმა და ზიზღით მიუგო: "თივა გინდა ცხნებისთვის?" ვინსენტმა თვალები ძლივს გადმოატრიალა მისკენ, გაუღიმა და უთხრა: "ხო, თივა ჩემი ცხნებისთვის". ამ სიტყვებზე ბოზას სიცილი აუვარდა, ფეხზე წამოდგა და მიუგო: "კი, კი თივა მოვიტანეთ, გვანახე ცხენები სადაა, სად?". ვინსენტმა ხელი ოდნავ აწია და მოპირდაპირ კედლისკენ გაიშვირა. ბოზამ გაიხედა, იდიმ კი ჩირაღდანი მიანათა, კედელთან შეშინებული პატიმრები იდგნენ და თვალებს ხელით იფარავნდნენ. ვინსენტმა იგრძნო, მათი გონება მის ხელთ იყო... ბოზა შემოუტრიალდა ვინსენტს, იდის თვალი ჩუკრა და დამცინავად მიუგო: "ეს ცხენები საიდან მოიპარე ვინსენტ?" ვინსენტის ხმა უმალ გაისმა, დაუფიქრებლად: "არა, არა, თვითონ დამყვებიან უკან, ვერ მოვიშორე ვერა". ბოზამ სიცილით გახედა იდის და თქვა: "ეს მემგონი"... და ამ სიტყვებით თითი საფეთქელთან მიიტანა, თვალები მაღლა ასწია და დაუსტვინა... "მემგონი ზედმეტი მოგვივიდა?" იდიმ შიშისგან უკან დაიხია, ვინსენტი კი თავისთვის ბუტბუტებდა: "ჩემი ცხენები მშივრები არიან, მშივრები, ხო წყალიც მომიტანეთ, ახლა გამახსენდა, წყალიც მინდა"... ამ დროს კიბეებზე ბადრაგი გამოჩნდა, იქ მყოფთ მიუახლოვდა და თქვა: "რაო? თივას ითხოვს ცხენებისთვის?"... იდი შეშინებული სახით იდგა და გაღიზიანებულმა მიუგო: "შენ რა იცი რას ითხოვს?" ბადრაგი: "ხშირად ყვირის თივა მომიტანეთო ცხენებისთვის""... იდი დაინტერესდა უფრო. ბადრაგი საუბრობდა, ბოლოს კი თქვა: "გასულელდა ვერ ხედავთ, ნამდვილი გიჟია, გიჟი, ფრთხილად იყავით, თითი კი არა ხორხი არ გამოგიღოთ. გიჟია და ვინ იცის თავში რა უტრიალებს"... ბოზა მიუახლოვდა ვინსენტს თავში ჩირაღდნის ტარი ჩაარტყა და ირონიულად მიუგო: "თივა დავუყარეთ შენს ცხენებს, ახლა წყალს მოვუტანთ გესმის?"... "გმადლობთ გმადლობთ. ერთ ცხენს გაჩუქებთ თუ გინდათ". ბოზამ გარეგნულად კი სერიოზულად მიუგო: "ჩვენ ორი გვინდა, მოგვცემ?". "მოგცემთ ორს, ოღონდ მეტი არ მთხოვოთ იცოდე, მეტს ვერ მიიღებთ"... ბოზა წამოდგა, იდის მიუახლოვდა და ჩაულაპარაკა: "ხომ ვთქვი ზედმეტი მოგვივიდა მეთქი, წამო, ორი ცხენი გვაჩუქა, წავიყვანოთ". ბოზამ ზურგზე ხელი დაჰკრა იდის და კიბეებისკენ გაეშურნენ. იდის ძალზე ეშინოდა გიჟების და ცდილობდა წინ წასულიყო, თან უკან-უკან იხედებოდა. გონს მოსული ექიმი სიხარულით შეჰყურებდა ვინსენტს და

ერთი სული ჰქონდა კარები როდის დაიხურებოდა, რომ მასთან მიახლოებულიყო. სისხლის გუბეში მწოლიარე ვინსენტს თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით სდიოდა.

ბოზა მხიარულად ესაუბრებოდა ბადრაგებს, სხვები კი ღიმილით მიჰყვებოდნენ უკან, იდიმ ყველას გაასწრო წინ და პირდაპირ გასასვლელისკენ გაეშურა, რომ მალე გასცლოდა იქაურობას. სარდაფის კარი დაიკეტა და ექიმიც ვინსენტისკენ გახოხდა. ვიღაცის ფეხებს წააწყდა და იკითხა: ვინსენტ, შენ ხარ? მოისმა ცრემლნარევი, ჩუმი ხმა: "მე ვარ ექიმო". ექიმი მიუახლოვდა ვინსენტს და სიბრალულით სავსე ხმით ჰკითხა: "ხომ არ გადაგტეხეს ძვლებში ცჩემო ჭკვიანო ბიჭო?"... ვინსენტი ცრემლს ვერ იკავებდა. შეშფოთებულმა ექიმმა იკითხა: "რა გატირებს, გტკივა რამე? "მრცხენია, ექიმო, მრცხვენია". ექიმს ცრემლებამდე გულს უთუთქავდა ვინსენტის მდგომარეობა. ცდილობდა სახიდან სისხლი მოეწმინდა, თან ამშვიდებდა: "კარგია რომ გრცხვენია, ეს ღირსებაა, როცა ღირსება შორდება ადამიანს, მასთან ერთად სირცხვილიც ქრება. შენ ღირსეული ადამიანი ხარ ვინსენტ". ცემისგან ისე დაუძლურებულიყო, რომ ცდილობდა დაეძინა, ექიმი მას ჩუმად ესაუბრებოდა, როგორც ბავშვს: "კარგია, კარგად ჩაიარა პირველმა შერკინებამ, შენ მოიგე, მეორე უფრო გაგიადვილდება და შემდეგ გაერთობით ამ უტვინოების გონების კონტროლით. გამაგრდი, არ იტირო, თამაში გრძელდება, მასში ბოლომდე უნდა შეხვიდე"... ვინსეტნმა მადლიერების ნიშნად ექიმის ხელები ტუჩებთან მიიტანა და ემთხვია. ექიმმა ღრმად ამოისუნთქა. მამა-შვილურად მიუგო: "აი, ნახავ, ჩვენ გავიმარჯვებთ, მე ამას ყველაფრით ვგრძნობ". ვინსენტმა წყნარად, აუჩქარებლად წარმოთქვა: "ბააგრა მომელანდა, ის რომ არა ხმას ვერ ამოვიღებდი". ექიმი: "ბააგრა მკვდარი რომ ყოფილიყო აქ მოიყვანდნენ". "ბააგრა ცოცხალია!" ექიმს სიბრალულისგან გული ეფერფლებოდა. ვინსენტის ჭრილობებს საგულდაგულოდ უვლიდა. უცებ ჭერზე კარი ისევ გაიღო, ვიღაცეები ჩამოდიოდნენ. მაგრამ ექიმი მიხვდა იდი და მისი მეგობრები რომ არ იყვნენ და დამშვიდდა. ერთ-ერთი სტუმართაგანი ექიმი ფორესტი იყო, რომელიც ვიღაც პატიმართან გაჩერდა, კარგად დააკვირდა და გვერდით მდგომს მიუგო: "მიდი, ყველა პატიმარი დაათვალიერე და ამის მსგავსს თუ ნახავ, შემატყობინე". როგორც კი მოშორდა ის ადამიანი ფორესტს, პატიმარს როგორც მგელს, ისე ეცა და დაძონძილი ტანსაცმელი შემოახია, შემდეგ უკან დაიხია, ის ექიმს ეძებდა. ეს ძონძები ექიმს დაუყარა წინ და უთხრა: "მალე ექიმო, შენი სამოსი გაიხადე". ექიმი დაიბნა, მაგრამ

სამოსი გაიხადა, ფორესტი სწვდა მას, ჩირაღდანი ძირს დააგდო და ექიმის ტანსაცმელი პატიმარს ჩააცვა. სახეში დაუწყო ცემა, რათა სხვას ვერ ეცნო. ყვირილზე ფორესტთან მყოფი მოვიდა და იკითხა რა ხდებოდა. ფორესტმა უპასუხა: "ამას ვეძებდი, დასუსტებულა თურმე". პატიმარი სახეს იწმენდდა, ექიმმა კი ჩირაღდანი სახესთან მიუტანა და ვითომ გაოცებულმა ჩაილაპარაკა: "ეს როგორ ვერ ვიცანი?" შემდეგ კი ჩირაღდნით სახე დაუწვა. ატყდა ისევ ვაივიში, პატიმარი გონს ვერ მოსულიყო ამ ყველაფრის გამო. ბადრაგებმა ის ზემოთ აათრიეს, ფორესტი კი ექიმთან მივიდა: "ფეხზე დადექი!" დაბნეული ექიმი ფეხზე წამოდგა. "ასახსნელად დრო არ მაქვს, ლენის სიკვდილი თქვენ დაგაბრალეს. ახლა რომ პატიმარი გაათრიეს, თქვენს მაგივრად უნდა მიუგდონ ცოფიან მეომრებს. იმედი მაქვს ვერავინ გაარჩევს ვინ არის მათ წინ. თქვენი გაჩერება კი აქ აღარ შეიძლება, საგიჟეთში გადაგიყვანენ. ჩვენ ორივენი ექიმები ვართ და ამიტომ გშველით, დღეიდან ჩემთან ვალში ხართ და აქედან რომ წაგიყვანენ ვალზე მერე ვისაუბროთ". "არ ვიცი რა გითხრათ". იყო პასუხი. ფორესტი: "ჩემს ცოდნას შენიც უნდა დაემატოს, თუ არ დამეხმარები, მოგკლავენ". ფორესტი კიბეებისკენ გაემართა. ექიმი უკან დაედევნა: "თანახმა ვარ, მაგრამ ერთი რაღაც უნდა გთხოვოთ"... "რა გინდა სწრაფად თქვი". "აქ ერთი პატარა ბიჭია, ჩემს ხელშია გაზრდილი, მეშინია ტვინი არ აერიოს და გთხოვთ ისიც ჩემთან ერთად წამოიყანეთ საავადმყოფოში". ფორესტს გაეცინა: "ხედავ, ვალს ვალი ემატება, გაგიძნელდებათ გადახდა". ექიმმა დაუყოვნებლად უპასუხა: "ყველაფერს გადმოგცემთ რაც ვიცი, თან დაგეხმარებით ბატონო ფორესტ". ფორესტი გაჩერდა, პირი დააღო, ენა პირში დაატრიალა და მკაცრად მიუგო: "ხომ გითხარით მეც ექიმი ვარ!" ექიმი გაშრა: "ბოდიშს გიხდით ბატონო ფორესტ". ფორესტიც დაკმაყოფილდა. "კარგი, იმასაც გადაიყვანენ და ვიცი, რომ ის რაინდის შვილია". ამ სიტყვებით ისე კიბეებისკენ წავიდა, ექიმმა შვებით ამოისუნთქა, მას უნდოდა ეთქვა, რომ ვინსენტი მისი დისშვილი იყო, მაგრამ რაღაცამ გააჩერა, ვერ მიხდა რა იყო ეს. ვინსენტის სიკვდილს ვერ გადაიტანდა, ფორესტი კი მას სარდაფში დატოვებდა. კარები ჩაირაზა, ექიმს ოფლმა დაასხა, ვინსენტთან მივიდა, ნერვიულობდა. "რა ხდება ექიმო?" "მაცადე ამოვისუნთქო, ყველაფერი კარგად მიდის". ეს ყველაფერი ისე მალე მოხდა, ექიმი ჯერაც ვერ მოსულიყო აზრზე, დაბნეული და ჩაფიქრებული ვინსეტის გვერდით იჯდა, ისიც მოუთმენლად ელოდა ექიმის სიტყვას. სარდაფში იგივე ღმუილი, კვნესა და

აყროლებული სუნი იდგა, რასაც ვეღარავინ გრძნობდა. ფორესტიც ჩაფიქრებული ტოვებდა იქაურობას: "ესეც ასე, ერთი ექიმიც ყულაბაში მყავს, რად უნდა ნეტავ ის რაინდის შვილი? ყავდეს! მივართმევ ჩემს წამლებს და იქნება ავადმყოფი საავადმყოფოში". ამ სიტყვებზე მას გაეცინა და გახედა პატიმარს, რომელსაც სახე საკმაოდ დაწვოდა. ბრძანებით მიმართა მხლებელთ: "აგერ დესერტი ჩვენი მეომრებისთვის, მოაბით ფეხებზე ბაწარი და ისე მიუყვანეთ ეს საქონელი ექიმი მეომრებს, ლენის მეომრებს". პატიმრის გაოგნებას საზღვარი არ ჰქონდა და ხმასაც ვერ იღებდა.

ექიმი ფიქრებისგან გამოერკვია, ვინსენტის თავი მუხლებზე დაიდო და ჰკითხა: "გესმის ჩემი ვინსენტ". პასუხმაც არ დააყოვნა: "დიახ, ექიმო". "არ მჯერა რაც ხდება. ახლა ვისაც ველაპარაკე, ის ცოფიანი მეომრების მთავარი ექიმია. მე და შენ საგიჟეთში გადაგვიყვანენ... ჰო... მართლა, ყველა დაიჯერებს, რომ შენ გაგიჟდი"... ვინსენტი შეწუხდა. ექიმმა ჰკითხა: "რა არის ვინსენტ?". "თქვენმა სიტყვებმა გულზე ლოდი დამადო, ვერანაირ ტკივილს ვერ ვგრძნობ". ექიმი თავზე ეალერსებოდა და საუბარს განაგრძობდა: "ტკივილმა არ უნდა გაჯობოს, ის უნდა იგრძნო, მკვდარი ვერ გრძნობს ტკივილს, შენ ახლა იქ ხარ, ჭკუაზე ხარ გადასული და მარტო რომ დარჩები საკუთარ მესთან, დაუბრუნდი თავს და ტკივილით იხარე, რადგან ცოცხალი ხარ, გესმის პატარავ?". "გავიგე ექიმო, ახლა ვგრძნობ ტკივილს, მაგრამ სირცხვილი მაინც არ მშორდება, რა ვქნა?". "დინებას მიჰყევი, ის მიგიყვანს ადგილამდე. ფიქრებს არ ეჭიდავო, უბრალოდ პასუხი გაეცი, ყველაფერი კარგად მიდის, მეორე ფეხმა თავისთავად გადადგა ნაბიჯი, დიდ და საშიშ თამაშში ხარ შესული და ფხიზლად უნდა იყო, არ დაგავიწყდეს არ მოგატყუოს ფიქრებმა და არ დაგაგდოს. საავადმყოფოში კი მე მოგხედავ". ვინსენტმა მწუხარედ მიუგო: "ექიმო, ჩემს თავთან მარტო მინდა დავრჩე". ექიმი დადუმდა. ფიქრებს მიეცა.

ფორესტმა მიათრია პატიმარი მთვრალ, უგონო მდგომარეობაში მყოფ მეომრებთან, რომლებიც დიდი კოცონის ირგვლივ ქეიფობდნენ და ღრეობდნენ. ფორესტმა ყვირილით წამოიძახა: "გილოცავთ ახალი ბელადის ბოლის არჩევას"... ატყდა სიხარულის ყიჟინა. ფორესმა პატიმარს ქეჩოში ჩაავლო ხელი, მაღლა წამოსწია და დაიძახა: "უყურეთ ამას! ამან ჩემი წოდება შეარცხვინა, ექიმის წოდება და ამავდროულად ლენის სიკვდილში

ედება ბრალი". დასრულებისთანავე პატიმარი მეომრებს მიუგდო. მეომრები საწყალ პატიმარს წიხლებით შესდგნენ, მახვილიც იშიშვლეს. ფორესტმა შორს წასვლაც ვერ მოასწრო. პატიმარი უკვე შუბზე ჰყავდათ წამოცმული... აფორიაქებული ასეულის მთავარ მხედარს დაეძებდა, ბოლოს ერთ-ერთ დუქანში მიაგნო, ძალზე ნასვამი იყო და ტყეში წასვლაზე უარს ამბობდა. ფორესტი გამწარდა. დუქანი სავსე იყო მეომრებით, ყვირილი, ჩხუბი, აყალ-მაყალი არ აკლდა იქაურობას. მას ექიმის ყვირილიც დაემატა, მთავარ მხედარს კი სკამიდან ადგომის თავიც არ ჰქონდა. "გაჩუმდით, არ გამაგიჟოთ!!!" დუქანში მყოფნი გაჩუმდნენ, ზოგიერთს ყურადღებაც არ მიუქცევიათ... ფორესტმა ერთ-ერთი მაგიდისკენ გაიხედა. მოღრეცილი სახით იქითკენ გაემართა, მისვლისთანავე ერთ-ერთ მათგანი სკამიდან ჩამოაგდო, ზედაც არ შეხედა და ცალი ფეხი სკამზე შემოდო, მეორეთი მაგიდაზე ავიდა და იყვირა: "რა არის, არ ესმით აქ ჩემი?!!" ფორესტი გაჩუმდა წამით, თვალი მოავლო იქაურობას და ყურადღება იმ მაგიდისკენ მიაპყრო, რომელიც კვლავ თავის სტიქიაში იმყოფებოდა. ექიმმა ახლა დაუყვირა: "ეი, თქვენ, ღორებო, ეს მე ვთხოვე ბოლოს, რომ ღვინით პატივი ეცა თქვენთვის, მადლობას ასე მიხდით?". ფორესტი პასუხს არავისგან ელოდა, მაგიდიდან ჩამოვიდა, მივიდა მთვრალ მეთაურთან თითის ჩვენებით მიუგო: "აბრძანდით და წამობრძანდით!". შემდეგ ზურგი შეაქცია და გასასვლელისკენ გაეშურა. ასმეთაური ბანცალით გაჰყვა უკან, მოქეიფეებს უთხრა: "გააგრძელეთ თქვე... მე დიდ და უღრან ტყეში მივდივარ საომრად". ფორესტი ამ დროს ცხენზე ამხედრებულიყო და მას ელოდა. მიუახლოვდა ექიმის ცხენს ფეხარევით, მიეფერა და ჩაილაპარაკა. "ხომ ვთქვი თვალდახუჭული მივაგნებ - მეთქი, ხო და მივაგნებ". ამ დროს ის წაიქცა... ცოტა ხნის შემდეგ ფორესტი, ოთხ მეომართან ერთად, იმ ადგილას იმყოფებოდა, სადაც ჯადოქარი ცხოვრობდა. ასმეთაურიც ოდნავ გამოფხიზლებულიყო... თვალების ცეცებით გზას იკვლევდა. სიბრაზისგან აწითლებული ფორესტი ცდილობდა თავი შეეკავებინა. მაინც მკაცრად ესაუბრებოდა: "არ იჩქაროთ, ყველაფერს კარგად დააკვირდით". მეომარი იმედიანად იყო: "გთხოვთ, ხელს ნუ მიშლით, მე ვიცი ჩემი საქმე, ახლოს ვართ". ფორესტი დუმილით მიჰყვებოდა ტყეში, სადაც მთვარის შუქიც ვერ აღწევდა, მაგრამ გზას რამდენიმე ჩირაღდანი უნათებდა. ნასვამი მეომარი ერთ ადგილას გაჩერდა, ფეხით ფოთლები და ხის ტოტები გადასწია და ფორესტს ჩუმად მიუგო: "აგერაა ბატონო". ფორესტი წამში იქ გაჩნდა, მან

დაინახა კარი სახელურის გარეშე, მხოლოდ ორი თითის ზომაზე იყო პატარა ჭრილი, რითაც შეიძლებოდა მისი გაღება. ფორესტმა მეომრებს გადახედა და უბრძანა: "ჩირაღდნები ჩააქრეთ და აქედან გადით, შორიახლოს დამელოდეთ და რაც არ უნდა მოხდეს არ იმოძრაოთ, სანამ მე არ გიბრძანებთ. ახლა ეს კარი გავხსნათ, მე ჩუმად ჩირაღდნით ჩავალ, თქვენ კი უხმაუროდ ისევ დააფარეთ"... მეომარმა სიტყვა შეაწყვეტინა: "ექიმო, ისე ოსტატურად იყო მოყრილი ფოთლები და ხის ტოტები, ვფიქრობ თვითონ აქ არ უნდა იყოს, თავისით ხომ არ მოეყრებოდა ეს ყველაფერი?".. "დიახ, მართალი ხარ"... - მიუგო ფორესტმა... "თქვენც ზუსტად ასე მიმოფანტეთ როცა კარს დახურავთ, ყურადღებით იყავით, სხვამ არ გაიაროს აქ. ახლა კი ასწიეთ კარები"... კარები გახსნეს, თუ არა, ნესტის სუნი ამოვარდა, ფორესტმა ჩირაღდნით ფრთხილად ჩაიარა ათიოდე საფეხური. შემდეგ დერეფანი იწყებოდა, რომელიც მარჯვნივ უხვევდა. უცნაური გრძნობა დაუფლებოდა. დერეფნის ბოლოში გაჩერდა ოფლი ასხამდა, ნერვიულობდა. მარჯვნივ ისევ გრძელდებოდა გზა, ფორესტმა ყურადღებით დაათვალიერა ყველაფერი, ბოლოში აშკარად შუქი მოჩანდა. ექიმმა შეშინებული ხმით წარმოთქვა: "ბატონო როკი აქ ბრძნადებით?"... პასუხი არ იყო. ფორესტმა ისე დაიძახა: "ბატონო როკი, ბოდიში რომ გაწუხებთ, მე ექიმი ვარ, თქვენ გასაცნობად მოვედი"... პასუხი ისევ არ ისმოდა, ფორესტმა ცოტა ხნით მოიცადა, შემდეგ დერეფანში შეაბიჯა. ირგვლივ ნესტის სუნი იყო, თუმცა მას საიდანღაც სურნელოვანი ჰაერიც შერეოდა. ექიმი ფარდას მიუახლოვდა, რომელიც ყავისფერი შალის ძაფით იყო მოოქროვილი, ფორესტი მიშტერებოდა მას, რადგან შუქი იქიდან მოჩანდა. ხმადაბლა ჩაილაპარაკა: "ბატონო როკი ბოდიშს ვიხდი შეწუხებისთვის, მე ექიმი ფორესტი ვარ". პასუხი ისევ არ იყო და ნესტიანი ფარდა ოდნავ გადასწია, რათაც სუნი უცებ ეცა, მაგრამ არ შეიმჩნია... მის წინ პატარა ოთახი გამოჩდა, სიგრძით ოთხ ნაბიჯს აღემატებოდა, სიგანეც იგივე ჰქონდა. კუთხეში პატარა ხის მაგიდა იდგა, ირგვლივ კი სკამების ნაცვლად კუნძები ელაგა, კედელზე პატარა ჩირაღდანი ენთო. კედლები მიწის იყო და პატარა თაროები ჰქონდა ამოკვეთილი, შიგნით თიხის ჭურჭელი ელაგა, მაგიდაზე ბალახეულობა ეყარა. ეტყობოდა, რომ გადარჩეული იყო. ფორესტის მხრიდან, მარცხენა მხარეს კიდევ ერთი ფარდა ეკიდა, იქითაც ოთახი იყო აშკარად, ფორესტმა ღრმად ჩაისუნთქა და ოთახში შევიდა, ის ფარდაც პირველივით გამოიყურებოდა... ფარდის იქით სიბნელე იყო, ექიმმა

ჩირაღდანი მიანათა იქაურობას, შემდეგ უკან მოიხედა, შეამოწმა, პატრონი ხომ არ გამოჩნდა და გზას გაუყვა, წინ რამდენიმე მეტრიანი დერეფანი იყო, ექიმმა მშვიდად გაიარა და ისევ რაღაც ოთახთან მოხვდა. მან ფრთხილად მოათვლაიერა იქაურობა, ნახა, რომ მიწა ამოთხრილი იყო და შიგ სამი მორი ერთმანეთის გვერდიგვერდ ელაგა... "ეს ალბათ როკის საძინებელია"... გაიფიქრა ექიმმა, კედლებს მოავლო თვალი, აქაც კედლებში ამოჭრილი თაროები დახვდა, შიგნით კი ჭიქის ფორმის თიხის ჭურჭელი დახვდა, რომელსაც ფოთოლი ჰქონდა გადაფარებული და ცხვრის ბეწვი შემოხვეული. ფორესტმა შეხება ვერ გაბედა, უბრალოდ ყურადღებით დააკვირდა და დაყნოსა, თან გულში გაიფიქრა: "არ იჩქარო ფორესტ, ეს ყველაფერი ისედაც ხომ შენია"... შემდეგ მეორე თიხის ჭურჭელს გადახედა, ხელში აიღო, ადამიანივით გაუღიმა და უთხრა: "ჩვენ ერთად ვიქნებით... ხომ ასეა ჩემო კარგო?" ჭურჭელს აკოცა და თავის ადგილზე დააბრუნა. ფორესტი მთავარ ოთახს მიუბრუნდა და გამოთხრილ კედელს ეცა, ერთ-ერთი თიხის ჭურჭელი ამოარჩია, რომელიც არ იყო შეკრული, მხოლოდ ფოთოლი ჰქონდა გადაფარებული, გახარებულმა ფორესტმა ჩირაღდანი კედელზე ფრთხილად მიამაგრა და ჭურჭელს ფოთოლი მოაშორა. შიგნით სითხე ესხა, ფორესტმა ღრმად შეისუნთქა მისი სუნი, თავი უკან გადაწია და ჩაილაპარაკა: "ეს არის, ეს". მან იგრძნო ნახარშის სუნი. შემდეგ მაგიდაზე დაყრილ ბალახეულობას დაუწყო დათვალიერება, იქვე იდო სხვადასხვა მცენარეთა ყვავილი და ფესვები. ფორესტი სიხარულსა და გაოცებას ვერ მალავდა, ძაღლივით ყნოსავდა თითოეულ მათგანს და თავისთვის ჩურჩულებდა: "ესეც ჩემია და როკიც ჩემი იქნება!" უეცრად შიშმა გაუარა, ფარდას გახედა, თითები გაშალა და ფეხზე წამოდგა, შემდეგ კედელს მიეყრდნო, თვალები გაუფართოვდა და სუნთქვას მოუხშირა. ააკანკალა, მოელანდა თითქოს ფარდა ფრიალებდა. თუმცა მცირე ხნის შემდეგ დარწმუნდა, რომ არავინ მოსულიყო... ისევ მაგიდას მიუჯდა. ფორესტი ხვდებოდა, რომ ექიმი მართლაც საოცარი ნიჭის პატრონი იყო, ამიტომ მის უნახავად არ აპირებდა იქიდან წასვლას, დროის გასაყვანად ისევ შეათვალიერა, სათითაოდ, ყველა ჭურჭელი. შუაღამე გადასული იყო, მეომრები კი რიგ-რიგობით ყარაულობდნენ. ცდილობდნენ არაფერი გამოპარვოდათ. ირგვლივ საკმაოდ ციოდა, ბნელოდა და ბუს კივილი მოისმოდა.

სწორედ ამ დროს ციხის კარიბჭეს რამდენიმე მეომარი მიადგა. ვინსენტს ეძინა, ექიმი კი ღრმა ფიქრებში წასულიყო. რამდენიმე წუთში სარდაფის კარი გაიღო და ბადრაგის თავი გამოჩნდა, რომელმაც საზიზღარი ხმით დიაყვირა: "ექიმო, ამოეთრიე და ის გიჟიც წამოიყავნე!". ექიმს ტანში ჟრუანტელმა დაუარა და დაბნეული ვინსენტს მივარდა: "ვინსენტ, ვინსენტ, გაიღვიძე, გადავყავართ". ვინსენტმა თვალები ძლივს გაახილა და ნახევრად მძინარემ მიუგო: "ექიმო, მე ვერ გავივლი, ვერ შევძლებ"... ექიმმა ვინსენტი უსიტყვოდ ზურგზე მოიკიდა და კარებისკენ გაეშურა. პატიმრებმა თვალი გააყოლეს მათ, ერთ-ერთმა მათგანმა კი წრფელი გულით მიუგო: "თავისუფლებას გისურვებთ ორივეს, ექიმო!". ექიმმა თავი დაუკრა პატიმარს და დუმილით გაიარა... კიბეზე ფეხი შედგა, თვალები კარებს მიაპყრო და იყვირა: "მოვდივართ, ვმოვდივართ"... ვინსენტმა პატიმრებს ნაღვლიანი თვალებით გადმოხედა და მძიმედ მიუგო: "არ დაეცეთ ბიჭებო!". ექიმს შიშისგან ელდამ დაუარა, კიბეს ახედა, იქ ბადრაგი არ ჩანდა და სწრაფად გადაუჩურჩულა ვინსენტს: "გაჩუმდი! რას შვრები?!" ამ სიტყვებით კიბეზე ასვლა განაგრძო. ვინსენტი დადუმდა, მაგრამ პატიმრებს თვალს არ აშორებდა. ყველა პატიმარი ფეხზე წამოდგა წვალებით და თითოეულმა მათგანმა იგრძნო, რომ ვინსენტი ჭკუიდან არ გადასულა, ის თამაშობდა. პატიმრების თვალები ვინსენტის თვალებისკენ იყო მიმართული, საიდანაც იმედი ანათებდა. ერთ-ერთი პატიმარი გაუცებული შეჰყურებდა ვინსენტს, მშვიდად, აუჩქარებლად დაუკრა ტაში, არავინ მიაქცია ყურადღება მაგარმ მაინც განაგრძო, ექიმის ყოველ ფეხის გადადგმაზე ტაშს უკრავდა. რამდენიმე წამში მას მეორე პატიმარმაც მიბაძა, მეორეს - მესამემ და ასე ერთხმად ყველა ტაშს უკრავდა. ამან ექიმი ძალზე გაამხნევა. ვინსენტს კი სიხარულისგან ცრემლი მოადგა და ბაგე ღიმილმა გაუპო. საგიჟეთი, სადაც პატიმრები გადაჰყავდათ, ქალაქგარეთ მდებარეობდა, არც ისე შორს. ის ქვებისგან აშენებული ერთსართულიანი შენობა იყო, სიგრძე დაახლოებით ასი ნაბიჯი ექნებოდა. ავადმყოფების საკნები ისე იყო მოწყობილი, რომ დერეფანში გამვლელს შეეძლო დაენახა შიგნით რა მდგომარეობა იყო. კარების მაგივრად რკინის გისოსები ეყენა. ოთახში ერთი ფანჯარა იყო მხოლოდ, ჭერთან ახლოს და ისიც გისოსით დაფარული ლოგინის ფუნქციას დიდი ქვები ასრულებდნენ. მთელ საკანში თივა იყო დაყრილი, ეს იყო პატიმრებისთვის საბანიც და ბალიშიც. ღონიერი ავადმყოფები ტყეში გაჰყავდათ შეშის დასამზადებლად, მიწაზე სამუშაოდ კი თითქმის ყველა გაჰყავდათ,

ისეთი, არაფრის კეთება რომ არ შეეძლო, რაღაცას გამოუნახავდნენ, უმუშევარ ავადმყოფს სიკვდილი ელოდა. ექიმი და ვინსენტი გარეთ არ უნდა გასულიყვნენ, მათთვის სხვა რამ მოიფიქრა ფორესტმა. ავადმყოფებს არ კლავდნენ, ტყეში გაჰყავდათ და ბედის ანაბარა ტოვებდნენ. დერეფნის თავსა და ბოლოში ორ-ორი ჩირაღდანი ენთო ექიმისთვის და სანიტრებისთვის, თუკი შეიძლება მათ საერთოდ სანიტრები დაარქვა. ერთი ოთახი იყო მათთვის განკუთვნილი და იქიდან მთელი დერეფანი მოჩანდა. ექიმს ვინსენტი ისევ ზურგზე ეკიდა, შუა ღამე კარგად ხანს გადაცილებული იყო, მაგრამ აქ დროს მნიშვნელობა არ ჰქოდნა. ზოგიერთი საკნიდან სიცილის ხმა ისმოდა, ზოგიერთიდან ტირილი და ყვირილი, უმეტესად კი ერთი სიტყვა ჟღერდა: "მშია, მაჭამეთ რამე, გთხოვთ, რასაც მეტყვით, გავაკეთებ". ექიმი და ვინსენტი მშვიდად მიიღეს ექიმებმა და დერეფნის ბოლოში, ერთი-ერთ საკანში შეუშვეს, სადაც ორი ავადმყოფი იმყოფებოდა, ერთი ვინსენტის ასაკის იყო, მეორე კი ექიმის. სანიტრები იაფფასიანი სამოსით იყვნენ შემოსილნი, დერეფნიდან შემოსული შუქი მთლიანად ანათებდა ოთახს. კარი ჩაიკეტა, ექიმი კი სევ ფეხზე იდგა და ვინსენტიც ეჭირა, ცდილობდა კარგად დაენახა ავადმყოფი სახეები. ვინსენტმა ვერ მოითმინა და გადაულაპარაკა: "ექიმო, ჩამომსვით". ექიმი ფიქრებში წასულიყო, მოგვიანებით უპასუხა: "ახლავე ვინსენტ"... ექიმმა შეამჩნია, რომ ორი ადამიანი მათ შეჰყურებდა... ერთ-ერთმა ხმამაღლა თქვა: "გაგვიმართლა, ექიმი გვეყოლება საკუთარი". ეს სიტყვები ზრდასრულ ადამიანს ეკუთვნოდა, ყმაწვილმა გაიცინა. ექიმმა ვინსენტი ფეხზე დააყენა და მისი ხელი კისერზე შემოიხვია, რამდენიმე წამით ისევ შეავლო თვალი იქაურობას და თქვა: "მგონი აქ ჩამოვჯდებით მე და შენ, ვინსენტ". ვინსენტმაც ახალი მეზობლები შეათვალიერა. ქვის ლოგინზე წამოაწვინა, თვითონ კი გვერდით მიუჯდა. ვინსენტი ჭერს მიაცქერდა, საუბრის თავიც არ ჰქონდა. ექიმი გაეცნო უცნობ ადამიანებს: "გამარჯობათ, მე ექიმი ვარ, ყველა ასე მეძახის და ჩემი სახელი თითქმის დამავიწყდა... ეს კი ვინსენტია". ზრდასრული მამაკაცის ხმა გაისმა: "ვიცით, ვიცით, აქ ყველა ექიმები ვართ, აქ ხომ საგიჟეთია". ახალგაზრდას ისევ სიცილი აუტყდა. უფროსმა ხელი გადახვია ყმაწვილს და მთელი სერიოზულობით წარმოთქვა: "მე "ის" მქვია და ამ პატარა ბიჭის ბიძა ვარ". ბიჭს ისევ გულიანად გაეცინა. "სასიამოვნოა ბატონო "ის" თქვენი გაცნობა"... ექიმი მიეჩვია დერეფნიდან შემომავალ პატარა შუქს და უკვე კარგად არჩევდა ახალგაცნობილთა

სახეებს. მის წინ თავისი ასაკის მამაკაცი იდგა, დაღვრემილი სახით, რომელსაც ორი ასო ჰქონდა ამოსვირინგებული "ის". ავადმყოფს დანით ამოეტვიფრა შუბლზე. ცხადი იყო, ადრინდელი ნამოქმედარი იქნებოდა. ექიმმა გაოცება დამალა, გულში კი გაიფიქრა: "ეს რომელმა პირუტყვმა გაუკეთა ავადმყოფს". ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ეს საკუთარი ხელით ჰქონდა ჩადენილი. მამაკაცი ძალზე ჯანმრთელი და ღონიერი იყო, საშუალო სიმაღლის, მრგვალი სახით, შავი გრძელი თმებით... რა თქმა უნდა გიჟის თვალებით. ერთი შეხედვით ძალზე საშიში ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ამას ისიც ემატებოდა, რომ დაფლეთილი ჭუჭყიანი სამოსი ეცვა, ფეხები მთლიანად გაშიშვლებოდა. ექიმი მიხვდა, რომ მის წინ ძალზე მძიმე ავადმყოფი იდგა... ვინსენტი ხმას არ იღებდა, მისთვის უცხო იყო გიჟებთან ნორმალურ ენაზე საუბარი. გრძნობდა, რომ ეს კაცი მკვეთრად განსხვავდებოდა იმათგან, ვინც ცხოვრებაში ჰყავდა ნანახი... ვისაც გიჟად მიიჩნევდა. ისიც გაოცებული იყო, მაგრამ არ იმჩნევდა. ყურადღებით უსმენდა საუბარს. ავადმყოფის გვერდზე ახალგაზრდა ბიჭი იჯდა, ვინსენტზე ცოტა უფროსი, სახე უღიმოდა, ბედნიერება აღბეჭდვოდა. თითქოს ის საგიჟეთში არ იმყოფებოდა. ბიჭი უზომოდ გახარებული ჩანდა მისი გაცისკროვნებული სახე ჭუჭყიან ტანსაცმელსაც კი ჰფარავდა. ექიმი მასაც მიესალმა, ბიჭს კი სიცილი აუვარდა და თქვა: "გამარჯობა ექიმო". ექიმს გაეღიმა. ყმაწვილი უფროსს ჩაეხუტა და პატარა ბავშვივით უყურებდა... ექიმმა ყურადღება მამაკაცზე გადაიტანა და უთხრა: "ბატონო "ის", ბოდიშით, დასვენება გვინდა, სალაპარაკო დრო ბევრი გვექნება". მამაკაცი შეეცადა ნორმალური და სერიოზული ადამიანის გამომეტყველება მიეღო, ფეხზე წამოდგა და თქვა: "ექიმო, სადაც გაგიხარდებათ, იქ მოისვენეთ. ამოირჩიეთ "ადგილი". ამ სიტყვებით მან ხელი გაშალა და საკანს მოათვალიერა... საკანში ოთხი ქვის ლოგინი იყო.. ექიმმა უპასუხა: "თუ არ შეწუხდებით, მირჩევნია ვინსენტთან ახლოს ვიყო". მამაკაცი ახალგაზრდა ბიჭისკენ მიბრუნდა და უთხრა: "წამოდი პატარავ, კარებთან დავწვეთ, ხომ ხედავ ექიმმა კი არ გვიბრძანა, გვთხოვა"... ახალგაზრდა უმალ წამოხტა, ღიმილი სახიდან არ მოშორებია და მიუგო: "მოდი, მოდი, ძია ის, დაისვენონ"... და ამ სიტყვებით სამივეს კეთილად შეხედა... ძია "ის"-მა ექიმს გადახედა და თქვა: "მოისვენეთ, ექიმო, თუ რამე დაგჭირდებათ არ მოგერიდოთ, შემოგვძახეთ, მე და პატარა თქვენ გვერდით გვიგულეთ"... ეს თქვა და თავაწეულმა გაიარა საკანი:. "ჩაიწიე პატარავ, ჩამომსვი". ექიმმა

ორივეს გულითადი მადლობა გადაუხადა, ბიჭი სიცილით გადაბჟირდა. ექიმი ვინსენტს მიუტრიალდა: "როგორ ხარ?" - ჰკითხა მზრუნველი ხმით. ვინსენტი გაოცებული უყურებდა: "რაღაც უცხოდ ვარ"... ექიმმა შუბლზე ხელი მიადო და უთხრა: "არ იფიქრო, სად ვართ". ვინსენტმა მორჩილად თავი დაუქნია "კარგი ექიმო, დაისვენეთ ახლა"... ექიმი მაინც ვინსენტზე ზრუნავდა: "თივა ხომ არ დაგიყარო, უფრო თბილად იქნები". ვინსენტს გაეღიმა "თივას ნუ მახსენებთ, თორემ ცხენები მიდგანან წინ". ექიმსაც გაეღიმა და თითი წაკრა ცხვირზე, შემდეგ კი თქვა: "არც თივა და არც ცხენი არ უნდა დაგავიწყდეს. აქაც კარგა ხანს მოგიწევს მაგათი ჭენება"... ვინსენტს გაეცინა: "გასაგებია ექიმო. მაშ ასე, მოვისვენოთ" - თქვა ექიმმა და დასაძინებლად მოემზადა. "ძილი ნებისა ბატონებო" - დაემშვიდობა ახალგაცნობილთ. ის და ბიჭი საუბრობდნენ, უმალ ფეხზე წამოხტა და "ძილი ნებისა" უპასუხეს. "ჩვენც დავიძინოთ ახლა, სტუმრები არ შევაწუხოთ"... ბიჭმა პირზე ხელები აიფარა, რომ არ გასცინებოდა და კედლისკენ შეტრიალდა, ეშინოდა ძია "ის" არ გაებრაზებინა. შემდეგ ძია ისიც მიწვა ერთ კუთხეში და ბიჭს ძილინებისა უსურვა, რაზეც ბიჭს გულიანი სიცილი წასკდა და კედელს თავი მიარტყა. ძია ისმა კი ექიმსა და ვინსენტს გამოხედა და უთხრა: "არ გაგიკვირდეთ ექიმო, უბრალოდ ხარობს თქვენი მოსვლით". ექიმმა თავაზიანად უპასუხა: "არაფერია ბატონო, ახალგაზრდებს ყველაფერი უხარიათ".. კიდევ ერთხელ დაემშვიდობნენ ერთმანეთს, ვინსენტი კი ფიქრობდა და მსჯელობდა თუ როგორ უნდა ესაუბრა გიჟებთან. ექიმს არ გამოჰპარვია "დაიძინე ვინსენტ"... ვინსენტმა თვალები კი დახუჭა, მაგრამ ფიქრს თავიდან ვერ იშორებდა...

ამ დროისთვის ფორესტი ისევ მიწისქვეშა ოთახში იმყოფებოდა, მაგიდასთან იჯდა და ჩაფიქრებული ფარდას მიშტერებოდა. ფორესტი ფიქრობდა, ერთი ექიმი უკვე ჩემს ხელთ არის, ეს როკია თუ გადარეული, ეტყობა, რომ წამლებში კარგად ერკვევა. მთავარია დავითანხმო და ჩემს ოცნებასაც ფრთები შეესხმება. მისთვის აჯობებს ჩემს გვერდით იყოს, თუ არა და არ ვაცოცხლებ, აქვე ჩაგკლავ როკი. ამ ფიქრებში იყო ეუცრად ხმა რომშემოესმა, ინსტიქტურად ფეხზე წამოხტა და კედელთან დადგა. ჩირაღდანი ხელში ეკავა, ფარდას თვალს არ აშორებდა. შემდეგ შემკრთალი ხმით წარმოთქვა: არ შეშინდეთ გეთაყვა, სასიკეთოდ ვარ მოსული. პასუხი არავინ გასცა ვიღაც ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდა. ფორესტი საშინლად დაიძაბა. რამდენიმე წამში ფარდა გაიხსნა და

შემოვიდა ადამიანი, უსიტყვოდ ჩააქრო თავისი ჩირაღდანი, უშიშრად მიუახლოვდა ფორესტს, თვალებში შეხედა და შემაძრწუნებლად მიუგო: "შენ არ შეგეშინდეს". შემდეგ მაგიდისკენ შეტრიალდა, ზურგჩანთა მოიხსნა და ბალახეულობა გადმოახვავა. ფორესტს ზურგი შეაქცია... ჩამოჯდა. ფორესტმა შვებით ამოისუნთქა, ახლა უკვე დიდი ინტერესით შესცქეროდა როკს. როკიმ თითქოს თავისთვის ბუტბუტებსო, ჩუმად ჩაილაპარაკა: ამ მცენარეებს ღამით თუ დაკრეფ, მეტად სასარგებლონი იქნებიან, ახლა სძინავთ და როცა გაიღვიძებენ, თხევადები გახდებიან და წამლად ივარგებენ". როკი თან საუბრობდა და თან მცენარეებს არჩევდა. ექიმი კი გაშეშებულიყო, არ იცოდა რა ეთქვა, და იმის შიშით, რომ არ შემცდარიყო რამეში, დუმილი არჩია. როკმა უეცრად გამოხედა და მკვახედ მიუგო: "რა იყო, ენა გადაყლაპე?! არ მაინტერესებს ვინ ხარ, მაგრამ უნდა ვიცოდე ვინ მოგასწავლა ეს ადგილი, ან მიპასუხებ ან სამუდამოდ წახვალ აქედან". ფორესტმა სწრაფად უპასუხა: "მე ექიმი ფორეწტი ვარ ბატონო როკ!"... როკი შემოტრიალდა მისკენ, ყურადღებით აათვალიერა, საჩვენებელი თითი საფეთქელთან მიიდო და თითქოს გაოცებულმა თქვა: "ჩემი სახელიც გცოდნია, ალბათ წარსულზეც ყველაფერს გამოიძიებდით. მოკლედ მითხარი, რა გინდა". ფორესტი შეეცადა დამშვიდებულიყო, შემდეგ კი ფარისევლურად მიუგო: "ბატონო როკ! მინდა ჩემი მასწავლებელი გახდეთ. გთხოვთ! მინდა ხალხს ვემსახურო, ჩემი მშობლებიც ექიმები იყვნენ, რაც აქამდე მისწავლია, ყველაფერს ადამიანების დასახმარებლად ვიყენებ"... როკი უსმენდა და საუბრის დროს ფორესტს დაჯდომა შესთავაზა, ამ უკანასკნელს სიტყვა არ შეუწყვეტია, ისე ჩამოჯდა. მაგრამ როკმა თითით ანიშნა, რომ გაჩუმებულიყო. ფორესტი გაჩუმდა, მოსწავლესავით შესიციცინებდა თვალებში. "რა განხრით მუშაობთ?"... ფორესტი: "ვცდილობ ყველა ავადმყოფს დავეხმარო შეძლებისდაგვარად, მაგრამ ძირითადად მაინც შეშლილებს ვმკურნალობ, ბატონო"... როკიმ ბრაზიანად გაუღიმა: "ტვინს ურეცხავთ ავადმყოფებს და ახლა უკეთესი წამალი გინდათ, ხომ ეგრეა?" ფორესტი არ დაბნეულა, სევდანარევი ღიმილით შეხედა და თქვა: "დიახ, ბატონო მინდა ისეთი ექიმი ვიყო, რომ ავადმყოფები თავიანთ ოჯახებს დავუბრუნო საღი გონებით"... ფორესტს არც სახეზე და არც ხმაში არ ეტყობოდა ფარისევლობა. როკიმ მშვიდად ჰკითხა: "ჩვენს ქალაქში რომელიმე ექიმს თუ იცნობ?" ფორესტს სახე გაუბრწყინდა სიხარულისგან, როკმა მის სიხარულში ბოროტების ანარეკლი დაინახა, მაგრამ არ

შეიმჩნია და ყურადღებით მოუსმინა. "დიახ, ბატონო, ვიცნობ ბააგრების ექიმს, მისი მოკვლა უნდოდათ, მაგრამ მე გადავარჩინე, დავეხმარე ციხის სარდაფიდან საგიჟეთში გადასულიყო. იმ ექიმს ერთი ახალგაზრდა ბიჭიც ახლავს თან, ამ დროისთვის საავადმყოფოში უნდა იყვნენ"... როკი ხელით წვერს ეთამაშებოდა, თან მშვიდად უსმენდა. "ექიმზე მომიყევი ყველაფერი"... ფორესტმა ამაყად განაგრძო საუბარი: "ექიმის მოკვლა უნდოდათ ცოფიანების ბელადის სიკვდილის გამო, იმდენი ვიღონე, რომ სიკვდილს გადავარჩინე და ციხეში გაუშვეს. ექიმს მხოლოდ შეხედულებით ვცნობ. ციხეშიც მას სიკვდილი ელოდა, ამიტომ, ვიფიქრე საგიჟეთში გადაყვანა აჯობებდა მისთვის. იქ მას ვინ უნდა შეეხოს უღირსის გარდა?". როკმა საუბარი შსეაწყვეტინა და ბრაზით მიუგო: "უღირსის მეტი რას ნიშნავს. ცოფიან ძაღლებს ტყუილად რატომ დაეხმარე, მითუმეტეს თუ არ იცნობდი? რა იცი იქნებ მართლაც მას უდევს წვლილი თქვენი ბელადის სიკვდილში?!". ფორესტი უცებ დაიბნა, მაგრამ ცდილობდა თავი ხელში აეყვანა, წამიერი დუმილის შემდეგ მიუგო: "მართალი ბრძანდებით, ბატონო როკ! ცოფიანებში მართლაც არიან უღირსები, მაგრამ მე იმ ქვეყანაში დავიდაბე და კარგად ვიცი, როგორ უფრთხილდებიან გატეხილი სახელის კიდევ ერთხელ გატეხვას. ექიმს კი იმიტომ დავეხმარე, რომ ჩემთვის ექიმის პროფესია ყველაზე მაღლა დგას, რადგან ერთ ექიმს შეუძლია ასეულობით ადამიანის განკურვნა. ექიმს წვლილი არ უდევს ბელადის სიკვდილში. ეს კი იქიდან ვიცი, საიდანაც თქვენ იცის, ვინც მოწამლა ბელადი"... როკი წარბებშეყრილი შეჰყურებდა ექიმს, დუმდა და ფორესტმა იგრძნო, რომ როკი ყველაფერს მიხვდა. შემდეგ შიშისგან ვეღარ მოითმინა და სასოწარკვეთილმა წამოიძახა: "რა ვქნა ბატონო როკ?" ხელები მუხლებზე დაილაგა და ამით ანიშნა თავის წასვლა-არ წასვლა. როკიმ გაუღიმა და უთხრა: "ნუ გეშინია, თუ მართლა გადაარჩინე ექიმი, დაგეხმარები, მაგრამ მაინტერესებს, ვისგან გაიგე, რომ საწამლავი ჩემი იყო?" ფორესტმა ჩაიცინა და თქვა: "უჭკუო ქალისგან". "დებო?", "დიახ, ჩემო ბატონო!". "ის უტვინო იქნება ჟორდანს ბოლოს რომ მოუღებს". წამით ისევ სიჩუმემ დაისადგურა, ფორესტი შიგადაშიგ კედელზე მიმაგრებული ჩირაღდანს გახედავდა და უკვირდა ერთნაირი სიძლიერით რომ ანათებდა იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში. როკი ფიქრებს მიუხვდა ექიმს და უთხრა: "რამდენიმე ზეთოვანი ხილი მაქვს გაწურული და რამდენიმე მცენარის ფესვების ნახარშში ჩამატებული. ზუსტად თორმეტი დღე-ღამე ასე ანათებს". როკი ამას ამბობდა,

მაგრამ ეტყობოდა სხვა რამეზე ფიქრობდა. ფორესტი მდუმარედ შეჰყურებდა ამ ბერიკაცს და ბოლოს ოდნავ გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა: "ახლა რავქნა, ბატონო როკ, აღარ ვიცი"... როკმა მყის მიუგო: "შეგიძლია ექიმი მანახო?" ფორესტს ისევ სიხარული დაეუფლა: "როცა მოისურვებთ ბატონო! თუნდ ახლავე იყოს". "არა, სჯობს დღისით მოვიდე, ახლა მოსვენება მჭირდება, საავადმყოფოში დამხვდი". ფორესტი წამოდგა და ოთახიდან გასასვლელად მოემზადა. როკმა თავის ბალახ-ბულახს გადახედა და ჩაილაპარაკა: "შენთვის საჩუქარს მოვიტან, ვნახოთ რა ექიმი ხარ, იქ გამოჩნდება". ფორესტმა გამოხედა, როკი ყურადღებას აღარ აქცევდა. გმადლობ, ბატონო, გმადლობ!... და დაბნეული გავიდა ოთახიდან. გაისმა თუ არა კარების დახურვის ხმა, როკმა ხელები მაგიდაზე დაალაგა და ჩაილაპარაკა: "არადა საქონელია". ფორესტი კმაყოფილი ბრუნდებოდა ქალაქში, გზაზე მხოლოდ იმას ფიქრობდა, როგორ შეეხვედრებინა ექიმი და როკი ერთმანეთისთვის, მაგრამ ექიმს არაფერი უნდა ეთქვა მასზე ცუდი. იგი საავადმყოფოსკენ ნელი სვლით მიემართებოდა. გათენებამდე ორიოდე საათი იყო დარჩენილი. საავადმყოფოს საკნებში ყველას ეძინა ვინსენტის გარდა. ძია "ის" ისე ხვრინავდა, რომ დაძინება შეუძლებელი იყო. თუმცა ვინსენტს ეს არ ადარდებდა, ის თავის თავგადასავალზე ფიქრობდა საიდან სად მოხვდა... მხოლოდ შურისძიება ედგა თვალწინ. ვინსენტმა კარისკენ გაიხედა, საიდანაც მეორე საკანი მოჩანდა, იქ ვიღაც წინ და უკან დადიოდა და ყვიროდა: "მშია, მშია... ღორძაღლებო". თუმცა ყურადღებას არავინ აქცევდა. ამ დროს საკანს სანიტარი მიუახლოვდა, კარი გააღო და იყვირა: "გადატრიალდი, გადარეულო!". მას არ მოეწონა ძია ის-ის ხვრინვა. შემდეგ გაჯავრებულმა წამოიძახა: "რომელია აქ ექიმი, გამოვიდეს!" ნამძინარევი ექიმი ბანცალით მიუახლოვდა კარს და ხმადაბლა თქვა: "მე ვარ ბატონო, მე, მოვდივარ". ვინსენტს თვალები გაუფართოვდა ცუდის მოლოდინში, ექიმმა კი მშვიდად მიუგო: "ხომ გითხარი არ იფიქრო მეთქი?" "დიახ, მაგრამ სად მიყავხართ ექიმო?". "არ ინერვიულო, მალე მოვალ". ეს თქვა და საკნიდან გავიდა. ვინსენტმა ვერ მოითმინა, წვალებით კარს მიუახლოვდა, იქვე ჩამოჯდა და გისოსს ჩაეჭიდა. უკვე თენდებოდა, ნელ-ნელა შუქი საკანში იჭრებოდა. ფორესტი კი სანიტარ-მორიგეების ოთახში იჯდა, მაგიდაზე საჭმელები და ერთი დოქი ღვინო იდო. ექიმი აქ მოიყვანეს, მოსულს გაუღიმა: "თუ შეიძლება თქვენ გაბრძანდით, ექიმთან პირისპირ მინდა საუბარი". შემდეგ ექიმს

მიმართა: "რამ დაგაბნიათ ექიმო? დაბრძანდით აქ და მიირთვით, ეს ყველაფერი თქვენთვის მოვიტანე"... ექიმმა მაგიდას შეხედა, შემდეგ - ფორესტს, მიხვდა რომ მისგან რაღაც უნდოდა. და უთხრა: "ექიმო ფორესტ, თუ შეიძლება პატარა საჭმელს მივუტან ჩემთან მყოფ ბიჭს, ძალზე დაუძლურებულია". ფორესტმა სიტყვა აღარ დაამთავრებინა და უთხრა: "რასაკვირველია, წაიღეთ, ეს ყველაფერი თქვენია". ექიმმა სწრაფად მიუტანა საჭმელი მეგობარს, თან უთხრა: "არ ინერვიულო, ფორესტია მოსული სასაუბროდ". შემდეგ ბატონ ისს მიმართა: "ბატონო ის, თუ არ გძინავთ, მიირთვით რამე". პატარა ბიჭს გახედა, გაუღიმდა და საჩქაროდ ფორესტთან დაბრუნდა. გახარებული ბიჭი წამოხტა, ძის ისთან მივიდა და შესძახა: "ადე, ადე, ძია ის, საჭმელია საჭმელი"... ექიმი და ფორესტი მარტო ისხდნენ ოთახში, ექიმი თავის ადგილიდან მთელ დერეფანს გაჰყურებდა. თვალი მოაშორა იქაურობას და ფორესტს მიუბრუნდა: "გისმენთ ექიმო ფორესტ". ფორესტმა მლიქვნელურად შეხედა, მერე თვალი გაუსწორა და უთხრა: "კარგი ამბავი მაქვს თქვენთვის ექიმო: "გისმენთ". "როკს უნდა თქვენი ნახვა". ექიმს გაუკვირდა და თქვა: "როკს?" "დიახ, ყველაფერი ვუამბე თქვენზე. ახლა სწორედ მისი "სამფლობელოდან" მოვდივარ... შევთავაზე ახლავე წამოსულიყო, მაგრამ თქვა დღისით მოვალო და აქ უნდა დავხვდე". ექიმმა თავი ჩაღუნა და ჩაფიქრებულად ჩაილაპარაკა: "როკი, როკი". "რა ხდება ექიმო? მეგობრები ხომ არ ხართ?" და გაუღიმა. ექიმმა თავი ასწია, აუჩქარებლად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიუგო: "მე ის თითქმის ოცდაათი წელია არ მინახავს, ოცდაათი"... და ძლიერი ხელი შუბლზე მოისვა. მან ნაღვლიანი თვალები ისევ დაბლა დახარა. ფორესტი გულწრფელად გაოცდა: "ოცდაათი წელი?"... "დიახ, შესაძლოა უფრო მეტიც" - დასძინა ექიმმა. "აი, ახლა კი ნახავთ, ხანგრძლივი განშორების შემდეგ"... ექიმმა თვალებში შეხედა მას, თითქოს უნდოდა ამოეცნო ფორესტის ფიქრები და მიზნები. ფორესტმა თითი დაუქნია ღიმილით და უთხრა: "რაო, ექიმო, ჩემს ტვინში ხომ არ ცდილობთ შემოჭრას? თქვენ ჩემთან ვალში ხართ, ამიტომ გავკადნიერდები და გთხოვთ, რომ თქვენი ცოდნა გადმომცეთ. როკმა კი მითხრა, თუ მართლა გადაარჩინე ექიმი, დაგეხმარებიო. ახლა თქვენზეა დამოკიდებული დამეხმარება თუ არა როკი"... ექიმმა მყისვე მიუგო: "დაგეხმარებათ". "დარწმუნებული ხართ?" . "რასაკვირველია". "ე.ი. არ შემშლია, თქვენ მეგობრები ხართ, მერე რა რომ ოცდაათი წელია არ გინახავთ ერთმანეთი, მეგობრობას დრო ვერ მარხავს". "როკი ძალზე ნიჭიერია". "ვიცი, მე და თქვენ შორს რომ ვართ მისგან

ესეც ვიცი, ერთი რამ მინდა გითხრათ, მან თქვა დღისით მოვალო, მაგრამ დღისით აქ ვერ შეგახვედრებთ, საკანშიც ვერ შემოვუშვებ, ამიტომ საკნიდან მოგიწევთ საუბარი". "ეს არაფერია, მე იმას ვფიქრობ, ამდენი ხნის შემდეგ რაზე უნდა ვესაუბრო, ან თვითონ რა უნდა მითხრას?"... "ეს მე არ ვიცი, თქვენი ნახვა მან თვითონ მოისურვა". ექიმი კიდევ უფრო გაოცდა. მათი საუბარი გრძელდებოდა, ფორესტმა ღვინო შესთავაზა ექიმს, მაგრამ უარი მიიღო. შემდეგ საუბრის თემა წამლებზე გადაიტანეს. ვინსენტი ისევ კარებთან იყო ჩამომჯდარი და თავის თანამესაკნეებთან ერთად საჭმელს შეექცეოდა. ეს უკანასკნელნი კი, პირდაპირ ნთქავდნენ მოტანილ საკვებს. ვინსენტი შეეცადა საუბარს მათთან: "ნამდვილი სახელი რა გქვია პატარა?" პატარას პირში საკვები ჰქონდა. თავი მაღლა ასწია, ლუკმა რომ არ გადმოვარდნოდა, გაუღიმა და ძლივს გასაგონად წაილუღლუღა: "მე შუგი დამარქვა დედამ". ვინსენტმა ძლივს გაიგო მისი სახელი: "კარგი შუგი, რაღაც მინდა გთხოვო, როგორც ხედავ, მე ხელები მტკივა". და ამ სიტყვებით გადახვეული თითები უჩვენა, შუგიმ გაუღიმა, მაგრამ ჭამას თავი მაინც არ დაანება. "მინდა საჭმელი ჩვენს მოპირდაპირე საკანში გადააგდო". რადგან საკნებს შორის მანძილი მცირე იყო, შუგი ზუსტად საკნის კართან აგდებდა საჭმელს. დამშეული ავადმყოფი კი მართლა გიჟივით ეცა მას და თვალებს აქეთ-იქით ატრიალებდა. ძია ის დამწუხრებული შეჰყურებდა მას და ამბობდა: "ასეთი ადამიანსაც კი შეჭამს". ვინსენტმა მასაც ჰკითხა: "შენ რა გქვია ძია?". არც ძია ისს დაუნებებია ჭამისთვის თავი, მოკლედ უპასუხა "ის". ვინსენტმა დაჟინებით იკითხა ისევ: "რა "ის", სახელი რა გქვია მეთქი!" ამჯერად ძია ისმა პირი მოიწმინდა, ხელები ტანსაცმელზე შეიწმინდა და მტკიცედ მიუგო: "მე "ის" მქვია, ის ვარ!" ვინსენტი თუმცა გამოფიტული იყო, მაგრამ ცდილობდა მაინც ესაუბრა და დაჟინებით ითხოვდა სახელს. მამაკაცი გაბრაზდა, ფეხზე წამოდგა, სახე ვინსენტთან მიიტანა, თითით შუბლზე უჩვენა წარწერა და მრისხანედ მიუგო: "ვერ ხედავ რა წერია აქ?!! მე ის ვარ!". ვინსენტი მშვიდად იყო. "ვერ გავიგე ვინ "ის", "ის" ვინ არის, ნუთუ სახელი "ის" აქვს"... მამაკაცი საშინლად გაბრაზდა, შუგმა ჭამას თავი გაანება და საწყალი თვალებით შეხედა ძია ისს: "არ გინდა ძია ის, გთხოვ". ძიამ შუგს დაუღრინა, შემდეგ კი მართლა გიჟივით დაიხვია სიტყვები: ""მე "ის" ვარ, "ის" ვარ, რა ვერ გაიგე "ის" მქვია". ვინსენტმა აუღელვებლად შეხედა და ხმადაბლა უთხრა: "ის" შენ ხარ, გასაგებია, მაგრამ ის ვინ არის და რა ჰქვია მას გეკითხები"... ამის თქმა ვერ მოასწრო ვინსეტნმა რომ ის ეცა ყელში, ორივე ხელით

ჩააფრინდა და თავისკენ წამოსწია, თან არაადამიანური ხმით ყვიროდა: "ის" მე ვარ, მე ვარ მეთქი!!!" ვინსენტს ძალა არ შესწევდა თავის დასაცავად, შუგი წამოხტა, ძია ისს ზურგიდან შემოეხვია, თავით მიეყრდნო და მუდარით მიმართა: "ის" გთხოვ, ძია "ის", არ გინდა, ხომ იცი შენს გარდა არავინ მყავს, გაჩერდი". შიშისგან ტირილი აუტყდა ამან გაგიჟებულ ძია ისზე იმოქმედა, ხელი გაუშვა ვინსენტს, რომელმაც ძლივს ამოისუნთქა. "ის" დათვივით დარბოდა და ყვიროდა: "მე ის ვარ, ის, ის, ის... მე, მე, მე ის ვარ!!!". შუგი ვინსენტთან მივარდა, ყვიროდა: "გთხოვთ, წყალი მოიტანეთ, გემუდარებით გვიშველეთ!!!". ფორესტთან მოსაუბრე ექიმი გარეთ გამოვარდა, ხელში დოქი ეჭირა, საკანთან მისულმა კარი ვერ გააღო და გარედან ასხამდა წყალს, თან აღელვებული კითხულობდა; "რა მოხდა?" შუგი არ დაბნეულა, ექიმის უკან ფორესტი იდგა და მარჯვედ მოიტყუა: "გული წაუვიდა, ექიმო". ვინსენტი მოსულიერდა, მას თავზე შუგი ედგა და ეფერებოდა, ექიმს კი შიშისგან თვალები გაფართოებოდა. "როგორ ხარ ვინსენტ?" ვინსენტმა ძლივს წარმოთქვა ორი სიტყვა: "კარგად ვარ". ექიმმა ფორესს მიმართა: "საკვებით უნდა დაგვეხმაროთ, ხომ ხედავთ რა დღეშია ბიჭი". ფორესტი ირონიით შესცქეროდა ვინსენტს და ჩაილაპარაკა: "მე კი დაგეხმარებით ექიმო"... მათ შორის საუბარი ისევ გაჩაღდა, შუგიმ დრო იხელთა, ვინსენტთან ჩაიცუცქა და ჩუმად უთხრა: "მას "ის" უნდა დაუძახო და არასოდეს ჰკითხო "ის" ვინ არის, რადგან "ის" "ის" არის არ უნდა ჰკითხო შუბლზე რატომ დაიწერა "ის " და საერთოდ რატომ დაირქვა ეს სახელი"... "გასაგება"... თითქოს ახლა მიხვდა, სად იმყოფებოდა, ახლა აცნობიერებდა, რეალურად სად იმყოფებოდა და რა მდგომარეობაში იყო... მორიგე სანიტრები ხმაურზე ვინსენტის საკნისკენ გამოცვივდნენ, მაგრამ ფორესტმა ხელი ასწია და დაამშვიდა: "არაფერია, უკან დაბრუნდით, უბრალოდ ავადმყოფს გული წაუვიდა, ჩვენ მივხედავთ"... ექიმი მათ დანახვაზე აღელდა, მაგრამ როგორც კი წავიდნენ, შვებით ამოისუნთქა და კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ფორესტს. ფორესტი კმაყოფილებისგან ღიმილს ვერ იკავებდა. ექიმი საკანში შევიდა, ფორესტი კი იქაურობას მოშორდა. ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა, ძია ისიც ცოტა დამშვიდებულიყო. წინ და უკან დადიოდა და ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა. პატარა ბიჭი მას შემოხვეოდა და ისიც მასთან ერთად დადიოდა, თან ტკბილად ეუბნებოდა: ჩემი ძია ის ყველაზე ძლიერია, ყველაზე კეთილია და ყველაზე ლამაზია. ბოლო სიტყვაზე ძა "ის" გაჩერდა, შუგს თავი გადაუწია,

თვალებში ჩახედა და დამრიგებლური ტონით მიმართა: "დაიმახსოვრე, კაცებზე არ ამბობენ ლამაზიაო, უნდა თქვა სიმპატიურია"... შუგმა ბავშვურად გაიღიმა: იქით-აქეთ სიარული განაგრძო. შუგმა თქვა: "მე არც დედა მყავს, არც მამა, არც და და არც ძმა, ყველა მომიკლეს. მხოლოდ ძია ისღა დამრჩა, რომელიც არასოდეს დამტოვებს მარტო, რადგან ის სიმპატიური ძიაა"... ძლიერმა ისმა შუგი ხელში აიყვანა და მხრებზე შემოისვა და სიარული გააგრძელა. ექიმმა გახედა მას და უთხრა: "ბატონო, ის, დღეიდან საჭმელი არ მოგვაკლდება, ახლა გათბობაზეც უნდა ვიფიქრო, ზამთარი გვიახლოვდება და მთავარი სითბოა ჩვენთვის". ძია ის შეჩერდა, წუთით შეხედა ექიმს და თქვა: "ბუხარი არ გვინდა, მთავარია შეშა, მე რაც ხეები მაჩეხინეს ზაფხულში იმის ნახევრის ნახევარი გვეყოფა". "შევეცდები ბატონო ის". "არ ინერვიულოთ ექიმო, შეშა თუ არ იქნება რამეს მოვიფიქრებთ, ამ ბავშვებს აქ ხომ არ გავყინავთ". შემდეგ ვინსენტის გასაგონად ჩაილაპარაკა: "მთავარია არავის შევეშალო ვიღაცეებში". ექიმმა ვინსენტს შეხედა, თავზე ხელი დაადო და ჰკითხა: "რა მოხდა?" "არაფერი, უბრალოდ ვკითხე ის ვინ არის მეთქი". "მერე?". "მერე ყელში მეცა, მახრჩობდა, მაგრამ შუგმა გადამარჩინა". ექიმმა მადლიერი თვალებით შეხედა შუგს, რომელმაც ხელები გაშალა და იყვირა: "ჩვენ თავისუფლები ვართ, თავისუფლები"... "ვინსენტ ხომ გითხარი მსგავსი კითხვები აქ არ უნდა დასვა მეთქი? თუ საჭირო იქნება, თვითონვე გეტყვიან. კარგად დაიმახსოვრე, ჩვენ საგიჟეთში ვართ, აქ სულ სხვა სამყაროა"... "ნუ ნერვიულობთ ექიმო". "არ მანერვიულო ვინსენტ და მეც აღარ ვინერვიულებ. ხომ ხედავ შემთხვევით გადარჩი დახრჩობას, შეიგნე, რომ აქ ხუმრობა არ შეიძლება". ვინსენტი გაჩუმდა.

ფორესტი როკის მოლოდინში წინ და უკან დადიოდა საავადმყოფოს ეზოში. ის დარწმუნებული იყო, რომ როკიც მის ხაფანგში გაება.

ახალი ბელადი, ბოლი თავის ყინულოვან ქვეყანაში წასასვლელად ემზადებოდა. ჟორდანი და ნოზა სასახლის ღვინის სარდაფში ჩადიოდნენ. შენ კარებთან დამელოდები, რომ არავინ შემოვიდეს, ოქრო-ვერცხლს გამოვიტან სამალავიდან. უთხრა ჟორდანმა. ბოლი კმაყოფილი უნდა გავუშვათ აქედან. "როგორც მიბრძანებთ ბატონო, ვინ გაბედავს აქ შემოსვლას"... მან ამ სიტყვებზე ხმალი იშიშვლა და გაიცინა. ჟორდანი გაბრადა: "რას შვრები, საქონელო, ფრთხილად, სათამაშო ხომ არ გგონია ეს ხმალი?!". მერე შიგნით შევიდა, გარეთ მდგომმა ნოზამ კი თავისთვის ჩაილაპარაკა: "სათამაშო თქვენ გგონიათ

ღორო მეფეებო, შენი დროც მოვა ჟორდან, მერე ვნახავთ ვინ იქნება საქონელი. საქონლის მოდგმიდან გამოსულო!!!". სარდაფში პატარ პატარა გამოქვაბულები იყო, რომელიც რამდენიმე ათეული წლის წინ ოსტატურად გაეთხარათ, აქ ღვინის კასრებიც იყო ჩაფლული და ძვირფასეულობის შესანახიც. ამ სარდაფიდან იყო სწორედ ბააგრა რომ გაიქცა... გაახსენდა ჟორდანს. მაშინ ერთ-ერთმა მეომარმა უთხრა: "მთავერია უკან ვერ დაბრუნდება, საიდან გაიქცა, მაგას დიდი მნიშვნელობა აღარ აქვსო"... ჟორდანი ძვირფას ქვებს არჩევდა, ბრწყინვალება თვალს სჭრიდა, ეს ბააგრების ქონება იყო, ამიტომ ხარბად დაჰყურებდა მათ. როდესაც ჟორდანმა საქმე მოამთავრა და კარი გამოაღო, დაინახა ნოზა ისევ იდიოტივით იქნევდა თავის ხმალს, ჟორდანმა დაუყვირა: "გადარეულო, მე რა გითხარი?! აჰა, გამომართვი ეს ყულაბა!". ნოზა მოწიწებით მიუახლოვდა და ყულაბა გამოართვა, თან თქვა: "ოჰ, რა მძიმეა, ეს ერთი ხელით მარტო როგორ გეკავათ ბატონო?" "მთავარი სიმძიმე არაა, მთავარია შიგნით რა დევს, შენს ცხოვრებაშსი მსგავსი რამ ნანახი არ გექნება შეშლილო! ბოლს ალბათ ესიამოვნება"... "რა თქმა უნდა ესიამოვნება"... სასახლისკენ მიმავალ კიბეზე შეჩერდა, ყულაბა გახსნა და გაოგნებულმა კინაღამ გონება დაკარგა, მსგავსი ძვირფასეულობა მართლა არასოდეს ენახა. „კარგი, კარგი, გეყოფა, გზა განაგრძე". სუნთქვა შეკრულმა ნოზამ ისეთი ბოროტი თვალებით შეხედა ჟორდანს, რომ მიხვდა რა განზრახვამ გაუელვა ნოზას, შეშინებულმა მკლავში ხელი წაავლო, კიბისკენ უბიძგა და სასწრაფოდ მიაყარა: „მალე შენც გექნება ამაზე მეტი, რაინდო ნოზა!"... ნოზამ ამოისუნთქა და ბავშვივით იკითხა: „მართლა, თავადო?". „მართლა, მართლა!" - უპასუხა შიშნაჭამმა „მეფემ". გახარებულმა ნოზამ გზა განაგრძო, ჟორდანი ზურგზე ხელს უთათუნებდა და ეუბნებოდა: „რაინდს ამაზე უფრო მეტი უნდა ჰქონდეს, აბა რა"... „დიახ, დიახ, მე რაინდი ნოზა ვარ და რა თქმა უნდა ამაზე ბევრად უფრო მეტი მეკუთვნის"...

ქალაქიდან კარგა მანძილის მოშორებით ციხეს არემონტებდნენ... ვინსენტის და ექიმის მეგობარი, პატიმარი ფრენკი, აქ იყო და ძალზე ოსტატურად ისულელებდა თავს... სხვის დასანახად, ყველაზე კარგად მუშაობდა. ამის გამო მუშების უფროსად დანიშნეს. საღამოობით კი ფრენკი ექიმის ნაუბარს იხსენებდა, თან შიშობდა „ვაითუ, ვერ გამოვიდე და ასეთი დავრჩე, მაშინ რა ვქნა? არა, არა, ფიქრები მე ვერ მომატყუებს... ფიქრებო, თქვენ უბრალოდ ფიქრები ხართ და მეტი არაფერი, მოდი ვიმეგრობროთ, იცოდე მე მოღალატე

არ ვარ, მაგრამ თქვენც არ უნდა მიღალატოთ, რადგან მეგობრები ერთმანეთს არ ღალატობენ. ახლა კი ისეთი რამ უნდა მითხრათ, რომ აქედან მალე გავიქცეთ, რადგან ჩემთან ერთად თქვენც დაჭერილი ხართ, პატიმრობაში იმყოფებით, დაგელოდებით და მოგისმენთ“... ასეთი სჯა-ბაასის შემდეგ, ფრენკს ახალ-ახალი იდეები მოსდიოდა და კმაყოფილი იყო. ხანდახან ისე შეიჭრებოდა, რომ ფიქრები ფიქრებს ამშვიდებდა: „დამშვიდდით, აქამდე ხომარ ღელავდით, რადგან არ იცოდით პატიმრები რომ იყავით, თუმცა მე უთქვენოდ არ გავიქცევი. მომისმინეთ, მე აქამდე არ მითქვამს ჩემი სრული სახელი“... ფრენკი წამოდგა, ტანსაცმელი ჩამოიფერთხა და საზეიმოდ წარმოთქვა: „თქვენს მეგობარს ამიერიდან თავისუფალი ფრენკი ჰქვია. თქვენ კი ჩემო კარგებო თავისუფალი ფიქრები გერქმევათ“. შემდეგ ფრენკი ისევ წამოწვა და თქვა: „ახლა დროა დავიძინოთ“. მშენებლობის დასრულებას ჩქარობდნენ, მაგრამ შესაკეთებელ-მისაშენებელი კვლავ ბევრი იყო. ფრენკი ყურადღებით აკვირდებოდა ყველა წერტილს, საიდანაც გაქცევა შესაძლებელი იქნებოდა. ის უკვე თავს თითქმის გათავისუფლებულად თვლიდა, მაგრამ ექიმი და ვინსენტი ხშირხშირად ახსენდებოდა და გული ტკივილით ეკუმშებოდა.

დებო მშვიდად და თავდაჯერებულად გრძნობდა თავს, მას არ ეშინოდა, რომ ჟორდანი თავის და ფორესტის ურთიერთობას გაიგებდა. დებო ფიქრობდა, რომ ექიმი გამოჭერილი ჰყავდა და ფორესტს ეშინოდა დებოს ვინსმესთან არ წამოსცდენოდა ამ ურთიერთობის შესახებ. ფორესტიც ანალოგიურად ფიქრობდა. მისი აზრით დებო იყო ხაფანგში გაბმული, ვერცერთი ვერ ხვდებოდა, რომ ლაბირინთში იყო მომწყვდეული.

ამ დროისათვის ქარავანი, რომელშიც ბააგრა იმყოფებოდა, უდაბნოს მიუახლოვდა, რამდენიმე ვაჭარი აქლემების წამოსაყვანად წავიდა, ტყვეები კი მიწაზე დასვეს. გასაცოდავებული ადამიანები ერთმანეთს მჭიდროდ ეკვროდნენ, რადგან ვაჭრები მათრახებით სცემდნენ და შუბებით აშინებდნენ, ეშინოდათ სადმე არ გაქცეულიყვნენ... ბააგრას ეძინა, მგზავრობას და შიმშილს თავისი გაეტანა. ერთ-ერთ ტყვე ქალს ჩახუტებოდა. ძლიერი ქარი უბერავდა და ქვიშას აქით-იქით ფანტავდა, ცეცხლი ენთო, მაგრამ სითბო ტყვეებამდე ვერ აღწევდა. დღისით საშინელიხვატი იდგა, საღამოს კი პირიქით - ძალზე ციოდა. ვაჭრებმა როგორც კი დაინახეს მათკენ მომავალი აქლემები, შეეგებნენ, შემდეგ აიძულეს დაწოლილიყვნენ, რათა წყლისა და საკვებისთვის

განკუთვნილი ჭურჭელი მიემაგრებინათ ზურგზე... აქლემების დანიშნულება უდაბნოში ეს იყო. აქლემი ძალზე ძვირი ღირდა, ერთი აქლემი ხშირად ორ-სამ მონაში იცვლებოდა. ტყვეებს დღეში ორჯერ აძლევდნენ წყალს და მცირე რაოდენობით გამხმარ პურს. ბოლოს ვაჭრებმა ცემითა და ყვირილით მონები ფეხზე წამოყარეს, ქალები თავზე ნაჭრებს იხვევდნენ, ბააგრამაც მათ მიბაძა, თუმცა კაბა საშინლად დაძონძილიყო, ერთი სახელო მაინც მოახია და თავზე წაიკრა. გოგონა ცდილობდა ყოჩაღად ყოფილიყო მიუხედავად ამდენი უბედურებისა. მისი სახე მთლიანად სისხლითა და ჭუჭყით იყო დაფარული, მხოლოდ თვალები მოუჩანდა, ბავშვური თვალები, რომელთა დანახვა ადამიანს იქით შემატებდა მხნეობას. კაბის ბოლო მოხია და ფეხებზე გაიკეთა, მსგავსად სხვა ქალებისა, მას ერთხელაც არ უკითხავს რატომ აკეთებდნენ ამას, უბრალოდ გუმანით მიხვდა, რომ უდაბნოს მწვავე სიცხისგან დაიფარავდა. ქარავანი უდაბნოში შევიდა, გოგონას ფეხის გულები ეწვოდა, პირველივე დღე აუტანელი გახდა მისთვის, მხოლოდ დაღამებას ნატრობდა, რათა დაესვენა. აუტანელმა სიცხემ საშინელ დღეში ჩააგდო. სხეული, ფეხები დაუსკდა, ის ადგილები კი, რომელიც ტანსაცმლით არ იყო დაფარული, დაეწვა, სახე გაუწითლდა და გაუსივდა. ჭრილობებმა ისევ გახსნესპირი, ამძვრალი ჭრილობიდან სისხლმა იფეთქა, მაგრამ გამოჟონვას ვერც ასწრებდა ზედ ახმებოდა. ასეთ მდგომარეობაში ხუთ დღეზე მეტი უნდა გაეძლო. ბააგრა არ ეპუებოდა მაინც, ნელ-ნელა მიაბიჯებდა, თითქოს მთის მწვერვალისკენ მიეშურებოდა, რათა იქ გაეშალა ფრთები.

როკი მიუახლოვდა საავადმყოფოს, ზურგზე ტყავისგან შეკერილი ჩანთა ეკიდა, რაღაცით ბოლომდე სავსე. ფორესტი ეზოში დახვდა, გაუღიმა და უთხრა: „ფეხით ამოიარეთ ამხელა გზა ბატონო როკი?“... როკიმ არც შეხედა ისე ჩაილაპარაკა „ლაპარაკის თავი არ მაქვს, ჯერ უნდა მოვისვენო.“ ფორესტმა ფარისევლურად მიუგო: „რომ მცოდნოდა ცხენს გამოგიგზავნიდით“. გვერდით გაჰყვა, ფორესტი მორიგე-სანიტრების ოთახში შეუძღვა სტუმარს, მორიგეებს კი საავადმყოფოდან გასვლა უბრძანა. ექიმი სიხარულს ვერ მალავდა. როკმა ჯერ ავადმყოფებს დაუგდო ყური, შემდეგ კი ჩანთიდან საჭმელების ამოლაგებას შეუდგა. ნახევრამდე რომ მიაღწია, პაწაწინა, თითის ზომის თიხის ჭურჭელი ამოიღო და ფორესტს მიაწოდა: „ეს თქვენ, ხვალ მოვალ და მითხარი რა არის, მაინტერესებს რამდენად ხართ განსწავლული“... მცირე ხნის შემდეგ დაუმატა, თან თვალს არ აშორებდა ფორესტს: „ჰოო, ექიმს ტყუილად არ ჰკითხოთ, თავი არ

შეირცხვინოთ, არც მან იცის რა ხსნარი ასხია შიგნით. ერთს გეტყვი, სასიკვდილო არ არის“... ფორესტი წამოდგა და თავდახრილმა მიუგო: „გმადლობ, ბატონო როკ, გმადლობ ნდობისთვის“... „გამომიყვანეთ ექიმი“. მოისურვა მოსულმა. ფორესტი დაიბნა თითქოს, საკნისკენ გაეშურა. როკი დარეფნისკენ ზურგით დაჯდა, ხელები მუხლებზე დაილაგა და ნაღვლიანი თვალებით დაელოდა... ექიმმა საკნიდან გამოსვლისთანავე, მისი კეფა დაინახა, წინ ნელა მიიწევდა, თან თვალს არ აშორებდა მას, ექიმსაც ნაღველი ჩასდგომოდა თვალებში, უცნაურ ფიქრებში წასულიყო. ოთახში შევიდა, კარებთან დადგა, მის უკან ფორესტი იდგა, მან როკს გადახედა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა: „მე გარეთ, დერეფანში დაგელოდებით, არ მინდა ხელი შეგიშალოთ“... თავდახრილმა როკმა მშვიდად მიუგო „გმადლობ, ექიმო“. კარი მიიხურა, ექიმი არ განძრეულა, თითქოს როკიც არ აპირებდა თავის აწევას. მცირე დუმილის შემდეგ, მისი ხმა გაისმა: „უნდა გთხოვოთ, რომ ჩამოჯდე“.. ექიმი მაგიდას მიუახლოვდა, ჩამოჯდა და მდუმარედ საკვების მირთმევას შეუდგა... „ამ დღეებში აქედან გაგაპარებ“... ექიმმა ელვისუსწრაფესად მიუგო: „მარტო არ ვარ“... „როდის ყოფილხარ მარტო?“. „ვერ გაიგე, ჩემთან მენის შვილია, ძალზე ცუდადაა, მასთან ერთად შორს ვერ წავალ, ჯერ უნდა გამოჯანმრთელდეს და მერე“... „კარგი, როგორც იტყვი, ექიმო“. „თავს არ აწევ? არ გინდა შემომხედო?!“... როკმა გახუმრება სცადა: „რა შესახედი შენ ხარ, დედოფალი ხომარ ხარ?“. „ოჰ, დამავიწყდა, შენ ხომ მუდამ დედოფლები გაინტერესებდა და სხვა არაფერი“. როკს სიცილი აუტყდა, ექიმი თვალს არ აშორებდა, ისე ილუკმებოდა. „შენსავით ექიმი ხომ არ ვიყავი, ჰო და დედოფლები მაინტერესებდა“... როკი სიცილს ვეღარ იკავებდა შემდეგ დასერიოზულებულ ექიმს შეხედა, წამოდგა, თითი მისკენ გაშვირა და სიცილისგან ჩაიკეცა. ექიმი არ გაბრაზებულა, უბრალოდ ძვალი ესროლა, როკმა ხელი აიფარა და უფრო ხმამაღლა განაგრძო ხარხარი. „სახლში არ ვართ, გაჩერდი, უნდა გელაპარაკო“... ფორესტი ამ ყველაფერს დერეფნიდან ადევნებდა თვალს, სიცილის გაგონება ესიამოვნა, მაგრამ გულში გაიფიქრა: „არა, ისიც გიჟია, მაგრამ ჯერ მასწავლოს რაღაცები და შემდეგ მე ვიცი, აქ ადგილი ჯერ კიდევ ბევრია“...

ვინსენტი, შუგი და ძია ის მშვიდად საუბრობდნენ ერთმანეთში... ვინსენტი ერთ-ერთ სათავგადასავლო წიგნს ყვებოდა და თან შიგადაშიგ ეკითხებოდა, რას ფიქრობდნენ მონათხრობზე. „თავი ხომ არ მოგაბეზრეთ ამდენი საუბრით?“ „ეს ყველაფერი

მართალია?“. იკითხა შუგმა. „რა არის ამაში დაუჯერებელი, მე უარესებიც მინახავს“. დაამატა ისმა. ვინსენტმა გამონახა საერთო ენა ძია ისთან... აღარ უწევდა ფარისევლობა და ტყუილები, უბრალოდ აღარ ეკითხებოდა „ვინ იყო ძია ის“...

ამ დროს ბოლი და ჟორდანი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. „ეს რა ამბავია, უნდა წამოვწვე, ვჭამო და ვსვა, ამდენი დოვლათი, ყველა დაპყრობილი ქალაქიდან ერთად აღებული არ გვქონია“. თქვა ბოლმა. „შენთვის არაფერი მენანება“. „მჯერა ჟორდან, ეს საჩუქარი ამტკიცებს, რომ შენ ნამდვილად ჩემი ძმა ხარ. ამიტომ რომც არ გინდოდეს, ჩემ ხალხს აქ ვტოვებ, ისინი ყოველთვის შენს გვერდით დადგებიან, ნებისმიერ დროს. იცოდე, ჩემს გარდა შენთვის თავს არავინ გაწირავს უყოყმანოდ“... მათ იდი მიუახლოვდა. ბოლმა ხელი გადახვია და უთხრა: „არ გინდა ცოტა ხნით ჩემთან წამოხვიდე? ვფიქრობ, იქაურობა მოგეწონება“... იდიმ ღიმილით მიუგო: „სიამოვნებით, მაგრამ სიცივე არ მიყვარს ბატონო ბოლ!“. „შენ ისეთ სითბოში გამყოფებ ჩემს მართლა ცივ ქვეყანაში, რომ მთელი ცხოვრება იმ სითბოს ნატვრას და მოგონებაში იქნები“... იდი ჩაფიქრდა, ჟორდანმა კი პასუხის გაცემა არ აცალა თვითონ მიუგო: „ეს ჯერ აქ უნდა იყოს, შენთან კი ერთად ჩამოვალთ, პირობას გაძლევ!“... ბოლის გამგზავრების დროც მოახლოვდა, მან ჟორდანს უამრავი ცოფიანი მეომარი დაუტოვა, ისინი მხოლოდ ჟორდანის ბრძანებას შეასრულებდნენ. „მეფემ“ იცოდა, რომ სახელმწიფო მთლიანად თავის განკარგულებაში იყო, ტახტი მას ეკუთვნოდა, მაგრამ მაინც წუხდა, ბააგრას გვამი რომ ვერ იპოვა. დღე და ღამე იმის ცდაში იყო, რომ თავისი ხელისუფლება კარგად გაემყარებინა... კარგადაც გამოსდიოდა...

ქარავანი გზას აგრძელებდა, დღის განმავლობაში სიცხისგან ბააგრას ტანსაცმელი უსველდებოდა.. საღამოს კი ცივ უდაბნოში არ შრებოდა და მთელი დრო ნესტიან კაბაში უწევდა ყოფნა. სიცხემ აუწია, საცოდავად კანკალებდა... მთელი ღამე გათენებას ნატრობდა... ასე ერთი და იგივე მეორდებოდა... ყვირილი, ლანძღვა, შფოთი, საშინელი მოპყრობა. აქამდე ტყვეები ერთმანეთზე ჰყავდათ გადაბმული, გაქცევას აზრი არ ჰქონდა, ახლა კი გაუთავისუფლეს ხელები და ისე აგრძელებდნენ გზას... თუ ვინმე წაიქცეოდა, ისევ ტყვეები შველოდნენ. სხვა შემთხვევაში დაცემულს იქვე ტოვებდნენ გველების საკვებად. ბააგრა საშინელ მდგომარეობაში იყო, გონება დაბინდვოდა, მოთენთილ სხეულს კი მხოლოდ ერთი აზრი ასულდგმულებდა „არ დავეცე, არ დავეცე“... თითქოს

ვიღაცას კოდივით ჩაედო ტვინში... გათანგულ ფეხებს ვეღარ გრძნობდა, ინსტიქტურად მიაბიჯებდა. უდაბნოს კი ბოლო არ უჩანდა, ხრიოკ ადგილებში გველები თავისუფლად დასრიალებდნენ, ბააგრა მიდიოდა, თავდახრილი, ტყვეთა ფეხებს მიშტერებოდა, თავისთვის ლაპარაკობდა... ეს არ გამოპარვია იმ ტყვე ქალს, რომელიც მის უკან მიაბიჯებდა და მთელი ამ ხნის მანძილზე მზრუნველობას არ აკლებდა პატარას. ქალს მატილდა ერქვა, თავზე ხელაღებული, უშიშარი და ურწმუნო ადამიანი იყო, არავინ უყვარდა... ბააგრას პატიმრობამ გულწრფელად გააოცა, ამიტომ ბავშვის მიმართ დიდ ყურადღებას იჩენდა. ბააგრას არ ჰყოფნიდა ის ერთი წვეთი წყალი და ხმელი პური, ვაჭრები რომ აძლევდნენ, მაგრამ ამაზე მატილდა ზრუნავდა... დილით თავის წილს უთმობდა, თან ესაუბრებოდა: „მე მიჩვეული ვარ ბავშვობიდან ტანჯვა-წამებას, როდესაც დანაყრებული ვარ, თავს ცუდად ვგრძნობ, ამიტომ ჩემი კარგად ყოფნა ცუდად ყოფნას ნიშნავს. ისე მივეჩვიე მხეცი მამაკაცებისგან სისხლის წოვას, რომ ტკივილსაც ვერ ვგრძნობ აღარაფერი მაოცებს, თუმცა ყველა კაცი ერთნაირი არაა, მაგრამ მე ნამდვილი მამაკაცი არ შემხვედრია“... მატილდა ისე ესაუბრებოდა ბააგრას, როგორც თანატოლსა და მეგობარს. ამავდროულად კი პატარას ეძახდა... მან ბააგრაზე არაფერი იცოდა, რადგან ბავშვს საუბრის თავიც არ ჰქონდა. მხოლოდ უღიმოდა. „როგორ ფიქრობ, პატარავ, შემხვდება ცხოვრებაში კაცი, ჭეშმარიტად რაინდი?!“ საღამოს, როცა აგრილდებოდა ბააგრა ძალას იკრებდა და ერთსა და იმავეს უმეორებდა მატილდას: „ახლა ისიც ასე ფიქრობს შენზე „შევხვდები მას თუ არა?“ დაიმედებული მატილდა სიყვარულით ეტყოდა ხოლმე: „რა პატარა ხარ და როგორ მაიმედებ, წარმომიდგენია, რომ გაიზრდები, რას იზამ“. მატილდა ოცდაათ წელს მიახლოებული ქალი იყო, მაგრამ უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, მაღალი, თვალშისაცემი ტანი ჰქონდა, პატარა ცხვირი, ლამაზი ტუჩები და შავი, გრძელი თმა, მაგრამ ყველაზე მთავარი მისი მწვანე თვალები გახლდათ, რომელთა აღწერა შეუძლებელია, მისი ელვარება და სილამაზე განასხვავებდა სხვა ქალებისგან, თუმცა ამ სილამაზეს არად აგდებდა, მას ბევრი გაჭირვება ენახა და არაფერი არ აოცებდა. მისი მზრუნველობა კი მთლიანად ბააგრაზე იყო გადატანილი ამ უკანასკნელი ტყვეობისას. ბააგრას უფრო და უფრო უჭირდა სიარული, დახეთქილ ფეხებს ძალა აღარ შესწევდათ. უკვე მოლანდებებიც დაეწყო, ხან ძმებს ესაუბრებოდა და ხან დედას, ხან კი იმ ცოფიან მეომრებს, ვინც გადაარჩინა ტყეში.

თავი მაღლა ასწია, ახედა რაინდ მენის და მის მხსნელ მეომარს რომელმაც ზუსტად ისე დაუღრინა, როგორც პირველი შეხვედრისას... ბააგრას გაეღიმა და ჩაილაპარაკა: „აქამდე რატომ არ მოხვედით, დანარჩენები სად არიან?!“. ისინი დუმდნენ და სვლას განაგრძობდნენ. „ახლა უდაბნოს გავივლით და ყველა ერთად უნდა შევიკრიბოთ, გესმის ჩემი მენ?“. მენი პასუხს არ სცემდა, თიხის ჭურჭლით წყალი გაუწოდა ბააგრას, მაგრამ ვერ დალია, მაშინ მეორე მეომარმა ხელის გულები ერთად შეკრა, წყალი ჩაუსხეს და ისე დაალევინეს პატარას. მისი საუბარი მატილდას არ გამოჰპარვია. მიხვდა, რომ ბავშვი უდაბნოს სენით იყო შეპყრობილი. ბააგრამ წყალი მთლიანად შესვა და ჩაილაპარაკა: „ამოვისუნთქე, მადლობა“. მენიმ და მეომარმა გაუღიმეს პატარას და გაუჩინარდნენ. ბააგრამ მატილდას გახედა და თქვა: „რაინდები იყვნენ ჩემთან, წყალი მომართვეს“... მას სახე და ტანი სველი ჰქონდა. მატილდამ თითით ტუჩები მოუწმინდა ბავშვს, შემდეგ კი გემო გაუსინჯა, ეს მართლაც წყალი იყო და გაოცებისგან შეკრთა. ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა და ათასგვარმა აზრმა გონება დაუბინდა. ფიქრობდა, ბოროტი ძალები ხომ არ მოვიდნენ მის წასაყვანადო. თითქოს მათგან დასაცავად, ბააგრა ზურგზე მოიკიდა, შეშფოთებული სიმძიმეს ვერც კი გრძნობდა. თვალცრემლიანი მიუყვებოდა გზას. ისედაც დაძაბულ და დათრგუნულ ტყვეებს გულს უფრო უმძიმებდათ გზა და გზა ქვიშაში ჩამარხული ადამიანები. ეს უდაბნოში დასჯის ერთ-ერთი წესი იყო, ხელ-ფეხ შეკრულებს ყელამდე ქვიშაში მარხავდნენ... გველის დაგესვლას თუ გადაურჩებოდნენ, მზის მცხუნვარება მაინც მოუღებდათ ბოლოს... ვაჭრები ყურადღებასაც არ აქცევდნენ მათ, მთელი გულისყური ქალაქისკენ ჰქონდათ მიმართული, რომელიც კიდევ ერთი დღის სავალზე მდებარეობდა... ბააგრას ჯანმრთელობა უარესდებოდა, ჰალუცინაციები უძლიერდებოდა, ჩანჩქერი ეჩვენებოდა... მატილდა წამითაც არ ფიქრობდა მის ზურგიდან ჩამოყვანას, მხნედ აგრძელებდა სვლას და პატარასაც ამხნევებდა: „ჰო, ჩემო პატარა, ახლა მივალთ იმ ჩანჩქერთან“. „ფრთხილად გზას არ ავცდეთ, ხედავ რა ლამაზია?“ ამოიკვნესა ბააგრამ. „ვხედავ, პატარავ, ვხედავ“. გზა იწელებოდა, მოსაღამოვდა, ოდნავ აგრილდა, ქალმა ბავშვი გულზე მიიკრა, შავი ფიქრები გულს კვლავ უღრღნიდა, ბააგრას უდაბნოს სენი ისევ ახსენებდა თავს... გაუძლებდა კი, მისი უძლური სხეული ამდენს?!. ამიტომ ქალი მალიმალ ეკითხებოდა, როგორ იყო. პატარა უმალ პასუხობდა: „კარგად ვარ“. მას არ ახსოვდა რამდენი წლის იყო, ვერ აზროვნებდა.

მას მხოლოდ ერთი ადამიანი ამოძრავებდა. გამთენიისას მატილდამ მოტყუებით თავისი პური და წყალი მისცა... კვლავ ეკითხებოდა: „პატარავ, ცხოვრებაში ვინმე გიყვარდა?“ ამით უნდოდა გაერკვია, სენი ისევ ხომ არ შეუბრუნდა. ბააგრამ ღრმად ამოისუნთქა და მიუგო: „ყველა, ერთის გარდა!“ „ვინ იყო ის ერთი?“ - დაინტერესდა ქალი. „მოღალატე!“ მატილდა: „დანარჩენები კარგები იყვნენ?“. „არა“. „მაშინ რატომ გიყვარდა?“. „მე კარგები მიყვარდა, ისინი კი მკვდრები ყოფილან“... მატილდამ აღარაფერი ჰკითხა, უსიტყვოდ გაჰყვა უკან მის ნაფეხურებს აკვირდებოდა, უცებ შეამჩნია გოგონას ტერფებიდან სისხლი სდიოდა... ჟრუანტელმა ცივი წყალივით დაუარა. გული შეეკუმშა, ხელი წაავლო ბავშვს და უთხრა: „გეყოფა სიარული, ახლა მე გაგასეირნებ!!!“ უმალ მხრებზე შემოისვა და მტკიცედ განაგრძო გზა. ბააგრას გაეღიმა, ხელები ყელზე შემოხვია და თვალები დახუჭა. ფეხებზე მიწებებული დაფლეთილი ნაჭრები კი საცოდავად ეკიდა. ქალმა ნაბიჯს აუჩქარა... წინარიგებში ჩადგა... მცირე ხნის შემდეგ ბააგრას ჰკითხა: „როგორ ხარ?“ პასუხი არ მიუღია, ქალი შეშფოთდა.. პურის გამხმარი ნატეხი პირში ჩაიდო და დაალბო... ბავშვი ქვიშაზე დააწვინა შეეცადა დარბილებული ლუკმა პირში ჩაედო... ცოცხალ-მკვდარი ტყვეები ნელ-ნელა შორდებოდნენ მათ. ვაჭრის ყვირილი შემოესმა: „დააგდე ეგ ლეკვი, იდიოტო“... ბააგრამ თვალები ძლივს გაახილა, გაუღიმა მატილდას, ქალს იმედი მიეცა: „ჭამე პატარავ, ნახე რაინდებმა როგორი რბილი პური მოგიტანეს... უკან ბრუნდებიან, კიდევ უნდა მოვუტანოთო“... ბააგრამ თავი უკან გადააგდო, მატილდას ზურგს უკან გაიხედა, დაღუპული რაინდები და ის ცოფიანი მეომარი იდგნენ... გაიცინა, მის ღიმილზე მატილდამაც უკან გაიხედა და შეჰკივლა: „არა!“ მის უკან რაინდები იდგნენ. შიშისგან გოგონასთვის გამზადებული ლუკმა გადმოუვარდა. ბააგრამ მშვიდად დაღეჭა ლუკმა და მიუგო: „რა არა?“ მატილდამ გული გაიმაგრა, ლუკმა ისევ ჩაუდო: „რა არა და პურს მაწვდიდნენ, მე კი უარი ვუთხარი“. ბააგრა მეორე ლუკმას ღეჭავდა ისევ, რომ ვაჭრის ბრაზიანი ხმა მოესმა: „მიაგდე, სულელო და წამოდი, თორემ ორივე მოკვდებით!“. „ჩემი მეგობრები შენი მეგობრებიც არიან, გამოართვი, ეს მართლაც მოსარიდებელია“. „კარგი მაშინ ერთად მივიდეთ“... ამ სიტყვებით ის წამოდგა და ბავშვი ისევ მხრებზე შემოისვა... მალე ქარავანს შეუერთდნენ. ქალმა უკან მოიხედა, გაუხარდა, რომ არ მოსდევდათ. შუადღისკენ ვითარება ისევ გაუარესდა, ბააგრას ხშირ-ხშირად მისდიოდა გული... წყლის თხოვნასაც აზრი არ ჰქონდა, ვაჭრებსაც აღარ ჰქონდათ,

ჩქარობდნენ, დანიშნულ ადგილამდე ბევრი მანძილი აღარ დარჩენოდათ... მატილდა დარდს გულში იკლავდა... ერთხელაც ვეღარ მოითმინა და განწირული ხმით იყვირა: „პატარავ, პატარავ, გაიღვიძე მოვედით, გაიღვიძე“. ტყვეებმა და ვაჭრებმა მართლაც დაინახეს გალავანი, რომელიც ქალაქს გარს ერტყმოდა... ამაყად გამოიყურებოდა თითქოს ამბობდა „ჩემი დამსახურებაა ქალაქი ერთხელაც რომა რ დაცემულა მტრის მიერო“. ქალაქში შესვლამდე ორი კარი უნდა გაეღოთ, ორივე ღია დახვდათ გუშაგების მიერ... ქარავანი ქალაქში შევიდა... მათ წინ ზღაპრული სილამაზე გადაიშალა. ეს მართლაც უდაბნოს მარგალიტი იყო. სახლები ქუჩის ორივე მხარეს ლამაზად ჩაემწკრივებინათ, ყველგან სისუფთავე მეფობდა... ყველაფერი დიდი გემოვნებით იყო მოწყობილი. შუაგულში კი, დიდ მოედანზე, სულთნის ბრწყინვალე სასახლე იდგა, წინ უზარმაზარი საცურაო აუზი გაჭიმულიყო, გარშემო არნახული ბაღი, უამრავი ყვავილითა და ხეხილით აქა-იქ ულამაზესი ფარშავანგები დაგოგმანობდნენ. სასახლის გუმბათი ოქროთი დაეფარათ, აქვე იდგა ოთხი უზარმაზარი, ძალიან მაღალი კოშკი, მათი წვეროებიც ოქროთი შეემკოთ. სასახლეს გარს ერტყა აივნები, საიდანაც შესანიშნავად მოჩანდა მთელი ქალაქი. სწორედ ასეთი სიმდიდრე, სილამაზე და სინატიფე იყო მიზეზი იმისა, რომ ქალაქს უამრავი ვაჭარი და ტურისტი აწყდებოდა. ვაჭრობა კვირაში რამდენიმე დღე იმართებოდა. აქ უამრავი ქვეყნიდან ჩამოდიოდნენ... არ არსებობდა ისეთი რამ, რისი ყიდვა და ნახვა აქ არ შეგეძლო. სულთანს ძალზე სიამოვნებდა, ამ დროს, ქალაქში სეირნობა და მთელ დღეებს თითქმის გარეთ ატარებდა. ცხენების მოყვარული იყო და იმ დღეს ცხენების ბაზრობაზე იმყოფებოდა, რამდენიმე მეომარსა და მსახურ ქალთან ერთად, აქ ყველა ქალს ჩადრი უმალავდა სახეს... ქარავანიც ამ ბაზრობის შუაგულისკენ მოემართებოდა, ყველა გზას უთმობდა და ინტერესით ათვალიერებდა ტყვეებს. ქალაქის ცენტრალურ ჭასთან გაჩერდნენ... მთელი მოსახლეობა აქედან ეზიდებოდა წყალს, ამიტომ დღის ნებისმიერ მონაკვეთში აქ ხალხი ბუზივით ირეოდა. წყლის დანახვაზე მატილდა პირველი მივარდა ჭას სწრაფად ამოიღო პეშვით წყალი და ბააგრას შეასხურა, ხელ-ფეხი დაუზილა, გოგონამ თვალები გაახილა, გამოცოცხლდა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა თქვა: „ფეხის გულები მტკივა“. გახარებულმა მატილდამ სახე დაუკოცნა ბავშვს და უთხრა: „კარგია, კარგია, რომ გტკივა, მხოლოდ მკვდრებს არ სტკივათ არაფერი“. ცოტა ხნის შემდეგ გოგონამ ხელებს დახედა

და თქვა: „ხელები და სახე მეწვის“. მატილდა კვლავ სიცილით პასუხობდა: „უნდა გეწვოდეს პატარავ, აბა რა“... ბავშვი ვერ ხვდებოდა რა უხაროდა ქალს. შემდეგ ხალხს მოავლო თვალი, მათი საუბარი ვერ გაიგო და იკითხა: „სად ვართ?“ „არაბეთში ვართ პატარავ“. ბააგრას ცოტა რამ თუ გაეგო არაბების შესახებ, გაოგნებული იყურებოდა, იქვე პატარა არაბმა ბიჭუნებმა ჩაიარეს და სიცილი დააყარეს გოგონას... მატილდამ აუხსნა, რომ „ასე იქცევიან ბიჭები შენისთანა ლამაზი გოგონას დანახვაზე, შენ ნებისმიერ პრინცესას სჯობიხარო“. ქალი აშკარად იტყუებოდა... ჭუჭყისგან ისე ჰქონდა გოგონას სახე დაფარული, ვერც გაარჩევდი ბიჭი იყო, თუ გოგო. თუმცა გოგონას მათი დაცინვა გულთან არ მიუტანია, მაგრამ თავის ხელ-ფეხს დახედა და ნაღვლიანად თქვა: „ მათ ჰგონიათ რომ წავიქეცი. ზოგჯერ კი მაბრაზებდნენ ბიჭები“. ეს თქვა და უცებ ხმაური ატყდა, ტყვეებს ერთი მომაღლო სცენისკენ ერეკებოდნენ, მატილდამ ბავშვი მიიკრა მკერდზე, აშკარა იყო, რომ მისი დაკარგვის ეშინოდა. ვაჭრები უხეშად მიიკვლევდნენ გზას... ხალხი გზას უთმობდა მონების ახალ პარტიას... გასაყიდი ტყვეები რიგში იდგნენ. უამრავ ენაზე ისმოდა ყვირილი და ლანძღვა-გინება, ათასი თვალი იყო უბედური ადამიანებისკენ მომართული... ინტერესით მომზირალი, ნელ-ნელა იყიდებოდნენ... არ იცოდნენ სად ამოყოფდნენ თავს.. ჯერი მატილდაზეც დადგა, მან სწრაფად ჩამოსვა ბააგრა და გულთბილად მიუალერსა... ბააგრამ თვალებში ჩახედა მუხლებზე დაჩოქილ ქალს და უთხრა: „ხომ არ გეშინია?“ მატილდას თვალები ცრემლით აევსო და ბავშვის გასამხნევებლად თქვა: „მთავარია, რომ ცოცხლები ვართ“... შემდეგ ვაჭარმა თმებში წაავლო ხელი და სცენისკენ გაათრია. ბააგრა გაუნძრევლად იდგა და შეჰყურებდა მეგობარს. ვაჭარი გულმოდგინედ ცდილობდა მატილდას კარგ ფასში გაყიდვას, ხან ხელს ააწევინებდა, ხან კბილების დაკრეჭვას აიძულებდა... გამალებული ყვიროდა: „ხუთი ოქრო!... ხუთი ოქრო!... შეხედეთ, ნახეთ, მწვანეთვალება ანგელოზი გინახავთ? აი ნახეთ!!!“. ვაჭარმა უფრო ახლოს მიიყვანა ხალხთან ქალი, რათა უკეთ შეძლებოდათ მატილდას მართლაც ანგელოზისებური თვალების ხილვა. უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი... მამაკაცებს გონება ებინდებოდათ მის დანახვაზე, ფასმა ოც ოქროს გადააჭარბა. ქალი ამაყად იდგა და თვალს არ აშორებდა ბააგრას. მყიდველები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ყველას უნდოდა ამ მშვენიერი არსების დასაკუთრება, ფასი ოცდაათ ოქროს გასცდა, ვიღაცამ ოცდაცხრამეტი ოქროს გადახდა მოინდომა, სიჩუმე ჩამოწვა,

რამაც სულთანის ყურადღება მიიქცია... იგი სცენას მიუახლოვდა, ფასი ელვისებური სისწრაფით იზრდებოდა, „ორმოცდაათი ოქრო“... სამი მყიდველი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. სულთანმა ქალის თვალებს შეხედა, სადღაც იმზირებოდნენ დიდი სიყვარულით, თუმცა ვერ დაინახა ვისკენ იყო მიმართული. უკან გაბრუნდა... უცებ ყიჟინა ისევ ატყდა, მატილდა გაიყიდა... იგი სულშეძრული იდგა და ბავშვს გასცქეროდა... მყიდველმა ნადავლს ხელი ჩაავლო და სცენის მეორე მხარეს გაიყვანა, ბააგრა ახლა მხოლოდ მათ ზურგებს ხედავდა, მოულოდნელად ქალმა თავი უკან მოაბრუნა, ბააგრას შეხედა და მთელი ხმით იყვირა: „არ მეშინია პატარავ!“. სულთანი კვლავ შემოტრიალდა, კვლავ გააყოლა თვალი ქალის მზერას... იქ მხოლოდ მამაკაცები ირეოდნენ. გაოცებულმა სულთანმა ისევ განაგრძო გზა. ერთ-ერთმა მსახურმა, სახელად აბიბომ, იგრძნო რას აკვირდებოდა სულთანი და მიმართა: „დიდო სულთანო“. „რა გინდა აბიბო?“. „იქით გაიხედეთ“ და თითი გაიშვირა... სულთანმა იქით გაიხედა, თუმცა ისევ ვერაფერი შენიშნა განსაკუთრებული... „რა არის აბიბო?“... გაკვირვებულმა აბიბომ მიუგო: „ბავშვის ხელი სულთანო, იმას უყურებდა ის ქალი“... სულთანმა ახლაღა შენიშნა პატარა ბავშვი და ჟრუანტელმა დაუარა, გაშეშდა. გოგონას ხელი მაღლა აეწია, მუშტად შეეკრა და სისხლი სდიოდა. სულშეძრული იდგა სულთანი. მსახური ასეთ რეაქციას არ ელოდა და უმალ პატიება ითხოვა: „მომიტევეთ დიდო სულთანო, ხომ იცით ეს რას ნიშნავს?“. გაქვავებულმა სულთანმა მიუგო: „დაახლოებით ვიცი, აბიბო“... სიკვდილისკენ მიმავალი გესალმებათ თქვენ. სულთანმა ნაღვლიანად მიუგო: „ალბათ ეს ბიჭუნა იმ ქალის შვილია“... მსახური ბააგრასკენ გაემართა, მაგრამ ამ დროს ვაჭარმა ბავშვი სცენაზე გამოათრია. მსახური უკან დაბრუნდა. „რატომ დაბრუნდი?“. „ის ბიჭი კი არა გოგონა ყოფილა, აი სცენაზეა“. მიუგო მსახურმა. ამჯერად სულთანმა მზერა სცენისკენ გადაიტანა. ვაჭარს თმაში ჩაევლო გოგონასთვის ხელი და ზიზღით ეუბნებოდა; „ეს რომ მცოდნოდა, ჩემს ოქროს ზურგზე ეჯექი, ჩემი ხელით მიგახრჩობდი უდაბნოში... გახვრეტილი ვერცხლის ფულზეც სიამოვნებით მივცემ ნებისმიერს შენს თავს“. ვაჭრობა დაიწყო. სულთანი თვალს არ აშორებდა გოგონას და მასში ვიღაც სხვას ხედავდა. ბააგრას ფასი თუმცა ძალზე იაფი იყო, ერთი გახვრეტილი ვერცხის მონეტა, მაგრამ მაინც არავინ ყიდულობდა. ბავშვის თითების დანახვაზე ყველა ზიზღით აქცევდა ზურგს და უკან ბრუნდებოდნენ... ზოგი კი ყვიროდა: „გადააგდეთ მკვდარი ლეში... ნაგავი შენთვის

დაიტოვე“. უცებ ამ ყვირილში ხმა გაისმა: „ვყიდულობ!“. ეს სულთანი იყო. ყველამ მისკენ მიიხედა გაოცებით. სულთანი სცენას მიუახლოვდა, ბავშვს თვალებში ჩახედა და დაინახა, რომ ის მზად იყო სიკვდილისთვის. სულთანს არც გაუგია ფასი, რა ღირდა, სავსე ქისა ვაჭარს გაუწოდა და მსახურებს უბრძანა გოგონა სასახლეში წაეყვანათ. როცა მის თითებს კვლავ შეხედა სულთანმა, ქალებს უბრძანა, რომ ხელში აყვანილი ეტარებინათ. სულთანის საქციელით ყველა გაოგნებულიყო, რადგან იცოდნენ, რომ მონას არასოდეს ყიდულობდა, მას ირგვლის ყველა ნიჭიერი და ძალზე განსწავლული მსახურები ჰყავდა... ზოგიერთი რამდენიმე ენასაც ფლობდა. ერთ-ერთმა მსახურმა ქალმა, სახელად ნასიმამ, იცოდა ბააგრას ენა. აბიბომ ბავშვი სცენიდან ჩამოიყვანა და ქალებს გადასცა. ნასიმამ სხვადასხვა ენაზე ჰკითხა ვინაობა. ბააგრამ უხასიათოდ ჩაილაპარაკა: „ჩემს ქვეყანას დაგო ჰქვია“. ქალმა გაუღიმა და უთხრა: ძალიან კარგი, პატარავ, ნურაფრის შეგეშინდება, ყველაფერი კარგად იქნება. შემდეგ ხელში აყვანა სცადა, მაგრამ ბააგრამ უარი უთხრა: პატარა არ ვარ, ჩემითაც შემიძლია გავლა. ნასიმას ჩადრით დაფარული სახიდან მხოლოდ თვალები მოუჩანდა. გოგონას უცნაური მზერა ესროლა, შემდეგ კი უთხრა: ვიცი, რომ სიარული შეგიძლია, მაგრამ ფეხები ძლიერ გაქვს დაზიანებული, ამიტომ ხელში უნდა აგიყვანო, მოითმინე, სასახლემდე მალე მივალთ. ბააგრამ არ იცოდა ვინ იყიდა, სად მიჰყავდათ, მაგრამ ამაზე ფიქრის თავი არ ჰქონდა, მხოლოდ მატილდა ადარდებდა და ირგვლივ გასაყიდად გამოტანილი სურსათი უღვიძებდა მადას. ამიტომ ხშირ-ხშირად გააპარებდა თვალს ლამაზად გაწყობილ დახლებისაკენ. ნასიმა მიუხვდა ფიქრებს და ერთ-ერთ ქალს არაბულად მიმართა, სთხოვა ბავშვისთვის ორცხობილა ეყიდა. ბააგრას ჭამა სრცხვენოდა, ქალმა კი დაამშვიდა: „მიირთვი პატარავ, იმაზე კი, რაც განერვიულებს, მერე იფიქრე“. ბააგრა თავს იკავებდა, ცდილობდა, ერთიანად არ გადაესანსლა ორცხობილა. სულთანი ისევ ქუჩებში სეირნობდა, მაგრამ ფიქრებით ბააგრას ირგვლივ ტრიალებდა. აბიბოსი გვერდით მიჰყვებოდა კვლავ. უბრძანა: „ბავშვი ყურადღებით შეამოწმონ, რამე ხომარ სჭირს“. „ახლავე ექიმს დავუძახებთ“. „არა, ექიმი არ არის საჭირო, ალქიმიკოს უხმეთ“. მისი ბრძანება უმალვე იქნა შესრულებული. ნელ-ნელა ხალხმრავალ ადგილს შორდებოდნენ, მათ წინ მხოლოდ თვალუწვდენელი უდაბნო გაშლილიყო. უცებ თვალი მოკრეს ქალისა და ბავშვის სხეულებს, დაჭრილები ეყარნენ და მზის მცხუნვარება ბოლოს უღებდა. მათ

დანახვაზე სულთანმა ისევ ბააგრა მოიკითხა: „უთხარით მსახურებს უკეთ მიხედონ გოგონას“. გოგონა სასახლეში მიიყვანეს და ბავშვი ნანახმა სილამაზემ სულ დაამუნჯა, აქამდე მხოლოდ თავისი ქვეყნის სილამაზე ენახა... არ ეგონა მასზე ლამაზი თუ სადმე იქნებოდა კიდევ. გაფაციცებით ადევნებდა თვალს ყველაფერს, შემდეგ სასახლის დიდ აბაზანაში შეიყვანეს და საგულდაგულოდ დაბანეს, გაოგნებული იყო ამ მშვენიერებით...

საღამო ხანი იყო, სულთანი ფეხმორთხმით იჯდა დიდ დარბაზში და მის წინ ოქროს ჭურჭელზე დალაგებულ ხილს მიირთმევდა. ამ დროს კართან მდგარი შუბოსანი მსახური მიუახლოვდა და ხმადაბლა რაღაც უთხრა, სულთანმა თავი დაუქნია და მსახური ქალი შემოვიდა, მდაბლად თავი დაუკრა, დაიჩოქა და უთხრა: „მომიტევეთ დიდო სულთანო შეწუხებისთვის. მინდოდა მეთქვა, რომ ბავშვი დავბანეთ, ძლიერ არის დასუსტებული, ხელ-ფეხი და სახე მზისგან აქვს დამწვარი, ზურგზე ნაიარევებიც ეტყობა, ალქიმიკოსმა ყველაფერი იღონა მის მოსაღონიერებლად“. შემდეგ ნასიმამ ხელები წინ გაიწვდინა და სულთანს უთხრა: „ბავშვს გულზე ეს ძვირფასი ბეჭედი ეკიდა, როცა ვხსნიდით ძლიერ აღელდა, ახლაც სულ ამ ბეჭედს კითხულობს“. ამ სიტყვებით მან სულთანს ბეჭედი გადასცა. სულთანი ფეხზე წამოდგა და ყუ"რადღებით დააკვირდა შემდეგ ნასიმას შეხედა და ჰკითხა: „ზურგში დაჭრილია?“ არ ვიცი, დიდო ბატონო, თვითონ იძახის ტყეში გავიჩხაპნეო, მაგრამ ჭრილობა საკმაოდ ღრმა არის. ასეთ ჭრილობას ბავშვი კი არა ძლიერი მამაკაციც ვერ აიტანდა, მაგრამ არ იმჩნევს, თავი ღირსეულად უჭირავს, დამშეულია, მაგრამ სრცხვენია მადიანად ჭამის“... გაოგნებულმა სულთანმა თქვა: "წარმოუდგენელია“. შემდეგ ნასიმას ფეხზე წამოდგომა უბრძანა, იგი ამდენ ხანს დაჩოქილი იყო და ალქიმიკოსი იხმო. მანამდე კი ბეჭედს ჭუჭყიანი თოკი მოხსნა, თავისი ოქროს ჯაჭვი შეაბა და მსახურს ბავშვთან გაატანა, თან უბრძანა, რომ სასახლიდან წასვლის გარდა, მისთვის ყველა სურვილი შეესრულებინათ. ნასიმა გაოცებას ვერ მალავდა, მიხვდა სულთანი ბავშვის მიმართ პატივისცემით იყო განმსჭვალული. ქალი არ ინძრეოდა, სულთანმა გაკვირვებით შეხედა: რას გაჩერებულხარ? ნასიმა: „ბავშვი ვიღაც მატილდას კითხულობს სულთანო“. „ვინაა ის ქალი მისთვის?“ „ამბობს, ორი დღე ზურგით მატარაო“... სულთანი კვლავ დაფიქრდა, შემდეგ ბრძანა აბიბო ეხმოთ მასთან, ნასიმას კი უთხრა: „ბავშვს გადაეცით ის... რა თქვი, რა ჰქვია?“. „მატილდა, სულთანო“. „ჰო, მატილდა, მალე მოვა-თქო, ახლა კი წადი

მასთან“... ქალმა სასწრაფოდ დატოვა იქაურობა. შემდეგ არაბულ სამოსში გამოწყობილი, შუა ხნის მამაკაცი გამოჩნდა, ეს ალქიმიკოსი იყო. როგორც კი შევიდა დარბაზში, ისე დაემთხვა, რომ სულთანმა ხმამაღლა, თითქმის ყვირილით წარმოთქვა: „ნასიმა დააბრუნეთო“. ნასიმა უმალ იქ გაჩნდა, სულთანს ბავშვის სახელი აინტერესებდა, ნასიმამ უპასუხა რომ არ იცოდა და პატარათი მიმართავდა, როგორც ის ქალი, ბაზრობაზე რომ ნახეს. „გასაგებია, სახელი არ ჰკითხოთ. ის ქალი კი ჩემთან შემოიყვანეთ“... „კარგი, ახლა დაგვტოვე“. „სულთანო, ბეჭდის და თქვენს მიერ ნაჩუქარი ჯაჭვის დანახვაზე გაოცება აღებეჭდა სახეზე, შემდეგ კი ყელზე ჩამოიკიდა“... „რამე ხომ არ უკითხავს?“. „არა, ბატონო, თითქოს არაფერი შეიმჩნია, მაგრამ წამოსვლისას გულითადი მადლობა გადამიხადა. ამასაც მიხვდა რამხელა პატივია მისთვის თქვენი საჩუქარი“... „შენ როგორ მოგმართავს?“. „პატივცემულოო“... სულთანს გაეღიმა და თქვა: „პატივცემულო ნასიმა, თავისუფალი ბრძანდებით“... ალქიმიკოსი ამ საუბარს მდუმარედ ისმენდა. სულთანი თავის ძვირფას ხალიჩაზე წამოწვა და ალქიმიკოსს ჰკითხა: „რა სჭირს ბავშვს?“ ალქიმიკოსი კვლავ ფეხზე იდგა და ისე უპასუხა: „მძიმე ჭრილობა აქვს ზურგში, ნეკნებმა გადაარჩინა, მუცლის მხრიდან რომ დაჭრილიყო, უკვე კარგა ხნის მკვდარი იქნებოდა. არაფერია, დაახლოებით ათ დღეში იარის ნაკვალევიც აღარ დარჩება, ისეთი კარგი მალამო დავადე“. „ბავშვზე რას იტყვი?“ ალქიმიკოსს ოდნავ გაეღიმადა შემდეგ თქვა: „ხელ-ფეხი, სახე მთლიანად მზისგან აქვს დამწვარი, ყველგან მალამო წავუსვი და კიდურები შევუხვიე. შემდეგ ვუთხარი ტანთ გაეხადა და მუცელზე დაწოლილიყო. თითქმის ძალით დავაწვინეთ მე და ნასიმამ. პირში ჯოხი ჩავუდეთ, რომ სიმწრისგან ენა არ მოეკვნიტა, რადგან ზურგზე ჭრილობა უნდა დამემუშავებინა... დანით საკმაოდ ღრმად ჩამეჭრა. საჯდომზე პირსახოცი ჰქონდა გადაფარებული, როდესაც მისი მოშორება მოვინდომე, მკაცრად მომიგო: „ცოტა ფრთილად ექიმო“. მე არ მიმიშვა ცოცხალი თავით, დიდი ვაი-ვაგლახით ნასიმა მიიკარა. ეს პროცესი მართლაც ძალიან მტკივნეულია, კბილებს აკრაჭუნებდა, მაგრამ ერთი „ვაი“ არ წამოსცდენია, გმირულად იტანდა. რა ვთქვა, მართლა ძლიერი პიროვნებაა“... სულთანი უფრო და უფრო ინტერესდებოდა გოგონათი, ყველა წვრილმანს ეკითხებოდა. ჰკითხა, ჭრილობის შესახებ ხომ არ უთქვამს რამეო? „ფჩხილები ჭაობში რომ ვიხრჩობოდი მაშინ ამძვრაო, ჭრილობა - ხიდან ჩამოვარდნის შედეგიაო, დამწვრობა კი უდაბნოს საჩუქარია“. „თქვენი იმედი

მაქვს, დარწმუნებული ვარ ყველაფერი კარგად იქნება“. თქვა სულთანმა. „რა თქმა უნდა, სულთანო, ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გნებავთ... თქვენი ბრძანებისამებრ, არც ექიმს მოვიყვანთ“... ეს თქვა და დარბაზი დატოვა, ჩაფიქრებული სულთანი ნარგილეს კვამლში გახვეულიყო, თვალები დაეხუჭა და წარსულს იხსენებდა. აგონდებოდა ბააგრას მამასთან შეხვედრის ამბავი და ვერ იჯერებდა, რომ ახლა მისი ქალიშვილი, მასთან, სასახლეში იმყოფებოდა. განგება მართლაც სასწაულებს გვიმზადებს ადამიანებს. ლაგოს დაცემის, ბააგრების ოჯახის ამბავს სულთნის ყურამდეც მოეღიწა, სულთანი პატივისცემით იყო განმსჭვალული ბააგრას მამისადმი, თვლიდა, რომ ღირსეული პიროვნება იყო. ისიც იცოდა, რომ კარგა ხანია გარდაცვლილიყო. ამ ფიქრებში დიდი დრო გასულიყო, მსახურებს უკვე ეპოვათ მატილდა და ახლა მის წინაშე იდგნენ მოწიწებით. სულთანი ფიქრებიდან გამოერკვა და ხელით ანიშნა მატილდას და ნასიმას ახლოს მოსულიყვნენ. მატილა თავაწეული ამაყად იდგა, სულთანს ეს არ გამოჰპარვია, უბრალოდ ჰკითხა: „ბავშვს საიდან იცნობ?“ მატილდამ უშიშრად მიუგო: „მდინარესთან, ტყეში მონებით ვაჭრებმა იპოვეს, უგონოდ იწვა და ურემზე შემოაგდეს“... ნარგილეთი გაბრუებული სულთანი თავს ძლივს იკავებდა, რომ არ ჩასძინებოდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია... ისევ იკითხა: „ზურგით რატომ ათრევდი?“ მატილდას წამიერად სიბრაზემ მოუარა და მკვახედ მიუგო: „ბავშვია და იმიტომ“... „რა ჰქვია ბავშვს იცი?“ „არა!“ სულთანმა გაოცება ვერ დამალა: „თავს სწირავდი ბავშვის გულისთვის, რომლის სახელიც კი არ იცი?“... მატილდა აღშფოთდა: „მე ხომ მამაკაცი არ ვარ, ბავშვი უდაბნოში რომ მიმეგდო“... მატილდას საუბრით შეშინებული ნასიმა მუხლებზე დაეცა, თითქოს მეხის გავარდნას ელოდა... სულთანი წამოდგა, ჩაწითლებული თვალები მკაცრად მიანათა ქალს. მატილდამ იგრძნო, რომ ზედმეტი მოუვიდა, მაგრამ მაინც ამაყად იდგა. სულთანს ცალ ხელში სატევარი ეჭირა, მეორეში კი ვაშლი. მატილდას თვალებში ჩახედა და თქვა: „მწვანე თვალები?“. შემდეგ კი სატევარი გაუწოდა. გაოგნებულმა მატილდამ ინსტიქტურად გამოართვა სატევარი, სულთანმა ზურგი შეაქცია და ნასიმას მიმართა: „პატივცემულო ნასიმა, წამოდექით!“. ნასიმამ ძლივს წამოზიდა ტანი, შიშისგან კანკალს აეტანა... ამოილუღლუღა: „მომიტევეთ დიდო სულთანო, შეცდომა დავუშვი“. ნასიმას უნდა ესწავლებინა მატილდასთვის სულთანთან საუბარი... ეს იყო დანაშაული. „ბავშვი როგორ არის?“ ნასიმას თითქოს შიშმა გაუარა და

მშვიდად მიუგო: „კარგად არის, თავს მშვენივრად გრძნობს“... სულთანი მატილდას მიუტრიალდა და ვაშლი გაუწოდა: „მიირთვით ქალბატონო“... მატილდას გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ვაშლი ჩამოართვა და თვალებგაფართოებული მიაჩერდა. სულთანმა კი ნასიმას უბრძანა, მატილასთვის მიეხედათ, მიეყვანათ ბავშვთან... ქალებმა სასწრაფოდ დატოვეს იქაურობა... ნასიმამ ჩუმად გადაულაპარაკა ქალს. „გადავრჩით, ეს სულთანი იყო, გესმის?“... მატილდას იმდენად არ გაჰკვირვებია სულთნის ვინაობა, როგორც თავის ენაზე გაგონილმა სიტყვება გააოცეს... „შენ ჩვენი ენა იცი?“. „არა მარტო თქვენი, კიდევ რვა ენას ვფლობ“... მატილდამ დაცინვით მიუგო: „გადავრჩითო? ნეტავ რას მიზამდა, გამროზგავდა თუ დამამცირებდა? არც ერთი არ მაკლია, ამას კარგახანია მიჩვეული ვარ“... „ეს თქვენი ქვეყანა არ არის, აქ არაბეთია და მამაკაცს პატივისცემით უნდა ესაუბრო“.... „თმებით რომ მათრიეს, ნუთუ მე ადამიანი არ ვარ?“ „თუკი სულთანი ჩათვლის, რომ ნამდვილად პატივსაცემი მანდილოსანი ხარ, იმ თქვენი შეურაცხმყოფელის თავს ფეხქვეშ დაგიდებთ. იმან კი, ვინც გათრია, ალბათ არ მიიჩნია, რომ საპატივცემულო ადამიანი ხართ“.. „თქვენი კანონები გამიგია, თუმცა მის აზრს მაინც ვერ ჩავწვდი“... საუბრის დროს მამაკაცები გამოჩნდნენ. „ჩუმად, ჩუმად“... მატილდა კვლავ გაოცდა, მათ უკან მსახური მორბოდა, ნასიმასთან შეჩერდა და უთხრა: „სულთანმა ბრძანა, რომ ამ ქალსაც ჩვენებური სამოსი მისცეთ და ჩადრი დაახუროთ“... შემდეგ სწრაფად შეტრიალდა და ისევ უკან გაიქცა. მატილდამ ვერაფერი გაიგო, რადგან არაბულად საუბრობდა. ნასიმამ სწრაფად გადაულაპარაკა: „მერე გეტყვი, ახლა აქედან გავიდეთ“. მატილდა სახლის სილამაზეს ხარბად ათვალიერებდა, აღტაცებული იყო, საღამოს აბაზანის შემდეგ დიდ ოთახში მარტო დატოვეს და უთხრეს, რომ ბავშვს დილით აჩვენებდნენ. მარტო დარჩენილი ქალი კედლებს ეხებოდა, თითქოს ამით უფრო მეტად შეიგრძნობდა მათ სიდიადეს, აქ ყველაფერს სინატიფე და სიმდიდრე ეტყობოდა, მსგავსი სილამაზე მხოლოდ ზღაპრებში თუ წაეკითხა და მაშინაც არ სჯეროდა, გადამეტებული ეგონა, იქ აღწერილი მშვენიერება. ოთახში რამდენიმე სურათი ეკიდა. მხოლოდ აუცილებელი ავეჯი იდგა, დიდი ტახტი. „მართლაც დედოფლის შესაფერისიაო“. ფიქრობდა ქალი. ქათქათა თეთრეული ყვავილების სურნელს აფრქვევდა. ოთხივე კედელზე ოსტატურად იყო მიმაგრეული ჩირაღდანი, არც კედელს აზიანებდა, არც ჭერს. ქალი გულდასმით ათვალიერებდა ყველა წერტილს. ხანდახან

თვალებს დახუჭავდა, შემდეგ გაახელდა, რათა კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო, რომ ნამდვილად ამ ოთახში იმყოფებოდა და ეს ყველაფერი ლამაზი სიზმარი არ იყო. შემდეგ ქალის ფიქრები ბააგრას მისწვდა, მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ბააგრა ვიღაც გლეხის გოგო არ იქნებოდა, თუმცა ნამდვილ ვინაობას ახლაც ვერ გამოიცნობდა, თვალები დახუჭა და მოთმინებით დაელოდა გათენებას, რათა დილით გოგონა ენახა. მეორე სართულზე კი ბააგრას მშვიდად ეძინა. მსახურები მალიმალ დახედავნენ და მზრუნველობას არ აკლებდნენ. გათენდა თუ არა მატილდა გოგონას ოთახთან გაჩნდა და ელოდებოდა როდის შეუშვებდნენ. ბააგრასთან ნასიმა შესულიყო. მატილდა მშვიდად იდგა და დერეფანში მოსიარულე მსახურებს აკვირდებოდა. უცებ ოთახიდან სიხარულით სავსე ყვირილი გაისმა: „მატილდა“. ქალი უცებ გამოერკვა ფიქრებიდან და სწრაფად შეაღო ოთახის კარი. ისევ მოესმა: „მატილდა“. ქალს გაეღიმა, სირბილით მივარდა ბავშვის ლოგინთან, რომელიც ოთახის ბოლოში იდგა. საწოლი ისე იყო მორთული, მატილდა წამით დაიბნა, ოთახი ხომ არ შემეშალაო. შემდეგ ფარდა გადასწია და თეთრი ნაჭრებით შეხვებული ბააგრა დაინახა, რომელიც ნასიმას ხელიდან დასხლტომას ცდილობდა. „პატარავ“ - შესძახა მატილდამ. ბააგრა უცებ მოსწყდა ნასიმას და სიხარულით სავსე თვალები შეანათა ქალს. მათი შეხვედრა ისეთი თბილი და გულისამაჩუყებელი იყო, რომ ნასიმამ ზედმეტად ჩათვალა თავისი იქ ყოფნა... იქვე მდგომ ორ მსახურსაც უბრძანა გარეთ გასულიყვნენ. მატილდა და ბააგრა ერთმანეთს ძველი მეგობრებივით ათვალიერებდნენ... თან საალერსო სიტყვებს არ იშურებდნენ. „პატარავ, ალბათ ექიმმა მოგხედა, სულ შეხვეული ხარ“... “ჰო, ჰო“. სული ეხუთებოდა იმ ნაჭრებში საუბარი უჭირდა... ცრემლებს ძლივს იკავებდა. „მე მგონი იციან ვინც ვარ“. მატილდამ ახლაღა მოიაზრა, რომ ბოლოსდაბოლოს მასაც ეკითხა ვინ იყო... მხრებში ხელი ჩაავლო და ღიმილით ჰკითხა: „ვინ ხარ?“ ბააგრას გაეცინა, ხელებზე მოეფერა ქალს. „ნუთუ არ ხარ, ვისაც მე ვფიქრობ?“. „ჰო, ის ვარ“. „ვინ ხარ?“. „შენი პატარა პრინცესა ვარ მატილდა“... მოულოდნელობისგან მატილდა გაშეშდა, უკან დაიხია, შემდეგ კი ცრემლმორეული ისევ დაეძგერა ბავშვს. გულში ჩაიკრა, თან ლუღლუღებდა: „ღმერთო, გაოგნებული ვარ, მაპატიე, ამდენი მოულოდნელობა ჩემს თავს, ოჰ, ღმერთო“... ბააგრაც საპასუხო ალერსს არ აკლდებდა. შემდეგ ჰკითხა: „გშია მატილდა?!“. „ჰო, სად წავიდეთ?“ „საწოლის თავთან ზარია, ხელი ჩამოჰკარი, მსახურები წამში აქ გაჩნდებიან“... ზარის

ხმაზე მსახურები მართლაც დაუყოვნებლივ ოთახში გაჩნდნენ. „მატილდა, უთხარი, რაც გინდა“. მატილდა უხერხულობისგან დაიბნა და ბააგრას უთხრა: „არა, სჯობს შენ უთხრა“... „თუ შეიძლება რამე მოგვიტანეთ, ორივეს ძალიან გვშია“... ეს ისე თამამათ წარმოთქვა ბააგრამ, რომ მატილდა კიდევ ერთხელ გააკვირვა. შემდეგ ბევრი ისაუბრეს, მსახურებმა მალევე არნახული სუფრა გაუშალეს. სხვადასხვა საჭმელი მადისაღმძვრელად გამოიყურებოდა. ქალი და ბავშვი ერთმანეთს ღიმილით გადახედავდნენ და ნერწყვებს ყლაპავდნენ მოლოდინში. ნასიმამ გასვლამდე უთხრა ბააგრას: „თუ რამეს ინებებთ კიდევ, მომმართეთ, კარებთან ვიქნები“... შემდეგ მატილდას მიმართა: „გოგონასთვის ჯერ ფეხზე ადგომა არ შეიძლება. თუ შეიძლება სუფრასთან დასვით, თუ არა და მსახურს დავავალებ“... მატილდამ საჩქაროდ მიუგო: „არა, არა მე თვითონ მივხედავ, არ იდარდოთ“. ნასიამოვნებმა ბააგრამ საბანი გადაიძრო და ხელ-გაშვერილმა მიმართა ქალს: „მოდი, ამიყვანე“... მატილდამ ეს ბრძანება სიამოვნებით აასრულა. დღეები ბედნიერად მისდევდა ერთმანეთს, ბააგრა უზომოდ გახარებული იყო ამდენი ტანჯვის შემდეგ, მსახურები და ალქიმიკოსი ყოველდღე ამოწმებდნენ მის ჯანმრთელობას, სულთანი კი მუდამ ყურადღებით კითხულობდა მის ამბავს. გვერდით მისი საუკეთესო მეგობარი, მატილდა ჰყავდა, რომელიც საღამოობით მხრებზე შეისვამდა და ბაღში ასეირნებდა. ყოველდღე რძეში ბანდნენ, საგულდაგულოდ უვლიდნენ და ამ ყველაფერმა თავისი შედეგიც გამოიღო. ერთ დღეს ალქიმიკოსმა მხიარულად უთხრა ბააგრას: „ესეც ასე, შენი ნაიარევის კვალსაც კი ვეღარ მიაგნებ ამიერიდან. მალე ფრჩხილებიც გაგეზრდება. დღეიდან უფრო იშვიათად გნახავ, მაგრამ თუ რამე შეგაწუხებს ნასიმა გამომიგზავნე და უმალ შენთან გავჩნდები“... ბააგრას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ალქიმიკოსმა ისიც უთხრა, რომ დილით სულთანთან შესვლა მოუწევდა და აქედანვე მომზადებულიყო, რამაც ბააგრას გული ჩიტივით დააფრთხო და საღამოს სასეირნოდ აღარ გავიდა. მატილდას ცალკე ოთახი ჰქონდა, მაგრამ უმეტესწილად ბააგრასთან ეძინა და იმ ღამესაც შუაღამემდე ისაუბრეს. მატილდა ხვდებოდა ბააგრას რაც აწუხებდა და ცდილობდა დაემშვიდებინა: „სანერვიულო არაფერი გაქვს, შენ პრინცესა ხარ, შეიძლება სულთანმა ეს არ იცის. ან ეჭვი ეპარება, მაგრამ ფაქტია, რომ დიდი მოწონება დაიმსახურე მის თვალში, პატივს სცემს შენს ქვეყანას ან ვიღაც შენიანს“... „არ ვნერვიულობ, მაგრამ... არ ვიცი რა ვუთხრა“. „რას

გულისხმობ?“. „მე გამოვკეთდი, სრულიად ჯანმრთელი ვარ და ჩემს გზას ხომ უნდა დავადგე?“... „გაგიჟდი?“ აქ თავს გევლებიან, რძეში გაბანავებენ, ამაზე უკეთეს თავშესაფარს სად იპოვნი?“... ბააგრას გაეცინა და თქვა: „სულთანი მამაჩემი ხომ არ არის, სირცხვილია მისი შეწუხება, მისი გულკეთილობით ვერ ვისარგებლებ“... „აქ ყველა პატარას გეძახის, მგონი არც იციან, ვინ ხარ“. „სულთანს ეცოდინება, დარწმუნებული ვარ. მან მამაჩემის ბეჭედს ოქროს ჯაჭვი გაუკეთა და ისე გამომიგზავნა“... ამ სიტყვებზე ბააგრამ ყელიდან ბეჭდიანი ჯაჭვი მოიხსნა და მატილდას უჩვენა. „მაშ, აქამდე რატომ არ გინახულა?“... „აქ სხვანაირი ადათ-წესები აქვთ“... „კარგი, კარგი, მაგრამ ჩემი ერთადერთი რჩევაა, ყური დაუგდე რას გეტყვის და ჩუმად იყავი. წასვლაზე სიტყვა არ დაძრა ჯერ“... „ჩვენ არც წმინდა მიწაზე ვიქნებით ცუდად, დამიჯერე“... „ვიცი, პატარავ, მაგრამ წინ ძალიან შორი მგზავრობა გველის, ჯობია ძალა მოვიკრიბოთ და მერე წავიდეთ, თან არამგონია სულთანმა მარტონი გაგვიშვას“... „კარგი, დაგიჯერებ, ახლა დავიძინოთ, დილით ფხიზლად უნდა გამოვიყურებოდე“... მატილდას მკლავებში მალევე ჩაეძინა... ქალი ნაზად ეალერსებოდა თან ფიქრებში შეცურა. არც ახსოვდა წარსული ტანჯვა, რაც გოგონას შეხვდა, იმ დღიდან ბედნიერი იყო, რაღაც ენით გამოუთქმელ სიტკბოს, სიხარულს და სიმშვიდეს განიცდიდა. ბააგრასგან უზომოდ დიდი დადებითი ენერგია გადმოდიოდა მასზე... მისი გულიც მუდამ მადლიერების გრძნობით იყო სავსე. სულთანის ფიქრებიც ბააგრას დასტრიალებდა, წინასწარ იცოდა, როგორ მოჰქცეოდა, თუ კი პრინცესა აღმოჩნდებოდა მართლაც, თუ არა და იზრუნებდა, რომ ბედნიერი მომავალი ჰქონოდა. მეორე დღეს, სადილობამდე ბააგრა სულთანთან იხმეს, მსახურებმა ლამაზად, არაბულ სამოსში გამოაწყვეს, თეთრი კაბა, ვარდისფრით გაწყობილი, ძალზე შვენოდა, ფეხზე რბილი ჩუსტები ჩააცვეს, რადგან ექიმმა ურჩია, ერთხანს უჩექმოდ ევლო. ბააგრას მღელვარება არ ეტყობოდა, ისე მიაბიჯებდა, თითქოს ახლობლის სანახავად მიდიოდა. მატილდა ოთახში დარჩა და სულმოუთქმენლად ელოდა გოგონას დაბრუნებას. დარბაზის კარი ფართოდ გაიღო და გოგონა დიდ დარბაზში შევიდა, გარს რამდენიმე მსახური ერტყა, სულთანი ფეხზე წამოდგა და გაუღიმა, ბააგრამ წამით თვალი შეავლო მას და რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით შეჩერდა. სულთანმა მსახურებს თავის დაკვრით გარეთ გასვლა უბრძანა, მარტონი რომ დარჩნენ ბააგრას არაბულად უთხრა: „შაჰ-ნამე!“ შემდეგ ბააგრას ენაზე გააგრძელა:

„ჩადრი თუ გაწუხებს შეგიძლია მოიხსნა“. ბააგრამ გაუღიმა. სულთანი საშუალო სიმაღლის შუახნის კაცი იყო, შავ ულვაშში თეთრი თმა აქა-იქ შემორეოდა, სანდომიანი სახე ჰქონდა. წელში დავიწროებული, ქვემოთ გაგანიერებული, ნაკეცებად დაშვებული და მუხლს ქვემოთ ჩახსნილი სამოსელი ეცვა, წელზე წვრილი სარტყელი ჰქონდა შემოხვეული, ფეხზე მაღალყელიანი წითელი ფეხსაცმელი ეცვა. ეს ყველაფერი ძალზე შვენოდა. მისმა კეთილმა გამოხედვამ ბააგრას სითამამე შეჰმატა და ჩადრი მოიხსნა. სულთანი ხალიჩაზე დაჯდა და ბააგრასაც სთხოვა ჩამომჯდარიყო. როდესაც დასხდნენ, ჰკითხა: „გაიგე, რა გითხარი არაბულად.?“. „დიახ“. ოდნავ გაოცებულმა სულთანმა ისევ იკითხა: „ჩვენი ენა იცი?“. „ყველა ენაზე ვიცი სიტყვა „პრინცესა“. სულთანს გაეცინა: „არ შემშლია, ე.ი. შენ ბააგრა ხარ, ხომ ასეა?“ ბააგრამ თვალი გაუსწორა და სიამაყენარევი ხმით მიუგო: „დიახ, სულთანო, ბააგრა ვარ“. „მამაშენს ვიცნობდი, პირველ რიგში, არაჩვეულებრივი ვაჟკაცი და შემდეგ, არაჩვეულებრივი მეფე იყო. ძალზე მანებივრებდა თავის ქვეყნის ღვინით“... სულთანმა თავი დახარა, თითქოს ისევ უნდოდა პირში იმ ღვინის გემო აღედგინა. შემდეგ განაგრძო: „ის მართლაც მეფეების, სულთნების და რა თქმა უნდა დედოფლების დასალევი სასმელია. ოჰ... ღვინო B... მისი გემო არასოდეს დამავიწყდება. მას შემდეგ, რაც თქვენს ქვეყანას თავს დაესხნენ, მე იქ ჩემს ხალხს აღარ ვგზავნი, რადგან იქ ჩემი მეგობარი აღარ მეფობს და სხვა ღვინო არც მინდა, ყველა ერთნაირია. სიტყვა გამიგრძელდა, მგონი თავი შეგაწყინე“... ბააგრამ თავაზიანად მიუგო: „არა, სულთანო, პირიქით, ჩემთვის სასიამოვნო მოსასმენია თქვენი საუბარი და უდიდესი პატივია, რომ სიკვდილს გადამარჩინეთ“... „მე ყველაფერი ვიცი, მაგრამ ნუთუ არ შეგეშინდა შენი ვინაობის გამხელა ჩემთან?“. „მომაკვდავს სიკვდილი ფეხზე ვერ დააყენებს“ სულთანი მიხვდა, რომ მის წინ მარტო პრინცესა და ბავშვი არ იდგა და აღტაცება ვერ დამალა: „მინდა, რომ ჩემთან დარჩე, ყველანაირად დაგეხმარები, შემდეგ კი მოვიფიქროთ რისი გაკეთება შეიძლება“... ბააგრას მადლიერება აღებეჭდა სახეზე: „უღრმესი მადლობა, სულთანო, თქვენი თანაგრძნობა ბევრს ნიშნავს ჩემთვის... ოქროს ჯაჭვისთვისაც მადლობა მინდა გადაგიხადოთ“... „ნუ მიხდი მადლობას, მე თვითონ მსიამოვნებს შენი დახმარება“. შემდეგ მეგობრულად ჰკითხა: „ჰო, მართლა, წარბებს რა უყავი?“ „რაინდებმა შემითხელეს, ვინმეს რომარ ვეცნე“ - უპასუხა გოგონამ. „ჭკვიანურია, იცი? მეც ვიფიქრე, რომ ჯობია დაზღვეული იყო და ბიჭის სამოსში გამოგაწყო, სახელად

აბის დაგარქმევ. აქ არაფერი გემუქრება, მაგრამ „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო“ ხომ გაგიგია?“. ბააგრა წამით გაოცდა. „ბიჭი უნდა გავხდე?“... შემდეგ ოდნავ გაეღიმა და მკვირცხლად მიუგო: „კარგია, შესანიშნავია, ასეთი კარგი აზრი მეც არ მომსვლია თავში, არც რაინდებს, რა თქმა უნდა თანახმა ვარ“... სულთანიც ნასიამოვნები დარჩა: „ყველაფერი ისე იქნება, როგორც პატარა პრინცესას მოესურვება“... ბააგრა ისეთ სითბოს გრძნობდა სულთნისგან, როგორც ღვიძლი მამისგან და ოდნავ დარცხვენილი იყო, საპასუხო გრძნობების გამოხატვა ერიდებოდა. სულთანმა ჰკითხა: „რამდენი წლის ხარ?“... „უნდა დავფიქრდე, კარგა ხანია ჩემი ქვეყნიდან წამოსული ვარ და ვფიქრობ ცხრა წლის უნდა ვიყო“... ასე ტკბილად გრძელდებოდა მათ შორის საუბარი. სულთანს ეცინებოდა ბააგრას პასუხებზე, გოგონაც გამხიარულდა, მაგრამ დაღლილობა შეეპარა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია სულთანს და უთხრა: „ვფიქრობ, ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ ხარ, ჯობია წახვიდე და დაისვენო. შევთანხმდით, რომ ხვალიდან ბიჭი გახდები, ნასიმა ყველაფერს მოგართმევს. ამიერიდან როცა სურვილი გექნება ჩემთან საუბრის არაფრის არ მოგერიდოს, პირდაპირ, დაუკითხავად მოდი ჩემთან... ნასიმა ხომ კარგად გეპყრობა? შაჰ-ნამე?!“. ბააგრას გაეღიმა და თქვა: „ყველაფრით კმაყოფილი ვარ სულთანო, დიდი მადლობა, ნასიმა უკეთილშობილესი ქალია“... ბააგრას დაღლილობამ სძლია და წასასვლელად მოემზადა... სულთანმა ხელი შეაშველა წამოდგომაში, კარებისკენ გაემართნენ. ბააგრას ფრჩხილებამძვრალი ხელი ნაზად ეჭირა სულთანს და მისი შეხება ჟრუანტელს ჰგვრიდა. მთელი საუბრის მანძილზე ცდილობდა ბავშვისთვის მოეხსნა ის სიმძიმე, გულზე რომ აწვა. მან იცოდა პრინცესას გაქცევის შემდეგ, რა ბედი ეწია ქალაქ ლაგოს, ისიც იცოდა, რას უპირებდნენ თავად გოგონას, მაგრამ ცდილობდა ამ თემას არ შეხებოდა. შეჰყურებდა ბავშვს და თვალწინ ედგა გაშლილი, თვალუწვდენელი უდაბნო, სადაც იპოვა მისი ცოლ-შვილი, დახოცილი, ხედავდა მათ სისხლიან გვამებს და სრულად იზიარებდა გოგონას გულისტკივილს. სულთანს ბააგრას მამასთან საუბარი გაახსენდა: „საწყალია ის, ვინც გვერდით მდგომს ზურგში მახვილს ჩაარტყამს“... „მგელი ძაღლისას არ მოიშლის, მეფეო“... „ზურგი არავის აქვს დაცული მთლიანობაში, მაგრამ თუ ვინმემ გვიმუხთლა, დარწმუნებული ვარ, თქვენ იმ დარტყმას აიტანთ“. თქვენი ქვეყნისა ბევრი რამე ვერ გამიგია, მაგრამ ერთ რამეში ეჭვი არ მეპარება, ჩემს გვერდით ნამდვილი ვაჟკაცი დგას. არის ასეთი ანდაზა: „ძლიერი ის არ

არის, ვინც ურტყამს, არამედ ის, ვინც ამ დარტყმას იტანს“. ამიტომ რა მნიშვნელობა აქვს სად დაგარტყამს, ზურგში თუ გულში, ტურა ყოველთვის მოიხსნის ნიღაბს დაჭრილი თუ დაგიგულა. დიდ სიამოვნებას მანიჭებს თქვენთან საუბარი, ვიცი ბრძენ ქვეყანაში აღგზარდეს და თქვენი სიბრძნეც განთქმულია“. „მარტო სიბრძნე ამაოა, თუ გვერდით გული არ ფეთქავს“- სულთანს გაეცინა. „სულთანო, შენი საყვარელი და რა თქმა უნდა ჩვენიც B… დავლიოთ, ჩვენთან ამბობენ: ღვინო ახარებს ადამიანის გულს“... სულთანმა ისევ სიცილით მიუგო: „მხოლოდ ღვინო B... ამას ვაღიარებთ მე და ჩემი ქვეყანა". ამ ფიქრებმა წამის უსწრაფესად გაუარეს სულთანს... უკვე კართან მისულიყვნენ, იქვე ორი მსახური და ნასიმა იდგა. მათ დანახვაზე გამოფხიზლდა და ნასიმას უთხრა: „როგორც გითხარი, ისე მიხედე ჩვენს სტუმარს: „ნასიმამ მორიდებით თავი დაუკრა და თქვა: „როგორც თქვენ ინებებთ მბრძანებელო“... პრინცესა და სულთანი დაემშვიდობნენ ერთმანეთს... ბააგრა ნაღველს შეეპყრო... ინსტიქტურად მიჰყვებოდა ქალს, ოთახში შესვლისას ვერ იგრძნო, იქ კიდევ რამდენიმე მსახური ელოდა... ბააგრა პატარა სკამზე დასვეს და თმის შესაკრეჭად მოამზადეს. იქვე ელაგა ახალი სამოსელი. მალე გოგონას ვეღარ იცნობდით, ტანთ თეთრი პერანგი ეცვა, ქვემოთ შავი შარვალი, თავზე შავი, დიდი ქუდი, რომელიც სიარულის დროს ფრიალებდა. წელზე ძვირფასი თვლებით მოოჭვილი სარტყელი ეკეთა, ზედ კი პატარა ხმალი მიემაგრებინათ, ისიც ძვირფასი თვლებით შემკული, ფეხზე ულამაზესი ყავისფერი ტყავის ჩექმები ჩააცვეს, მართლაც პრინცს დამსგავსებოდა პატარა ბააგრა. ასე გამოწყობილი შევიდა იმ ოთახში, სადაც მატილდა ელოდებოდა. უცებ მატილდამ ვერ იცნო გადასხვაფერებული ბააგრა, რომელიც მოწყენილი მიუახლოვდა თავის საწოლს, პირქვე დაემხო და თვალები მაგრად დახუჭა. როდესაც ნასიმა მატილდას დაემშვიდობა, ბააგრასთან მივიდა და ალერსით მიუგო: „დაიღალა ჩემი პატარა არწივი?“ პრინცესა სდუმდა, მატილდა მიუახლოვდა, გვერდით მიუწვა და გულში ჩაიკრა: „რატომ ხარ ასე ჩაფიქრებული ულამაზესო პრინცესავ?“ ბააგრამ სევდით სავსე თვალები გაახილა და მიუგო: „დედაჩემი და ჩემი ძმები ცოცხლები აღარ არიან“... მატილდა დაიბნა და გაოცებულმა იკითხა: „სულთანმა გითხრა?“ „არა ამაზე საუბარს თავს არიდებდა, მივხვდი, რომ მათი სიკვდილის ამბავს მიმალავდა“... მატილდამ შვებით ამოისუნთქა და მხნედ მიუგო; „მიხვდი, იგრძენი? რა იცის სულთანმა აქ, უდაბნოში, შენს ქვეყანაში რა მოხდა?“ ბააგრამ უსიტყვოდ შეხედა

ქალს. მატილდამ უფრო გაბედულად იკითხა: „ჰო, ჰო, რა იცის სულთანმა“... ბააგრა თვალს არ აშორებდა მას, მხოლოდ ერთი სიტყვა, ისიც ბრძანებით, მიუგო: „გაჩუმდი!“. ქალმა ვერ შეიკავა თავი, ტირილი აუტყდა და ბავშვი გულში ჩაიკრა. გაქვავებული ბააგრა შორს, სივრცეში იყურებოდა და ცრემლები ნიაღვარად სდიოდა სახეზე. სულთანი კი ამ დროს ალქიმიკოსს ესაუბრებოდა: „მინდა ყველაფერი ასწავლო შაჰ-ნამეს, მთელი შენი ცოდნა გადასცე და თვალყური ადევნო ყველა მის მასწავლებელს“. სულთანთან ახლოს მდგომმა ალქიმიკოსმა მოწიწებით მიუგო: „რასაკვირველია, როგორც მიბრძანებთ ჩემო სულთანო“. სულთანი დააკვირდა მას და უთხრა: „ეს ბრძანებაზე მეტია!“. ალქიმიკოსი: „გასაგებია, მესმის მბრძანებელო“... სულთანი: „ერთი რამ დაიმახსოვრე, აქედან წასვლაზე არც უნდა გაიფიქროს, სანამ არ გაიზრდება რა თქმა უნდა და ყველაზე კარგი მასწავლებლები შეურჩიე. იცოდე, ყველაფერი ნელ-ნელა და უმტკივნეულოდ უნდა შეასწავლო, უნდა დაეუფლოს მკვლელობის ხელოვნებასაც“... ალქიმიკოსმა სულთნის მრისხანე მზერას თვალი აარიდა და ჩაილაპარაკა „ყველაფერს ზედმიწევნით შევასწავლი“... „გაუძლებს ბავშვის გონება ამდენ ტანჯვას? მით უმეტეს, რომ ის გოგოა“... ალქიმიკოსმა დარწმუნებით მიუგო: „უკვე გაუძლო, ჩემო, სულთანო, ამიერიდან მას სივკდილიც კი ვერ მოერევა“... სულთნის თვალებში სიხარული აკიაფდა და ამაყად მიუგო: „ვიგრძენი მასში ეს ძალა, ახლა კი მასში ჩინებული მეომარი უნდა გამოვზარდოთ არავინ არ უნდა იყოს მასზე ძლიერი“... „ომის ხელოვნების უბადლო მცოდნეებს მოვიწვევ, დიდო სულთანო“... „სანამ შენ მოხვიდოდი, მას ვესაუბრე, ვფიქრობ, დიდი დრო არ დასჭირდება წამოდგომისა და მოღონიერებისათვის, იქამდე კი შენ ყველაფერი მოაგვარე და მზად იყავი“... დაუმატა სულთანმა. „ახლავე შევუდგები ამ საქმეს“. „მინდა ჩვენს ენას კარგად დაეუფლოს, რა თქმა უნდა ლიტერატურასაც“... „მაგას მე მივხედავ“. მათი საუბარი კიდევ რამდენიმე საათს გაგრძელდა.

მატილდა ნაზად ეალერსებოდა გოგონას და ხმადაბლა ღიღინებდა, მისი სიყვარული ბავშვის მიმართ მართლაც უსაზღვრო იყო. პატარა ბააგრას კი ისე ჩასძინებოდა, რომ ლოყაზე ცრემლი კვლავ ეტყობოდა.

სულთანი გულმოდგინედ ელოდა როდის გამოჯანმრთელდებოდა გოგონა, ალქიმიკოსი კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან იწვევდა პროფესიონალებს. ბააგრა იგივე „აბი“ რამდენიმე დღეში მართლაც საოცრად გამოკეთდა, ლოყებზე ფერი

დაუბრუნდა, ხშირად სეირნობდა საოცრებათა ბაღში მატილდასთან ერთად, ყველა კუთხე-კუნჭულს გულდასმით აკვირდებოდა და იმახსოვრებდა, ყველა მსახურს გაეცნო, დაუახლოვდა და შეაყვარა თავი. ბევრმა მათგანმა არც იცოდა რომ გოგონა იყო. ყველას ბიჭი ეგონა, ისე ვაჟკაცურად ეჭირა თავი. თავს ბედნიერად გრძნობდა, ირგვლივ მხოლოდ მოსიყვარულე თვალები ხვდებოდნენ, მაგრამ განვლილი ტრაგედია არ ავიწყდებოდა... ხშირად გვრიდა სევდას. სულთანი ხშირად ეპატიჟებოდა, მაგრამ სტუმრების თანდასწრებით ერთხელაც არ გამოჩენილა პატარა აბი. როდესაც ნაღველი მოაწვებოდა, მატილდას გადაუშლიდა გულს: „რაინდები მახსენდება ხოლმე, ჩემი გულისთვის თავი გაწირეს, მე კი ვერაფრით ვერ ვშველოდი“. „ბევრ რაინდს არ აქვს იმის ბედნიერება, რომ პატარა პრინცესასთვის თავი გასწიროს, ნუ წუხხარ, ახლა ძალა უნდა მოიკრიო, იმათი ხსოვნა მხოლოდ სიმხნევეს უნდა გმატებდეს, რათა შესძლო შურისძიება“. ბააგრას აცრემლებულ თვალებში ღიმილმა დაისადგურა, შემდეგ კი მტკიცედ წარმოთქვა: „ამ დღეებში სულთანს უნდა დაველაპარაკო, უკვე საკმაოდ კარგად ვგრძნობ თავს“. ამ სიტყვებზე ორივემ სასახლეს გადახედეს, საიდანაც სიმღერის და დროსტარების ხმა მოისმოდა. ასე ხდებოდა ხოლმე, როდესაც სულთანს ვინმე ძვირფასი სტუმარი ეწვეოდა, ლხინის დღეები გადაბმულად გრძელდებოდა. მატილდა ირგვლივ მიმოიხედავდა და შემდეგ ჩუმად აიყვანდა გოგონას ხელში... გაგიჟებით ჰკოცნიდა, ბააგრა კი სიცილით ითავისუფლებდა თავს: „გამიშვი, დამსვი, არც ისე პატარა ვარ, ვინმემ არ დაგვინახოს“. და გულიანად კისკისებდა, ბაღის კუთხეში ნასიმა შენიშნეს, ბააგრამ ხელით იხმოდა უთხრა, რომ ამ დღეებში სულთანის ნახვა უნდოდა. ნასიმამ თავი დაუკრა. მატილდამ ნასიმას გაუღიმა და უთხრა: „რას იტყვი, ხომ ლამაზი ბიჭი გვყავს?“... ნასიმასაც გაეღიმა: „უდავოდ, არაჩვეულებრივია“... „ნუ დამცინით, ორივემ იცით, რომ გოგოვარ“... „რაც მთავარია ძალიან ლამაზიხარ“. ბააგრას ესიამოვნა ეს სიტყვები. სასახლეში კი ღვინისა და ნარგილესგან ყველა თავბრუდახვეული იჯდა, დიდ ხალიჩაზე უამრავი ხილი და ტკბილეულობა ელაგა, იქვე კი რამდენიმე ულამაზესი ქალი ცეკვავდა, ნახევრად შიშვლები. სულთანს არ უყვარდა, როდესაც აღგზნებული და ვნებიანი თვალებით უყურებდნენ მის მოცეკვავეებს, ამიტომ ყველა ცდილობდა თავი არ გაეცა და ეძალებოდნენ სასმელს. თუმცა მათი დაფარული სახე, მოშიშვლებული გულ-მკერდი და გრძელი, ჩახსნილი კაბა, ამის საშუალებას არ აძლევდათ და მართლაც დიდი

ძალისხმევა სჭირდებოდათ ვნების დასაფარად აფორიაქებულ მამაკაცებს. სულთანი აშკარად კარგ გუნებაზე იყო, მოშორებით ალქიმიკოსი დაინახა და იხმო: „მოდი, ჩემთან ჩამოჯექი მეგობარო“... ალქიმიკოსმა გაუღიმა და გვერდით მოკალათდა. სულთანი სხეულით თავის თანამეინახეებთან იყო, მაგრამ გონება ბააგრას დასტრიალებდა. ალქიმიკოსი სწორედ ამიტომ იხმო: „მითხრეს, რომ ხშირად გსტუმრობს ბავშვი, რაზე საუბრობთ?“. „მართალი უთქვამთ, გოგონა ხშირად მოდის ჩემთან, ყველაფერს ყურადღებით აკვირდება, წამლებით არის ძლიერ დაინტერესებული, აინტერესებს როგორ ვამზადებთ და მთხოვს, რომ მასაც ვასწავლო. მეც ყველა კითხვას სიამოვნებით ვპასუხობ“... „როდესაც ჩემთან იყო, ასაკი ვკითხე, ის ჩაფიქრდა, ცდილობდა გაეხსენებინა, მაგრამ ზუსტი რიცხვი ვერ დამისახელა, მინდა გკითხო აზროვნება ხომ არ უჭირს?“... „ვიტყოდი, რომ მშვენივრად აზროვნებს, ძალიან გონებაგახსნილია“... „ტკივილი თუ იგრძნობა მასში?“... „ხანდახან ახსენებს ხოლმე, თუმცა მტკიცედ ცდილობს, დამალოს გულის ნადები... „კარგია ტკივილმა ხანდახან თავი უნდა შეგახsენოს, რომ გახსოვდეს უფსკრულის არსებობა, მთავარია შიგ არ ჩაგაგდოს“... „ვინც უფსკრულს ჩახედავს, დიდი ალბათობაა ჩავარდნის“... „მართალი ხარ, სწორედ ამას მოვითხოვ შენგან, რომ არ ჩაიხედოს უფსკრულში და ამავდროულად ახსოვდეს მუდამ მისი არსებობა“... „ჩემი საქმიანობა დაწყებული მაქვს, როგორც მოგეხსენებათ, ოთხი მასწავლებელი აქ მყავს, მხოლოდ მოსწავლეს ელიან, ახლა რამდენიმე დამრჩა ჩამოსაყვანი ისევ და აბის განსწავლასაც შევუდგებით“. სულთანმა კმაყოფილად გახედა ალქიმიკოსს, მხარზე ხელი მოუთათუნა და მიღებული ცნობებით ნაამებმა, ალქიმიკოსს ნარგილე შესთავაზა. ალქიმიკოსმა იცოდა სულთნის მოწყალე გულის ამბავი, მაგრამ მასთან ზედმეტ სიახლოვეს მაინც ერიდებოდა. გულთან ხელი მიიდო და უღრმესი მოწიწებით მიუგო: „მადლობელი ვარ, ჩემო მბრძანებელო, მაგრამ მე დიდი ხანია აღარ ვეწევი“... სულთანმაც გაუღიმა: „მაშინ მე მოვწევ ჩემო მეგობარო“. ნარგილეს კვამლში გახვეული მბრძანებელი ახლა უკვე მოცეკვავეებს შეჰყურებდა... ალქიმიკოსი თავიდანვე ხვდებოდა, რომ სულთანი ძლიერ იყო დაინტერესებული აბის ამბით, დღევანდელმა საუბარმა კი ამას კიდევ უფრო მეტად მოჰფინა ნათელი. ისედაც ფრთხილ ალქიმიკოსს კიდევ უფრო დიდი სიფრთხილისკენ უბიძგა. სულთნის მამაშვილური დამოკიდებულება აშკარა იყო პატარა გოგონას მიმართ. უცებ ალქიმიკოსმა

შემოსასვლელისკენ გაიხედა და დაინახა პატარა ბიჭი, მარჯვედ რომ მოაბიჯებდა მათკენ. სულთანს არ შეუმჩნევია იგი. ალქიმიკოსმა ხმადაბლა მიმართა მაგრამ სულთნის ყურადღება იმდენად იყო გადატანილი სხვებზე, მისი ხმა არც გაუგონია. მაშინ გაბედა ალქიმიკოსმა და უფრო ხმამაღლა ეთქვა; „დიდო სულთანო, აბი მოვიდა“... სულთანი უცებ გამოერკვა, კარისკენ გაიხედა და ბააგრა დაინახა: „რა ლამაზია, რა ყოჩაღი, მართლაც რომ პატარა ვაჟკაცია, როგორ უხდება მოკლე თმა, ეს ტანისამოსი“... გაიფიქრა უმალ. შემდეგ კი მოცეკვავეებს ხელით ანიშნა გასულიყვნენ, ყველა უხმოდ გაიკრიფა იმწამსვე. თანამეინახეთა თვალები კი ინტერესით მისჩერებოდნენ უეცარ სტუმარს. აბიმ ვერ მოითმინა ბაღში სეირნობის დროს თავისი გეგმის გადადება და სასახლისკენ გამოსწია, სხვა ფიქრებს ყური არ ათხოვა და აი ახლა სულთნის წინაშე იდგა. სულთანს მისი ნახვა ძალზე გაუხარდა და ღიმილით ჰკითხა: „როგორ ხარ აბი?“ აბიმ სავსებით მშვიდად და დამაჯერებლად მიუგო: „კარგად, მეფეო“. აბის წამოსცდა სიტყვა „მეფე“, უცებ მიხვდა თავის შეცდომას და შეწუხდა, თუმცა სულთანმა თბილად მიუგო: „არაფერია, აბი, შეცდომა ბევრს მოსდის, ნუ წუხხარ. მოდი, ჩემს გვერდით დაბრძანდი“. აბიმ მის გვერდით მოიკალათა. სტუმართა შორის იყო ქალაქის მთავარმმართველი, რომელიც მოწიწებით მიუახლოვდა სულთანს და უთხრა: „დიდო სულთანო, დიდი ხანია გვსურს ქალაქში გასეირნება და დათვალიერება, თუ ნებას დაგვრთავთ, დაგტოვებთ დროებით, თან ვხედავთ, რომ პატარა შაჰი გესტუმრათ“. „როგორც თქვენ გსურდეთ, ისე მოიქეცით, თქვენ ჩემი საპატიო სტუმრები ხართ“. სტუმარ-მასპინძელმა გულთბილად დაუკრეს თავი და ერთმანეთს დაშორდნენ. პატარა აბი ყველაფერს თვალს ადევნებდა და წინ დალაგებულ ყურძენს მიირთმევდა. ალქიმიკოსიც წამოდგა, მაგრამ სულთანმა უბრძანა, რომ შორს არ წასულიყო. დარბაზი დაცარიელდა, იქ მხოლოდ ორი მსახური დარჩა. სულთანმა აბისთვისაც მოიცალა და მეგობრულად მიმართა: „როდესაც მარტო დავრჩებით ალით მომმართე, ხალხში კი სულთანი ალი მიწოდე“... აბიმ სიტყვა არ დაამთავრებინა, უცებ ბავშვურად მიახალა: „კარგით ალი“... სულთანს დიდი სიხარული დაეუფლა, რადგან იგრძნო, რომ მასა და ბავშვს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ბავშვს მიუალერსა და უთხრა: „ვფიქრობ, სალაპარაკოდ მზად ხარ“... აბიმ ისევ თამამად მიუგო: „მზად ვარ ალი, უკვე“... სულთანს ასეთ პასუხზე სიცილი აუტყდა ძალზე გამხიარულდა, მან მიიღო ის, რაც უნდოდა, ბააგრას შინაგანი

თავისულება, თავისუფლება კი სიყვარულის ნაწილია, უცებ თითებზე დახედა და ჰკითხა: „ნაიარევი როგორ გაქვს აბი?“ აბიმ ყურძნის მარცვალი პირში ჩაიდო, ხალიჩაზე დადებულ ტილოს დასწვდა, ხელები გაიწმინდა და წინ გაიშვირა. აი, ესღა დამრჩა და სულთანს უჩვენა. სულთანმა მამაშვილურად მიუალერსა და შეცბუნებულმა ჰკითხა: „გტკივა აბი?“ „არა ალი, აღარ“ სულთანს ტანში ჟრუანტელმა დაუარა, ის ხედავდა ბავშვს, რომელიც სრულიად უდანაშაულოდ სისხლში ამოსვარეს. სულთანმა ნაზად გაუთავისუფლა ხელები გოგონას. შემდეგ კი ყურადღების სხვაზე გადასატანად ხილი შესთავაზა: „მიირთვი რაც გენებოს“. შემდეგ ჩაფიქრდა, არ იცოდა საიდან დაეწყო საუბარი ამ ბავშვთან, უცებ მსახურებს გახედა და ალქიმიკოსი იხმო. იფიქრა ალქიმიკოსთან უფრო გაუადვილდებოდა საუბრის დაწყება. რამდენიმე წუთში ალქიმიკოსი მათ წინაშე იდგა, აბი ორივეს ბავშვური გულუბრყვილობით და გულწრფელობით შეჰყურებდა. „აბი, გაინტერესებს ალქიმიკოსის ხელობა?“ „მე ვფიქრობ ის ექიმზე მეტია, ალქიმიკოსი ექიმია, მაგრამ დანარჩენები ვინ არიან ვერ ვხვდები“ თავისუფლად გასცა პასუხი... ალქიმიკოსს ესიამოვნა „ერთხელ გკითხე ასაკი, თუმცა არ გახსოვდა“... მაშინ მე ჩემი წლოვანების გახენება მინდოდა მხოლოდ“. აბიმ გულწრფელად გადაიკისკისა. სულთანმა ალქიმიკოსს ჰკითხა: „რას გვახსენებს წლოვანება? სიბერისკენ მიმავალს გზას ხომ, ექიმო?“. ბააგრას სიმშვიდე ალქიმიქკოსსაც გადაედო. მან სულთანს გაუღიმა და უთხრა: „ჭეშმარიტებას ბძანებთ. მე თორმეტი წლის რომ გავხდი, იმის შემდეგ დღეებს კი არა, წლებსაც აღარ ვითვლი. ასე რომ, მე მხოლოდ თორმეტი წლის ვყოფილვარ“... სულთანი უცებ „აბის“ გაოგნებულ სახეს წააწყდა და არაადამიანური ხარხარი აუტყდა. ეს სიხალისე ალქიმიკოსსა და აბისაც გადაედოთ, აბი იცინოდა და თან ფიქრობდა: „მგონი მართლაკარგ ხალხში მოვხვდი“... მსახურებიც გაოგნებულები იდგნენ, ვერ ბედავდნენ სულთნის შეხედვას, მაგრამ მისი ასეთი საოცარი აღტკინება არასოდეს ახსოვდათ. ბააგრა სიცილს ვერ იკავებდა, ხელები მუცელზეშემოეხვია და ხალიჩაზე გაგორდა, სულთანმა ამის დანახვაზე ნასიმა იხმო, რომელმაც წყლით სავსე ჭიქა შემოიტანა და სახეზე შეასხურა ჩაბჟირებულ ბავშვს. აბი სულს მოითქვმდა, მაგრამ ალქიმიკოსს გახედავდა თუ არა ისევ ხარხარი აუტყდებოდა, წინ თორმეტი წლის ალქიმიკოსი წარმოუდგებოდა. სულთანმა ღიმილით თქვა: „მეც არ მიკვირდა, ასე როგორ გაუგეს ერთმანეთს მეთქი, თურმე ჩვენი სახელმოხვეჭილი

ალქიმიკოსი თორმეტი წლის ყოფილა. აბი და ალქიმიკოსი თანატოლები არიან ხა- ხა-ხა“... ბააგრა გულიანად კისკისებდა, მიუხედავად ტანჯვისა, სიკვდილის გზაზე სიარულისა, ბოროტებამ მასში ბავშვი ვერ მოკლა, რაც სულთანს განსაკუთრებით ახარებდა. ალქიმიკოსიც გაოცებული იყო, მასაც არ უნახავს ესოდენ მხიარული სულთანი, მას შემდეგ, რაც ცოლ-შვილი დაკარგა. ყველანი გულმოდგინედ ცდილობდნენ აღარ გაეცინათ, მაგრამ ყოველი მათი მცდელობა უშედეგოდ მთავრდებოდა. ბოლოს ისევ სულთანი მოერია თავს და დამშვიდდა. მან აბის მიმართა; მოდი, ახლოს მომიჯექი. აბი ცდილობდა ალქიმიკოსისკენ არ გაეხედა, ის მიუახლოვდა სულთანს და დაჯდა. სულთანმა ნასიმას დარბაზიდან გასვლა ანიშნა. თავდახრილმა მსახურმა იქაურობა დატოვა და კვლავ მარტო დარჩნენსულთანი, აბი და ალქიმიკოსი. სულთანმა უკვე საკმაოდ სერიოზულად დაიწყო: „აბი, ხვალიდან შენს ახალ მასწავლებლებს გაგაცნობთ, ვფიქრობ უარს არცერთზე იტყვი, პირველი დღეები მეც შენს გვერდით ვიქნები, რას იტყვი?“. აბი: “თანახმა ვარ სულთანო“. სულთანმა გაუღიმა და უთხრა: ამასთანაც ალი მიწოდე, ეს ხომ თორმეტი წლისაა და ალქიმიკოსზე ანიშნა. აბიმაც ღიმილით მიუგო: „გასაგებია, ალი“... ალქიმიკოსიც უზომოდ გახარებული იყო, მან იგრძნო სულთნისგან მეგობრული დამოკიდებულება. სულთანმა მასაც უბრძანა დარბაზის დატოვება და ალქიმიკოსიც გასასვლელისკენ გაემართა. მარტო დარჩენილმა სულთანმა აბის მიმართა: „აბი, მთავარი არ დაგავიწყდეს, ამჟამად შენ აბი ხარ, ბააგრა დროებით დაივიწყე, წინ უამრავი დრო გვაქვს, საჩქარო არაფერია, ჩემთან დარჩები საჭირო იქნება, სანამ შენი არსებობაც კი დაავიწყდებათ. წმინდა მიწაზე დაბრუნებას ყოველთვის მოასწრებ. რაც შეეხება მატილდას, ვფიქრობ, მან იცის შენი ნამდვილი ვინაობა, მან გადაგარჩინა, ამიტომ ჯობია ისიც შენთან ერთად დარჩეს. აბი დუმდა. „ნდობა არავისი შეიძლება, ადამიანს სიხარბე ან შური როდის მოერევა არავინ იცის, მართალია ენდე, რადგან გადაგარჩინა, მაგრამ ესეც შეცდომაა. შენარ ხარ ისეთ დღეში, რომ ნდობას უფლება მისცე საფრთხეში ჩაგაგდოს... ფრთხილად იყავი და შენს პაწია გულს დარაჯად დაუყენე გველის სიბრძნე. აქ ყველას ჩემი ნათესავი ჰგონიხარ, აბი“... სულთანი აუჩქარებლად და ბავშვის გასაგებ ენაზე საუბრობდა, თან ხედავდა, რომ ბააგრა თვალს არ აშორებდა, ყურადღებით უსმენდა. საუბარი ხანგრძლივი გამოდგა, პატარა პრინცესასთან ამდენი არავის ესაუბრა და დაღლილობამ თავისი გაიტანა.

„თავბრუ დამეხვა ალი, მგონი დავიღალე“. თქვა აბიმ. სულთანს გაეღიმა და თქვა: „კარგია, რომ ყურადღებით მისმენდი, ახლა ერთი რაღაც მაინტერესებს და შემდეგ დავისვენოთ“... „გისმენ, ალი“... მშვიდმა, ბავშვურმა, ნაზმა ხმამ სულთანს სასიამოვნო ჟრუანტელი მოჰგვარა. „მატილდასთან მინდა საუბარი, ვხედავ დიდ პატივს სცემ მას. ჩვენ კი ხვალ დილით შევხვდებით ერთმანეთს. რაიმეს თქმა ხომ არ გსურს?“... ბააგრამ თვალი თვალში გაუყარა სულთანს და მტკიცედ მიუგო: „ის ჩემი მეგობარია, მინდა, რომ გახსოვდეთ, ალი“... სულთანი წამოდგა, გოგონას გაუღიმა და უთხრა: „ამიტომაც არის ასეთ პატივში, ახლა კი მოისვენე და მატილდა ჩემთან იხმე“... შემდეგ კარებამდე მიაცილა და გულთბილად დაემშვიდობა. გახარებული აბი მატილდასკენ მიისწრაფოდა, უკან ნასიმა მისდევდა, ქალი ბაღში ელოდა მათ. როგორც კი აცნობეს „სულთანი გელისო“, უმალ მის სანახავად გაეშურა. დარბაზში შესულს სულთანი ხალიჩაზე წამოწოლილი დაუხვდა, ხელში ყურძნის მტევანი ეჭირა და გემრიელად მიირთმევდა, პირდაპირ, კბილებით წყვეტდა თითოეულ მარცვალს, ისეთი ნეტარება გამოსახვოდა სახეზე, კაცი იფიქრებდა რაღაც რიტუალს ასრულებსო. მატილდას შესვლაზე არც განძრეულა, თითქოს ვერ შენიშნა. ქალს ბრჭყვიალა, ლამაზი კაბა ემოსა, სახეს ჩადრი უფარავდა, მაგრამ მისი თვალები თითქოს მის სილამაზეს სრულად აშიშვლებდა, მათ არაბი ქალებისთვის დამახასიათებელი მოკრძალება აკლდათ. სულთანს ზედაც არ შეუხედავს, ისე მიმართა: „თავი დახარე, თვალები დამალე!“... მატილდა უსიტყვოდ დაემორჩილა.. სულთანმა გამოხედა და უთხრა: „დიდი ხანია გაკვირდები, ჩადრი მხოლოდ ახლა გაიკეთე. ვიცი და მესმის, რომ პატარა პრინცესა უანგაროდ გიყვარს და მისთვის თავიც კი გასწირე“... სულთანს სიტყვა ბოლომდე არ ჰქონდა დამთავრებული, მატილდამ შეაწყვეტინა: „რა გნებავთ ბატონო?!“... სულთანი არ იყო მსგავს თავხედობას შეჩვეული, ფეხზე წამოიჭრა და მრისხანედ მიუგო: „როცა ნებას დაგრთავ, ხმას მაშინ ამოიღებ! ბავშვს უყვარხარ, ბავშვს, რომელიც მეც ძალიან მიყვარს. იმედია გესმის რას გეუბნები“... მატილდა თავდახრილი მდუმარედ იდგა. სულთანმა ბრაზი მოთოკა და საუბარი განაგრძო: „მინდა პრინცესას ყველაფერი შევასწავლო, ვიცი, მისი ბედნიერება შენც სიხარულს მოგანიჭებს. მუდამ მის გვერდით იქნები და თუ რამის თქმა მოერიდა ჩემთან, შენ მეტყვი. ამიერიდან ჩადრი ყველგან გეკეთოს, მამაკაცებს თვალებში არ შეხედო, ეს შენი ქვეყანა არაა. მთელი ქალაქი შენს თვალებზე საუბრობს, ყველამ იცის,

რომ ენით აუწერელი, ულამაზესი მწვანე თვალები გაქვს. დაიმახსოვრე, რომ ის ბავშვია, ვფიქრობ, ეს შენც იცი“... სულთანი უცებ შეტრიალდა, იქვე დაგდებულ მუთაქას მიუახლოვდა და ქვემოდან პატარა ქარქაში გამოაძვრინა: „ეს იმ სატევრისთვისაა განკუთვნილი, რაიმე საბრძოლო ხელოვნებას ხომარ ფლობ?“... მატილდამ მუშტად შეკრული ხელი მაღლა ასწია... სულთანს გაეღიმა: „კარგი, მოკლედ, იმას მიიღებ, რასაც დასთეს“... სულთანი კვლავ ხალიჩაზე წამოწვა, ყურძნის მტევანი აიღო და რამდენიმე წუთი ყურადღება არ მიაქცია ქალს, მატილდას ერთი სული ჰქონდა დარბაზი დაეტოვებინა. სულთანს პირში ყურძნის მარცვალი ედო, ისე მიუგო: „შეგიძლია წახვიდე“,... მატილდა უცებ დაიბნა, ნელ-ნელა მიუახლოვდა კარს, თითქოს ელოდა, რომ სულთანი დაუძახებდა, მაგრამ მაინც შეკრთა: „მატილდა“... წუთიერი დუმილის შემდეგ დაუმატა: „რასაც მოისურვებ, მსახურებს უბრძანე, ყველაფერს შეგისრულებენ“... ალი გაჩუმდა, რატომღაც სიცილი მოუნდა და თავს იკავებდა, ქალმა გაოცებით შეხედა... „წაბრძანდით, ქალბატონო“... თავს მოხვეულმა შიშმა ვერ დაჯაბნა ქალის ბუნება, მატილდამ ამაყად ასწია თავი, სულთანს თვალი გაუსწორა და მიუგო: „გმადლობ, ჩემო სულთანო“... სულთანს არ შეუხედავს მისთვის, თუმცა არ გამოჰპარვია ქალის თამამი საქციელი. დარბაზიდან გამოსულმა მატილდამ აბის ოთახისკენ გასწია. გოგონა ფანჯარასთან იჯდა და ხედით ტკბებოდა, თითქმის ნახევარი ქალაქი ხელისგულივით მოჩანდა მისი სარკმლიდან. ხმაურზე ქალაქს თვალი მოსწყვიტა და შემოტრიალდა, ოთახში მატილდა შემოსულიყო, ჩადრი მოეხსნა და ალერსიანი თვალებით მოემართებოდა მისკენ. „აქაური ქალები ცოდვები და საწყლები არიან ამ კაცების ხელში, ტყვეობაში იმყოფებიან, იმის უფლებაც არ აქვთ, რომ მამაკაცს შეხედონ“... უცებ აივნიდან ნასიმა შემოვიდა, საუბარს ყური მოჰკრა და მკაცრად უთხრა მატილდას: „ჩუმად იყავი, ენას კბილი დააჭირე, თორემ ცოცხლად დაგმარხავენ უდაბნოში. მსგავსი საუბარი აბის თანდასწრებით აღარ გაბედო“.. მატილდამ აგდებულადმიუგო: „შენრას მაშინებ პატიმარო?“.. ნასიმა გაბრაზდა. საუბარში აბი ჩაერია: „დაწყნარდით, დაწყნარდით, სამივე მეგობრები ვართ“. „ჰო, და ენა გააჩუმოს... მარტო კაცები აკერია პირზე“ თქვა ნასიმამ. „გთხოვთ, დამშვიდდით“. გააფრთხილა აბიმ. მატილდამ ჩაიცინა: „გშურს!“ ნასიმა საშინლად გაღიზიანდა და აბის მიმართა: „გააჩუმე ეს მართლა პატიმარი, თორემ გეფიცები ვცემ“. „მატილდა, გაჩუმდი“. გაბრაზებული აბი პირველად იხილა მატილდამ,

შესძრა მისმა სახემ და გაჩუმდა... მეორე ოთახში გასვლა დააპირა. „გაჩერდი, დაბრუნდი“.. მატილდა უსიტყვოდ მიუახლოვდა აბის. „მითხარი, რა გითხრა სულთანმა ასეთი, რომ გიჟს ჰგავხარ?“ ქალი ცდილობდა, დაბნეულობა, სიბრაზე, ცრემლი, ყველაფერი დაემალა და თავაწეულმა მტკიცედ მიუგო: „ეს თქვენი ქვეყანა არ არისო. თითქოს სიფრთხილისკენ მომიწოდა“.. შემდეგ ისევ ბრაზი წაეკიდა, ხელი აიქნია და მრისხანედ წარმოთქვა: „მე ბორკილებს არ დავიდებ!“... „კარგი ახლა შერიგდით“. „შერიგებულები ვართ“. თქვა ნასიმამ. მატილდა აბის გადაეხვია და ნაღვლიანად მიუგო: „მადლობა ღმერთს, რომ შენ მაინც გადაურჩი ამ ტყვეობას. წარმოგიდგენია, მამაკაცს უნდა დაეკითხო, შეიძლება თუ არა მისი შეხედვა, ხმის ამოღებაზე რომ აღარაფერი ვთქვა... როცა ვუყვარდებით. მუხლზე დაჩოქილი გვიკითხავენ ლექსებს, ლამაზ სიტყვებს გვიძღვნიან, მაგრამ ისე, რომ სხვამ არ შენიშნოს... ესენი უნდა შეკრიბო... მოედანზე სახალხოდ აყვირო და ათქმევინო, თუ როგორ კარგები ვართ ჩვენ... სამივე... რა თქმა უნდა“... მატილდამ ნასიმას გაუღიმა, ხელი გაუწოდა და შერიგდნენ. „ომის და სისასტიკის გარდა, რა იციან ნეტავ, ჩენ რომ არა სად იქნებოდნენ?“ მატილდა გაჩერდა, ჯერ აბის გახედა, შემდეგ ნასიმას, გაიღიმა და თქვა: „მართლაც და ჩვენ რომ არა, სად იქნებოდნენ მამაკაცები?“ ისევ გაჩუმდა... ცოტა ხნის შემდეგ წარმოთქვა: „ერთი ვიცი, ვინც ქალს იმონებს, თვითონვეა მონა. ქალის მჩაგვრელს, როგორც არწივი ესხმის თავის მსხვერპლს და ბრჭყალებით შუაზე გლეჯს, ისე უნდა მოექცე“... არწივის გახსენებამ აბის სევდა მოჰგვარა, მატილდამ აკოცა. „სულთანი ორივეს პატივს გვცემს, მიიხედ-მოიხედე სად ვართ!“. „სულთანმა მითხრა თვალები დამალეო, ყველამ იცის, რომ ლამაზი თვალები გაქვსო“... ამ სიტყვებზე გადაიკისკისა და დაამატა: „ისე ძალიან ლამაზი კაცი კი არის“... ნასიმას გაეცინა, პირზე ხელი აიფარა: „ჩუმად, არავინ გაიგონოს“. მატილდა უფრო გაანცდა: „ჩუმად, ჩუმად, არავინ გაიგოს, სულთანი ლამაზი კაცია“... ნასიმამ ორივე ხელი თავზე დაიდო და არაბულად ამეტყველდა, აბი და მატილდა იქვე მდგარ გრძელ სკამზე ჩამოჯდნენ და ყური მიუგდეს ქალი კარგა ხანს ანცობდა...

„ახლა კი წავალ, მოსვენება მჭირდება, იმედი მაქვს ეს ნაუბარი ამ ოთახიდან არ გავა“. თქვა ნასიმამ. პასუხს არც დალოდებია, ოთახიდან გავიდა. აბი და მატილდა, გაოგნებულები და ერთმანეთს ჩახუტებულები, დატოვა. ქალი და ბავშვი ღრმად დამწუხრებულიყვნენ და ხმას არ იღებდნენ. დილით, როგორც კი მზემ თავისი

მადლიანი სხივები მოჰფინა არემარეს, აბი ლოგინზე წამოჯდა, მას სულთანი ელოდა დიდ დარბაზში... გვერდით მატილდა იწვა, თვალები დაეხუჭა, მაგრამ არ ეძინა, აბის ხელი გაუწოდა და უთხრა: მომეცი ხელი, უნდა გაკოცო. აბი არ შემოტრიალებულა, სევდიანმა ხელი გაუწოდა... მატილდამ ჩაკოცნა მისი პაწია ხელები, დედობრივი მზრუნველობით უთხრა: „მიდი, შეიმოსე, სულთანი გელოდება“... აბი უსიტყვოდ დაემორჩილა... ბიჭის სამოსელში გამოეწყო, წელზე პატარა ხანჯალი მიიმაგრა და ოთახიდან გავიდა. დერეფანში ნასიმა ელოდა, ქალმა სულთნის დარბაზამდე მიაცილა, აბი უცებ შეჩერდა, ნასიმას გამოხედა და ჰკითხა: „მეტყობა წუხილი?“ ნასიმამ უბრალოდ, ერთი სიტყვით მიუგო: „აშკარად“... აბიმ ღრმად ამოისუნთქა და ჩაისუნთქა, კარს მიუხლოვდა და იქვე მდგარ შუბოსან მსახურებს უბრძანა კარის გაღება. აბი დარბაზში თავაწეული შევიდა, ნასიმა კი დერეფანში დარჩა. სულთანთან ალ-ქიმიკოსი იყო. ალის სპილოსძვლისფერი კაბა ეცვა, ასეთივე ფერის თავსაბურავით ირგვლივ შავი, წვრილი თოკისგან გაკეთებული რგოლი შემოერტყა. ისედაც ლამაზს ეს ტანისამოსი მთლად ზღაპრულ სულთანს ამსგავსებდა. აბის დანახვაზე ორივემ შეწყვიტეს საუბარი... შეხედეს, მოსულს. იგი მათკენ მოემართებოდა... თვალს არ აშორებდა. მიუახლოვდა თუ არა, მკვირცხლად წარმოთქვა: „გამარჯობა, ალი!“. შემდეგ ალქიმიკოსისკენ შებრუნდა და მოწიწებით მიესალმა: „გამარჯობა, ექიმო!“. ალქიმიკოსმა თავი დაუკრა. „შავებში გამოწყობილხარ, გიხდება ავაზაკის თავსაბურავი“... აბიმ ნაძალადევად გაუღიმა. „რაღაც ხასიათზე არ ხარ“. „ცუდად მეძინა“... „რადგან მოხვედი, ე.ი. მზად ხარ გზის გასაგრძელებლად“. „რა თქმა უნდა, ალი“. წარმოთქვა ღირსეულად. სულთანმა ორიოდე ნაბიჯი გადადგა მისკენ, ხელი გაუწოდა, მის ძლიერ ხელს აბის პაწია ხელი შეეხო, სულთანი ძალზე ბედნიერი იყო, თითქოს შვილი დაბრუნებოდა. დერეფანში ნასიმა ელოდათ. აბიმ მორცხვად შეხედა სულთანს და ჩუმად ჩაილაპარაკა: „ძალზე გიხდება ეს სამოსი“. სულთანმა ზემოდან დახედა და სრული სერიოზულობით მიუგო; „ეს ჩვენი ქვეყნის ეროვნული სამოსია, მაგრამ მისი ტარების უფლება ყველას არ აქვს... მას არაფატს უწოდებენ. ახლა ისეთ მასწავლებლებთან მივდივართ, რომლებიც ყველაფერს გასწავლიან თუ რაიმეს სწავლა შეიძლება ამ ქვეყნად“... სულთანს ნაზად ეჭირა აბის პატარა ხელი და ცერა თითით ეფერებოდა, ოთხივე ერთ ოთახში შევიდნენ, რომელიც სავსე იყო წიგნებით, იქვე დიდი მაგიდა იდგა, შუა ხნის მამაკაცი იჯდა, მას აბისთვის

ჯერ უცხო სამოსი ეცვა, მოსულთა დანახვაზე კაცი წამოდგა. „აბი, ეს მასწავლებელი რამდენიმე ენას ფლობს, ის შეგასწავლის სხვადასხვა ენას, სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურას გაგაცნობს. მან შესანიშნავად იცის შენი მშობლიური ენაც“... აბი დუმდა და ყურადღებით აკვირდებოდა მასწავლებელს... შემდეგ მეორე ოთახში გავიდნენ, იქაც შუა ხნის მამაკაცი იდგა, ოთახის შუაგულში, პირველივით წვერგაპარსული, თავისუფლად შემოსილი, ფსიქოლოგი იყო. მესამე მასწავლებლის სანახავად მათ უკვე ფსიქოლოგიც შეუერთდა, აბი გაიტაცა იქაურობამ, თავს მშვენივრად გრძნობდა. დერეფნის ბოლოში კიდევ ერთი ოთახი იყო. იქ ეთიკის მასწავლებელი ელოდათ, შემდეგ ისტორიის მასწავლებელი ნახეს. თითოეულის გაცნობის შემდეგ ყველანი სასახლის მიწისქვეშა დარბაზების სანახავად წავიდნენ. დარბაზები ძალზე დიდი და მდიდრული იყო. შავი მარმარილოს სვეტებით... კედლებზე სხვადასხვა საომარი იარაღი ჩამოეკიდათ. იატაკზე შავი, თეთრი და წითელი მოზაიკა ძალზე მოხდენილად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. სანამ დარბაზებამდე მიაღწევდი, რამდენიმე საფეხურიანი კიბე უნდა ჩაგევლო, შემდეგ პატარა გვირაბი იწყებოდა, რომელიც ჩირაღდნებით გაეჩახჩახებინათ. ჭერზე უამრავი ჯაჭვები იყო მიმაგრებული, ისინი იატაკს ეხებოდნენ. სულთანს დაბალი, მოხუცი, თეთრებში გამოწყობილი ადამიანი უახლოვდებოდა. ხელში მოკლე ხის ტოტი ეჭირა, გათლილი და გაპრიალებული.... თითებით მარჯვედ ატრიალებდა. სულთანი თვალს არ აშორებდა „ომის ოსტატს“. როდესაც ერთმანეთს მიუახლოვდნენ, მოხუცმა მარჯვენა ხელი გულთან მიიდო და თავი ოდნავ დახარა, უცხო ენაზე მიესალმა, ამ დროსაც არ დაუნებებია თავი ჯოხის ტრიალისთვის. სულთანმა აბის დახედა, შემდეგ მასწავლებელს იმავე ენაზე რაღაც გადაულაპარაკა. მასწავლებელმა აბის შეხედა და სულთანს რაღაც უთხრა. ალიმ აბის მიმართა: „ამ კაცზე შეიძლება ითქვას, რომ ომის ხელოვანია. მან არც შენი და არც ჩემი ქვეყნის ენა არ იცის. მის ქვეყანას კი ამომავალი მზის ქვეყნად მოიხსენიებენ. ნასიმა კარგად ფლობს მათ ენას, იცნობს მათ კულტურას, ამიტომ მასთან ერთად ივარჯიშებ“... ამ სიტყვებზე მან ნასიმას გახედა, გაუღიმა და თქვა: „ნასიმაც კარგი ხელოვანია ორთაბრძოლისა.. ორი მასწავლებელი გეყოლება. სულთნის მეომრები ნასიმას უსასტიკეს ქალად მოიხსენიებენ, მათი თქმით ნასიმა ათ მამაკაცს ისე გამოასალმებს სიცოცხლეს, რომ რვამდე დათვლასაც ვერ მოასწრებ“,... აბიმ მასწავლებელს შეხედა, თითქმის მისი სიმაღლის იყო და წვრილი თვალებით.

მასწავლებელი წინ წამოიწია... სრული სერიოზულობი თავი დაუკრა... რაღაც ჩაილაპარაკა... „მოგესალმა, აბი“. თქვა სულთანმა. აბიმაც თავი დაუქნია, შემდეგ ალის ჰკითხა: „რა ჰქვია?“ „ესენი შენი მასწავლებლები არიან და არცერთს სახელი არ უნდა ჰკითხო არც მათ აინტერესებთ, ვინ ხარ შენ, გასაგებია?“... „გასაგებია“. უპასუხა აბიმ. შემდეგ სულთანმა ყველას უბრძანა თავიანთ ოთახებში წასულიყვნენ, მადლობა გადაუხადა სათითაოდ და გარეთ გამოვიდნენ. ყველანი მდუმარედ მოჰყვებოდნენ... აბი, ნასიმა და ალქიმიკოსი... ისინი ბაღის გავლით პატარა ქოხისკენ მიემართებოდნენ, რომელიც მდიდრულად იყო მოწყობილი, იქიდან შუახნის, სიმპატიური მამაკაცი გამოვიდა, სიდინჯე, ჭკუა და პატიოსნება ზედვე ეტყობოდა. როცა მიუახლოვდნენ, მამაკაცმა სულთანს არაბულად გადაულაპარაკა, ალიმ აბიზე მიანიშნა, მამაკაცს გაეცინა. „ეს უნიჭიერესი ავაზაკია“... აბიმ გაოცება ვერ დამალა, თვალები გაუფართოვდა და აღმოხდა: „რაა?“ „დამშვიდდი, აბი, მერე აგიხსნი“. მასწავლებელი ამას ღიმილით შეჰყურებდა. ამან საშინლად გააღიზიანა პატარა პრინცესა. გულში ფიქრობდა. „ეს კაცი ის ქურდი იყო, რომელიც უბრალო მოსახლეობას ისე ძარცვავდა, ვერავინ ახერხებდა მის დაჭერას. რაც არ უნდა წარმოუდგენელი იყოს, მან ერთხელ სულთნის სასახლეც გაქურდა“... ალიმ დაიწყო. „მიუხედავად იმისა, რომ უამრავი კარისკაცი, დარაჯი და მეომარი იცავს იქაურობას. ავაზაკი ისე შეიპარა სასახლეში, ვერავინ შენიშნა, შემდეგ სულთნის საძინებელში შევიდა და გარდაცვლილი მეუღლისა და შვილის ძვირფასი ნივთები მოიპარა. სულთანმა ჯილდო დააწესა. ასმაგად გადავუხდი, ვინც ნივთებს უკან დააბრუნებსო. როდესაც ავაზაკმა ეს შეიტყო, ძალზე გაოცდა და გადაწყვიტა სულთანთან მისულიყო და ნივთები უკან დაებრუნებინა. სულთანმა გულგრილად მიიღო... ავაზაკმა ტილოში გახვეული ნივთები გაუწოდა, სულთანმა გაოცებით გადახსნა და მოულოდნელობისგან და სიხარულისგან თვალზე ცრემლი მოადგა. თავი ასწია... მადლიერებით სავსე თვალები შეანათა ქურდს, ვინ ხარ? ასმაგად აგინაზღაურდება ეს სიკეთე კეთილო ადამიანო. ავაზაკმა სინანულით თავი დახარა და ჩუმად ჩაილაპარაკა: „მე ის ვარ, ვინც ეს ნივთები მოიპარა თავიდან“. სულთანი განრისხებისგან ფეხზე წამოხტა და იყვირა: რა თქვი, ვინ ხარ?!! ავაზაკმა თვალი თვალში გაუყარა და იგივე გაიმეორა. რისხვით ანთებული სულთანი უცებ დამშვიდდა და ახლა გაოცებულმა იკითხა: როგორ გაბედე აქ მოსვლა? იმიტომ მოვედი, რომ ის ასმაგი არ გამოერთმია

ვინმეს თქვენთვის. სულთანი კიდევ უფრო გაოცდა: შენ აღიარებ, რომ ეს ნივთები მომპარე, ამის გამო რა გელოდება, ეს ალბათ იცი, მაგრამ მაინც მოხვედი. იცი რა გელოდება? ავაზაკმა მშვიდად მიუგო: დიახ, ვიცი, სიკვდილი. სულთანმა ზიზღნარევი გაოცება ვერ დამალა, თითი საფეთქელთან მიიტანა და ოდნავ დაატრიალა: შენ აქ ხომარ გიჭირს? ავაზაკს ისე შეჰყურებდა, როგორც ავადმყოფს. ავაზაკი მიუხვდა ფიქრებს და თამამად მიუგო: „ავადმყოფი არ ვარ სულთანო“. „რატომ მომიტანე?!“. „ჩემი შვილიც უდაბნოში მოკლეს, ცოლმა ამის შემდეგ თავი ჩამოიხრჩო... ამ ნივთებს ჩემი შვილის სახელით გიბრუნებთ“... თხრობა რომ დაამთავრა სულთანმა აბის გადახედა და ჰკითხა: „რას იტყვი?“ დაბნეულმა და გაოგნებულმა აბიმ ჩუმად ჩაილაპარაკა: „ავაზაკი რად მინდა?“ ამ დროს ისინი ქოხთან მივიდნენ. „სჯობს იცოდე და არ დაგჭირდეს, ვიდრე დაგჭირდეს და არ იცოდე“... აბი წამით ჩაფიქრდა, შემდეგ კი თქვა: „მართალი ხართ, სულთანო, ვფიქრობ ეს ხელობა დამჭირდება“. აბის გაეღიმა და თბილად მიუგო: „თითოეულ მასწავლებელთან კვირაში ერთხელ მოხვალ, თუკი რომელიმე საგანი, ან სპეციალობა გადაგღლის დაისვენებ... ჰო, კიდევ უნდა მეთქვა ის, რომ ამ კვირაში კიდევ ორი ახალი მასწავლებელი ჩამოვა, მუსიკისა და სიარულის... ის გასწავლის, როგორ უნდა იაროს ბიჭმა და როგორ - გოგომ, რათა ერთმანეთში არ აგერიოს, ეს ძალზე მნიშვნელოვანი დეტალია“... აბიმ გულიანად გადაიკისკისა, სულთანსაც გაეღიმა, ამ ბავშვის გვერდით მართლა ბედნიერი იყო... ცოტა ხნის შემდეგ ალი დასერიოზულდა და როგორც თანატოლს ისე მიმართა: „ნახევარი დღე გავიდა, მეორე ნახევარი უქმად რატომ უნდა დავკარგოთ? მოდი, აირჩიე, რომელ მასწავლებელთან მიხვალ ახლა?“ აბიც უმალ დასერიოზულდა, სახეზე მკაცრი გამომეტყველება მიიღო და მტკიცედ წარმოთქვა: „ომის ხელოვანთან!“. სულთანი მიხვდა, რაც არ უნდა მხიარულ გუნებაზე ყოფილიყო პატარა პრინცესა, შურისძიების წყურვილი არასოდეს უცხრებოდა. „ნება შენია“... ახლა უკვე ალქიმიკოსის გარეშე მიდიოდნენ სამნი. აბის გაეღიმა და თქვა: „ავაზაკს ვერც შეატყობ რომ ავაზაკია“. „წიგნი“ ყდით არ უნდა შეაფასო უპასუხა ალიმ. ცხვირზე თითი მიაჭირა... ძალიან ნაზად და თბილად უთხრა: „მართალია, ავაზაკობა საპატიებელი არ არის, მაგრამ ავაზაკის მსხვერპლი ზოგჯერ ავაზაკზე დამნაშავეა. შენს მასწავლებელზე კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ღირსეული ადამიანია, ამაში თავადაც მალე დარწმუნდები, შეგიძლია მას სახელიც ჰკითხო“... უცებ სულთანს სიცილი აუვარდა. გაოგნებულმა აბიმ ქვემოდან

ახედა და იკითხა: „რა გაცინებს ალი?“ „უცებ გავიფიქრე, რომ ორივე ერთად „საავაზაკოდ მიდიოდით და თავი ვერ შევიკავე“... აბიმ უჩვეულო სერიოზულობით უპასუხა: „გამორიცხული არაფერია“... ალიმ სიცილი შეწყვიტა, აბიც მდუმარედ მიუყვებოდა მოკირწყლულ ბილიკს, უკან ნასიმა მოსდევდათ, ალქიმიკოსი კი თავის სამუშაო ოთახში წასულიყო, რომელსაც ხუმრობით „ბუნაგს“ ეძახდა. დარბაზში შესვლისთანავე სულთანი იმ ტანდაბალი კაცისკენ გაემართა, რომელიც შუაგულ დარბაზში ზურგით იდგა ჩაფიქრებული... სულთნის ფეხის ხმაზე სწრაფად შემოტრიალდა, მათი დანახვა არც გაჰკვირვებია, თითქოს ელოდა კიდეც... მათ შორის საუბარი გაიმართა, დასასრულს კაცმა აბის გამოხედა და რაღაც ჩაილაპარაკა.. სულთანს გაეღიმა და ბავშვს მიუახლოვდა, შენს მასწავლებელს ვუთხარი, რომ ის აირჩიე... შენზე თქვა პატარა შურისმაძიებელია. ალის ისევ გაეღიმა. აბი და მასწავლებელი ერთმანეთს თვალს არ აშორებდნენ. სულთნის ნათქვამზე პატარა კაცმა მოკლედ უპასუხა, არც კი შეუხედავს, აბის უყურებდა და თითქოს მის სულში ჩახედვას ლამობდა. სულთანმა ისინი მარტო დატოვა, თარჯიმნად კი ნასიმა დატოვა. მასწავლებელმა ნასიმას პირით აბის უთხრა: „ჩექმები გაიხადე, საბრძოლო იარაღები დაათვალიერე და რაც მთავარია, დარბაზში შემოსვლისას შურისძიება გარეთ უნდა დატოვო, არ დაგავიწყდეს, რომ სადაო არაფერი გვაქვს“... აბი უსიტყვოდ დაემორჩილა, სწრაფად გაიხადა პატარა ჩექმები და ინეტერესით ათვალიერებდა იარაღებს. თუმცა პროტესტის გრძნობა მაინც გაუჩნდა და ნასიმას გადაუჩურჩულა: „მე ფეხზე გამხადა, თვითონ კი აცვია“... ნასიმამ ხმადაბლა მიუგო: „სსს“. აბიმ გამოხედა და წარბშეკრულმა მიახალა: „რა სსს.. მაინც არ ესმის ჩემი ენა“... „მისგან ყველაფერია მოსალოდნელი“. „მე არ მეშინია!“. „დიდი იმედი მაქვს, რომ არ ესმის შენი ენა“. აბიმ უცებ ერთ-ერთი ხმალი ჩამოხსნა კედლიდან და ნასიმას ცხვირწინ დაუტრიალა, ღიმილით უთხრა: „რა უნდა მიყოს, რა?“... ნასიმასაც გაეცინა და მიუგო: „გაჩუმდი, გაჩუმდი, სულთანიც და მასწავლებელიც ჩვენ გვიყურებენ, ალბათ შენზე საუბრობენ“.. აბის ჩაეცინა, ყურადღება არ მიუქცევია ნასიმასათვის. იქაურობის თვალიერებას განაგრძობდა... ჩამოღებული ხმალი ხელში მყარად ეჭირა ისე აგრძელებდა საუბარს. აბი დაკვირვებით ათვალიერებდა თითოეულ საბრძოლო იარაღს. გაჩერდა, მწუხარედ ახედა ნასიმას: „შეხედე რამხელა ნაჯახია... ამას ხელში კი ვერ დავიჭერ“... ნასიმამ ღიმილით შეხედა მწუხარე პრინცესას, თან ნაჯახი კედლიდან ჩამოხსნა.: „მეც

ეგრე მეგონა პირველად რომ დავინახე“... ამ სიტყვებით მასიური რკინისგან დამზადებული ნაჯახი, ძალზე დიდი პირით, ხელში ოსტატურად დააბზრიალა და ღიმილით მიუგო: „თითქმის შენი ტოლი ვიყავი პირველად რომ ჩავიგდე ხელში და რამდენიმე თვეში მყარად ვფლობდი, შეხედე ამას!“... ამ სიტყვებით ნასიმამ ნაჯახი ბზრიალით მაღლა ააგდო, თავი აბისკენ დაღუნა და სიცილით მიუგო: „ირწმუნებ დაეუფლები!“... ნაჯახი ჭერს ტრიალით უახლოვდებოდა... აბიმ ნაჯახს ახედა და შიშისგან უკან დაიხია... ნაჯახი ოდნავ ჭერს შეეხო... ნაპერწკალი მოჰყვა შეხებისას... ძირს ეშვებოდა... ნასიმა წელში გასწორდა... თვალს არ აშორებდა აბის... ხან ნაჯახს ახედავდა, ხან ნასიმას... აბი შეშინდა, მივარდა ნასიმასთან კაბაში სწვდა: „ფრთხილად ნასიმა ფრთხილად“... აბი ნასიმას ხსნას ცდილობდა... ნაჯახი უახლოვდებოდა ორივეს... პრინცესას პატარა ხელი ნასიმას ხელში აღმოჩნდა... მეორე ხელით ნაჯახი დაიჭირა, ისე, რომ თვალი არ მოუშორებია პატარასათვის. აბიმ თვალები დახუჭა. აცახცახებული ნასიმას შემოეხვია: „აღარ შემაშინო მეტი, აღარ!“. ნასიმამ გაისროლა ნაჯარი კედლისკენ... ბუდეს ამცდარი იარაღი ძირს ეცემოდა: „შეხედე შენმა შიშმა შედეგი გამოიღო, ნაჯახი ძირს აგდია, ხმალიც კი ხელიდან გაუშვი“. აბიმ ახედა ნასიმას. „მე სიკვდილის არ მეშინია, მეგობრის დაკარგვა აღარ მინდა არა“. ნასიმას გული აუჩუყდა. აბის თავსაფარი მოხსნა, თავი ნაზად გადაუწია. ამღვრეული ლამაზი თვალები შეჰყურებდნენ: „არც მე მინდა მეგობრის დაკარგვა!“. ნასიმამ თავსაფარი მიაწოდა, ხელი მოჰკიდა. პატარას ხელი ნერვიულობისგან ოდნავ დაბუჟებოდა.: „შემომხედე!“ აბიმ ნაძალადევი ღიმილით ახედა.: „აი, ეგრე კარგია, გავაგრძელოთ გზა“.: „გავაგრძელოთ!“ ძლიერი და მყარი პასუხი მიიღო არაბმა ქალმა... მათკენ სულთანი და მასწავლებელი მოდიოდნენ... სულთანი დაგდებულ ხმალს მიუახლოვდა... ხმალი მოწიწებით აიღო და ქვიშა მოაშორა, მერე მიუახლოვდა აბის, ნასიმა გვერდზე გასწია.: „მოგეწონა ეს ხმალი?“ აბიმ მშვიდად მიუგო, ისე რომ მზერა მასწავლებლისკენ ჰქონდა. „ლამაზია!“. სულთანი ამღვრეულ თვალებს დააკვირდა.: „მართალიხარ ლამაზიც არის და მოხერხებულიც“. ორივე ხელით შეიძლება დაჭერა მსუბუქია, სხვებთან შედარებით, ნაკლი არააქვს ასე ვთქვათ“. სულთანმა მასწავლებელს გადაულაპარაკა მის ენაზე და აბის გამოხედა.: „ეს ხმალი მასწავლებლის ქვეყანას ეკუთვნის და მას „კატანა“ ჰქვია, აბი არ დაგავიწყდეს და არ ჰკითხო მასწავლებელს მისი სახელი, ის შენთვის მასწავლებელია, სხვა არ გვეხება ჩვენ, მე თვით

არ ვიცი მისი სახელი... მასწავლებლისთვის შენ მოსწავლე ხარ და მეტი არაფერი მგონი გესმის, რას ვამბობ... საბრძოლო ხელოვნებას უმაღლეს დონეზე შეგასწავლის... ეს ხმალი კი აღარ დააგდო, გამომართვი!“ აბიმ თითქმის გამოსტაცა ხმალი. სულთანმა მოასწრო გაწევა. „ფრთხილად, ძალზე ბასრია!“ აბიმ მშვიდად მიუგო.: „ვიცი!“. ორივე ხელი ჩაბღუჯა ხმალს... სახესთან მოიქნია და სიხარულით წარმოსთქვა.: „კატანა! მშვენიერია მშვენიერი“. სულთანმა მასწავლებელს ღიმილით ჩაულაპარაკა. მასწავლებლის მძაფრმა გამოხედვამ სიხარულით შეცვალა სულთანი... კედელზე დამაგრებულ დანებს მიუახლოვდა, აბის ხელით ანიშნა მოდიო.: „შეხედე, რა ნაკეთობაა... რომელს აირჩევდი აქედან?“ აბიმ თვალი გადაავლო და ეგრევე ერთ-ერთს მიუშვირა თითი დანას ორივე მხარე წვეტიანი ჰქონდა. სულთანი: რატომ ეს?.. „ხელის ჩასაჭიდი შუაში აქვს ორივე მხარე ბასრია... ბრძოლისთვის ადვილია და სასროლად იოლი!“. „იოლ გზას ირჩევ ერთ დღეს ძალზე გაგიძნელდება“... სულთანი გაჩუმდა... შემდეგ ისევ გააგრძელა: „შეხება გქონია დანებთან?!“... „მარტო რომ დავრჩი რამოდენიმე დღე ვატარებდი, თან ორი დანა მქონდა და ორივე წყალმა წამართვა". „დაგავიწყდა რომ მდინარემ ნაპირზე გამოგრიყა... ეხლა კი, მას ქურდს უწოდებ, ფრთხილად უნდა მოექცე შენს ნივთებს და არავის არაფერი დააბრალო, წყალთან კი, ბოდიში მოიხადე, შენთვის სჯობს“... აბიმ გაკვირვებით მიუგო: „რაა?“ „ჰო, ჰო, პატიება სთხოვე წყალს“. ისევ გაკვირვებული კითხვა გაისმა. „წყალს პატიება ვთხოვო - წყალს?!“ „ალ-ქიმიკოს დაელაპარაკე ამ თემაზე, ის აგიხნის ყველაფერს მე კი ერთს გეტყვი, როგორც ეხლა შენ მე მისმენ ისე უსმენს წყალი ადამიანს“... აბიმ ღიმილით მიუგო: „კარგი დაველაპარაკები ალ-ქიმიკოსს“. აბიმ ნასიმას გახედა ნასიმა თავჩაღუნული იდგა... აბიმ ხელი გაუწოდა და ნასიმა გვერდით დაიყენა... სულთანი მასწავლებელს ესაუბრებოდა. აბის გამოხედა ხელი ჩაავლო მის პატარა ხელის მტევანს და საუბარს აგრძელებდა მასწავლებელთან... ნასიმა უხერხულად იდგა აბის ერთი ხელი სულთანის ხელში იყო, მეორე კი ნასიმას ხელში... აბიმ იგრძნო ნასიმას უხერხულობა ხელი მოუჭირა მას... ნასიმამ გახედა, აბიმ თითქმის ჩურჩულით მიუგო: „ჩვენ მეგობრები ვართ“...ნასიმამ შეშინებულმა სულთანს გახედა.. აბიმ კი სიცილით გაუბა საუბარი: „ესეც მეგობარია ჩვენი“... ნასიმა ისე შეშინდა, რომ აბიმ სიცილი ვერ შეიკავა... სულთანმა გაკვირვებით გამოხედა ორივეს: „რა ხდება აბი?“ „ნასიმას ეშინია შენი, მე კი ვუთხარი, რომ ჩემს მეგობრებს სულთანი არ აწყენინებს!“... სულთანმა ნასიმას

მთელი სიმკაცრით შეხედა... ნასიმა თავდახრილი იდგა და რისხვას ელოდა... აბიმ ხელი აუმოძრავა სულთანს, მისკენ გამოახედა და ღიმილით მიუგო: „ხომ მართალი ვუთხარი ალი?!“ აბის ეღიმებოდა. „მართალი გითქვამს“... სულთანმა ამ სიტყვებით ღიმილით თავი გააქნია და მასწავლებელს გახედა, ეს უკანასკნელი დანებს მიუახლოვდა და მათ აგროვებას შეუდგა... სულთანი აბი და ნასიმა დარბაზის ერთ-ერთ მხარეს გაეშურნენ. ბააგრა ხარობდა, ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა. სითბოთი, სიმშვიდით, მფარველობით და უზომო სიყვარულით... ნასიმას მეორე ხელში აბიზე გამორთმეული ხმალი მყარად ეჭირა... სულთანი შეჰყუროდა მას ღიმილით თან იხსენებდა ნასიმას ორთაბრძოლებს... აბიმ ორივეს გადაავლო თვალი და მთელი სერიოზულობით წარმოსთქვა: „მატილდა გვაკლია, მეგობრები ერთად უნდა ვიყოთ“. სულთანს გაეცინა, ნასიმას თითქმის გული წაუვიდა შიშისგან. ეს აბიმაც და სულთანმაც იგრძნეს... მასწავლებელი პატარა მაგიდაზე სიმაღლით წელამდე დანებს ალაგებდა... ყველა გაჩერდა მასწავლებელთან, თითქმის ათ ნაბიჯში, კედელზე ადამიანის სიმაღლეზე ხის ფიცრები იყო აკრული... მასზე თეთრად ადამიანის სხეული იყო გამოკვეთილი. სხეულის სხვადასხვა ნაწილები შავი, ყვითელი და წითელი წერტილებით იყო მონიშნული... მასწავლებელმა ნასიმას მიმართა, თან დანა მიაწოდა აბის. „სიტყვა სიტყვით უთარგმნე ჩემი და შენი ერთიც არ მიამატო“... თავის ენაზე საუბრის დამთავრებისას ნასიმამ მხარზე დაადო ხელი აბის: „დანა, ეცადე, რომელიმე ამ სამი ფერის წერტილს მოახვედრო... შავი წერტილი ნიშნავს, რომ ადამიანი გონებას დაკარგავს, ყვითელი შეძლებს გაქცევას, ჭრილობა სასიკვდილო არ იქნება, წითელი - ყველა სასიკვდილოა“... აბი დააკვირდა ადამიანის სხეულს და გაკვირვებით გამოხედა ნასიმას. „ხელზე, იღლიასთან წითელი წერტილია“. „ჰო ის ადგილიც სასიკვდილოა“. სუთანი ვერ ითმენდა. აბიმ გამოხედა. „იმ ადგილას, იღლიასთან არტერიაა, წამებში გონს კარგავს ადამიანი და შემდგომ სისხლათ იცლება“... წარმოთქვა სულთანმა. „იქ, ფეხზეც, დაბლა ისიც არტერიაა“... გაკვირვებით მიუგო პრინცესამ... სულთანს გაეცინა: „შენ რას გასწავლიდნენ, ვერ გავიგე“. „სიმღერებს, ცეკვას, ხატვას“... მასწალვებელმა არ აცადა დამთავრება და ბრაზით ანიშნა აბის დანა ესროლა. „კარგი, მერე ვისაუბროთ, ისროლე დანა!“ დაამთავრა სულთანმა. აბიმ დაუმიზნა, გაისროლა, დანა ძირს დაეცა... მასწავლებელმა მეორე დანა მიაწოდა და ისევ ანიშნა, ისე რომ ნასიმას მიუგო ორიოდე სიტყვა. „არ იჩქარო, დამშვიდდი, ყურადღება

მოიკრიბე“. აბიმ ისევ ისროლა... დანა ძირს დაეცა ისევ... მასწავლებელი მიუახლოვდა აბის, ხელში დანის პირი ჩაუდო თითები ნაზად მოაჭერინა, თან საუბრობდა მასთან. „თვალებში მიყურესო, დანა არ ისროლო, გაუშვი მიეცი მას თავისუფლება, ეს შენი მეგობარია მოეფერე დაუმეგობრდი და მიზნისკენ გაუშვი“. უთარგმნა ნასიმამ. აბის გაეცინა: „კარგი“... დააკვირდა მიზანს, საჩვენებელ თითით მოეფერა დანის პირს და ძლიერად გაისროლა... დანა თითქოს შეერჭო მიზანს, მაგრამ ეგრევე ძირს დაეცა... მასწავლებელმა აბის ხელის გულზე დადებული დანა ახლოს მიუტანა, თან ანიშნა ყურადღება... ნაზად თითებ შუა აათამაშა და მიზნისკენ გაისროლა... აბი გაკვირდა. „ეს როგორ?“. მასწავლებელს თვალი არ მოუშორებია აბისთვის. დანა თვალებშორის გაერჭო. მასწავლებელი საუბრობდა. ნასიმა თარგმნიდა. „თავისუფლად, ნაზად, ფრთხილად და რაც მთავარია, რწმენით მიეცი მეგობარს თავისუფლება“. სულთანი არ ერეოდა საუბარში და მთელი გულით ნატრობდა აბის გამარჯვებას... აბი მიუახლოვდა მაგიდას, ორივე ხელში დანა აიღო და მიზანთან დადგა... აშკარად ეტყობოდა, რომ დანები ისე ეჭირა, თითქოს ახრჩობდა მათ სიმწრისგან. სულთანმა ვერ მოითმინა მიზანს შეჰყუროდა... თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: „დანის დაჭერა არ ნიშნავს მის დაპატიმრებას, მითუმეტეს მის დახრჩობას, მოდუნდი იგრძენი ხელში სიკვდილი, დაიმორჩილე, ამავე დროს, თავისუფლებისთვის მოამზადე, ის სიკვდილია, ამავე დროს შენი სიცოცხლე, მიზანს დააკვირდი მთელი გონებით და სხეულით. აჩუქე თავისუფლება დანას, გონებით დაელაპარაკე მას". აბიმ ვერ მოითმინა, გაეცინა... მასწავლებელი უსმენდა... ნასიმა თავის ამპლუაში იდგა. „რა დაველაპარაკო?!“ იკითხა პატარამ. სულთანს არ გამოუხედავს მკერდზე ხელები დაილაგა და საუბარი გააგრძელა. „ეჭვი მოიშორე, არ დასცინო, ირწმუნე, მიზანს შეხედე, ის შენი სიკვდილია... დანები, რომლებიც ხელში გიჭირავს, შენი სიკვდილის სიკვდილია... მოეფერე გონებით, დაუძმაკაცდი, ძმად იგულე, ძმებს დახმარებას არ სთხოვენ, ისინი თვითონ მოუღებენ ბოლოს შენს სიკვდილს“. სულთანი გაჩუმდა, ისევ გააგრძელა. „თავისუფლად, ფრთხილად!“. საუბარმა თითქოს გააბრუა, მასწავლებელი აკვირდებოდა აბის. იგი მომწყდარიყო სამყაროს და მიზანს სისხლით თვალამღვრეული შეჰყურებდა... დანა ისროლა... არ იყო მიზნამდე მისული, რომ მეორე დანა მარცხენა ხელიდანაც ეგრევე ისროლა. პირველი ძირს დაეცა... მეორეც მას მიჰყვა... აბი გამწარდა... მასწავლებელი მიუახლოვდა საუბრით... ნასიმა დამშვიდებული

უთარგმნიდა: „სიმწრის გარეშე შენ მტერს შორიდან იგერიებ... სიმწარე შემშლელია“. აბი გაბრაზდა. სახე გაუწითლდა თავი დაღუნა... ძალზე მოიწყინა... სულთანმა მხარზე ხელი დაადო: „მამაცი უნდა იყო!“... გაისმა აბის გაბრაზებული, გაბუტული ბურტყუნი: „ტახიც მამაცია, მაგრამ ღორია“... სულთანს სიცილი აუტყდა მასწავლებელს გადაულაპარაკა... მასწავლებელმა აბის მიუგო თავის ენაზე... აბიმ თარგმნა არ აცადა ნასიმას. „რაინდებმა“ „შენ რა იცი ამათი ენა“... „არა“... „მასწავლებელი კითხულობს, პასუხი როგორ გამცაო“.. აბი იდგა გაბუტული: „ვიგრძენი, რაც მკითხა!“. მასწავლებელმა საუბარი გაუბა სულთანს... აბიმ ნასიმას მიუგო: „რას ლაპარაკობენ?“ ნასიმა პასუხს არ სცემდა... სულთანმა წამით გამოხედა: „უთარგმნე!“... „ეგრე ამბობს შენზე, ამასთან, რამდენიც თვითონ გაუხარდება იმდენს ვამეცადინებ,, არავისთვის მისწავლებია, ამას ვასწავლი, ოც ნაბიჯამდე წყალზე სიარულს“... აბიმ გაკვირვებით გამოხედა. „წყალზე სიარულს?“ „ჰო წყალზე“... აბი დაწყნარდა: „მაგარია!“ სიხარულით ჩაილაპარაკა პატარამ და მასწავლებელს მიუგო: „კიდევ ვცდი“. მასწავლებელმა ორი დანა მოუტანა აბიმ ერთი გამოართვა: „ერთიც მეყოფა!“... მასწავლებელი მიზანს დააკვირდა... სულთანი და ნასიმა იგივე მდგომარეობაში იდგნენ... აბიმ ნაბიჯი უკან გადადგა არც ერთს რომ არ დაენახა, დანას რაღაც ჩაულაპარაკა, აკოცა და მიზანს დააკვირდა... დანა სამიზნე ადამიანის პირში იყო გარტყმული... თითქოს დაღწევას ცდილობდა იქიდან, ისე ქანაობდა... აბი მიზანს თვალს არ აშორებდა... სულთანი შემოტრიალდა ტაშით... მასწავლებელი მიუახლოვდა აბის სახეს. „ვერ გავიგე, უკან რატომ ამოგვეფარე, ჩექმებს მეც გავიხდი, როცა ერთად ვივარჯიშებთ“. ნასიმა შეწუხდა... აბიმ თვალები მოარიდა... მასწავლებელი საუბარს განაგრძობდა. „ეხლა დანები აკრიფე, გაწმინდე, გააპრიალე და თავთავიანთ ადგილზე დააბინავე... ჩემთან მზის ამოსვლამდე მოხვალ... მზის ჩასვლამდე ჩემთან იქნები, როცა გაგიხარდება"... „მადლობა, მასწავლებელო!“ მასწავლებელს გაეცინა... სულთანს გადაულაპარაკა და დარბაზის სხვა მხარეს გაეშურა. „ყველა მასწავლებელთან ერთხელ დაგითმობ დროს, მერე მარტო ივლი, რათქმაუნდა... ნასიმასთან ერთად". "მატილდამ ხომ შეიძლება ჩვენთან ერთად იაროს აქ?!"... აბი თვალებს არ აშორებდა სულთანს, თან დაბლითა ტუჩს კბილებს აჭერდა, სანამ პასუხს მიიღებდა... სულთანი ტკბებოდა პატარათი და პასუხის გაცემას არ ჩქარობდა... აბიმ ვერ მოითმინა... თავი გადასწია თითქოს თვალებში ჩაუძვრა სულთანს... ბავშვური ხმით მიუგო: „ხომ შეიძლება ალი!!!“

სულთანმაც ვერ შეიკავა ღიმილი, დაიხარა აბისკენ და ყურში ჩასჩურჩულა: „როგორც ინებოს დედოფალმა!“... აბი გაიჭიმა, სულთანს ახედა... მის დათვივით ხელის მტევანს პატარა თითები ჩაავლო: „წადი, ალი მოისვენე, მე აქ დანებს უნდა მივხედო“... სულთანი გოგონას სითბომ და სიყვარულმა გააოგნა: „აბი, როცა დაგჭირდე, აუცილებელი არ არის, ჩემთან მოხვიდე ნებისმიერი გამოგზავნე და მე მოვალ შენთან“. აბიმ მისი ხელი თავზე დაიდო. „მომეფერე გადახოტრილ თავზე“. სიცილით მიუგო სულთანს... ნასიმამ ვერ მოითმინა... სიცილი წასკდა. სულთანმა დაუკოცნა აბის თავი, თვალებში ჩახედა: „ჩვენ ერთად ვართ!“.. აბიმ მუშტი შეკრა, მაღლა ასწია: „მუდამ ერთად!“. „კარგი, წავედი“. უცებ შეტრიალდა ამ სიტყვებით სულთანი გასასვლელისკენ... მისი თვალები ცრემლებით აივსო... ნასიმა აკვირდებოდა სულთანს. მან ეს შენიშნა. შემოუტრიალდა აბის: „ხომ გითხარი ჩუმად, არ გაიგოს მეთქი, ჩექმებზე, ხედავ რა სმენა აქვს?!“. „ჰო, და ჩუმად, ჩუმად, არ ვინ გაგვიგოს“. თითის ჩვენებით, ბავშვურად მიუგო აბიმ. მასწავლებელი დარბაზის გასასვლელთან ჩაფიქრებული იდგა, ზურგით ქალებისკენ. ნასიმამ მისკენ მიეშურა. „საით?“ ნასიმამ ხელით ანიშნა დალოდებოდა... მასწავლებელს მიუახლოვდა... რაღაც უთხრა და დარბაზიდან გავიდა. ნასიმა თვალს არ აშორებდა აბის... ისე მიუახლოვდა. „რა გითხრა?“ ნასიმა დააკვირდა ახედ-დახედა. „ყველა ქალშია მამაკაცური საწყისი! და მიამატა, ფრთხილად, იყოს, თავს ყიდის წუხილით!“ ნასიმა დადუმდა. აბი ხმას არ იღებდა... ქალმა აბის ხელები გულზე მიიხუტა. „მართალია, გეტყობა როცა იბუტები, არ დაგავიწყდეს, ფრთხილად იყავი, მასწავლებელი არაა ჩვენთვის საშიში, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მასწავლებელი სანდოა, გაიგე?!“. „გავიგე“. გაისმა პატარა გოგოს ხმა. ნასიმას გაეცინა. „ხმასაც დაუკვირდი, ბევრი არ ილაპარაკო სხვებთან, სულთანმა ტყუილად არ შეგმოსა ბიჭის შესამოსელში, საფრთხეშიხარ! საფრთხეში!“. „ჩემზე ნუ ნერვიულოფ პატარა აღარ ვარ მესმის ყველაფერი“. აბი შემოეხვია ნასიმას... ბავშვის სითბომ დაამშვიდა მსახური ქალი და ყურში ხუმრობით ჩაუჩურჩულა: „რა ვქნათ მივხედოთ ჩვენს მეგობრებს, დანებს!“. აბიმ თვალებში ჩახედა და ღიმილით მიუგო: „რათქმაუნდა! ხმალიც გავაპრიალოთ“. გაჩუმდა წამით, დაჟინებით მიუგო: „მარტო დავრჩით, ჩადრი მოიხსენი“. სიტყვებს ღიმილი მოჰყვა.

იმ დღიდან აბი ყოველ დღე მასწავლებლებთან სწავლას მიჰყვა. ძალზე მოწადინებული იყო უცხო ენების, ბრძოლის ხელობის, ალ-ქიმიის, ავაზაკთა ხელობის...

სწავლას უპირატესობას აძლევდა. ეუფლებოდა ხელობას მთელი გულით. მატილდა მხოლოდ ერთ მასწავლებელთან დადიოდა აბისთან ერთად ეს ავაზაკი იყო... მატილდა არ ტოვებდა არც ერთ გაკვეთილს ავაზაკისა. გაკვეთილის დაწყებიდან, მის დამთავრებამდე სიცილისგან იგუდებოდა. აბი საღამოობით სულთანთან საუბარში ატარებდა დროს... სიბრძნეს, ადამიანებთან ქცევებს სწავლობდა. გოგონა გრძნობდა, სულთანს არ სურდა მასთან მისი ოჯახის დაღუპვაზე სიტყვის თქმაც... ერთ-ერთ ჩვეულებრივ საღამოს, სულთანის მთავარ დარბაზში საუბრით გატაცებულთ, სულთანმა უბრალოდ, თითქოს უმნიშვნელოდ მიუგო. „მარტო დარჩენა ფიქრებთან გაშინებს?!“ შეკითხვა არაბულ ენაზე დაისვა, აბი სწავლობდა უცხო ენებს, მაგრამ არაბულს მეტ ყურადღებას ანიჭებდა... პრინცესას სულთანის გახარება სურდა.. ძალზე გატეხილად წარმოსთქვამდა თითოეულ სიტყვას... ამავე დროს გასაგებად მსმენელისთვის. აბიმ არაბულ ენაზე გააგრძელა საუბარი. „არა! ერთი მაშინებს მხოლოდ, უაზრო სიკვდილი და ამავე დროს შემიძლია ვთქვა, რომ შიში მხოლოდ სირცხვილისგან მოდის, მრცხვენია, ასე წასვლა ამ ქვეყნიდან“. „შურისძიება“... თავისუფლად წარმოსთქვა სულთანმა. „აუცილებლად!“ ... აბი თითოეულ სიტყვაზე ჩაფიქრდებოდა, საჩვენებელ თითს აწვალებდა შუბლზე, დაფიქრებულად მაინც სცემდა სამაგალითო პასუხს... სულთანი სიცილს იკავებდა, არიდებდა პირდაპირ შეხედვას, წამოწოლილიყო ხალიჩაზე, მუთაქაზე თავი დაედო... ყურძნის მტევანს, კაკალ-კაკალ, აუჩქარებლივ მიირთმევდა... მთელი ყურადღება გოგონას ეკუთვნოდა. „შურისძიება საშიში გრძნობაა“. თავისუფალი დაუფიქრებელი აზრი მხოლოდ არაბულ ენაზე დამამტკიცებლად ჟღერდა. პატარა პრინცესა მწვერვალზე იდგა. „სიკვდილის გვირგვინია!“. „შურისძიებამ ბევრს დაუბნელა გონება. მოუთმენლობა, სიამაყე, უმოქმედობა აბრმავებს ტურას“. არ ცხრებოდა აბი. „ბნელია, მატყუარაა ეს ქვეყანა, რეალობას თვალებში უნდა შეხედო, ვერავის დაუღწევია მის ლაბირინთიდან უმტკივნეულოდ თავი“. არ შეეპუა სულთანი, თუმცა მშვიდი, თავისუფალი, უბრალოდ გოგოს პასუხი ძალზე ბრძნული აღმოჩნდა: „ლაბირინთი ყოველ ადამიანის ცხოვრების ნაწილია, რადგან რეალობა ზღაპარია“. სულთანი მთელი საუბრის მანძილზე ცდილობდა არ შეეხედა აბისთვის მაგრამ ამ დროს მზერა პრინცესას აჩუქა, თავი გადმოწია აბისკენ. „რა თქვი? გაიმეორე!“... ეს მზერა გოგონასათვის გვირგვინი იყო. აბიმ ყურადღება ღირსეულად მოიპოვა. პატარა გოგომ თასიდან ვაშლი

აიღო, პასუხი გასცა და ვაშლი ჩაკბიჩა ისე, თითქოს ყურადღებას სულთანს კი არა, ვაშლს მიაპყრო. მანაც მაშინვე აბისკენ გადაინაცვლა... „რეალობა-რეალური ზღაპარია“. გაიმეორა... აბი იჯდა ფეხებ მოკეცილი არაბულ სტილში და ჩვეულებრივ მიირთმევდა ვაშლს... სულთანმა მუთაქას თავი მოაშორა: „რა ზღაპარი, ვინ გასწავლა, საიდან მოიტანე?!“. აბი ვაშლს ათვალიერებდა თან ლუკმას ღეჭავდა: „რაინდებს მივუგდე ყური ჩავფიქრდი - მართალია!“. სულთანი წამოჯდა აბიმ ღიმილით გახედა. „რას ეძახი სიმართლეს?“. იკითხა სულთანმა. „რეალობაში ვართ, მართალია, ჰოდა ეს რეალობა რეალური ზღაპარია, რა არის აქ გაუგებარი?!“. სულთანი თვალებში ჩააცივდა პრინცესას. „რას ეძებ? გიჟს ჩემს თვალებში ვერ იპოვი, თუ მას ეძებ, რა თქმა უნდა“. სულთანმა თავი შეიკავა: „რას დაამატებ რეალურ ზღაპარს დასამტკიცებლად?!“. იკითხა. აბიმ დარჩენილი ვაშლი თასში დააბრუნა, ლუკმა გადაყლაპა, ხელები და ტუჩები ცხვირსახოცით გაიწმინდა, აუჩქარებლივ და მთელი სერიოზულობით მიუგო: „კარგი!!!“ პაუზა, მოკლე პაუზა. საუბარი გააბა: „ყველა ბავშვი უპირატესობას, ზღაპარს ანიჭებს, უსმენს მას, იყვარებს მთელი გულით დღე დღეს მიჰყვება... ბავშვი იზრდება, თვით მოქმედებაში შედის რეალობაში, სად რჩება ზღაპარი?! ბავშვობაში?! მართალია, მართალი, ბავშვი იზრდება, ტანადი ხდება, ზღაპარს არარეალურს არქმევს, ტყუილს, ბავშვების მოსატყუებლად გამოგონილს და ზუსტათ მაგ დროს, ის ის ხდება, ვინც სძულდა ზღაპარში... ბოროტი კაცი, ან ქალი... ის მთლიანად ზღაპრიდან მოსული ბოროტი ხორცის ნაჭერი ხდება... ტკივილს, სიკვდილს, უბედურებას სთესს, რადგან დაავიწყდა ბავშვობა... ზღაპარი, სიკეთე, სიყვარული, რომელიც სწამდა, სჯეროდა, უყვარდა პატარაობისას... ეხლა კი, გაიზარდა და იმათ მხარეს დადგა, ვინც სძულდა... ის არ გაზრდილა ის უბრალოდ გზაში მოკლეს... საწყალია... უბედური... საცოდავი და რაც მთავარია, საშიში, რადგან მკვდარი სიკვდილის მატარებელია, ვისაც ტკივილი ტკივილად ვერ ქმნის, ის ბავშვი რჩება და მას მარადიული რეალური ზღაპარი ელის, რათქმაუნდა, იმ რეალობის გარეშე, რასაც მკვდარი, ღორი ტურა, მგელი ძაღლი ადამიანის სახით შემოპარული, ზღაპარში ეძახის... მთავარი კი ერთია, ჩვენ ყველა ერთ რეალურ ზღაპარში ვართ და მე მჯერა, რომ ჩვენს ზღაპარში ალი სულთანი გაიმარჯვებს“... ბავშვის სიტყვებს ბავშვის სიცილი მოჰყვა... სულთანი აბის ისე ათვალიერებდა, თითქოს არ ენახა არასდროს ჩაფიქრებული, ბრძენი სახე ჰქონდა

სულთანს... აბიმ საუბარი გააგრძელა და ერთ-ერთი საყვარელი ზღაპრის სიუჟეტს უყვებოდა მეგობარს... სულთანს არ აწუხებდა აბის დამტვრეული, არაბული ენა, მას ესმოდა მიახლოებით, რაც წაუკითხავს... ბავშვობაში თითქმის ყოველდღე უსმენდა სულთანი ზღაპრებს... ზღაპრის დამთავრებისას ყოველთვის ერთს ეუბნებოდნენ. „ზღაპრებში სწავლაა ბრძნული და ყველა ვერ ძლევს მის გაგებას... ვაი, მას ვინც ბრმა დარჩება ზღაპრის მიმართ, არ დაგავიწყდეს ალი, ზღაპარი რეალობაა!“.. სულთანს დედის სიტყვები გაახსენდა, სახე დაუმშვიდდა, გაბრწყინდა, ბედნიერი, უმანკო ბავშვივით... აბისთან გააგრძელა საუბარი, როგორც თავის ტოლ ადამიანთან... ამავე დროს, როგორც ბავშვმა ბავშვთან. „ხომ არ გიჭირს არაბულზე საუბარი, გნებავს შენ მშობლიურ ენაზე გავაგრძელოთ“. „არაბულზე მირჩევნია უკეთ ვისწავლი!“. ღიმილით მიუგო გოგონამ. თან ყურძნის მტევანი მიაწოდა... „მადლობა შახ-ნამე!“. სულთანმა დააგემოვნა და ჰკითხა. „რაინდები მეტს რას საუბრობდნენ ზღაპარზე?!“. ძალზე დაინტერესდა ზღაპრის თემით, პრინცესამ შეატყო და თითქოს ბრძენი მოხუცივით მიუგო: „ჩვენ, ყველა, ბავშვები ვართ, მხოლოდ და მხოლოდ უტვინო მიყვება სხეულს - იზრდება... ბერდება, ჭკნება მოჭრილი ყვავილივით, მისი გონება ლპება, მკვდარი! კვდება!!!“. პაუზა შეუმჩნეველი... და აგრძელებს. „ალი, მარტო, თავთან რომ რჩები, ხომ პატარა ბიჭი ხდები, ეგრევე ბავშვი! ბავშვობიდან!!!“. პრინცესამ ამ სიტყვებით თავი ახლოს მიიტანა სულთანისკენ, თვალებში მძაფრად, ღიმილით ჩახედა თითით თვალისკენ გაიშვირა. „პატარა ბიჭი ხარ, გული არ გიჩუქნია ბოროტისთვის, ხომ ეგრეა, ჩემო პატარა ალი?!“. ალიმ მშვიდად მიიღო ბავშვის ნათქვამი და იმავე სიმშვიდით მიუგო: „რატომ არ ვისაუბრეთ აქამდე ამ თემაზე?!“ „მე, როგორც ყველაფრის მცოდნეს გიცნობ, დავიჯერო არავის უხსენების შენთვის ზღაპარზე?!“. სულთანი დადუმდა ჩაფიქრებული, თბილი მზერით შეჰყურებდა პრინცესას. „მშობლები მიყვებოდნენ იმას, რაც ეხლა შენ ისაუბრე, უბრალოდ რეალობამ დამავიწყა“. „რეალობამ არა!!! ტკივილი ნისლივით ეხვევა შენს გონებას, რეალურ ზღაპრიდან გამოჰყავხარ და მარტო რეალობაში უნდა ჩაგაგდოს... ლაბირინთში, ხაფანგში გითრევს რომ დაგტოვოს თავის მოციქულად... შენ არ მასწავლე?! შენს პატარა გულსო გველის სიბრძნე დაიცავსო და თუ გულს მარტო დატოვებო, გველის გარეშე, მოგიკლავენო იმ ლამაზ, მშვენიერ, საოცარ პაწაწინა გულსო... გველსო კი გასრესენო, ცალ-ცალკე ორივეს ნაგავში აზე-ლა-ვე-ნო“. აბიმ ეს

სიტყვა ნაწილ-ნაწილ წარმოსთქვა... სულთანს თვალს არ აშორებდა. „ეს შენ არ იყავი ალი?! კიდევ ის მითხარი, რომ ცალ-ცალკე დიდხანს ვერცერთი გაძლებსო და მარტო დარჩენილი თვით ბოროტის გვირგვინი ხდება“. გოგონა საუბარს აგრძელებდა სულთანი უსმენდა, თითქოს და მის წინ მისი მამა იჯდა და მისი ხმა ესმოდა... ბავშვობა თვალწინ დაუდგა: „საყვარელო შვილო ალი, რეალობა სავსეა გველის შხამით - ზღაპარი კი სავსეა გულუბრყვილო ბავშვურობით, ჰოდა შვილო გველის შხამი და შენი ბავშვის გული შენივე გულში, ორივე დამალე და არცერთი არ გაუშვა შენგან... რადგან ერთ-ერთი თუ მოგშორდა, სიკვდილს ვერ გადაურჩები!...“. სულთანი ჩაფიქრებული თითქოს ვერ ხედავდა მის წინ მდგომ პრინცესას. ბუნდოვნად ჩაესმა პრინცესას ძახილი. „ალი, ალი!“ თვალები დახუჭა, უმალვე გაახილა... მის წინ მიახლოებასაც კი ვერ შესძლებდა სილამაზე, ისეთი მშვენიერება იჯდა ალის თვალწინ, გადახოტრილი თმები ვერას აკლებდნენ მშვენიერებას... ბედის შესამოსელში გამოწყობილ პრინცესას... თვალებში გამოუთქმელი ზღვა, სევდა ჩასდგომოდა... სულთანი შეწუხდა: „რა ხდება პატარავ?!“ სევდა მატულობდა პრინცესას თვალებში. „შენგან მინდა გავიგო, როგორ დაიღუპნენ ჩემები, გთხოვ, ალი, არ დამალო, რაც იცი“. სულთანი თითქოს გაშრა, ციდან მიწაზე დაეცა... აბის სევდიანი თვალები უნგრევდა გულს. „კარგი!“. სიჩუმემ დაისადგურა... პრინცესა მოთმენით ელოდა სულთანს. ალიმ დაიწყო: „ტკივილი ასუსტებს, ბევრს არა... და ტკივილზე ჭკვიანი მასწავლებელი არ არსებობს ამ ქვეყნად“. შეყოვნდა... გააგრძელა.. უყვებოდა ყველაფერს, რამაც კი მოაღწია მის ყურამდე... ისიც უამბო, რომ ახალგაზრდა ბიჭი ჩამოახრჩეს... ზუსტად იმ ადგილზე, საიდანაც მოპარეს პრინცესას გარდაცვლილები, ცოფიან მეომრებს... ალიმ მოყოლა დაამთავრა... სამარისებური სიჩუმე... პრინცესას ჩაფიქრებული სახე გაფითრებული, თვალები სისხლით ამღვრეული, ცრემლები ახრჩობდა. გაშეშებული სხეული აუკანკალდა. დუმილი გრძელდებოდა... სულთანი არ აშორებდა მზერას. მისი გულიც ტიროდა ბავშვივით... კანკალმა აიტანა პატარა გოგო: „იმ ბიჭის სახელი მინდა გავიგო“... ალიმ მღელვარედ მოითხოვა: „დრო დასჭირდება, გავიგებთ!“. ამ კითხვამ გათიშა ზრდასრული მამაკაცი. „დედამ დანა სად დაარტყა?“ გაკვირვებისგან გულმა მკერდის გამონგრევა დააპირა... სულთანი მთელი ძალით იჭერდა თავს. მხოლოდ ერთს ფიქრობდა მალე დარსულებულიყო ეს. „ყელში, ბოლომდე შეურჭო დანა, შიგ დაუტოვა“... წუხილი, სიჩუმე, ცრემლები, პატარა თითების

კანკალი... სულთანმა ცხვირსახოცი მიაწოდა... რა მოემოქმედა, არ იცოდა, მის წინ პრინცესა იჯდა, ამავე დროს ბავშვი. „ცუდად ხარ აბი, ახლავე მოვალ“. სულთანი წამოდგომას ეცადა... აბიმ არ აცადა... ისე შემოეხვია. თავი მკერდზე დაადო... პატარა გოგოს მტირალა ხმა მოისმა. „მე ცუდად არ ვარ, ალი!“... სულთანმა ხმა ვერ ამოიღო... მისი აკანკალებული, დათვივით ხელი უახლოვდებოდა პრინცესას გადახოტრილ თავს... შეხება... დაწყნარდა... ალის თვალებიდან სიმწრის ცრემლებმა ვერ ითმინეს... პრინცესამ ისევ ჩაილაპარაკა: „მოსვენება მინდა ალი“... სულთანი უხმოდ წამოდგა, პატარა გოგო მკერდში ჩაიხუტა, და მისი საძინებლისკენ მიემართა... ერთს ფიქრობდა, როგორ აალაპარაკა პატარა გოგომ ზრდასრული, გამოცდილი, ნიჭიერი მამაკაცი... სულთანს პატარა, დაჭრილი არწივი ეჭირა ხელში, რომელიც წამითაც არ ივლებდა აზრად დაცემას. ალი მარტო დარჩა თავის ოთახში... დამძიმებული ისევ იმას ფიქრობდა, როგორ აალაპარაკა მოულოდნელად პატარა გოგომ... მთვარიან ღამეში მეტად ლამაზი იყო საოცრების ბაღი... სულთანი სადღაც, სხვაგან იმყოფებოდა, უფრო კარგ და ლამაზ ადგილას... ვარსკვლავებით მოჭედილი ცა თითქოს უნათებდა მთვარეს სილამაზეს. ამ ყველაფრის შემყურე სულთანმა მშვიდად ჩაილაპარალა: „ზღაპარი! რეალობაა!“ დუმილი, სიმშვიდე ჩამოვარდა გარშემო ისევ გააგრძელა: „პრინცესა საფრთხეშია!“. მისმა ნათქვამმა „რეალური ზღაპარი“ რეალობად აქცია.

აბი განაგრძობდა სწავლას... სულთანთან შეხვედრებს მოუკლო თითქოს დასერიოზულდა დადინჯდა... მატილდას და ნასიმას სახით ყველაზე ახლო მეგობრები ჰყავდა.... მეომარ აბისთან მათ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ... სულთანი განაგრძობდა, აბი თავს არიდებდა მასთან საუბარს... ეს მორიდება საიდან მოდიოდა იმასაც ათვითცნობიერებდა... პრინცესას სირცხვილი ამოძრავებდა... სირცხვილი უძლურების გამო.. აბი შურს ვერ იძიებდა... ის პატარა იყო... ცდილობდა არავის ეგრძნო მისი გულისტკივილი... სულთანიც არ აწუხებდა პატარა პრინცესას... ერთ დღეს იხმო თავისთან... აბის გაუკვირდა იმ დროს ის და მატილდა ავაზაკების გაკვეთილს გადიოდნენ, მათთან ნასიმა მივიდა, როგორც ყოველთვის, მატილდა სიცილით იგუდებოდა... „სულთანს უნდა სასწრაფოდ შენი ნახვა“. აბიმ გაკვირვებით შეხედა.: „რა ხდება?“ „არ ვიცი განრისხებულია, აქ მომგვარეთო სასწრაფოდ“. მატილდამ აბის შეხედა. ავაზაკი მიუახლოვდა ნასიმას. „რაღაც დააშავე ხომ?!“. აბი ჩაფიქრდა. ავაზაკმა ნასიმას

მიუგო: „რა ხდება ნასიმა?“. „ხომ ვთქვი, არ ვიცი - მეთქი, გაბრაზებულია ძალზე“. აბიმ ჩაფიქრებულად მიუგო მასწავლებელს, თან მატილდას ხელი მოჰკიდა: „მგონი ვიცი, რაშიცაა საქმე მასწავლებელო! გავყვები ნასიმას, სულთანისგან რომ გამოვალ, ისევ თქვენ გეახლებით“... აბიმ მატილდას ახედა: „გამომყევი“. სამი მანდილოსანი სასახლისკენ დაიძრნენ. : „რა მოხდა არ მეტყვი?!“ აბი ჩაფიქრებული მიაბიჯებდა. პასუხი ისე გასცა, არ მიუხედავს... : „მაცადე, ვფიქრობ, ტვინი არ ამირიო გაჩუმდი!“.. მატილდამ ნასიმას გახედა.: „ხედავ? ეს ფიქრობს“. „კარგი, გაჩუმდი, მართლაც გაბრაზებულია სულთანი, მე არ ვიცი, რა დააშავა თვითონ ხომ იცის, ჰოდა აცადე, იფიქროს, რა პასუხი გასცეს“... „შენც ვერა ხარ, შეხედე ამას, რა დროს ამის ფიქრია, გასულელდი?!“. აბი გაჩერდა, ორივეს გადახედა: „თქვენი თავი ეხლა არ მაქვს, აქ დარჩით, მარტო წავალ“. პასუხს არ დაელოდა. სასახლისკენ გასწია. ნასიმამ და მატილდამ საუბარი გააგრძელეს, ისე, რომ არც გაუხედავთ აბისკენ. „რა გინდა, გაანებე ბავშვს, ვერ ხედავ ნერვიულობს“. „რა გავანებო რა ვთქვი ცუდი?“. „ეგრე ნუ მიყურებ, გამწარებულია“. მიუგო ნასიმამ. მატილდა ცოფიანივით შეჰყურებდა... „შენ რა, მაშინებ?!“ ნასიმამ მშვიდად გასცა პასუხი. „გაჩერდი, ეგრე ნუ მიღრენ, აბი შენზე კარგად ფიქრობს“. „შეურაცხყოფაზე გადახვედი ხომ?!“. მატილდამ უკან დაიხია, ხელები გაშალა. „მიდი აბა, მანახე რა იცი, გაბედე, ხელი დამაკარე, ვიცი, ვიცი ნასწავლი რომ ხარ, მე შენი არ მეშინია“... ნასიმა გაჩუმდა თვალს არ აშორებდა მატილდას... მატილდამ ვერ მოითმინა დუმილი... მიუახლოვდა და თითქმის ყვირილით მიუგო: „რა დროს მაგის ფიქრია, თქვენ, ყველა აქ გაგიჟდით, ის ბავშვია, გამწარებული, დაბნეული, მე ის მიყვარს, მიყვარს... გესმით თქვენ ეს, არავინ მყავს, მის გარდა, არავინ“. მატილდას ცრემლები მოადგა თვალებზე... მათ ხმამაღალ საუბარზე ავაზაკი უახლოვდებოდა... ნასიმამ სევდით შეხედა. „მატილდა მეც მიყვარს აბი - ბააგრა, მეც!“. ამ დროს აბი სულთანის დარბაზში შევიდა... სულთანი ჩვეულად წამოწოლილიყო, გვერდზე ჩილიმი ედგა... მილიდან კვამლი გამოდიოდა... არც შეხედა აბის, ბრაზით მიუგო: „დაჯექი!!!“ აბი ჩამოჯდა, არაბულ სტილში... სულთანს ღიმილით შეხედა, ალი წამოჯდა და ისევ ბრაზით მიუგო: „სასაცილოს რას ხედავ?!“ „დიდხანს ემზადებოდი გაბრაზებულის თამაშისთვის?!“ აბი იცინოდა, სულთანს ბრაზი სახიდან მოშორდა და შეწუხებულმა მუდარით მიუგო: „რატომ იქცევი ეგრე, რატომ ამიხსენი?!“ აბიმ სიცილი შეიკავა. „რაც არ მინდა, ის არ მინდა!“. „მომისმინე, რა არ გინდა, ფსიქოლოგია,

ისტორია?!“. „არ მინდა, არ მინდა, არ მაინტერესებს და მოვრჩეთ ამაზე!“. სულთანმა ხელი ასწია გაშლილი მტევანი დაანახა. „დაიცა, დაიცა“. ჩაფიქრდა და საუბარი გააგრძელა: „ფსიქოლოგია არ გინდა, ხომ ეგრეა?" "ეგრეა, ეგრე!!!“. „მომისმინე! შენ შურისძიება გამოძრავებს ამიტომაც ბრმავდები“. აბიმ არ აცადა დამთავრება. „არაფერი მაბრმავებს, რაც მჭირდება, იმას კარგად ვსწავლობ“. სულთანმა ისევ ხელი აუწია: „მაცადე თქმა“. აბიმ ხელები გაშალა: „არ მაინტერესებს, ალი, არ მაინტერესებს, რა არის აქ გაუგებარი და გასაბრაზებელი“... სულთანი შეწუხდა და ბრაზით მიუგო. „მაცდი საუბარს, თუ არა“. აბიმ იგრძნო, ეს უკვე თამაში არ იყო, სულთანი გაბრაზდა, აბი გაჩუმდა. „შენ ხოცვა გინდა მტრების ხმლის ქნევა, ისრის სროლა და ასე შემდეგ ბევრს შეუძლია და ძალზე ოსტატურად, მაგრამ მათ თავი ცარიელი აქვთ. შენც გინდა, რომ ცარიელი გახდეს შენი თავი, რადგან მარტო შურისძიებაზე ფიქრი კლავს გრძნობებს... ფსიქოლოგია ამისთვის გჭირდება, რომ პირველ რიგში შენი თავი აკონტროლო და შემდგომ გამოთვალო სხვისი გონებრივი სვლები... ფსიქოლოგია ძალზე მნიშვნელოვანი საგანია, ადამიანისთვის, შენ თუ მხეცი გინდა გახდე შენი მტრებისნაირი თქვი, ეგრევე გასწავლიან როგორ გახდე ცოფიანი ძაღლი“... აბი შეწუხდა: „კარგი, დამშვიდდი, ვისწავლი მაგ ფსიქოლოგიას“... სულთანმა ამოისუნთქა: „იცი რა მითხრა ფსიქოლოგმა?! კიდევ კარგ დღეშიაო ეს ბავშვი... არავის არაფერი უამბნია შენზე, ის უბრალოდ გაკვირდებოდა და გამოგიცნო გესმის, გამოგიცნო, ეხლა შენ მითხარი, არ გინდა იმდენი იცოდე, რომ შენს გვერდზე მყოფს უბრალოდ უსმინო და მისი საუბრით მთელი მისი გონება შენი ხელის გულზე აღმოჩნდეს, მითხარი არ გინდა?!“ აბი წუხდა: „კარგი, დამშვიდდი, ვისწავლი მეთქი, ვისწავლი, მეტი რა გითხრა, შევწუხდი, ვერ ხედავ?“... სულთანმა ისევ ამოისუნთქა: „ისტორიასაც ისწავლი, მეტ-ნაკლებ ყველა ქვეყნის“... „ისტორია რაღად მინდა, ვერ გავიგე“... „სხვა ქვეყანაში რომ მოხვდები და მათი წარსული გეცოდინება, ისიც გეცოდინება ვისთან გაქვს საქმე და რააქვს მაგ ერს გადატანილი გაიგე?“. „გავიგე“. „აბი, მომისმინე, შენ იზრდები, მე ვიცი, ვერავინ გაგაჩერებს, ჰოდა, მინდა ყველაფერი იცოდე და ნიჭიერი მკვლელი გახდე... მე არ მსიამოვნებს, შახ-ნამეს ამას რომ ვეუბნები, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიტყვი, შენ ვერავინ გაგაჩერებს, თვით სიკვდილიც“... „კარგი, პირობას გაძლევ, აბუჩად არ ავაგდებ სწავლას, შენს თავს ვფიცავარ“... ბოლო სიტყვებმა ტანში გაუარა სულთანს: „ნახავ, ფსიქოლოგია ყველაზე

მაგრად დაგაინტერესებს, დამიჯერე“... აბი გადაეხვია სულთანს: „არ ინერვიულო ალი, კარგი“. სულთანმა მხრებზე ხელები მოუჭირა მას, წინ გასწია პატარა პრინცესა... თვალებში სევდით ჩახედა: „მეშინია, მეშინია, ცხოვრების გზაზე არ შეცდე, ვერ გადავიტან ამას, ვერა“... სითბო, რომელსაც გრძნობდა პრინცესა, მხოლოდ მშობლებისაგან ახსოვდა... აბიმ იგრძნო დანაშაული: „ვიცი, დავაშავე“... სულთანმა თითი მიადო ტუჩებზე: „ამის მეტი არც უნდა გააგრძელოს შახ-ნამემ, ესეც დიდი პატივია მისგან დაიმახსოვრე ეს“. აბი თვალებში უყურებდა სულთანს და თითის მოშორება ვერ მოასწრო, რომ გოგონამ თითზე აკოცა... სულთანმა ხელი ჩქარა გამოსწია და მთელი სერიოზულობით მიუგო: „ეს მეტი არ ქნა, შენ შახ-ნამე ხარ, არ დაგავიწყდეს“. აბიმ ღიმილით მიუგო: „შენ კი სულთანი, ჩემთვის სიცოცხლე ხარ ჩემი და თუ შენ ვერ იტან ჩემ შეცდომებს, შენი შეცდომაც ჭკუაზე გადამიყვანს, მეც ვერ ავიტან იცოდე“. სულთანმა გაუღიმა: „შეეცდები არ შევცდე ცხოვრების გზაზე“. „შეეცდები კი არა, არ უნდა შეცდე, გათვალე ნაბიჯები წინასწარ“. სულთანს გაეცინა. „კითხულობ წიგნებს არა?“. „ჰო, ვკითხულობ“. „ეხლა რას კითხულობ?“. „ფილოსოფიას“... „რა დროს შენი ფილოსოფიაა, ეგ ვინ დაგავალა“. „არავინ, მე თვითონ მომეწონა, უბრალოდ ესაა და ეს“. „და, ნახავ, ფსიქოლოგიაც გაგიტაცებს, - ჰო, რა მინდა შეგეკითხო, იმ ავაზაკთან რომ დადიხართ მატილდას სიცილი აქამდე მოდის, რა ხდება?“ „მატილდა იძახის, რომ ეგეთი გიჟი ავაზაკი არ შეხვედრია ცხოვრებაში“. „რას აკეთებს ასეთს?“. „გაკვეთილზე რომ მივა, პირველ რიგში მეკითხება: მთავარი წესი ავაზაკისო, ჰოდა მე პასუხს ვცემ „დროულად ათესვა!“ ამაზე იკეცება მატილდა... ყულაბების კარების გახსნას რომ მასწავლის, მაშინ კი სიცილისგან ძირს ეცემა ისე ხსნის, მთელი გულით, გეგონება რაღაც კარგს გასწავლისო, ეს აცინებს“. „კიდევ რას გასწავლის?“. „ჯიბგირობას, ცხენის ქურდობას, სასახლეებში შეძრომას, გამოსვლას“. „ჯიბგირობა ეს ჯიბის ქურდობა არაა?!“ „ჰო“. „ათესვა კი, გაქცევა, ხომ ეგრეა?!“. „ეგრეა“. „ხომ ხედავ, მეც ვიცი რაღაც“. ღიმილით მიუგო სულთანმა.... აბის ეცინებოდა. „სახელი შეეკითხე?“. „არა!“. „არ გაინტერესებს?“. „რატომ?“. „შენგან ელოდება შენი სახელის გაგებას, მაგასაც აინტერესებს, ვინ ხარ იცის, დიდიხანია მიხვდებოდა, რომ აბი არ ხარ, გაიმარჯვოს უნდა, პირველი შენ უნდა გათქმევინოს“... აბის გაეცინა... „მაგას ვანახებ გამარჯვებას, მამაჩემი გაუქურდია, მომიყვა, თან იცინოდა, მართალია, ბევრი რამ ვერ წაიღო, დაედევნენ, მაგრამ მაინც გაქურდა, მე ჯერ არ ვიყავი ამ ქვეყანაზე

მოვლენილი“... „მოგიყვა მართლა?“. სულთანი იცინოდა: „ვინ არ გაუქურდავს“... „იცი, ალი, რას მეუბნება? სასახლეში სამალავი სად გაქვთ, მითხარიო, მაინც მტრების ხელშია და პირობას გაძლევ ნახევარს გაგიყოფო“. „შენ რას ეუბნები?“. „მე ვუთხარი, ერთად გავქურდოთ მეთქი, არა და არ გეტყვი, სად არის ოქროები, ძვირფასი ქვები, ვაგიჟებ, ის კი მეკითხება, „ბევრიაო?“ მე ვებუნები, გორაკებად სავსეა ძვირფასეულობით სამალავი, გიჟდება“ „ის მართლაც გაქურდავს იქაურობას“. სულთანი გაჩუმდა, ჩაფიქრებით შეხედა აბის: „რა?... გაიმეორე რა თქვი“... „რაზე მეუბნები?“. „სად გინდა რომ წაგიყვანოს?“ „გასაქურდად, ჩემს ქალაქში რა, ჩემი ვერ მომიპარავს?!“. „შენ რაღაც ავაზაკივით საუბრობ, სად უნდა წაგიყვანოს, თუ გინდა რომ მოვკლა წადით მიდი მაგას ჭკუა არ დაუშლის და არც შენ“. „კარგი გაჩერდი, რას მოკლავ, ვიცი დიდ პატივს სცემ“... „შენთვის ყველას ამოვხოცავ“. სულთანმა მუშტები შეკრა და ძალა დაანახა პრინცესას. „დამშვიდდი, შენც წაგიყვანთ საქმეზე, მარტო არ დაგტოვებთ“. „რა საქმეზე?!“ „საქურდლად, რა მოხდა არ მოგიპარავს არასდროს?“. „მე ქურდი არ ვარ, რას მაკადრებ, ავაზაკივით ნუ მელაპარაკები, ქუჩაში არ ვართ, რეებს გიშვება, როგორ საუბრობ“... „როცა მაგათ წრეში მოვხვდები, როგორ ვისაუბრო ჰო და მასწავლის ავაზაკების ენას“... „ეს გაკლდა ეხლა“.. „სჯობს ვიცოდე და არ დამჭირდეს, ვიდრე დამჭირდეს და არ ვიცოდე, ხომ ეგრეა სულთანო?!“ ღიმილით აახამხამა თვალები. სულთანი დადუმდა და დამამტკიცებლად, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: „მართალიხარ, აბი, მართალი!!!“. აბი შემოეხვია სულთანს: „მიყვარხარ, ალი, მიყვარხარ“... პრინცესას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ის ხედავდა სულთანში კლდეს, დაუნგრეველ კლდეს, რომელიც მკერდით იცავდა პატარა პრინცესას... სულთანი ზურგზე მოეფერა და სევდით მიუგო: „მეც მიყვარხარ პატარავ და ყველას შევიყვარებ, ვინც კი გიყვარს ან შეგიყვარდება“... აბიმ თვალებში შეხედა სულთანს და თითის ჩვენებით, ბავშვური ღიმილით მიუგო. „იცოდე ჩემზე მეტად არავინ შეიყვარო, გაფრთხილებ“. სულთანს ეცინებოდა, აბი ხარობდა.

ნასიმა, მატილდა, ავაზაკი ერთად საოცრების ბაღში იმყოფებოდნენ და სასახლიდან ჩამოსასვლელ კიბეებს მოუთმენლად თვალს არ აშორებდნენ აბის ელოდებოდნენ. „სულთანი გაბრაზებულია აბიზე, თქვენ კი აქ ჩხუბს აპირებდით რომ არ მოვსულიყავი დაჭამდით ერთმანეთს". წარმოსთქვა ავაზაკმა. „ბავშვია აბი, ეს კი, როგორც ზრდასრულ ადამიანს, უყურებს, რა უნდა ველაპარაკო, ამათი ადათ წესი მინდა, გადარეულის სახეს

მთელი ცხოვრება ტომრით იმალავს, რომ არავინ მოკლას და ამას ცხოვრებას ეძახის“... უპასუხა მატილდამ. „გაჩუმდი, თორემ გაგაჩუმებ ეხლა შენს ჯიშს და ჯილაგს მიხედე, ნახევრად ტიტვლები რომ დაეხეტებით ამ ქვეყანაზე და ამას თავისუფლებას უწოდებთ“. მიახალა ნასიმამ. მატილდა გაბრაზდა, ავაზაკს შეხედა: „შეშინებას თავს დაანებებს, თუ არა, შეხედე, თვით მშიშარაა“. ნასიმამ მატილდას ხელი ჩაიგდო ხელში და ძალზე მოუჭირა. „ენა გააჩუმე ბოლოჯერ გაფრთხილებ“... მატილდამ მეორე ხელით ყელში წვდა და ყვირილით მიუგო: „მოგკლავ, მონავ, მოგკლავ“. ავაზაკმა მოასწრო ნასიმას გაჩერება, დააშორა ისინი ერთმანეთს და მთელი სიმკაცრით მიუგო: „დაგავიწყდა თქვენი ადათ-წესი, მატილდა სტუმარია, სტუმარი“. ნასიმამ ბრაზით მიუგო თან მატილდას თვალებს უბრიალებდა: „უთხარი ენა ჩაიგდოს“. „ხელი დამილურჯდა, შეხედე, რა მიქნა“. ავაზაკი მიუახლოვდა მატილდას, ხელი შეუმოწმა: „რა მშვენიერი, ლამაზი, ნაზი, თბილი და ტკბილი ხელი გაქვთ ქალბატონო მატილდა!“ ქალმა ხელი გააშვებინა ავაზაკს: „ხუმრობის ხასიათზე არ ვარ“. ხელს ეფერებოდა და თავისთვის იძახდა. „რა მიქნა ამ მონამ“. ავაზაკი მიუახლოვდა მატილდას, მოპირდაპირედ დადგა: „მე არ ვხუმრობ ქალბატონო! თქვენი თვალები მწვანე მინდორივითაა გული გამიპო და თქვენ ხელს რომ შევეხე, გული დავკარგე, თქვენ მე ის მომპარეთ და გთხოვთ, უკან დამიბრუნოთ“. მატილდამ ახედა ავაზაკს... ნასიმა გამწარებული შეჰყუროდა მატილდას... ავაზაკი მთელი სერიოზულობით ესაუბრებოდა ლამაზ ქალბატონს... ქალს ჩადრი მოხსნილი ჰქონდა... ავაზაკის სიტყვებმა იმოქმედა მასზე: „რაარის, ფერი არ გადევს“. „გული დამიბრუნე!“ მკაცრად მიუგო ავაზაკმა. მატილდას გაეცინა: „შენ ქურდო! რომ იპარავ, უბრუნებ უკან მოპარულს?! მომინდომა აქ გული!“. ავაზაკი გაბრაზდა: „ვიცი, გული მომპარე, არ შეგარჩენ იცოდე! შენს გულს მოვიპარავ და დავჭმუჭნი“... კაცმა ხელებით აჩვენა, როგორ დაუჭმუჭნიდა მატილდას გულს.,.. ქალი მიხვდა ავაზაკი თამაშობდა, რომ გამოეყვანა ჩხუბის მდგომარეობიდან ორი მანდილოსანი. „გგონია თამაშობ?! ღრმად შეტოპე ავაზაკო! გამოხვალ?!“... ავაზაკს გაეცინა: „სადაც შევსულვარ, თუ ვერ გამოვსულვარ გავქცეულვარ და არცერთხელ არ დავუჭერივარ არავის“... მატილდამ ნასიმას გახედა, ნასიმა მოწყენილი იდგა მიუახლოვდა მას: „მაპატიე ზედმეტი მომივიდა“. ნასიმამ მისი გალურჯებული ხელი ხელში აიღო მოეფერა: „არავისთან არ ვყოფილვარ ისე ახლოს, როგორც შენთან და აბისთან, გთხოვ პატივით მომეპყარი“...

„გახედეთ აბი მორბის!“ დაიყვირა ავაზაკმა. აბი კიბეებზე ჩამორბოდა. გახარებული მიუახლოვდა მეგობრებს სულმოუთქმელად წარმოსთქვა „ცუდადაა საქმე!“ ნასიმა დადუმდა... ავაზაკი თქმას ელოდა. „რა მოხდა თქვი, გახარებული კი ხარ, რა არის ცუდად?“... „სულთანმა თქვა, შენ და ვინც შენ გიყვარს ვინმე რომ შეგეხოთ, მოვკლავო!“. ნასიმამ ამოისუნთქა, „ესაა ცუდად საქმე?“... „ჰო, მათ, ვინც ჩვენ გვაწყენინებს ცუდად აქვთ საქმე... ეგრე არაა მწვანე თვალებავ?!“. აბი იღიმებოდა და სამივეს შეჰყურებდა...ავაზაკს მიუგო: „რა ხდება, ნასიმა სევდიანი მეჩვენება“. „დაჭამეს ერთმანეთი, სანამ არ იყავი აქ“... აბი ნასიმას შემოეხვია, ცალი ხელი მატილდას გაუწოდა, თავისკენ მოქაჩა და მიუგო: „ორივე მიყვარხართ, მე კი, თუ გინდათ შუაზე გამჭერით და გამყავით ერთმანეთში... თქვენც დაწყნარდებით და მეც, ვიცი, ვერ გაგიყვიათ ჩემი თავი, დიდიხანია გატყობთ ამას, გულს ნუ მატკენთ პატარას“... ნასიმას გული აუჩუყდა აბი შუაში ჩადგა, ხელები მოჰკიდა ორივეს... ავაზაკს შეხედა და ღიმილით მიუგო: „გაკვეთილი გავაგრძელოთ, პატივცემულო მასწავლებელო: დღეს ხომ ყაჩაღთა გაკვეთილი გვაქვს“... „დიახ! უჭკვიანესო მოსწავლევ! გავაგრძელოთ გაკვეთილი“. მატილდამ ისევ ვერ მოითმინა ავაზაკის შემყურემ და სიცილი აუტყდა, სულთანი აივანზე იდგა თვალს ადევნებდა მათ, სანამ არ გაუჩინარდნენ საოცრების ბაღში, ალი აბიზე ფიქრობდა უკვირდა, ასე პატარა დროის მანძილზე როგორ შეისწავლა ამდენი... თან ბრძნული და ამავე დროს თითქოს უმნიშვნელო, არაამქვეყნიური აბი აგრძელებდა ყველა მასწავლებელთან სიარულს და არავის იგდებდა აბუჩად. მისი სწავლა აღემატებოდა მასწავლებლების მოლოდინს. გოგონა ერთს ფიქობდა: „მასწავლიან, ხომ არ მართმევენ ცოდნას“. ეს აძლევდა ძალას პატარა პრინცესას... ამით სიზარმაცე და უინტერესობა შორდებოდა... ეს ორი დამანგრეველი გრძნობა პატარა პრინცესასთვის დიდიხანია მოკვდა... ოცნება ერთი იყო, მალე გაზრდილიყო... შურისძიება მასთან იყო ყოველ წამს, ერთიც არ უფიქრია, ხელი ჩაექნია მტრებზე... ხშირად თითქმის ცოცხლად წარმოიდგენდა, როგორ არჭობდა დანას ყელში ნოზას და ჟორდანს... წარმოსახვაში წყნარდებოდა პრინცესასთვის სიკვდილი აღარ არსებობდა... ის თითქოს ღირსებაში შემოსილიყო... ამავე დროს ღირსება იზრდებოდა.. მატილდა რატომღაც წასვლას ფიქრობდა ქალაქიდან... ამ ფიქრს არ ამხელდა... აბის ეკრძალებოდა სასახლის ტერიტორიიდან გასვლა, მაგრამ ის მალულად იპარებოდა ქალაქში და ყველა ქუჩას

ზეპირად ცნობდა... იცოდა, როგორ შეიძლებოდა ქალაქიდან გაპარვა შემოპარვა, რათქმაუნდა, სხვა და სხვა გზებით... აბი ქალაქში თავის ტოლ ბიჭებს დაუმეგობრდა და ხშირად იპარებოდა სასახლიდან მათთან სათამაშოდ... სულთანს კი არა, ნასიმას და მატილდას ეჭვიც არ შეჰპარვიათ აბიზე, არავინ იცოდა მისი ქალაქში დროს ტარება... უხშირა გაპარვას.. ამას სისტემატიურად აკეთებდა... გოგონა ზღვარს გადადიოდა.

ამ დროისთვის ფრენკი, რომელიც გამოქვაბულ კლდეში ციხეს აშენებდა, რამოდენიმე პატიმარს დაუახლოვდა... ისინი ყველა ქალაქ ლოგოსიდან იყვნენ... დაპატიმრებულნი იყვნენ დამოურჩილობის გამო, დრეგან-გლეხი თევზების ჭერით არჩენდა ოჯახს... ოჯახის წევრები გაქცეულნი იყვნენ ნარი ბალანჩისთან ერთად... მაღალი, ჩაფსკვნილი მგვალი სახით, თმა გადოხოტრილი, მისი წლოვანება ოცდაათს აღემატებოდა... მთელი ცხოვრება პატიოსნებას ანიჭებდა უპირატესობას. რეჯი-ოცდა რვა წლის მდიდარი ვაჭრის ოჯახიდან იყო... ოჯახის წევრები ჩახოცეს ცოფიან ძაღლებმა, სუსტი ჯამრთელი სიმპატიური გარეგნობის... მიდრეკილი მკვლელობისკენ მოუთმენარი, სმიტი - თავადური გვარის წარმომადგენელი ოჯახის წევრები გაქცეულები ნარი ბალანჩისთან ერთად. ოცდა ათ წელს მიახლოებული, ჩაფსკვნილი ჯამრთელი, მაღალი, სიმპატიური, გრძელი თმებით... მიდრეკილება ღვინო, ქალები, ჩხუბი, ბაკი და ძმა ფაკი - აკრობატები, რითიც ირჩენდნენ თავს, გადმოსახლებულები სხვა ქვეყნიდან, მშობლები სიკვდილით დასაჯეს, მეფესთან უთანხმოების გამო... ბაკი, უფროსი ძმა, ოცდაცხრა წლის, დაბალი, ძალზე მოხერხებული, ხუჭუჭა თმებით, გამოხედვა სასტიკი, ძმას უვლის შვილივით, მიდრეკილება - შურის ძიება... ფაკი - ოცი წლის საშუალო სიმაღლის, ძალზე ლამაზი, გრძელი სწორე თმით, გამოხედვა გულ უბრყვილო, შეყვარებული სიცოცხლეზე, მიდრეკილება შურის ძიება, ჩაკ - ლიტერატურის მასწავლებელი, პატიოსნებით აღსავსე, წლოვანება ორმოცს აღემატება, საშუალო სიმაღლის, საშუალო ტანის, მელოტი, მშობლები სიბერისგან გარდაცვალებულნი... გაქცეული წმინდა მიწაზე... მიდრეკილება - არ იცის რა ქნას... ლეს - წლოვანება არ ახსოვს, ახალგაზრდა, ჯიბის ქურდი, მაღალი სუსტი სხარტი, ჩქარი, მოკლე შავი თმებით, გამოხედვა უმანკო, სიმპატიური, ბავშვობაში მოპარული მშობლებისგან და წლეების შემდგომ გაქცეული მონობიდან, არ ახსოვს თავისი ქვეყანა, მშობლებს ბუნდოვნად იხსენებს... მიდრეკილები ქურდობა... თავის თავს თვლის უდიდეს

ავაზაკად განუმეორებელ გიმელად. კლდის გამოქვაბულში უზარმაზარ კარებს აყენებდნენ... კარები ხის მორებისგან იყო აწყობილი, რკინის ჯაჭვებით დამაგრებული... ექიმი ფორესტი თვალს ადევნებდა მშენებლობას... ფრენკი, როგორც ყოველთვის, აქტიურობდა, მხოლოდ მისი ყვირილის ხმა ისმოდა, მისი ავადმყოფური მოქმედება ყველას ყურადღებას იქცევდა... ყველა მას დასცინოდა... კარები ჩასვეს... მუშაობა მორჩა... ღამდებოდა ექიმი ფორესტი კარებს ამოწმებინებდა ცოფიან მეომრებს... ფრენკი იქვე ტრიალებდა... კარებს შეჰყურებდა და ხმამაღლა ყვიროდა: „ჩემი ლამაზი კარი ულამაზესი, მე გავაკეთე, მე“... სულელივით ხტუნავდა და ყვირილით აგრძელებდა... ექიმი ფორესტი კმაყოფილი იყო მუშაობით და ფრენკის შეზძახა: „შენ მოდი აქ!“. ფრენკიმ გამოხედა ფორესტს სულელური ღიმილით, ხელი მკერდზე დაიდო: „მე ბიძია ექიმო?“. ფორესტმა ხელი დაუქნია. „ჰო, შენ, მოდი აქ!“. ფრენკიმ თავი მხრისკენ გადახარა, მზერა ფორესტს მიაპყრო და მონასავით მოდრეკით მიუახლოვდა: „ძია ექიმო! უნდა მცემო, გთხოვ, არ მცემო, მე კარგად ვმუშაობ“. „გაჩუმდი!“. ფრენკი იდგა ექიმის წინ, იგივე მდგომარეობაში და თითზე იკბინა. ექიმმა უყვირა „მე რომ ვუბრძანე, ორმაგი გაჭამონ, გაძლევენ?“ ფრენკმა გაიღიმა: „კი, კი ბიძია!“. გაისმა დებილის ხმა. „რამე, ხომ არ გინდა კიდევ, მითხარი“. ფრენკიმ თავი ჩაღუნა, ჩაფიქრდა... თავს ხან გვერდით გაწევდა, ხან უკან... მისი პირღია მდგომარეობა ეჭვს არ აჩენდა, ექიმის წინ პათოლოგი ავადმყოფი იდგა... ფორესტმა ვერ მოითმინა: „თქვი, გინდა რამე!“ ფრენკიმ თვალები გაუსწორა, ტუჩებს ათამაშებდა და სულელივით მიუგო. „ბიძია მკვდრებს ვწვავდით, ეხლა კი, კარები აგერ ნახეთ“... ფრენკიმ კარებისკენ ხელი გაიშვირა... „მერე თქვი რა კარები!“ ისევ იყვირა ექიმმა. „სუნისგან დავიხრჩობით, კვამლი, ბიძია, კვამლი... მიშველე, მიშველე ბიძია ექიმო. გთხოვ, თორემ ვინ იმუშავებს... მე ვარ აქ უფროსი მე!“.. ფორესტი ჩაფიქრდა... ერთ-ერთ მეომარს შეზძახა, ფრენკის დააკვირდა... ის ისევ იდგა სულელივით, მოწყენილი, შეშინებული... ცოფიანი მიუახლოვდა ფორესტს... მეომარი ფრენკის შეჰყურებდა სიცილით. „გამომხედე აქეთ“. მიმართა ექიმმა. მეომარმა სიცილი შეწყვიტა და ყურადღება ფორესტს მიაპყრო... „მკვდრები არიან?“. იკითხა ფორესტმა... „ხუთი მუშა მოკვდა გუშინ და შიგნით ყრია ყველა“. იყო პასუხი. ფორესტმა ფრენკის გამოხედა ის ისევე დებილივით იდგა... ძალ-ღონით სავსე სულელი... ფორესტმა თითი გაიშვირა ფრენკისკენ და ცოფიანს მიუგო: „ამას დაავალეთ, ხვალ მკვდრები მდინარეში

გადაყაროს“. ცოფიანმა გაკვირვებით მიუგო: „ვწვავთ ჩვენ, თან ხუთი გვამია ბატონო!“... ფორესტი გაბრაზდა: „კარები დაყენდა, რა დროს დაწვაა ამას ეტყვი, ხალხს აარჩევს და გადააყრევინეთ მდინარეში მკვდრები, გასაგებია?!“. „დიახ, ბატონო! ეს ჩვენი მშენებლობის უფროსია, როგორ ვაკადროთ მკვდრების თრევა“... სიცილით მიუგო ცოფიანმა.. ფორესტმაც გაიღიმა: „ჰოდა უხელმძვანელოს უფროსმა მაშინ“... მეომარმა სიცილს მოუმატა. ფორესტმა ხელი აიქნია, ფრენკის წასვლა უბრძანა... მეომარიც შეტრიალდა წასასვლელად. „ვინ გაგიშვა შენ?!“. იკითხა ექიმმა. მეომარი შემოტრიალდა უკმაყოფილოდ და თავისთვის გაიფიქრა: „ეს ექიმიც მე მეუფროსება ეს გიჟი!“. „გისმენთ ბატონო! რა გნებავთ?!“ ფორესმა ჩაფიქრებულად, ეჭვით შეხედა მეომარს მძაფრად, მის თვალებს აკვირდებოდა: „მომისმინე! ეს პატიმარი ასე სულელივით იქცევა ყოველთვის, თუ შეგიტყვია რამე საეჭვო მასში?!“ ცოფიანმა ღიმილით მიუგო. „ეს რაარის, თქვენ განახათ როგორ იქცევა როცა თქვენ არ ხართ, ყველას ბიძიებს გვეძახის!“... ფორესტი ჩაფიქრდა, დააკვირდა მეომარს, თან ფიქრობდა: „მასზე ნაკლები გონია თავი, შენ არანორმალურო მართლა იდიოტო“. ფორესტი დუმდა... უცებ მშვიდად მიუგო: „კარგი, რაც გითხარი, ისე გააკეთე, ახლა შეგიძლია წახვიდე“... მეომარი სიცილით დაშორდა ექიმს. ფორესტმა ერთიც გადაავლო თვალი ახალ დამაგრებულ, უზარმაზარ კარს და ჩაფიქრებული კიბეებზე დაეშვა... გარშემო თოვლით იყო დაფარული ყველაფერი... ნიავი ნელ-ნელა ქარბუქში გადადიოდა მეომრები კარების გარეთ დარჩნენ კოცონთან... პატიმრები გამოქვაბულის დიდ კოცონს შემოეხვნენ ფრენკიმ ახალ გაცნობილ მეგობრებს თავისკენ მოსვლა ანიშნა და გამოქვაბულის ერთ-ერთ მხარეს გაემართა... ფრენკის სახე შეეცვალა, დასერიოზულდა... მისი ჩაფიქრებული გამომეტყველობა ჭკვიანი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა... მეგობრები შეიკრიბნენ... გამოქვაბულში დანთებული ცეცხლი კარგად ანათებდა მათ ადგილ სამყოფელს... ყველა ქვებზე ჩამოჯდა. „დრო მოვიდა ვინც არარის მზად, სჯობს აქ დარჩეს“. წარმოთქვა ფრენკმა. მოუთმენელმა რეჯიმ ახლაც პირველმა ფეხზე წამოდგა: „როდის?!“ „დაჯექი!“ უბრძანა ფრენკმა. რეჯი ჩამოჯდა მისი მოუთმენლობა ცოფიან ლეოპარდს გაგახსენებდა. ფრენკიმ მკერდზე ორივე ხელი მიიდო გაშლილი თითებით და მძაფრი სერიოზულობით საუბარი გააბა: „ვფიქრობ, ყველა ელოდა ამ დღეს“... ფრენკიმ ერთიც გადაავლო თვალი ყველას, ბაკი და ფაკი თითქოს მამა-შვილი ყურადღებით შეჰყუროდნენ ფრენკის... მანაც მზერა მათზე შეაჩერა

და მთელი ყურადღება საუბარს მიაპყრო: „ხვალ მკვდრებს მდინარისკენ წავიღებთ, ვფიქრობ, ოთხზე მეტი არ გამოგვყვება ძაღლებიდან, ეხლა პირდაპირ თქვით, ვის არააქვს მოკვლის თავი?!“. „მე მოვკლავ ყველას, მახვილი ჩამაგდებინა ხელში“. თქვა რეჯიმ. „მეც მოვკლავ!“ დაამატა სმიტმა. „ორის გათიშვა შემიძლია“ თქვა ბაკიმ. „ორსაც მე გავთიშავ“ დაემოწმა ფაკი, „გათიშულები ჩავხოცოთ?“ იკითხა ლესმა. „ხელები და ფეხები შევუკრათ“. „მართალია რა აუცილებლობაა მოკვლა?!“ იკითხა დრეგანმა. ფრენკი: „თქვენ ხომ არ გასულელდით, აქ რის შეკვრაა რის დატოვება, როგორ წვავდნენ ცოცხლად ჩვენ ხალხს დაგავიწყდათ?! ერთს გეტყვით თქვენ, შენ ჩაკ, მასწავლებელი იყავი, შენ, დრეგან მეთევზე, მართალია, ორივე პატიოსნობით გამოირჩევით ჩვენ აქედან რომ გავალთ კარგს არაფერს არ ვაპირებთ, ეგრე რომ გადაწყვიტეთ, ჩვენთან ერთად იქნებით და იმას გააკეთებთ რასაც ჩვენ ან და წახვლათ თქვენ გზაზე“. განრისხდა ფრენკი. „ვინც ვერ კლავს ჩვენთან არაფერი ესაქმება, ტვირთი მე არ მჭირდება, მუშა არ ვარ!“. თქვა რეჯიმ. „აქედან გავიყვანოთ, რაც არ უნდა იყოს, ჩვენი მეგობრები არიან, ერთად ვღვრიდით ოფლს და სისხლს!“. წარმოთქვა ლესმა. „ჩემთვის სულერთია, ოთხს კი გავუმკლავდებით მაგათ გარეშე, წამოვიდნენ, მართლა აქ ხომ არ დავტოვებთ“... თქვა სმიტმა. „მართალია, წამოვიდნენ“... ფაკი: „თანახმა ვარ“... რეჯი: „ყველა პატიოსანი ერთად შევიკრიბეთ“. წამოიძახეს აქეთ-იქიდან. კარგია, ეხლა კარგად მოვისვენოთ გაყინულ წყალში მოგვიწევს ჩასვლა, მგონი ყველამ იცის ცურვა. თქვა ფრენკიმ. ცურვაზე ყველამ თანხმობა მიუგო ფრენკს... მან ჩაკს და დრეგანს გადახედა: „ჩვენთან წამოხვალთ, წყლიდან რომ ამოვალთ ან ერთად გავაგრძელებთ გზას, ან დავშორდებით ერთმანეთს, ასე რომ საფიქრალი დრო გაქვთ“. ჩაკმა და დრეგანმა ერთმანეთს გადახედეს... მათი მზერა ერთს მეტყველობდა: „რა ვქნათ?“. ერთმანეთს ეკითხებოდნენ... მერე ერთდროულად წამოდგნენ და იქვე ახლოს წამოწვნენ გვერდი-გვერდ... ფრენკი დარჩენილებთან საუბარს აგრძელებდა: „კარგად იფიქრეთ, სანამ ჩაგეძინებათ ხვალინდელ დღეზე, ყველაფერი მოულოდნელად, სწრაფად ელვისებურად უნდა მოხდეს.. მთავარია, სანამ ნავებით გამოგვეკიდებიან, შორს უნდა ვიყოთ“. "იმთავითვე ვგრძნობდი, რომ სულელი არ ხარ ფრენკ!“. „მეც!“ დაემოწმა ლესი. :“მე კი, გიჟი მეგონე ძია ფრენკ“. თქვა ჩაკმა. ფრენკს გაეცინა: „ძია აღარ დამიძახო, თორემ მეცინება სულელი ბიძიები მახსენდება“. რეჯის სიცილი აუტყდა: „ვიწყებთ ხოცვას, კარგია ნანატრი გვიახლოვდება“. „მთავარია შორს გავცუროთ და ტყეში

ღრმად შევიდეთ. ამოვისუნთქავთ და ყაჩაღობას მივყვეთ“ თქვა ბაკიმ. „ქურდობას მივყვეთ არ სჯობს?“ იკითხა ლესმა. „რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, გავერთოთ კარგად“. გააგრძელა სმიტმა. „კარგად! ბიჭებო! ვფიქრობ, ეს თვეები ბევრი ვილაპარაკეთ, დავიშალოთ, მოემზადეთ ხვალისთვის“. ფრენკი წამოდგა პირველი და კოცონისკენ გაემართა... ბაკი და ფაკი დარჩნენ ერთად და საუბარი გააბეს. „მზად ხარ?!“ ჰკითხა ბაკმა. „მზად ვარ, არ ინერვიულო“. უპასუხა ფაკიმ. “შენს მეტი არავინ მყავს, ხომ იცი“... ფაკიმ ღიმილით მიუგო. „გავიზარდე, რა მოგდის, პატარა აღარ ვარ, დამშვიდდი“. ბაკი სევდით შეჰყურებდა პატარა ძმას: „ვიცი, ვიცი, გაიზარდე, მაგრამ ჩემთვის ის პატარა ფაკი იქნები ყოველთვის იცოდე!“... „ნუ მაცინებ, გთხოვ“. უთხრა ფაკიმ. ისინი საუბარს აგრძელებდნენ... რეჯი, ლესი და სმიტი ერთად წამოწვნენ გვერდიგვერდ, მათი საუბარი ქურდობას, ყაჩაღობას და მკვლელობას ეხებოდა. ფრენკი წამოწვა თავისთვის და იხსენებდა ბააგრების ექიმის სწავლებას... დრეგანს და ჩაკს არ ეძინებოდათ, საუბრობდნენ. „ბოლო ბოლო რავქნათ?“ იკითხა დრეგანმა. „შენ თქვი, რას ფიქრობ“. იკითხა ჩაკმა. „არ მომიკლავს არავინ, ვაშლიც კი არ მომიპარავს ბავშობაში, სხვისი არაფერი მინდოდა“. გააგრძელა დრეგანმა. „მეც ეგრე გავიზარდე, მაგრამ მთელი ცხოვრება ვგრძნობდი, რომ მოწოდება ჩემი რაღაც სხვაა, არა მასწავლებლობა და არ ვიცოდი რა მექნა რა მეფიქრა“. დაეთანხმა ჩაკი. „შენ რა, იფიქრე, რომ ავაზაკობას შესძლებ?!“ „ხომ გეუბნები, არ ვიცი, არ ვიცი, არაფერი, არ ვიცი, დავიბენი ცხოვრებაში“. “მე ერთს ვიტყვი რომ ეს ბიჭები ჩემთვის კარგი ბიჭები არიან და ამათი დაკარგვა არ მინდა“. წარმოთქვა დრეგანმა. „იქნებ ვთხოვოთ არავინ მოგვაკვლევინონ, ქურდობაში კი ხელი შევუწყოთ“. გააგრძელა ჩაკმა. დრეგანმა თავი დააქნია, ამოიხვნეშა. „შეიძლება შენი მოწოდება ქურდობა და ყაჩაღობაა რას იტყვი?“. ჩაკი ჩაფიქრდა სიხარულით: „ერთი წიგნი წავიკითხე ავაზაკზე და იმის მერე აღფრთოვანებული ვარ... მიფიქრია, მის ნაირი გავხდე“... დრეგანს გაეცინა: „მაშინ საერთო ენას კი იპოვი მაგათთან... იმედი მაქვს, მე დამიცავ და არ გააგდებინებ ჩემს თავს, რა გინდათ საჭმელს მე მოგიმზადებთ“. ჩაკი წამოწოლილი კლდეს შეჰყურებდა ცეცხლის ალით განათებულს და სიხარულით აგრძელებდა საუბარს. „ხვალიდან კაცი, ვხდები, ხვალიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებ, მე ავაზაკთა ავაზაკი ვარ“... დიდხანს ისაუბრეს გამოქვაბულში სიჩუმე ჩამოვარდა, ვისაც არ ეძინა, ის დუმდა... ხვრინვის ხმა ისმოდა... დიდი, უზარმაზარი კოცონი ნახევარ

გამოქვაბულს ათბობდა... გარემო თითქოს ლამაზი, საინტერესო და მიმზიდველი მოსჩანდა სიჩუმეში... ფრენკის ყველაზე ბოლოს ჩაეძინა... დრო მიდიოდა... კოცონი ძალას კარგავდა... მხოლოდ ნაკვერჩხალი დარჩა... გამოქვაბულში ძილმა დაისადგურა... სიცივისგან დრეგანს გაეღვიძა... ჩაკს დახედა და ჩაფიქრებული მზერა ნაკვერჩხალს მიაპყრო... დრეგანი და ჩაკი ყველაზე შორს იმყოფებოდნენ კოცონისგან... დრეგანი ნერვიულობდა, გათენებამდე პატარა დრო დარჩენილიყო... ერთი აფიქრებდა, დღეს თუ არა, ხვალ მაინც მოუწევდა რამე ავაზაკურის გაკეთება... სიჩუმეში ოდნავ ისმოდა წვეთების ხმა... დრეგანის თავში ხმაური მატულობდა... თითქოს პირდაპირ მის ტვინს ეცემოდა თითეული წყლის წვეთი... თავზე ხელები შემოიჭდო... ხმაური აუტანელი გახდა... ვერ მოითმინა და გიჟივით იყვირა: „არა! არა! არა!!!“ გამოქვაბული თითქოს შეზანზარდა... ყვირილისგან გამოცემულმა ექომ შიში მოჰფინა იქაურობას... დრეგანის თვალწინ წარმოისახა ის სახეები, რომლებიც მოკლეს და დაწვეს ცოფიანმა მეომრებმა... გაშტერებული თვალებით მის წინ ხედავდა ქალაქის კედელს, რომელზეც ჩამოხრჩობილი დედოფალი და მისი ორი ვაჟი ეკიდა... დრეგანი პირღია გაშეშებული იჯდა თვალები ისე გაფართოებოდა თითქოს ახლა ამოვარდებოდა ბუდიდან, გამოქვაბულში ძალიან ბნელოდა... ნაკვერჩხალი ოდნავ, უმნიშვნელოდ გამოსცემდა შუქს... ფრენკი მიეყრდნო უზარმაზარ ქვას... ის მხოლოდ გაქცევაზე ფიქრობდა... გრძნობდა, რომ გამოქვაბულში არ დაბრუნდებოდა. სიკვდილი არ აშინებდა... ის ექიმზე და ვინსენტზე ფიქრობდა... მთლიანად ათვითცნობიერებდა, რომ ვერც ერთს და ვერც მეორეს ვერაფრით შეეწეოდა... გამოქვაბულში ხმები გაისმა... პატიმრები ცტილობდნენ მორების მოთრევას ჩამქრალ კოცონამდე... ფრენკი ფეხზე წამოდგა მათ დასახმარებლად... დრეგანი ისევ გაშეშებული იჯდა ცეცხლი ისევ აანთეს... ნელ-ნელა გამოქვაბული განათდა... ფრენკი ახლოს მიუჯდა კოცონს... თვალი გადაავლო ყველა პატიმარს და მზერა დრეგანზე შეაჩერა... დრეგანმა იგრძნო მზერა მიუხედავათ შორი მანძილისა თვალი გაუსწორა სევდით ხელი აუწია... ვერ გაუძლო მზერას და ჩაკს მიუტრიალდა... ფრენკს ენანებოდა პატიოსანი გლეხი, მაგრამ თავისთან დატოვებას არ უპირებდა... მზერა კოცონისკენ გადმოიტანა და მთელი სევდით გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა: „ყოველთვის არ გექნება ის, რაც გინდა“... მის ახლოს მჯდომმა პატიმარმა სიმწრით ჩაულაპარაკა: „ეხლა მიხვდი მაგას?!“. ფრენკმა ბრაზით გახედა პატიმარს...

დუმილით პატიმარი შეშინდა და გაშორდა იქაურობას. ცოტა ხანში გაისმა ძლიერი, შემზარავი ხმა... გამოქვაბულის კარები ნელ-ნელა იღებოდა... დღის შუქი მოედო ფრენკის სახეს... რამოდენიმე მეომარი კოცონისკენ ყვირილით მოემართებოდა... ერთ-ერთი ცოფიანის ყვირილი ძალზე დამცინავად ჟღერდა... პატიმრები აფორიაქდნენ... „უფროსო, უფროსო სადახარ, სად, სადაა ჩვენი უფროსი შტერებო?!“. ყვიროდა ცოფიანი... ფრენკი უმალ წამოხტა და ხელებით მიირბინა მათთან: „აქ ვარ, აქ ბიძიებო! მე არ მძინავს, მაშინაც, როცა მძინავს“... მეომრებს სიცილი აუტყდათ ერთ-ერთმა დამცინავად უპასუხა: „აბა, უფროსო! გვამებს მივხედოთ“. ფრენკიმ მუშტი მაღლა ასწია და იდიოტის სერიოზულობით მიუგო სიხარულით: „ფრენკი მზად არის! მუშებს უხელმძღვანელოს!“... ცოფიანმა მეომრებმა დამცინავი საუბარი გაუბეს... ბაკის გაეღვიძა... ფაკის თავზე მოეფერა და სიმშვიდით, თითქოს პატარა ბავშვს ეხებოდა, წყნარად მიუგო: „დროა პატარავ! გაიღვიძე!“. ფაკის თავზე ჰქონდა ხელები შემოჭდობილი გაუნძრევლად მიუგო: „არ მძინავს, დამშვიდდი“... ლესი, სმიტი და რეჯი მზად იყვნენ და ფრენკის დაძახებას ელოდნენ... ჩაკი დრეგანის გვერდზე ჩამოჯდა... სიხარულით გაჰყუროდა ცოფიან მეომრებს და დრეგანის გასაგონად იძახდა: „გათენდა ნანატრი, უცნობი, სანატრელი დღეც ვგრძნობ ავაზაკის აღდგომას!“. დრეგანი გაკვირვებით შეჰყუროდა მასწავლებელს და თვალებს არ უჯერებდა მის გვერდით ბავშვების მასწავლებელი იჯდა, რომელიც ავაზაკობას ნატრობდა... ბაკი ძალზე ნერვიულობდა თავის ძმაზე, რაზეც ფაკის ეღიმებოდა: „ამათთან მეგობრობა თუ გაგვიგრძელდა, ჩათვალე გვერდში ამოგვიდგებიან და იმ ღორ მეფეს ჩვენივე ხელით გამოვჭრით ყელს“... ბაკი ღრმად სუნთქავდა: „კი, კი პატარავ! ზუსტად ეგრე იქნება, მხოლოდ მე არ მომშორდე, სულ ჩემს გვერდით იყავი“. ფაკიმ გაუღიმა: „სად უნდა მოგშორდე, შენს მეტი არავინ მყავს“... ცოფიან-მეომრების გართობა ფრენკით არ ცხრებოდა... ფრენკი ოსტატურად უბავდა მათ ენას... შეტრიალდა პატიმრებისკენ და სულელის ხმით იყვირა, თითქოს გაბრაზებულმა: „მოეთრიეთ აქ, ჩემო პირადო მუშებო! უფროსი გიბრძანებთ, უფროსი დაგხოცავთ ყველას მშიშრებო“... მერე მეომრებს კმაყოფილი შემოუტრიალდა: „ხომ კარგი უფროსი ვარ ბიჭებო?!“... მეომრებმა თითქმის ერთდროულად მიუგეს: „კარგი, კარგიხარ“. ერთ-ერთმა მეომარმა გაუგრძელა: „მხოლოდ არ დახოცო აქ ყველა, ვინღა იმუშავებს უფროსთან?!“ მეომრებს გადახედა: „ხომ ეგრეა, მართალი არ ვარ, ბიჭებო?!“. სიცილმა იმატა, ფრენკი ისევ

სულელივით დადგა, თავჩაღუნული და ერთი და იგივეს იმეორებდა... „ბიძია, მართალია, - ბიძია, მაღალია, ვინ იმუშავებს ვინ?“... ერთ-ერთმა მეომარმა ეცადა თავი შეეკავებინა სიცილისგან და ფრენკის საქმის მიხედვა ურჩია... ფრენკიმ ხელები მაღლა ასწია და სიხარულით ყვიროდა: „ყველაზე კარგი უფროსი ვარ, უფროსებზე უფროსი, მე ვარ უფროსი - მე!... ისე იქნება, როგორც მე მინდოდა - მე - და მხოლოდ მე!“... მეომრები იცინოდნენ გაქცევისთვის მომზადებულნი, ფრენკის ზურგს შეჰყუროდნენ... დრეგანი თითქოს უგონოდ იდგა მათ შორის, ერთ-ერთი მეომარი მიუახლოვდა მწკრივში მდგომ პატიმრებს, ფრენკი მას გვერდით დაუდგა: „ესენი ჩემი მუშები არიან, ჩემი, ბიძია და მხოლოდ ჩემი“... ცოფიანი მშვიდად ათვალიერებდა ყველას და იგივე სიმშვიდით მიუგო: „ფეხზე ყველამ გაიხადეთ შტერებო!“... მეომარი ფრენკს შემოუტრიალდა და ღიმილით მიუგო: „ფეხშიშველა შორს ვერ გაიქცევიან უფროსო!“. ფრენკიმ სიცილით მიუგო: „უფროსს ყოველთვის იცავენ ბიძიები, ჩემი ბიძიები“. მეომარმა მხარზე დაარტყა ხელი და მთელი სერიოზულობით მიუგო: „არ ენდო არასდროს, უფროსო, მონებს!“. ფრენკიმ ჩაფიქრებულად თავი ჩაღუნა და ბურტყუნით წარმოსთქვამდა სიტყვებს. „ჰო, ჰო, მონები - ღორები, ღორები - მონები...! საშიშები არიან, საშიშები, ღორები, მონები!“. კარგად შეითავსა თავისი როლი... გაქცევისთვის მომზადებულნი უფროსის ბრძანებას ელოდნენ... ამ დროისთვის როკი თავის მიწისქვეშა სამფლობელოში ემზადებოდა საავადმყოფოში წასასვლელად ფუსფუსით ახარისხებდა ბალახეულობას და ესაუბრებოდა მათ, ვინსენტი, გამოჯამრთელდა, მხოლოდ ხელების თითებზე ეტყობოდა ნაიარეები... აღარავინ აკითხავდა საცემად... ყველამ დაიჯერა, რომ ჭკუიდან გადავიდა... საგიჟეთის საკანში ძალზე ციოდა... ქარს თოვლი შემოჰქონდა გიგოსებიანი ფანჯრიდან... ექიმს ეძინა შეფუთულს თივაში... ვინსენტი, ძია ის და პატარა ბიჭი წრეში ხელგადახვეულნი ცეკვავდნენ, თან მღეროდნენ: „ჩვენ მოვედით, და წავალთ“... პატარა-შუგი: „ჩვენ შევედით და გამოვალთ“. რა ძალზე ხარობდა და მისი ბედნიერი თვალები შეჰხაროდნენ ხან ძია ისს, ხან ვინსენტს... ძია ის გაკვირვებით უსმენდა ორივეს და შეკითხვით გაუგებრობაში მყოფი მიუგებდა მათ: „სად შევედით, საიდან უნდა გავიდეთ???“. ამის შემხედვარე შუგი ბედნიერებას ვერ მალავდა და ვინსენტს მიუგებდა, ძია ის გასაგონათ: „ჩვენ იქ შევედით, სადაც შევედით და ჩვენ იქიდან გამოვალთ!“. ვინსენტი მთელი სერიოზულობით, სიმღერით პასუხს სცემდა, თან ძია ისს

გადაჰყურებდა: „ჩვენ გამოვალთ, რათგან შევედით და თუ შევედით, გამოვალთ... ჩვენ შევდივართ და გამოვდივართ“... იმეორებდა ვინსენტი... ძია ისმა გადახედა შუგის, თან დაჟინებით მიუგო: „გამაგებინე, სად შევედით?“ შუგი სიცილისგან იგუდებოდა. საკნის მოპირდაპირე მხარეს ავადმყოფი ცეკვავდა, ის ავადმყოფი ყოველთვის რომ ყვიროდა „მშია“... ის საკნიდან დაუახლოვდა ვინსენტს და ცეკვაში ხმამაღლა ყვიროდა: „ჩვენ შევედით და გამოვალთ... ვინსენტი გამოვიდა... ჩვენც გამოვალთ“... ძია ის გაბრაზდა და ღრენით მიუგო შუგის: „გამაგებინე, საიდან გავდივართ?!“ შუგი თავს ვერ იკავებდა და ძლივს მიუგო ვინსენტს: „გააგებინე ამას, საიდან გავდივართ!“... ვინსენტი წრეში ცეკვავდა შემოეხვია ორივეს ძლიერ... თავი ჩაღუნა და მათაც ჩააღუნინა თავები... ძია ის ყურადღებით უსმენდა... ვინსენტმა სიმღერით, ჩუმი ხმით მიუგო: „იქიდან გავდივართ, იქიდან, სადაც შევედით“... ცეკვა-სიმღერა გრძელდებოდა შუგი იკეცებოდა სიცილით... ძია ის ჩაფიქრდა... შუგის შეხედა და ჩუმად მიუგო: „გავრბივართ?!“ შუგი იცინოდა და ძლივს გასცა პასუხი: „რა გვიჭირს გასაქცევი, ჩვენ დაჭერილები არავართ, უბრალოდ გავდივართ, თან გამოვდივართ!“. შუგიმ ვინსენტს ახედა: „ხომ ეგრეა ვინსენტ?!“. ვინსენტმა სერიოზულად მიუგო: „რა თქმა უნდა, გასაქცევი რა გვჭირს, ჩვენ დაჭერილები არავართ, ჩვენ შევედით და გავალთ“... შუგიმ ძია ისს მიუგო სერიოზული სახით: „გაიგე ეხლა მაინც?!“ ძია ის ჩაფიქრდა... გარშემო თვალი მოავლო და ჩაილაპარაკა: „ამას რა გაგება უნდა წესიერად ვერ მიხნით, შევედით და გამოვალთ ამის გაგებას რა უნდა!“. პატარა ბიჭის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... ამ ხმაურში ექიმს გაეღვიძა და შეშინებული შეჰყურებდა სამივეს... ექიმი ერთს ფიქრობდა: „ხომ არ გავაგიჟე ეს ბიჭი, რა დღეშია, ამის შემყურე გიჟი ამაზე ჭკვიანია“... შუგიმ დაინახა ექიმის შეშინებული თვალები ცეკვით მიუახლოვდა მას და სიმღერით მიუგო: „ექიმო, არ გინდათ გამოსვლა იქიდან, სადაც შეხვედით?!“. ექიმი ვინსენტს მიშტერებოდა წვალებით წამოდგა ლოგინიდან და საკნის კარებთან ჩამოჯდა ცეკვისგან დაღლილები ლოგინზე წამოწვნენ... ვინსენტი ექიმს მიუახლოვდა: „ანერვიულებული ჩანხართ ექიმო!“... ექიმი ვინსენტს დააკვირდა: „რა დღეში ხარ?!“ ვინსენტი ჩამოჯდა ექიმის გვერდით და ღრმა, დაღლილი სუნთქვით თავისუფლად მიუგო: „გული გადამაქვს, რომ არ ვიფიქრო, არ ინერვიულოთ ექიმო! ჭკუაზე ვარ, ჭკუაზე“... : „თამაში, გიჟის თამაში, ნუ გგონია, დაგახრჩობს ვერც გაიგებ, თამაშს ნუ ეთამაშები“. უთხრა ექიმმა. ვინსენტმა გაუღიმა.: „არ

ვეთამაშები, მასთან ერთად ვთამაშობ ექიმო!“. ექიმი დააკვირდა, ვინსენტი უღიმოდა... მოპირდაპირ საკნიდან ავადმყოფი სიმღერას აგრძელებდა: „შევედი და გამოვალ, შევალთ და გამოვალთ, ჩავყვინთავთ და ამოვყვინთავთ, ავფრინდებით და ჩამოვფრინდებით“. ავადმყოფი არ ჩერდებოდა, ექიმმა გახედა მას და სთხოვა: „გეთაყვა, გთხოვთ, გაჩუმდით“. ავადმყოფი დადუმდა ჩამოჯდა კარებთან და მოწყენილი შეჰყურებდა ექიმს... ექიმმა მადლიერებით მიუგო: „გმადლობთ, გეთაყვა!“. ავადმყოფს ძალზე ესიამოვნა ექიმის ყურადღება და ეცადა დამჯდარიყო, როგორც ნორმალური ადამიანი, ექიმი ვინსენტს შემოუტრიალდა: „ჯანზე ხარ მოსული, კარგია, როკის ველაპარაკე გაქცევაზე, ასე მითხრა, დროებით დაივიწყეთო, არ ვიცი, რა ვიფიქრო, დრო გადის“. „არ ინერვიულოთ ექიმო, ის დღეც გათენდება“. დაამშვიდა ვინსენტმა. „როკიმ თქვა, ფორესტი მის გაკეთებულ ნაზავს მგონი რაღაცას უმატებს, ჰოდა ბალახეული მომცა, უზმოზე ფრჩხილის ოდენა გადაყლაპეთო“. ექიმმა ნაჭერში შეხვეული ბალახეულობა გადახსნა, ვინსენტმა დასუნა: „კარგი სურნელი აქვს, ჩვენს მეგობრებსაც გავუყოთ“. „რა თქმა უნდა, ეს წამლები გიჟებისთვის ფორესტმა შემოიტანა, არავინ არ ალევინებდა მათ წამლებს, თუ რაიმე მდინარეში ჩაყრიდნენ და დილამდე იქ აჩერებდნენ, სანამ გული არ წაუვიდოდათ, ეს იყო გიჟების წამალი... ამან კი, რაღაც ახალი შემოიტანა, რაღაც არ მგონია, რომ მაგის წამალი განკურნავს ავადმყოფს“. დასძინა ექიმმა. ძია „ის“ და შუგი უსმენდნენ მათ საუბარს. „ნახე ექიმო, როგორ აინტერესებთ ჩვენი საუბარი“. თქვა ვინსენტმა. „უსმინონ არც ერთი იკადრებს ჩვენს ღალატს, ეს ზუსტად ვიცი!“. დაამშვიდა ექიმმა. „თავს დადებენ ჩემი გულისთვის მე კი მათ გულისთვის“. დაამატა ვინსენტმა. ექიმს გაეღიმა: „ვიცი, ვინსენტ, რა მინდა შეგეკითხო, იცი ძია ის აქ რატომ მოხვდა, ან და ის პატარა ბიჭი?!“. „რა ჩემი საქმეა, საგიჟეთში ვარ, მთავარია, ზუსტად ვიცი, არც ერთი მოღალატე არ არის, ეს არის ჩემთვის მთავარი!“. „კარგი, შენზე ვილაპარაკოთ ეხლა რა მინდა გკითხო, რომ თამაშობ გამოსვლა გიჭირს?“ ჩაეძია ექიმი. „არა ექიმო!“. „გსიამოვნებს თამაში?!“. ვინსენტს გაეღიმა: „ძალზე“. „ერთ დღეს მე არ ვიქნები შენს გვერდით, შესძლებ უჩემოდ მდგომარეობიდან გამოსვლას, შენ რომ გაკვირდები, ჩემზე ხარ დაყრდნობილი თან ძალიან ვინსენტ, ძია ის რომ თავისიანად მიგიღებს ეს სახუმარო კი არა, ძალზე საშიშია, საშიში“... „რას ამბობთ ექიმო, ერთად ვართ და ერთად ვიქნებით აქ ან ამის იქით“. უპასუხა ვინსენტმა. „ვინსენტ! მომისმინე! სხვა საკნებში ავადმყოფები

აშკარად გიჟდებიან და ეს მატულობს ყოველდღე, მე არ ვიცი, რამდენი დავჭირდებით, მე და როკი ფორესტს, ის დღეს თუ არა, ხვალ მოგვიშორებს... შენ უკანასკნელი გიჟი ჰგონიხარ ჰოდა ამან უნდა გიშველოს“... „არ მანერვიულო ექიმო! გაჩუმდი“... „კარგი, კარგი, ერთი მითხარი, არაფერი გინდა შემეკითხო?!“ ვინსენტი ჩაფიქრდა: „ერთხელ ფიქრი მომივიდა და ვერ გაუგე მას ვერაფერი, ვიფიქრე, რომ გიჟი - ავადმყოფი ნორმალურ, ჭკვიან ადამიანზე უფრო მაღლა დგას გონებით, რათგან გიჟი ხედავს და ფეხებზე ჰკიდია... ჭკვიანი კი, ვერ ხედავს და ფეხებზე არ ჰკიდია... ეს რა იყო, ვერ გავიგე ექიმო!“... „სადაც ხარ შენ ახლა გონებით, ის სხვა სამყაროა და მას სურს თავის სამყაროში დაგტოვოს, ხაფანგში უნდა მოგამწყვდიოს, რათგან ლაბირინთიდან თავი არ დააღწიო... ეს ფიქრი, რაც მოგივიდა ლაბირინთის ხაფანგია, შენ თამაშში ხარ შესული, თამაშის გარეშე“. ვინსენტმა შეაწყვეტინა: „რაღაც ვერ ვგებულობ ბოლომდე“... „მისმინე კარგად, ჩაუფიქრდი ჩემს სიტყვებს მშვიდად თავისუფლად მიიღე, რასაც მოისმენ გონება არ დაძაბო“... ვინსენტმა არ აცადა დამთავრება წამოდგა ფეხზე ძია ის და შუგი დაჭყეტილი თვალებით და დაცქვეტილი ყურებით, გაუნძრევლად, შეჰყურებდნენ მათ საუბარს... ვინსენტმა წყალი შეისხა სახეზე, მაშინვე დაუბრუნდა ადგილს. „გააგრძელეთ, გისმენთ ექიმო“. ექიმი დააკვირდა ვინსენტს და თავის ჩვეული თავისუფლებით მიუგო: „ადამიანის ლაბირინთში ყოფნა ერთით გამოიხატება, - ადამიანმა ყველაფერი იცის, მაგრამ არ იცის, რომ იცის და ლაბირინთში ყოფნისას არ ფიქრობს იმაზე რასაც ფიქრობს და ფიქრების ხაფანგში ვარდება, ლაბირინთი და ხაფანგი თავშია და მხოლოდ თავს ძალუძს მისი მოშორება, ერთი კიდევ აგერ ავადმყოფები, ნებისმიერი აიღე, არასდროს, თუ დაელაპარაკები, მათ არ უყურო როგორც გიჟებს, პირიქით, როგორც ნორმალურ ადამიანებს, ისე მიუდექი, რათგან თუ იფიქრებენ, რომ ისინი გიჟები არიან, იმ დროს, შენ ხარ მათზე გიჟი, რათგან ადამიანი რასაც ფიქრობს, ის არის თვით და ყველაზე მთავარი, რაც არ უნდა მოხდეს, არ დაგავიწყდეს, რომ ადამიანი ხარ, ადამიანი, ვინსენტ“... ვინსენტი დუმდა. „როგორ ხარ? შევძელი შენ კითხვაზე პასუხის გაცემა?“ ჰკითხა ექიმმა. „რასაც ფიქრობ, ისახარ!“. „კარგია, კარგი, იცოდე ფიქრი ყოველთვის შეეცდება მოგატყუოს, არასდროს არ დაგნებდეს. ჰო და არც შენ დანებდე, თუ დანებდები, დაამარცხე!“. ვინსენტს გაეცინა ექიმმა თავზე გადაუსვა ხელი. „სად ვართ, სად“. ექიმმა სიცილით მიუგო. „იქ, სადაც ვართ!“. აუტყდა ვინსენტსაც სიცილი, მას შუგი აჰყვა,

შემდგომ ძია ის... ვინსენტი ცდილობდა თავი შეეკავებინა, მოეთოკა სიცილი და ექიმს მიუგო: „იმ ბალანჩის რა ჰქვია?“. ექიმს გაუკვირდა შეკითხვა: „რომელს?“. „ის, პატარა ბალანჩი!“. ექიმმა გაიფიქრა, საიდან-სად, რა საუბრიდან რა შეკითხვა... „პატარა გოგოზე ამბობ?“ „ჰო, ჰო!“. „რამ გაგახსენა?!“. „არ მითქვამს თქვენთვის ექიმო, თითქმის ყოველდღე მესიზმრება ბააგრა და მის გვერდით, პატარა, მასზე პატარა გოგო, ვერ ვიხსენებ არა და ორივე რაღაცას მეუბნებიან, არ მესმის თუ არ მახსოვს, ვერ ვიტყვი“... „ნია ჰქვია მაგას ნია“... „რა მინდოდა მეკითხა, რაც მაგან გადაიტანა, ჭკუაზე ხომ იქნება ექიმო“. ექიმს გაეცინა: „შენნაირ ჭკუაზე იქნება, შენნაირ“... ვინსენტმა ჩაფიქრებულად ჩაილაპარაკა, თან ექიმს აკვირდებოდა: „ნია ბალანჩი ჩემს ჭკუაზე... კარგია, კარგი, მშვენიერია... ნია ბალანჩი მშვენიერი!“. საუბარი გრძელდებოდა, ექიმი შფოთავდა როკი იგვიანებდა, ამავე დროს ექიმი ფიქრობდა იმას, რომ მისი სწავლა ხშირად მეორდებოდა და შიშს მიცემული აკვირდებოდა ვინსენტს. ერთი აფიქრებდა შესძლებდა ეს ახალგაზრდა ბიჭი მდგომარეობიდან გამოსვლას მაშინ, როცა მისი დრო მოვიდოდა, საუბარს ძია ის და შუგი შეუერთდნენ... შუა დღე მოახლოვდა... დერეფანში ხმაური მოისმა, საკანს როკი მოუახლოვდა, საკვები მიაწოდა. „გზაში ფორესტი შემხვდა, რამოდენიმე პატიმარი გაიქცა კლდის ციხიდან და მას გავყევი“. თქვა მოსულმა. ვინსენტმა ვერ მოითმინა: „დაიჭირეს?“ ექიმი ყურადღებით შეჰყუროდა როკის: „არა, არც დადევნებია არავინ... მდინარეში ჩამხტარან, ხუთი მეომარი მოუკლავთ, ოთხს კისერი ჰქონდა მოტეხილი, ერთ კი, ყელი ამოჭმული, ძალზე გვიან მიმხვდარან... დევნას აზრი არ ჰქონდა, ფორესტი გამწარებულია, ვიღაც მათ შორის გიჟი ყოფილა ყველას ბიძიას ეძახდა“. ისევ ვერ მოითმინა ვინსენტმა, ღიმილით ექიმს შეხედა: „ფრენკი!“. “მგონი ის უნდა იყოს“. „თქვენ რა იცნობთ მაგას?“ „ციხი სარდაფში ჩვენთან იყო, მგონი ეგაა“... „ექიმო! თქვენი მოსწავლე ხომ არ იყო?!“ „ცოტ-ცოტა რაღაც ვასწავლე, თუ ეგაა რათქმა უნდა“. „ეგ იქნება, ყველა გამოაშტერა, პატიმარ-მუშების უფროსად ასაღებდა თავს, რვანი გაქცეულან“. დაასკვნა როკიმ. „ის იქნება, ის, ექიმო, სხვა ვინ იზამდა ამდენს?!“ წარმოსთქვა ვინსენტმა. „იმედია, ის იყო“. „არ ვიცი, მოვა, თუ არა, დღეს ფორესტი უმაგისოდ არ გამოგიშვებენ ექიმო“. სთქვა როკიმ. „ერთ დღეს არაფერი უჭირს, მთავარია, ჩვენზე არ გადატეხოს ჯოხი“. უპასუხა ექიმმა. „ვერ გაბედავს, ორივე ვჭირდებით მას“. ექიმმა ამოიხვნეშა. „რომ არ დავჭირდებით, მერე რა იქნება როკი? რა?“. როკიმ მწუხარედ მიუგო: “დღევანდელზე

ვიფიქროთ“. ექიმმა ხელი ვინსენტისკენ გაიშვირა: „ამას რა ვუშველოთ რა!“. როკიმ კარის გისოსებს თავი მიადო, ვინსენტს შეხედა: „არ ვიცი, არა, რამდენს ვფიქრობ გამოსავალს ვერ ვხედავ, ხომ ხედავთ, სად ხართ, აქ ერთი ეჭვიც და ორივეს გაგასაღებენ... ფორესტის ერთ-ერთ ყუთებიდან ფხვნილი ამოვიღე და ჩემთან შევამოწმე, არ მინდოდა ექიმო თქვენთვის მეთქვა, გიმალავდით... ფხვნილი რომელიღაცა ცხოველის ტვინს ეკუთვნის, ვერ გავიგე ზუსტად... ამის წინ დავფიქრდი, საავადმყოფოსთან ხშირად ვირები იდგნენ, საინტერესო კი, ის არის, რომ სხვა და სხვა ვირი იყო, ვფიქრობ ვირის ტვინს იყენებს, ჩემს წამლებთან ერთად, ფრთხილად უნდა ვიყოთ ის ადამიანი არ არის, ეს ზუსტად შემიძლია ვთქვა“. ექიმი აგრძელებდა საუბარს... იმ დღემ მშვიდად ჩაიარა, მეორე დღეც დადგა, ფორესტი, თითქოს არაფერი, ისე აგრძელებდა მუშაობას როკისთან და ექიმთან... დროთა განმავლობაში ვინსენტმა გაიგო, რაზე იმყოფებოდნენ საგიჟეთში მისი ახალი მეგობრები და არ გაჰკვირვებია. ვინსენტმა იცოდა რომ ნამდვილი სახელის კითხვა უაზრობა იყო... ძია „ის“-თვის და არც ცტილობდა. ძია „ის“ სოფლელი გლეხი იყო, ცოლი მშობიარობას გადაჰყვა... მის შემდგომ მარტო ცხოვრობდა, კარგად მუშაობდა, მეზობლებს ეხმარებოდა... ერთ-ერთი საუკეთესო გლეხი იყო სოფელში... ერთ დღეს ძია „ისს“ მეზობელი სტუმრად ეწვია და მის შემდგომ არავის უნახავს ის კაცი, ოჯახის წევრები უშედეგოდ დაეძებდნენ ძია ისს მოუჭრია მისთვის თავი, სხეული დაუმარხავს და მოჭრილ თავს სახლში ინახავდა, ყოველი ტრაპეზის დროს, გამოჰქონდა სარდაფიდან, მაგიდაზე დადებდა მიირთმევდა საკვებს, თან მოჭრილ თავს ელაპარაკებოდა, ნარჩენებს პირში ტენიდა... ასე გადიოდა დრო. ძია „ის“ მოჭრილ თავთან ასეთ ურთიერთობას არ იშლიდა. ყველას გადაავიწყდა დაკარგული გლეხი... საღამო ხანი იდგა... ძია „ის“ ყანაში მუშაობდა, ცოტა შეთვრა... გლეხებთან ერთად და სახლში ირჩია წასვლა... ჩვეულებრივ ამოიღო სარდაფიდან მოჭრილი თავი, უკვე მატლებით და ჭიებით სავსე და სუფრას მოუჯდა, მაგიდაზე დოქი იდგა ღვინით, ძია „ის“ აკვირდებოდა ჭიებს და მატლებს, როგორ სთხრიდნენ თვალებს თავს, ძია ის სმას შეუდგა და, ისევ ჩვეული საუბარი გაუბა დამპალ თავს... მხოლოდ ერთს ეკითხებოდა: „რატომ არ იღებდა ხმას, რატომ?. და უგრძელებდა ამით საუბარს... ძალიან დათვრა... დრო მიდიოდა, ღამე დღისკენ მიისწრაფოდა, სოფელში თენდებოდა... ძია ის-ის სახლს გლეხები მოადგენენ... უხმობდნენ მას ყანაში წასვლაზე, პასუხი არ ისმოდა, სახლის ფანჯარა ღია იყო, ძია ის

ტოვებდა ფანჯარას ღიას, რადგან მოჭრილი თავი ყარდა, ორი გლეხი მიუახლოვდა ფანჯარას და ხუმრობით მიუგებდნენ ძია ისს გაღვიძებას... გლეხებმა შეიხედეს ფანჯარაში... ორივე გაშეშდა... შემდგომ ერთ-ერთს გული წაუვიდა და მიწაზე დაეცა მეორე გლეხმა ყვირილი მორთო და სოფლის გზაზე სირბილით დაეშვა... ოთახში, მაგიდაზე მოკვეთილი თავთან ძია ისს თავი დაუდევს ღრმა ძილში ხვრინავდა, ასე დაამწყვდიეს იგი საგიჟეთში, რაზე, რისთვის, რატომ ჩაიდინა ეს სისასტიკე ძია „ის“-ი არ ამხელდა... პატარა ბიჭს შუგის დედა გარდაეცვალა, მამამისმა მალევე სახლში დედინაცვალი მოიყვანა... შუგი დარდობდა დედაზე, მაგრამ ცდილობდა არ შეემჩნიათ. დედინაცვალი ხედავდა და გრძნობდა პატარა ბიჭის წუხილს... ეს ამწარებდა მას... ქალმა ბავშვს ცილი დასწამა უზრდელობაში, ქურდობაში... აიძულა ქმარი ბავშვი საგიჟეთში ჩაებარებინა... შუგის მამა ქალის ნებისმიერ ბრძანებას ასრულებდა. ასე, ტყუილად მოხვდა პატარა ბიჭი საგიჟეთში. შუგი, ძია „ის“, და ვინსენტი ძალზე დამეგობრდნენ... ერთ დღეს სამივეს ეღვიძა... ექიმი დაღლილი ბრუნდებოდა ფორესტისგან და მალევე ძილს ეძლეოდა... შუა ღამე მოახლოებული იყო... ექიმს ღრმად ეძინა... შუგი იდგა ქვის ლოგინზე, ხტუნაობდა სიხარულით, სადღაც მშვენიერ ბავშვურ სამყაროში იმყოფებოდა, ძია „ის“ საკანში წინ და უკან დადიოდა და რაღაცას ბურტყუნებდა გაუგებრად, თითქოს ვიღაცას, უხილავს ესაუბრებოდა... ვინსენტი ჩამომჯდარიყო კედელთან, თავი მიედო, დაღლილი თვალებით, გონება არეული, აკვირდებოდა ხან ერთს, ხან მეორეს, მას არცერთი ყურადღებას არ აქცევდა... გაისმა ვინსენტის ბრაზიანი გაბოროტებული ხმა: „როდემდე უნდა ვიყოთ ასე?“. ისევ უპასუხოდ დარჩა. ძალზე გაბრაზდა და დაუყვირა: “აქ აპირებთ სიკვდილს?!“. შუგიმ გახედა ბედნიერი სახით და ხტუნაობა გააგრძელა... ძია ის გაჩერდა ვინსენტის მოპირდაპირედ გადარეული სახით დაჰყურებდა... არაადამიანურმა ხმამ მიუგო: „გააგრძელე!!!“. ვინსენტმა მშვიდად შეხედა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა. „რას ველოდებით, უნდა გავიქცეთ!“. ძია ის-მა უმალ კარისკენ გაიხედა... შუგის შეხედა ტუჩებზე თითი მიიდო, გვერდზე ჩამოუჯდა და დაძაბულად მიუგო: „ჩუმად! გააგრძელე!!!“ ის თითქოს დაჭკვიანდა, სახე შეეცვალა, აშკარად ნორმალურ, ჩამოყალიბებულ ადამიანს დაემსგავსა... მხოლოდ ერთი უშლიდა მას ხელს, შუბლზე ამოტვიფრული ორი ასო „HE“... შუგი ლოგინიდან ჩამოხტა, მივარდა მათთან და მოუთმენლად მიუგო: „გავრბივართ?!“. ძია ისმა თავში წამოარტყა და მთელი

სერიოზულობით ჩუმად მიუგო, თან საკანს მოავლო თვალი ფანჯარასაც ახედა,... შეამოწმა ხომ არავინ უსმენდათ. „ენას კბილი დააჭირე, ჩუმად“. მერე ვინსენტს გახედა: „თქვი!“ ვინსენტი აშკარად ნერვიულობდა: „რა ვთქვა მეტი, უნდა გავიქცეთ!“. „როგორ?“. შუგი თვალებს აცეცებდა ხან ძია ისს დააკვირდებოდა, ხან ვინსენტს, თან ხელი პირზე ჰქონდა აფარებული... ვინსენტმა ღრმად ამოისუნთქა და სევდით მიუგო: „არ ვიცი, არ ვიცი, არა!!!“ ძია ის დააკვირდა ვინსენტს და წყნარად თითქოს ჩურჩულით მიუგო: „გაიხედ-გამოიხედე, სად ვართ, აქედან გაქცევა შეუძლებელია... შეიგნე, აქ არის ჩვენი თავიც და ბოლოც, გაიგე ეს მიიღე ის რაც არის!“. ძია ის წამოდგა იმედგაცრუებული და საკანში სვლა გააგრძელა, თან ჩაილაპარაკა: „შენც გიჟი ხარ, ვინსენტ, მეც მინდა ბევრი რაღაც, მაგრამ სად არის, ის თავი მინდა მოჭრილი აქ მომიტანონ, მაგრამ არ მოაქვთ, ჰო და, მოუწევთ ამათ თავის დაკარგვა“. ამ სიტყვებს ღმუილი და ყვირილი მოჰყვა... შუგიმ ხელი მოაშორა ტუჩებს და მშვიდად მიუგო ვინსენტს: „შეიძლება ვთქვა?“. ვინსენტი დააკვირდა პატარა ბიჭს და მიუგო. „თქვი!“ შუგი მიუახლოვდა ვინსენტს და ყურში ჩასჩურჩულა: „სანამ ვსუნთქავთ, უნდა ჩავხოცოთ ყველა!“. ვინსენტმა გაკვირვებით შეხედა. არ ელოდა პატარა ბიჭისგან ამხელას... რადგან მის ხმაში იოტისოდენა შიშიც არ იგრძნობოდა... ეგონა, პატარა ბიჭი შეშლილი იყო. საჭმლის გარდა არაფერზე ფიქრობდა, ესიამოვნა მის გვერდით პატარა... ბრძოლისთვის მზადმყოფი. „კარგი აზრია შუგ! მაგრამ ყველას ვერ ამოხოცავ, ძალზე ბევრნი არიან“... შუგიმ მშვიდად მიუგო: „მაშინ ვიფიქროთ, დრო გვაქვს, საქმე არა!“. მასთან არ უსაუბრია: „შენ ამ მოკვლის გარდა რამე აზრი მოგსვლია?!“. „სხვა რა უნდა მომსვლოდა, სხვა გზა არ არსებობს, გარედან თუ გვიშველის ვინმე... ამას კი, მთელი ჯარი დასჭირდება“... ვინსენტი დააკვირდა პატარა ბიჭს... ის არ იყო ისეთი პატარა სულელი, როგორც ჩანდა. „რაღაც მინდა გკითხო“... შუგი უმალ დაეთანხმა. „რაც გაგიხარდება!“. „მოგიკლავს ვინმე?“ ისევ სწრაფად უპასუხა: „არა! მაგრამ ფიქრებში ამოვხოცე ერთი ასეული მაინც... ჰოდა, თუ მომეცა საშუალება, ძაღლებს მგლისას მიუგებ... მაინც ერთი სისხლისანი არიან“... შუგის სიტყვები ისე ჟღერდა, რომ ეჭვს ვერ მიიტანდი მასში, ის გააკეთებდა იმას, რასაც ამბობდა... მისთვის ერთი ადამიანის მოკვლა და მის გაჩერებას ვეღარავინ შესძლებდა... პატარა ბიჭს სიკვდილი სწყუროდა თუნდაც თავისი... მისთვის სულ ერთი იყო... ეს იყო, რომ თვითონ თავს არ მოიკლავდა... არა და, რამხელა სიკეთე ბუდობდა მის გულში... სიკეთე და ბოროტება

იბრძოდა მასში... შუგი ნამდვილი ბავშვი იყო... ვინსენტმა საუბარი გააგრძელა... ძია ის ღმუოდა... ექიმს ეძინა, მოპირდაპირე საკნიდან კი ავადმყოფი მოწყენილი შეხყურებდა მოპირდაპირე საკანს... ვინსენტს ცრემლები მოერია... უმოქმედობა, გამოუვალი მდგომარეობა აბნევდა, საგიჟეთში გაორმაგდა ბადრაგების რაოდენობა... შუგიმ შეამჩნია ცრემლი ვინსენტის თვალებზე... საკანში საკმაოდ ბნელოდა, დერეფნიდან თითქმის არ შემოდიოდა შუქი. „ვინსენტ!“. „რა არის პატარავ“. „ჩვენ ერთად ვართ!“. შუგიმ ხელი მიაწოდა... ვინსენტს გაეცინა: „და ერთად ვიქნებით მარად“... სწვდა მის ხელს და მეორე ხელით გადაეხვია მას... ძია ისმა დაინახა მათი სევდა... მიუახლოვდა და ღმუილით მიუგო: „მერა, დაგავიწყდით მეც თქვენთან ვარ“. შუგი წამოდგა ფეხზე: „დროა, ვიცეკვოთ და ჩვენი დროც აუცილებლად მოვა!“. სამივე თითქოს მოსწყდა სინამდვილეს. ამავე დროს მარტოსულები აცნობიერებდნენ რა დღეშიც იყვნენ... და ეს ეხმარებოდათ მთლიანად არ გადასულიყვნენ ჭკუიდან.

ამ დროს ფორესტი იჯდა თავის ოთახში, თავის ჩანაწერებს ამოწმებდა კმაყოფილი თავის საქმით... მან იცოდა, რომ მის ექსპერიმენტს დიდი მომავალი ელოდა... ის ცდილობდა ადამიანებისგან მთლიანად მართული, ზომბის მაგვარი ქმნილება შეექმნა... მას თავად აინტერესებდა, როგორც გადარეულ ექიმს და მხოლოდ ამით იყო შეპყრობილი... არც სიმდიდრე, არც ხელისუფლება, აზრადაც არ მოსდიოდა. იგი ოცნებობდა შეექმნა მხოლოდ და მხოლოდ ის, რასაც ვერ ხედავდა თავის თავში და ამავე დროს ქმნიდა ურჩხულს, ვისი მმართველი და შემქმნელი თვითონ იყო... ის ქმნიდა თავის შინაგანს, იმას, რაც იყო... თვით სიხარული ნიჭისა, რომელიც მიეცა, და რომელსაც იყენებდა უკუღმა, ახარებდა, სიამაყით ავსებდა აგრძნობინებდა ჩვეულებრივ მოკვდავზე მაღლა დგომას... ერთი გაგება იმისი, რომ ვიღაცამ თავი ჩამოიხრჩო, მასში უზომო სიხარულს ბადებდა... ფორესტი აგროვებდა ვირის ტვინს და ჩამოხრჩობილი ადამიანების ზურგის ტვინს...

დილა ადრიან როკი საავადმყოფოში ჩვეულად მოვიდა... ფორესტი, ძალზე დაღლილი მთელი ღამის ნათევი, ხელებს აფათურებდა მაგიდაზე დახარისხებულ ბალახეულის ნაზავში... უღიმოდა მათ... ჩაფიქრებული როკი ოთახში შემოვიდა... მაშინვე არც დააცადა, ეცა ცხოველივით: „მე წამლებს რომ ვამზადებ, რატომ ურევ მასში შენს ნაზავს?“ ფორესტს გაეღიმა, შეხედა, როგორც ჩლუნგ ადამიანს: „მინდა გავიგო, რა

როგორ მოქმედებს“... როკის აკრეფილი ჰქონდა და გაჩერებას არ აპირებდა: „მოიყვანე ძაღლი, ვირთხა და მათზე ჩაატარე შენი კვლევა!“. ფორესტი ფეხზე წამოდგა, მიუახლოვდა სიცილით და ირონიით მიუგო: „ეს დროის მანძილი, რომელიც მე შენს წინაშე თავდახრილი ვიყავი, იმას არ ნიშნავდა, რომ მე შტერი ვარ... ეს იმას ნიშნავს, ბატონო როკი! რომ თქვენ ბრძანდებით შტერი“. ფორესტმა ჩაიცინა... როკი გამწარდა, მან იგრძნო, რომ ხაფანგშია... ფორესტი პასუხს ელოდა... როკი დუმდა... თვალები სისხლით აევსო... ფორესტმა დამცინავათ ღიმილით გაუგრძელა, საუბარი: „დღეის შემდგომ, ბატონო როკი! საავადმყოფოდან ვერ გახვალთ“... ფორესტმა ხელი გადაშალა ოთახის გასწვრივ: „აგერ, ბატონო! ჩემს ოთახს გითმობთ“... როკი გაშეშდა... ფორესტი მის სახეს მიუახლოვდა კბილების კრაჭუნი გაიგონა და ბრაზით მიუგო: „ერთი გადახრა შტერო ბებერო და მართლაც ხელში დაგაჭერინებ შენივე თავს, მართლაც სულელო, ჩლუნგო ბებერო“... როკი გამწარებული იდგა... უკან დასახევი გზა არ იყო. შეცდა სიმწარემ მოატყუა მისი გონება... ფორესტი გასასვლელი კარისკენ გაემართა გასვლისას როკის მოხედა: „მადლობა მითხარით ბატონო! რომ გიჟებთან არ გაგდებთ საკანში!“ და სიცილით მოხურა კარები... როკი ჩაფიქრებული იდგა... მთელი სხეული თითქოს გაშეშებოდა... მიხვდა, რომ იმ ხაფანგში აღმოჩნდა, საიდანაც დაღწევა შეუძლებელია... დაიბნა, რა მოხდა... ასე სწრაფად ვერ აცნობიერებდა... ეხლა ჭკვიანი, ბრძენი, ნიჭიერი, ადამიანი თავის ფეხით ხაფანგში შევიდა... გაბრუებული, დაბნეული გონებით როკი ოთახიდან გავიდა მიუახლოვდა ვინსენტის საკანს, საკვები მიაწოდა და დუმილით შეჰყურებდა ექიმს: „რა მოხდა?“. როკი დუმდა ღრმად სუნთქავდა... ექიმმა ვერ ითმინა: „როკი, რა მოხდა, თქვი, ამოიღე ხმა“. როკი დუმდა, გამოსავალს ეძებდა, გამოსავალი არ ჩანდა... გრძნობდა, რომ იქიდან ცოცხალ თავს ვერ დააღწევდა... ვინსენტი მიუახლოვდა კარებს დააკვირდა როკის და სიტყვას ვერ აწვდიდა... როკის სახე დაბნეულობას, გაფითრებას წაეშალა.

ამ დროისათვის მკვდარ ზღვაზე გემი მიცურავდა გაშლილი აფრებით... მზე თითქმის ზენიტში იყო... გემბანზე „ჩუმი“ იდგა და შორიახლო მყოფ გემს აკვირდებოდა... რაინდი შონი მიუახლოვდა მას მხარზე ხელი გადახვია... ჩუმიმ გაუღიმა: „რას აკვირდები, არ გინახავს მეკობრეები?!“. „არა!“. „ჩვენთვის საშიშნი არ არიან, ისენი პატარა გემებს ესხმიან... ან და დაზიანებულს... ჩვენ გამოგვყვნენ, იქნებ

გზაში რაღაც მოგვსვლოდა, მალე უკან დაიხევენ გამწარებულნი“... „ვაკვირდებოდი და ვფიქრობდი კარგ ხალხს რომ ესხმიან, ბოროტი ცოტაა ამ ქვეყნად? არა და, ეტყობათ ძალა არ აკლიათ“... შონიმ გახედა მეკობრეების გემს ჩუმის თავზე ხელი გადაუსვა: „თავის ჯიშს ხომ არ დაესხმიან, მგლები არიან, ძაღლის ჯიშისა და ემსახურებიან ვიღაც მეფეს, ის მეფე ამარაგებს ამათ ყველაფრით ესენი კი დოვლათს უყოფენ... ასე რომ, მეფის სამსახურში იმყოფებიან, არ არიან ესენი ავაზაკები“... ჩუმიმ იკვირვა: „ეს როგორ?“. „როგორ და ეგრე... რა უნდა ამათ ჩაძირვას, ჩვენი მეფე თავს არიდებს, რადგან ის მეფე შემდგომ ომს გამოუცხადებს... მეკობრეები იშვიათად, რომ არ იყვნენ მეფის სამსახურში, ერთეულებია და მათ თავის ღირსების გამო, დიდიხნის სიცოცხლე არ უწერიათ, ესენი ყველაფერს იკადრებენ, ყველაფერს“. „გასაგებია, ერთი მინდა გკითხო, თუ არ გაწუხებთ“... შონის გაუკვირდა: „ძლივს არ ამოიღე ხმა, მთელი ეს დრო ერთი სიტყვა არ მახსოვს შენი... მკითხე, რა გინდა?!“. „როგორ უნდა გაარჩიო მეკობრეები?!“. „ნამდვილი მეკობრეები თავისუფლები არიან, არცერთ სამეფოს არ უხრიან თავს და ცდილობენ ვაჭრებს და მეფის მსახურებს დაესხნენ“. „ეგრე გამოდის შენც დაგსხმიან“. „დამესხნენ და გამიშვეს, რადგან იციან, რომ რაინდიც თავისუფალია და თუ უდგას მეფე-დედოფალს გვერდით მხოლოდ იმიტომ, რომ ისენი ღირსებით სავსენი არიან“... „ეხლა გავიგე მეტ-ნაკლებად რაღაც". შონიმ გადაუსვა ხელი თავზე და მეკობრეების გემს შეჰყურებდა... დიდი გზა არ დარჩენოდათ წმინდა მიწასთან მისასვლელად... ჩუმი არ იყო ნამყოფი წმინდა მიწაზე... მას გაგონილი ჰქონდა, მის არაჩვეულებრივ სილამაზეზე და იმ გრძნობაზე, რასაც ტოვებდა წმინდა მიწა დანახვისთანავე. რაინდი შონი, „შავი ალმასა“ და „ჩუმი“ წმინდა მიწის ქალაქის ქუჩებში ამხედრებულნი სასახლისკენ მიემართებოდნენ... „შავი ალმასი“ შეჰყურებდა ჩუმის გაკვირვებულ თვალებს: „მოგწონს წმინდა მიწა?!“... ჩუმიმ უსიტყვოდ თავი დაუქნია, თანხმობის ნიშნად... „შავმა ალმასმა“ შონს გახედა: „შეხედე, სულ დამუნჯდა“... შონმა ღიმილით გამოხედა ჩუმის და ჩაილაპარაკა: „მალე სასახლეს მივუახლოვდებით“... სასახლეში მისაღებ დარბაზში მეფე ბოლვინი, რაინდი შონი, ჩუმი და „შავი ალმასი“ საუბრობდნენ... ჩუმიმ უამბო დაწვრილებით ყველაფერი. მეფე ჩაფიქრებული ყურადღებით უსმენდა სამივეს... ჩუმიმ დაამთავრა საუბარი... მეფე დუმდა ჩუმიმ გამოხედა რაინდ შონს და ჩაფიქრდა. მეფემ თქვა: „ბააგრას არ მოუღწევია ოცნების კარიბჭემდე, ეს აშკარაა... ხალხი უნდა

გავგზავნოთ, ბააგრების ქალაქამდე... ამ მონაკვეთში თუ ვინმე მოსახლეობა არსებობს, ყველგან თითო ადამიანი უნდა დასახლდეს და სანამ ბააგრა არ გამოჩნდება, მკვდარი, თუ ცოცხალი, იქ იცხოვრონ... ქალაქშიც გაუშვათ ერთი კაცი, ვერცხლი და ოქრო არ დაინანოთ, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ“... მეფე დუმდა ჩუმის გახედა. და განაგრძო: „ჩუმი, შენი დაბრუნება, არ იქნება ვინსენტმა თვითონ უნდა უშველოს თავს, მე, რაც გამიგია, მასზე და მამამისზე, ვინსენტი არ დაეცემა... შენ ჩვენთან დარჩები თქვენი ხალხი ჩვენთან კარგად მოეწყვნენ... მიეჩვევი აქაურობას“... ჩუმი დუმდა... შონი მეფეს უყურებდა. „შავი ალმასი“ მეფეს ესაუბრებოდა... „ეს სულ დუმს მეფეო, ხმას ვერ ამოაღებინებ“. ჩუმზე თქვა შონმა. „დუმილი თანხმობის ნიშანია!“ უპასუხა მეფემ და ჩუმის გამოხედა. „ხომ ეგრეა პატარა ბიჭო?!“. ჩუმიმ მეფეს ახედა: „მეფეო თქვენს ქალაქში დედაჩემია, რამოდენიმე დღე მასთან გავჩერდები და შემდგომ ისე ვიზამ, როგორც ჩავთვლი საჭიროდ, კაპიტანი ნინო უნდა ვნახო, მგონი მასთან დავრჩები, რადგან ვინსენტი მასთან მოვა პირველ რიგში, ეხლა სხვა გემით მოვედით, არც მინახავს კაპიტანი, ყველას, ჩვენს ხალხს პატივი გვცა, განსაკუთრებით ვინსენტს“... მეფემ გაიკვირვა: „ნინოს საიდან დაუახლოვდით“. „დუქნიდან მეფეო“. უპასუხა ჩუმმა. მეფემ გაიღიმა: „მოიქეცი, როგორც თვლი საჭიროდ, კაპიტანთან რომ დააპირებ წასვლას, ჩემთან შემოიარე, საჩუქარს გაგატან მისთვის“. საუბრისას დარბაზის კარები გაიღო და რამოდენიმე რაინდი დარბაზის შვა გულისკენ თავისუფალი, ამავე დროს მძაფრი ნაბიჯებით მოემართებოდნენ... მათი შემოსვლა თითქოს ძალას ჰმატებდათ. მეფემ შონს გამოხედა: „შენ და ალმასი მოისვენებთ... მხოლოდ რაინდები დააკვალიანეთ და ჩუმის მიხედეთ, როცა დამჭირდებით მოგიხმობთ“... ახალ შემოსულ რაინდებს გამოხედა: „შონი და ალმასი ყველაფერს აგიხსნით... მთავარია ძლიერები ამოარჩიეთ საქმისთვის, ბააგრას ეხება ჩვენი წუხილი... ვფიქრობ გვიან, თუ ადრე გამოჩნდება პატარა პრინცესა... მის სისხლს კარგად ვიცნობ, ასე უბრალოდ არ ჩაკვდებიან... მიწიდან ამოვლენ და შურს იძიებენ სიკვდილიც ვერ გააჩერებს მაგათ“... მეფე გაჩუმდა... ყველა დუმდა.. მის სიტყვას ელოდა... ჩუმის აკვირდებოდა... ცოტა ხნის შემდეგ მიუგო იქ მყოფთ: „დავიღალე ფიქრით... ის ბავშვი გვენახა ამოვისუნთქებდი“... ამოიოხრა და გააგრძელა საუბარი: „დამტოვეთ ყველამ“. წუხილით დაასრულა მეფემ... დარბაზიდან ყველა გავიდა. მეფე მარტო დარჩა... მთელი ბააგრების დინასტია ახსენდებოდა და ფიქრობდა, პატარა

პრინცესაზე: „ვერ ვგრძნობ, რომ მკვდარია, აქედან გამომდინარე, ცოცხალია პრინცესა, ცოცხალი!!!“. რაინდები სასახლის ეზოში საუბრობდნენ... შონი უხსნიდა ყველაფერს... შავი ალმასი და ჩუმი ამხედრდნენ ჩუმის დედის სანახავად გაემართნენ, „რას იტყვი, ჩვენს მეფეზე, ხომარის კლდესავით, ლამაზი და ბრძენი“. წარმოთქვა ალმასმა. ჩუმიმ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად... შავმა ალმასმა თავი გააქნია და ჩუმის გასაგონად ჩაილაპარაკა: „მოკლედ, თუ არ უნდა, ამ ბიჭს ხმას ვერ ამოაღებინებ!“... ჩუმიმ არც გამოხედა ალმასს ისე ჩაილაპარაკა: „უაზრო საუბარს დუმილი სჯობს!“... ალმასმა არც დაასრულებინა: „ჰო და, ვიაროთ ასე ყრუ მუნჯებივით“... ჩუმიმ გამოხედა გაბრაზებულ ალმასს და ჩაუცინა... ალმასს არ გასცინებია: „იცინე, იცინე, ეს დუმილი სიგიჟემდე მიგიყვანს ერთხელ“. ჩუმიმ გზას გახედა, ცხენი ნელი სვლით მოდიოდა. ბიჭი მხოლოდ ვინსენტზე ფიქრობდა და გამოსავალს ეძებდა. იმდროს კი, დედამისს მასზე ფიქრმა, დარდმა და ნერვიულობამ ძალზე შეურყია ჯანმრთელობა... ჩამომჯდარიყო ქალი აივანზე და შორიდან მომავალ ორ მხედარს კანკალით აკვირდებოდა... ის ვერ არჩევდა თავის შვილს... ერთ-ერთმა მხედარმა სვლას მოუმატა... ქალი ფეხზე წამოდგა... მაინც ვერ არჩევდა მაგრამ გული მკერდს უნგრევდა...

ბააგრების ქალაქში საგიჟეთის საკანში ვითარება იძაბებოდა წუხილი მატულობდა. გამოსავალი არსაიდან ჩანდა... ექიმი საკნიდან აღარ გაჰყავდა ფორესტს... ვინსენტი ძალზე დასუსტდა... ამის შემხედვარე შუგი, ძია და ექიმი ძალზე წუხდნენ... ექიმს თავი აღარ ადარდებდა, ის მხოლოდ ვინსენტზე ფიქრობდა და ხედავდა როგორ ეცვლებოდა გამომეტყველება... დროდადრო ვინსენტთან როკი დიდ დროს ატარებდა, საკნის კარებთან საუბარს საუბარი მოჰყვებოდა... ექიმი ძალზე შეწუხდა და როკის უთხრა წუხილით: „გული ცუდს მიგრძნობს... მხოლოდ ერთი თხოვნა მაქვს შენთან“... როკიმ შეაწყვეტინა სიტყვა: „მორჩი ექიმო, დაგავიწყდა, ექიმი რომ ხარ?!“ ექიმმა ორივე ხელით ჩაავლო რკინის გისოსებს და გაფართოებული თვალებით მუდარით მიუგო: „მაცადე როკი!“ როკი დუმდა ექიმი აშკარად ნერვიულობდა: „ვინსენტს თვალი არ მოაშორო, იფიტება ბიჭი“. „შენ ექიმი ხარ, უნდა დაწყნარდე, კარგად იცი, ახლა სადაც ხარ, იქ გული არ გულობს, შენი ფიქრი გატყულებს“... ექიმმა ისევ მუდარით მიუგო: „როკი, ჩვენ ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს... მე გრძნობებზეც ვფიქრობ... ფორესტი აქ არ გამაჩერებს დიდხანს, რაც უნდოდა, ყველაფერი ისწავლა ჩემგან“... ექიმი გაჩერდა... როკი

წუხილით შეჰყურებდა, იმავე წუხილით გააგრძელა სიტყვა, თან უკან იყურებოდა, რომ ვინსენტს არ გაეგო, მისი ნათქვამი... ექიმი აშკარად ეცემოდა და ეს დაცემა მას არ ჰგავდა, ის ვინსენტის გამო, ძალას კარგავდა... „შეიხედე როკი საკნებში, ავადმყოფები თითქმის ყოველ დღე გადაჰყავდათ ძველ ციხეში. ვგრძნობ, ჩემი რიგი ახლოვდება, ვინსენტი მარტო არ უნდა დარჩეს არა!!!“ აღმოხდა ექიმს. როკი ჩაფიქრდა და ისე მიუგო: „იმ ბალახეულს რომ გაძლევთ, ის მხოლოდ ტვინს შეგინარჩუნებთ, იაზროვნებთ საღად, რაც არ უნდა მოუვიდეს სხეულს, ფორესტი რას და როგორ აზავებს ვერ გავიგე... ერთხელ ბადრაგების საუბარს ყური დავუგდე, იმას საუბრობდნენ, გადაყვანილი ავადმყოფები ტანად ძალზე იცვლებიან იკუნთებიან მახინჯურად, თან ძალზე ძლიერი ხდებიან და კიდევ თქვეს, ჩლუნგდებიან ძალზე, ვეღარ აზროვნებენო ფორესტი რასაც უბრძანებს დაუყოვნებლივ ასრულებენ და თუ ისე მოხდა, როგორც შენ ამბობ, იცოდე ჩლუნგს ვერ გაგხდის, დანარჩენი შენზეა დამოკიდებული, ჰო, მთავარი უნდა იცოდე! კლდის გამოქვაბულში არცერთი ბადრაგი არ შედის, მხოლოდ და მხოლოდ ერთი - ფორესტი! შესასვლელთან კი ძალზე ცოტა მეომარი დგას, რადგან ყველა, გამოქვაბულში მყოფი, ტვინით დაიმონა ფორესტმა და არანაირი გაქცევის შიში არ გააჩნია, იცის, რასაც აკეთებს“. ექიმი ჩაფიქრდა, წუხილი გაქრა მის სახიდან: „თუ მართლაც ეგრეა საშიში არაფერია, მთავარია ტვინმა არ მიღალატოს... ეს მაფიქრებს მარტო, ეხლა შენ დარწმუნებულიხარ, რომ დიდხანს გასტანს შენი ნაზავი“. ხუთი ზამთარი და ზაფხული ჩიტივით გექნება თავი... უპასუხა, ჩაფიქრდა, დააკვირდა როკის... „თქვი რას ფიქრობ“. შეეკითხა ექიმს. „რამე, ნაზავი გამიკეთე, თვალები და სახე რომ დამისიოს ნელ-ნელა, რათქმაუნდა, რამე უკეთესი რჩევა თუ გაქვს მითხარი"... „რასაც მეტყვი, გაგიკეთებ, ერთი ვიცი, აქედან ვერ გავიქცევი, იქ კი, შეიძლება გამოვიდეს რამე, მთავარია, გონებით საღად იქნები“. „ვინსენტისთვის რაღაც ნაზავი გააკეთე, ნახე, რა დღეშია... იმედს კარგავს“... როკი საკანში ვინსენტს დააკვირდა, კედელს მიყუდებოდა და სადღაც, სივრცეში იყურებოდა... როკიმ მიუგო ექიმს „და, დაუბრუნე იმედი, რის ექიმი ხარ... ეგეთი ბალახეული არ არსებობს, იმედი რომ დაგიბრუნოს... ფიქრები ერევა... ეს არის და ეს“. „ახალგაზრდაა, როგორ აიტანა ყველაფერი ჩემამდე არ მოდის“ თქვა ექიმმა. „ძლიერია მამამისივით, არაფერი მოუვა, სჯობს შენს თავზე იფიქრო და შემდგომ მასზე, ასე ორივე დაიღუპებით, ჩემი სწავლა გინდა შენგან ვისწავლე... დაგავიწყდა?!“. ძია ის და შუგი

მოწყენილი იჯდნენ ვინსენტის გვერდით... ვერცერთი ხმას ვერ იღებდა... სათქმელი გამოილია... ექიმი და როკი საუბარს აგრძელებდნენ. ექიმი ძალზე ჩაფიქრდა კლდის გამოქვაბულზე.

ამ დროისთვის ფორესტი კლდის გამოქვაბულში იმყოფებოდა... იქ მყოფნი, ყველა მწკრივში იდგა და იმ სითხეს ღებულობდა, ფორესტის მომზადებულს... გამოქვაბულში თითქმის ხუთი ასეული ავადმყოფ-პატიმარი იმყოფებოდა. ნახევარი ასეული საკნებში იყო დამწყვდეული... ისინი საშიში ავადმყოფები იყვნენ... ოთხი საკანი იყო გამოქვაბულში ძალზე შეკრული, იმავე დროს პატარა ზომის... ავადმყოფები საკანში თითქმის ერთმანეთზე იდგნენ... თან ვერ გრძნობდნენ ვერაფერს... ფორესტი მორჩა სითხის დარიგებას და ავადმყოფებს აკვირდებოდა... ისენი, ვინც საღ ჭკუაზე იყვნენ, ფრენკის გაქცევის შემდგომ, ყველა დაადებილა თავის წამლით, ცოტა ხანში საკნები გაიღო და ყველა ფორესტს, შემოეხვია... ყველა, გამონაკლისის გარეშე, ბავშვივით და სულელივით იქცეოდა... ფორესტი ეფერებოდა მათ, თან ეუბნებოდა: „ჩემი რაინდები, ჩემი ძვირფასები, ძლიერები, ჭკვიანები, ლამაზები“. თითქმის ყველა მათგანს სხეული შეცვლოდა მახინჯურად დაკუნთულები, ალაგ-ალაგ სახეები მოღრეცილი ცხვირი ზოგს დასიებოდა, ზოგის რა და ზოგის რა... ფორესტი ეფერებოდა, დადიოდა გამოქვაბულში ეთამაშებოდა, იცინოდა, უმეტესი კოცნიდა მის ხელებს, ზოგი იჯდა, ზოგი წამოწოლილიყო, შვა გულში დიდი კოცონი ენთო... ეუცრად ფორესტმა იყვირა... მოულოდნელობისგან ყველა გაჩუმდა... ბრძანება აღასრულეს უსიტყვოდ. „ყველა ფეხზე ადექით!" ავადმყოფებს დროთა განმავლობაში მეტყველობა ეკარქებოდათ... ისინი ღმუოდნენ... ფორესტმა ირჩია ერთი ადგილი და ქვაზე სიმაღლეზე დადგა, გულზე ხელი დაიდო და სიმღერა წამოიწყო: „ჩემი დროშაა სამშობლო, ჩემი სამყარო...“ ფორესტი გაჩერდა, ჩაფიქრდა და მიუგო გაბრუებულ პატიმრებს: „დროშას ყველა ერთად შევქმნით“. ამ სიტყვებით მან სიმღერა გააგრძელა, მთელი სიამაყით. ფორესტი ტიროდა, ავადმყოფები ღმუოდნენ, ზოგიც ტიროდა ყვიროდა... ყველა ტაშს უკრავდა... ფორესტმა სიმღერა დაამთავრდა... გაშეშებული იდგა... გულზე ხელდადებული... რამოდენიმე ხანში ფორესტმა ისე იყვირა, შეზანზარდა გამოქვაბული: „ეხლა თქვენს მტერს შემოვიყვან, რომელსაც ფიქრად მოუვიდა ჩემი სიკვდილი... მას უნდოდა თქვენ უპატრონოდ დაეტოვებინეთ“... ამ სიტყვებით ფორესტი გასასვლელისკენ გაეშურა...

ავადმყოფები ბავშვებივით დადუმდნენ. ფორესტს თვალს არ აშორებდნენ... კლდის ქვას მოეფარა... გაისმა კარების ხმაური... ცოტა ხანში ფორესტი ისევ გამოჩნდა... მისთვის თმებში ჩაევლო ორ ადამიანს ხელი, მათ ხელები ჰქონდათ გადამტვრეული... ორივე შიშიგან კანკალებდა... ავადმყოფების დანახვაზე ერთ-ერთი დაეცა, ფორესტმა წიხლი ჩაარტყა და ისე მიათრევდა გამოქვაბულის შვა გულში... მეორე კი კანკალით მისდევდა ფორესტს... გაჩერდა, ფეხზე მდგომ მამაკაცს უბრძანა დაცემულის თრევა... ავადმყოფები შემოეხვიენ ფორესტს და მის მოყვანილ ორ მამაკაცს ზოგი უღრენდა, ზოგი ათვალიერებდა მათ, დაცემული ფეხზე ადგომას არ აპირებდა... ეგდო, კანკალებდა შიშისგან... ფეხზე მდგომი არა ნაკლებ მდგომარეობაში იმყოფებოდა... ფორესტი ავიდა სიმაღლეზე და იყვირა: „შეჭამეთ!“ უმალვე შეტრიალდა და გასასვლელ კარისკენ გაემართა. ატყდა ხმაური... არაადამიანური ღმუილი... ფორესტი არ ანელებდა სვლას... ერთი გამოხედა ავადმყოფებს შეუჩერებლივ გავიდა... გამოქვაბულში კარების ხმაური გაისმა... კარი დაიკეტა... ფორესტი გაჩერდა... ჩასასვლელ კიბესთან და დუმილით გადაჰყურებდა გარემოს... ჩაილაპარაკა: „ყველა დავაჩლუნგე, თუ არა, ისიც ვნახოთ!“ გამოქვაბულში ყვირილის, აუტანელი ღმუილის ხმა ისმოდა. ავადმყოფები ორ ადამიანს ნაწილ-ნაწილ გლეჯდნენ და ცოცხლად ჭამდნენ ორივეს... ფორესტი კლდის კიბეებიდან ეშვებოდა. მას თავის თავი ყოვლის შემძლე წარმოედგინა... უნდოდა დიდი რაოდენობის ადამიანების ტვინი დაეპყრო, რათა დიდი, უთვალავი ჯარი შეექმნა... არცერთი სახელმწიფოს დაბყრობა არ სურდა... თითქოს თავს უმტკიცებდა რაღაცას და ამავე დროს ამით ერთობოდა... თვით, თავის თავი დააზომბა და რას ფიქრობს ზომბი მთლიანობაში ამ ქვეყნად, ამის გაგება არავის ძალუძს... ფორესტი ტყისკენ მიეშურა... რამოდენიმე ცოფიან მეომართან ერთად ცხენზე ამხედრებული... დამტკბარი ქვეყნიერ ამაოებით... გრძნობდა თავის ძალას ადამიანებზე ჩაიგდო ხელში, ვინც კი მოისურვა, ისინი ნებდებოდნენ. ამით ამარცხებდა მოწინააღმდეგეს, რომელსაც აზრად არც მოსვლია, რომ მის წინაშე მისივე სიკვდილი იდგა... ტკბილი, თბილი, თავმდაბლური ქცევა, მორჩილებას, სირცხვილის, მორიდების გამოხატვა... ეს იყო ფორესტის მომაკვდინებელი იარაღი, რომელსაც ის ძალზე კარგად ფლობდა... ფორესტი როკის სამფლობელოში აღმოჩნდა... ცოფიანი მეომრები იქვე, ტყეში, ახლოს დატოვა... იგი როკის ოთახებს ათვლიერებდა ჩაფიქრებული... ყოველ კუნჭულს აკვირდებოდა... ბალახეულს

აფასოებდა... რამოდენიმე თიხის ჭურჭელი ერთად შეკრიბა... როკის საძინებელს მიუახლოვდა... ოთახში გაუნძრევლად იდგა... აუჩქარებლივ ათვალიერებდა მიწაზე დაგდებულ კენჭსაც კი... ოთახში იატაკი მთლიანად მიწიანი იყო. მხოლოდ ერთი, ხის ლოგინის მაგვარი, იდგა ქვებზე... ჭერიდან და კედლებიდან წყლის წვეთები ეცემოდა... რაც ხმას გამოსცემდა... ფორესტმა ჩირაღდანი ჩააქრო... წამოწვა ლოგინზე... მკერდზე ბალახეული დაიყარა და წყლის წვეთების ხმას მიუგდო ყური... გვერდით ოთახიდან პატარა ჩირაღდნის შუქი ოდნავ აღწევდა საძინებელში... ფორესტი ერთს ფიქრობდა, რა ამოძრავებდა როკის და რას ფიქრობდა ის ძილის წინ, გონებაში... როკის სხეულში აღმოჩნდა და მისი ტვინით... ფიქრს მიეცა... ის მთლიანად ცდილობდა გარდასახულიყო როკის სხეულში... დუმილს, ფიქრს მიცემული მკერდზე დაყრილ ბალახეულს ღეჭავდა... თითქოს გონება გაეხსნა უცებ შეშინებული წამოდგა... ორივე ხელით ლოგინს წაებღაუჭა... გვერდით ოთახიდან შუქს დააკვირდა, დამშვიდდა თითქოს და ჩუმად, თითქოს როკის ეკითხებოდა ისე ჩაილაპარაკა: „სამყაროს ხედავდი ბებერო! ხომ ეგრეა?!“ ფორესტი გაუნძრევლად, გაკვირვებული იჯდა ლოგინზე... ის მთელ სამყაროს ხედავდა, გონებით, კაცობრიობას, რომელსაც მხოლოდ ჭამა-სმა აწუხებდა... ხელისუფლების ხელში ჩაგდება, სხვისი დამონება უაზრო სიცოცხლეს და მასთან ერთად დამაფიქრებელ ამოუცნობ სიკვდილს... ფორესტმა, როგორც ექიმმა, ამ შეგრძნებებიდან ახალი ცოდნა შეიძინა და როგორც აწყობდა, ისე მიუდგა ამ საქმეს... ჩაფიქრებული, გაუნძრევლად აკვირდებოდა თავის გრძნობებს, ფიქრობდა: „ნებისმიერის მოტყულება შეიძლება, შეუცდომელი არავინ არარის, შეცდომილს ტკბილად მიუდგები და ის შენია, მზად გყავს დასაზომბებლად, ხედავთ, ბებერი ამ მიწისქვეშ რამხელას ხედავდა, მე კი, ვერ დამანახა სულელმა... ტკბილმა ენამ დააბრმავა, თავმდაბლობამ... რა კარგად მასწავლიდა მამაჩემი: „ელაპარაკეო შვილო! ტკბილად თბილად დამარხე რამდენიც გაგიხარდება“... ისედაც ბრმები არიანო, რაც ესმითო ტკბილი, თბილი, იმისი სჯერათო, რასაც ხედავენ, იმას არ უჯერებენო... „ჰოდა მარხე შვილო, ბრმები სანამ თვითონ არ დაგმარხესო!“ შეხედე! ცოტა ხანი აქ ვარ და დაღლილობა მთლიანად მომეხსნა, მშვენიერია“... ფორესტი ფიქრს აგრძელებდა... აიხედა ჭერისკენ და იყვირა სიხარულით: „მე დაგამარცხე უტვინო ბებერო, მე!“ - თქვა ექიმმა ფორესტმა. წამოდგა, ბალახეულის შეგროვებას შეუდგა წასაღებად თიხის, სავსე ჭურჭლებთან ერთად თან ხმამაღლა საუბრობდა... ოთახის

კედლებს, მაგიდას, მიწას, ფეხ-ქვეშ, ყველაფერს, რაც იქ იმყოფებოდა ესაუბრებოდა: „მე ხშირად მოვალ თქვენთან, ჩემო კარგებო.. სუყოველთვის გაგესაუბრებით... მე ვიცი, რომ თქვენ გესმით ჩემი... მე კი, იცოდეთ მესმის თქვენი... ჩემო ლამაზებო და ჭკვიანებო... დღეიდან მიმიღეთ ისე როგორც მეგობარი მაფიქრეთ თქვენთან ერთად, ამას გთხოვთ, სხვა არაფერს“... ფორესტი საძინებელს მიუახლოვდა, დაემშვიდობა ოთახს და შეგროვილი ნივთებით დატოვა როკის მიწისქვეშა სამფლობელო... დაღამებისას ფორესტი ქალაქში შევიდა... კმაყოფილი თავის საძინებლისკენ მიეშურა... წამოწოლილი შესვენებას აპირებდა, რაღაც ვერ ასევენებდა... ვერა და ვერ მიეცა ძილს... ბოლოს ჟორდანი და დებოს საძინებელთან გადაწყვიტა მისვლა... სასახლეში სიჩუმე იდგა. ცოტა ხანს დერეფანში იდგა და ყურს უგდებდა სიჩუმეს... მიუახლოვდა დებოს საძინებელს... ფრთხილად სკამი მიადგა და ასეთივე სიფრთხილით ავიდა ზედ... თითქმის არ სუნთქავდა... სიფრთხილეს მას ვერ წაართმევდი, საფრთხეში თავს არ ჩაიგდებდა... კარის თავზე ჩირაღდნის ადგილი იყო... ისე, რომ ოთახის მხრიდანაც ჩირაღდანი მაგრდებოდა... პირღია მდგომარეობაში მყოფი, ჩირაღდნებით განათებულ ოთახში იყურებოდა... ბოროტი ღიმილით...

ჟორდანი და დებო ვნებას მიცემულნი, ბინძურად ერთობოდნენ. ფორესტი აკვირდებოდა შიშველ სხეულებს... მას არ აწუხებდა ვნება... დასცინოდა ადამიანის ამ მდგომარეობას... ახლა სიცილს იკავებდა, ფიქრობდა: „ესეც მშვენიერი ხაფანგია, მე მომწონს დებო! ჩემო სულელო დებო! ალბათ ფიქრობ, ექიმი ფორესტი შენი საჯდომის ხაფანგში გყავს, გამომწყვდეული... ჰო და იფიქრე, იფიქრე!“... ფორესტი არ აშორებდა მზერას მათ, ღიმილით შეჰყურებდა, როგორც სუსტ, სულიერ ადამიანებს... იგი ზომბირებულთა მხედართმთავარი, ზომბი იყო, ისე რომ ვერც გრძნობდა ამას... მშობლებისგან ნასწავლი და მათი შემყურე, ის გაიზარდა, რაც დაიბადა... ღორი შობს ღორსა და ძაღლი ძაღლს, ფორესტი მალევე თავის საძინებელში დაბრუნდა და თავის არანორმალურ ფიქრებს მიეცა.

სასახლეში მცხოვრებნი ჩვეულად საუზმისთვის ერთად იკრიბებოდნენ... ჟორდანი კმაყოფილი იყო მიმდინარე ცვლილებებით... ცოფიანი მეომრების მხედართმთავარი - ბოლი თავის ქვეყანაში დაბრუნდა დიდ ძალი მეომრები დაუტოვა და ეხლა მთელ სახელმწიფოს თვითონ მართავდა უშიშრად... ერთიღა აფიქრებდა... წმინდა მიწის

დაბყრობა სურდა... მას მოახსენეს, რომ სახელმწიფოდან გაქცეულებმა წმინდა მიწას შეაფარეს თავი... ჟორდანი აუჩქარებლივ ემზადებოდა წმინდა მიწის დასაბყრობად... თითქმის ყველა ურჩევდა, დაევიწყებინა გაქცეულები, მაგრამ შური არ ასვენებდა, ყველანი მაგიდას მიუსხდნენ, თავის მეუღლეს ვნებიანი თვალებით შეჰყურებდა, სხვისთვის შეუმჩნევლად, თან ტკბილებულობას მიირთმევდა ენით ნაზად ტუჩებს იწმენდდა, მის გვერდით მისი შვილი ჩამომჯდარიყო, მისი საყვარელი, როგორც თვითონ ეძახდა, ულამაზესი პრინცი იდი, იგი კმაყოფილი იყო ყველაფრით და ყველაზე მეტად ვინსენტის ჭკუიდან გადასვლით... იდი და ბოზა მთელ ქალაქში ავრცელებდნენ ვინსენტის დაცემას... ის მეფობდა ქალაქში, როცა მამამისი არ იყო... მის გვერდით, მისი ყველაზე ახლო მეგობარი ბოზა - პატარა ბავშვი, რომელსაც რძე არ შეშრობია ტუჩებზე უზომოდ ამცირებდა ადამიანებს და სისასტიკით გამოირჩეოდა... არც იდის და არც ბოზას აღარაფერი ადარდებდათ... ისენი ძღებოდნენ ადამიანის დამცირებით... ბოზა ქალაქში რამდენჯერაც დაინახავდა ნეა-ბალანჩის, მწარდებოდა, რადგან ვერ ეხებოდა მას, პატარა წლოვანების გამო... ნეას შემყურე თავისთვის ფიქრობდა: „გაიზრდები, სად წახვალ?“ ნეა პატარა იყო, მაგრამ გრძნობდა ბოზას გამოხედვას და სიმწრისგან ფიქრობდა: „ამოგთხრი მაგ თვალებს!“ ძალზე პატარა, მაგრამ დიდი გულით, უშიშრად უსწორებდა ბოზას თვალებს... ნეას გლეხები პატრონობდნენ და არიდებდნენ ბოზასთან შეხვედრას... გლეხები ატყობდნენ ნეას არანორმალურ აგრესიას ბოზას მიმართ... როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ვინსენტის ჭკუაზე გადასვლაზე ნეა ყველასთვის გასაგონად სიმწრით, იმავე დროს მთელი ღირსებით მიუგებდა: „მე ვინსენტს ვიცნობ, ის ანახებს ყველას ჭკუიდან გადასვლას“... ამ დროს კი ნეა ვინსეტნს მხოლოდ შეხედვით იცნობდა, მაგრამ მის გულში ერთ-ერთი ტკივილი ვინსენტიც იყო... ბოზა იდის გვერდით ჩამომჯდარიყო... თავადივით მიირთმევდა სანოვაგეს... ჟორდანი იქ მჯდომ მხედართმთავრებს დააკვირდა... მათი სადღეგრძელო შესვა და მიუგო ჩვეულებრივ: „ვფიქრობ ყოველ შემთხვევისთვის სანდო ხალხი გავგზავნოთ ყველა ქალაქში და სოფელში, რათა შეიტყონ უცნობი ბავშვი ხომარ დასახლდა ამ დროის განმავლობაში"... ჟორდანი გაჩერდა, ჩაფიქრებულმა გააგრძელა: „ბააგრა არ ამომდის თავიდან, არა მგონია, იმ ტყეში გადარჩენილიყო, მაგრამ ძაღლის თავი სად მარხია, ვინ იცის?!“. დადუმდა, მხედართმთავრებს შეჰყურებდა... მის ახლოს მჯდომი ბოზა გაშეშებული დასცქეროდა

სუფრას... ერთ-ერთმა მეომარმა მიუგო: „მართალი ბრძანდებით, დრო გვაქვს, უსაქმურად ვზივართ ამხელა ჯარი, თუ ცოცხალია ბააგრა, სადმე თავს შეაფარებდა, ვერ გაბედავდა მკვდარი ზღვისკენ წასვლას, თუ მოკვდა, მის ძვლებსაც ვიპოვით, თქვენ მხოლოდ გვიბრძანეთ“. მეომარმა ხარხარით დააბოლოვა სიტყვა... იდის სიცილი აუტყდა.. ბოზა თავს იკავებდა... ჟორდანი ამ დროს თვალს არ აშორებდა მეომარს: „კარგი, შენ მიხედავ მაგ საქმეს“. ყველას თვალი გადაავლო... მზერა ფორესტზე შეაჩერა: „თქვენი მკურნალობა როგორ მიიწევს წინ?!“. ფორესტმა ნაზად, მშვიდად, თავმდაბლურად გამოხედა: „თქვენი წყალობით, ჩემო მეფეო, არავინ ხელს არ მიშლის, პირიქით, მშველიან ჩემო ბატონო“... ჟორდანს ესიამოვნა ფორესტის თავმდაბლობა: „რაინდის შვილი მართლაც ძლიერ არის ჭკუიდან გადასული?!“. „ძალზე ძლიერ ბატონო!“. „რა მოსდის?!“ ფორესტი გათამამდა, ექიმის ქედ-მაღლობით, სიხარულით მიუგო: „საავადმყოფოში, ახლად გადმოყვანილი, თივას ითხოვდა, თითქოს თავის ცხენებისთვის... ეხლა კი წყალს ითხოვს, თითქოს უნდა დაბანოს“... ჟორდანმა შეაწყვეტინა საუბარი და გაკვირვებით მიუგო: „ვერ გავიგე, ვის ბანს?“ ფორესტს გაეცინა და ნიჭიერად გაუგრძელა საუბარი: „თავის ცხენებს, რომლებიც თითქოს საკანში ჰყავს... წყლის თხოვნაზე მე ერთი კითხვა დავუსვი - : „თივა აღარ გინდა მეთქი, ცხენებისთვის? პასუხი მთლიანად შეშლილს ეკუთვნოდა - : “ვერ ხედავ რამდენი თივა ყრია, დაიხედე ძირს, ბრმა ხომ არახარო!“. ჟორდანმა გაკვირვებით მიუგო: „საკანში თივა მართლა ეყარა?!“ ფორესტმა ღიმილით მიუგო: „საქმეც მაგაშია, რომ თივა მართლაც უამრავი ეყარა“... ჩაფიქრებულად დააბოლოვა სიტყვა ჟორდანმა, გაკვირვებით შეხედა...იდი, ბოზა, ნოზა, დებო, ესენი ყველა ყურადღებით უსმენდნენ საუბარს. „შესაძლებელია ჭკუას დაუბრუნდეს?“. იკითხა ჟორდანმა.: „რომც ინატროს ვინმემ მისი გამოჯამრთელება, ისეთ ნაზავ ბალახეულობას ვუმზადებ საჭმელში, ყველაზე ჯამრთელი, ძლიერი ვერ გადაიტანს მაგას... მერწმუნეთ, მის ტვინს ბოლო მოეღო... წარმოიდგინეთ! ცეკვავს, მღერის, თავის ცხენებთან ერთად... თან იძახის სამი შავიაო, ერთი კი თეთრიო... ცხენებზე! ჩემო მეფეო“. ჟორდანმა გაკვირვებულმა შიშით გაუღიმა: „ისე სჯობდა, იქვე მოეკლათ რომ დაიჭირეს, მამამისი უსათუოდ მკვდარია, როგორც სხვა რაინდები, ბააგრას მარტო არცერთი მიატოვებდა... რას მიათრევდნენ ციხეში, მოეკლათ ეხლა ავადმყოფს უყურე, სად და როდის რა მოუვა თავში“... ფორესტს გაეცინა: „მეფეო! თქვენ ეგ ცოცხალი ხომ არ გგონიათ, ის მკვდარია, მას არც თქვენ, არც ეს

სახელმწიფო და არც მშობლები, თავის რაინდებთან ერთად, არ ახსოვს, ის თავის ცხენებს უვლის ბატონო ჩემო!“... „არ მესმის თქვენი ექიმების არაფერი... ერთს გეტყვით, თუ რამე დაგჭირდათ, გინდაც მსახურნი, ჩემს უკითხავად გრთავთ ნებას, ისარგებლოთ... ექიმი თქვენ ხართ და თქვენ აგებთ პასუხს ყველაფერზე, რაც მოხდება“. „თქვენს ნდობას გავამართლებ და არა მარტო სიხარულით, გაგაოცებთ კიდეც!!!“ ფორესტი ფეხზე იდგა, მარჯვენა ხელი გულზე დაიდო... „დაბრძანდით ექიმო! დაბრძანდით“... ჟორდანს ძალზე სიამოვნება მის მიმართ მიგებული პატივი... დებო საუბარში ჩაერთო: „მე მჭირდება მსახურნი, არ მყოფნის“... თითქოს მორიდებით და ამავე დროს ამაყად მიუგო თავის მეუღლეს... ჟორდანმა მშვიდად შეხედა: „დედოფალი ბრძანდებით ქალბატონო! თქვენი მსახური ვართ ყველა, ვისაც კი ხედავთ“... დებომ შეიფერა დიდება და საუბარი გააგრძელა, ყველას აგრძნობინებდა ხელში ჩაგდებულ ხელისუფლებას. ძალზე ამცირებდა სახელმწიფოში დარჩენილ თავადებს და ცდილობდა ყველა დაემონებინა... ყველა პატივით და შიშით ებყროდობნენ მას... იდი და ბოზა ერთმანეთში საუბრობდნენ გახარებულნი: “ეს შენ გადაიყვანე ვინსენტი ჭკუაზე“. წარმოსთქვა იდიმ. „რა თქმა უნდა და ეს პირველი და უკანასკნელი არ არის“. უპასუხო ბოზამ. „მისი ნახვა არ გვჭირდება, რაც საჭიროა კი მიუგეთ, ხომ იცი, ბოზა მე შენს გვერდით ვარ, ვინ გინდა კიდევ გადავიყვანოთ ვინსენტთან მეზობლად?“ იდიმ ჩაიცინა, ბოზამ ღრენით მიუგო: „პატარა ვირთხა მშლის მაგრად... შუაზე მინდა გავგლიჯო“. „რომელი ნეა?“. „ჰო, ის ბალანჩი, ვერ ვისვენებ რომ ვხედავ ქალაქში დადის“. „ჯერ პატარა�ა, ნუ ჩქარობ გაიზრდება და ჩვენი საკუთრება გახდება, ეხლა ვერ შევეხებით ძალზე პატარაა“. „მეც ეგ მაჩერებს, აქამდე მივაბამდი ბოსელში“. „ბოზა შენ ჩემთვის ძმასავით ხარ, ჰოდა, გჩუქნი მაგ ბალანჩის შენი კუთვნილებაა იცოდე, შეგიძლია უთხრა კიდევაც... იმ გლეხებმა კი გაზარდონ სანამ“... ბოზამ გაიხარა: „მონად დავიყენებ სახლში, ისე მგონი ლამაზი გაიზრდება მე მაგას ვანახებ ნეა ბალანჩის!“. დებო საუბარს არ წყვეტდა, თითქმის ყველა იქ მყოფნი შეწუხდნენ მისგან. ექიმი - ფორესტი მალავდა პატიმრების გაქცევას კლდის ციხიდან... ბადრაგებს, ცოფიან მეომრებს სამმაგ ხელფასს უხდიდა, ყველა კმაყოფილი იყო, არცერთს ენა არ გაჰქონდა, ფორესტი ოჯახს ქმნიდა ძლიერს და ურყევს... ეს ძალზე კარგად გამოსდიოდა... ყველა ნებით თუ უნებლიედ ასრულებდნენ ფორესტის ბრძანებას.... ნოზა დამშვიდებული მიირთმევდა საკვებს... გადახედავდა თავის შვილს და

ხარობდა მისით... ჟორდანი ჩაფიქრებული გადაჰყურებდა ყველას თავს იმშვიდებდა „ყველაფერი კარგად მიდის! ყველაფერი კარგად არის!“. სიწყნარე და მშვიდობა მხოლოდ მოჩვენებითი იყო, თითოეული მათგანი ერთმანეთის მტერი და სიკვდილად მოვლენილი იყო... ამ დროისთვის ერთ-ერთი გადარჩენილი რაინდი ფოცხვრების ბუნაგში იმყოფებოდა... მეტ ნაკლებად ნაიარევები მოშუშებოდა... სიარული მაინც უჭირდა და ბუნაგს არ ტოვებდა... ფოცხვრებს ხშირად უწევდათ სანადიროდ გასვლა. რაინდი სონი ბოკვრებთან რჩებოდა... ფოცხვრების დაბრუნებისას სონი თოვლზე დარჩენილ კვალს მალავდა ყოველ შემთხვევისთვის... ფოცხვრები გრძნობდნენ სონის ყურადღებას... პატარა, ოთხი ბოკვერი ძალზე დაუახლოვდნენ სონის, მიირთმევდნენ თუ არა, დედის რძეს, ეგრევე სონისკენ მირბოდნენ დასაძინებლადაც კი სონისთან ირჩევდნენ ადგილს... სონი დამშვიდებული იყო. ის სიკვდილს გადაურჩა და გაზაფხულზე გზის გაგრძელებას ფიქრობდა... მაგრამ საით წასულიყო, ვერ გადაუწყვეტია... არიდებდა მამალ ფოცხვრებზე თვალის გასწორებას ის მაინც, არც თუ ისე მწარედ, მაგრამ უღრენდა რაინდს... თეთრი არწივი არც თუ ისე შორს იყოფებოდა ფოცხვრების ბუნაგიდან... გველების გამოქვაბულში არწივს ფეხები მოუშუშდა... ფრთებს ჯერჯერობით ვერ შლიდა.. ძალზე გასუქდა... ხშირად გამოდიოდა გამოქვაბულიდან და შუა კლდიდან გადაჰყურებდა გარემოს წიწილა გველთან ერთად... სულ მის გვერდით იმყოფებოდა... ყოყოჩობდა სისინით, ძალას, დაცვას აგრძნობინდებდა არწივს.... არწივის გაფაჩუნებაც კი და წიწილა გველს თვალი ღია ხქონდა... სიცივის გამო, შემოეხვეოდა არწივს. დედა გველი კი ორივეს ეხვეოდა,... ცივ ნიავსაც კი არ აკარებდნენ თეთრ არწივს... არწივიც თავს დედოფლად გრძნობდა... წუხილით, სევდით სავსე ბააგრაზე სიზმრებშიც კი მასთან ერთად იყო... ყივილით ეღვიძებოდა და ბააგრას ეძებდა... წიწილა გველი ცთილობდა დაემშვიდებინა, დაეწყნარებინა პატარა არწივი. სევდით შეუსრიალდებოდა მკერდში... და გველი კი თვალებს არ უჯურებდა.. ის სიცივისგან და შიმშილისგან არწივს იცავდა...

უდაბნოს მარგალიტი აბი სწავლას არ წყვეტდა და თითქმის ყოველ საღამოს ქალაქში იპარებოდა... სულთანს ეგონა, რომ ის მატილდასთან იმყოფებოდა... მატილდას კი ეგონა, რომ აბი სულთანთან ატარებდა საღამოებს... მატილდა არ იშლიდა თავის გადაწყვეტილებას არაბეთიდან წასვლაზე... სულთანმა შეიტყო მატილდას ძრახვა

აბისგან... ერთ დღეს მატილდა და აბი ბაღში სეირნობდნენ და ფარშავანგებს საკვებს უყრიდნენ: „ჩემს მიტოვებას როდის აპირებ?“ აბი უყრიდა ფარშავანგს საკვებს და ისე ეკითხებოდა მატილდას. „შენს მიტოვებას არ ვაპირებ, მოვეწყობი, თუ არა მაშინვე ჩამოვალ... შენს მეტი არავინ მყავს ამ ქვეყანაზე, როგორ უნდა მიგატოვო“. „რატომ მტოვებ!“ მატილდა წინ დაუდგა აბის ცხვირზე თითი მიადო, აუწია მოწყენილი სახე: „ცხვირი მაღლა აწიე პრინცესა!“. მატილდა ჩაიცუცქა... აბიმ ცრემლები ვერ შეიკავა, გადაეხვია მატილდას. „ძალზე მოვიწყინე, ხომ ხედავ, ყველა ქალი პატიმარივით არის, მე კი, არ შემიძლია ტყვედ ყოფნა, არ დამითვლია, რამდენჯერ ვარ გაქცეული მონობიდან“. მატილდა ფეხზე წამოდგა და ყურში ჩასჩურჩულა სიყვარულით აბის: „ჩემი აბი ისეთი პატარა და დაუცველი აღარ არის, პრინცესამ კი ცრემლები უნდა დამალოს“... ბააგრა ამ დროის მანძილზე ძლიერდებოდა, იზრდებოდა, მაგრამ ის პატარა, მოსიყვარულე გული მაინც ბავშვის რჩებოდა, მატილდამ უნებლიედ თვალები ასწია... პალმის ფოთლებს შორის სასახლის აივნიდან სულთანი შეჰყურებდათ... ორივე ხელით აივნის სახელურზე ჩაჭიდებული, ჩაფიქრებული... თვალი გაუსწორა მატილდას... მის თვალებში გულის ტკივილი ჩანდა... აბიმ გახედა თვალი გააყოლა მატილდა მზერას... ვერ გაიგო, რას შეჰყურებდა ის... ხელი მოჰკიდა... სევდით მიუგო: „რას უყურებ?“ „სულთანი აივნიდან გვაკვირდებოდა“. მიუგო მატილდამ. აბიმ გაიხარა. „რა გაგიხარდა?!“ მატილდამ იეჭვა, რომ აბის ნათქვამი ჰქონდა სულთანზე ყველაფერი... „რაც ვიფიქრე მართალია?!“ აბი ყურადღებას არ აქცევდა. „მითხარი, შემომხედე, მართალია, თუ არა?“. აბის სასახლის კიბეები თვალში ეცა... ვიღაც ჩამოდიოდა კიბეებზე... გახედა, შემდგომ მატილდას ახედა და რბილი სიმკაცრით მიუგო: „მართალია, მართალი“... „რა?!“ აბიმ მშვიდად გააგრძელა, თან ხელი სასახლისკენ გაიშვირა: „ეგერ, მოდის და მას უთხარი, სად მიდიხარ“... ამ სიტყვებით აბი ფარშავანგებისკენ მიტრიალდა სიხარულით და ჩვეულად საკვებს უყრიდა... მატილდამ მათზე მომავალი სულთანი იხილა, სწრაფად ჩადრი სახეზე აიფარა და ჩუმად წარმოსთქვა: „შენგან ამას არ მოველოდი“. აბიმ მშვიდად ჩაილაპარაკა: „აბა რას ელოდი, წითელ ხალიჩას გაგიშლიდი ახლა უდაბნოში“. აბიმ სულთანს გახედა, თვალები გაუსწორა და მის დასანახად თვალებზე ცრემლებს იწმენდდა. მისმა სევდიანმა გამოხედვამ სულთანს გულზე ცეცხლი მოუკიდა... უახლოვდებოდა მათ... მატილდა ერთ ადგილზე თავდახრილი გაჩერდა და აბის შეჰყურებდა, როგორ იშორებდა ცრემლებს

თვალებიდან... მისი შემხედვარე სიხარულით აივსო... სულთანი მიუახლოვდა მათ... „კარგია, რომ ერთად შემხვდით!“ მან ყურადღება მატილდას მიაპყრო. „თხოვნა მაქვს შენთან“... „გისმენთ სულთანო“. „გავიგე ჩვენს მიტოვებას აპირებ, ნება შენია, არავინ ძალით აქ არ დაგაკავებს... თხოვნა ამისრულე და რასაც მოითხოვ ჩემგან, ყველაფერი იმ დღესვე ასრულდება, სულთანის სიტყვას გაძლევ“... აბი თითქოს გაშრა, ხელი მატილდას ხელს ჩასჭიდა და გაშეშებულმა ახედა... მატილდამ თავი ასწია, სულთანს თვალი გაუსწორა და მშვიდად მიუგო: „როგორც ინებებს შახ-ნამე, ისე იქნება, ჩემო სულთანო!“. აბი თითქოს ყვავილივით გადაიფურჩქნა... სულთანმა მას გამოხედა: „მატილდასთვის, ესეც გავიგე, არ გითხოვია დარჩენა“... აბიმ, თითქოს არაფერი, ისე მიუგო: „დავიბენი, ლაბირინთში აღმოვჩნდი“... მერე მატილდას ახედა: „დარჩები ხომ?“ მატილდამ ღიმილით მიუგო: „როგორც ინებებს პრინცესა“... აბი სიხარულით შემოეხვია... მეორე ხელით სულთანის ხელს სწვდა: „ისევ ერთად ვართ, ერთად!“... სულთანმა მატილდას მიაპყრო მზერა. „გამოდის მოვილაპარაკეთ, რასაც ინებებთ აგისრულდებათ“. სულთანი რამოდენიმე სიტყვის შემდგომ სასახლისკენ შეტრიალდა წასასვლელად... აბიმ ვერ ითმინა: „ალი!“. სულთანი გაჩერდა... შემოტრიალდა მშვიდად და იგივე სიმშვიდით მიუგო: „გისმენთ შახ-ნამე“. აბი ხარობდა: „ჩვენ აქ, საოცრების ბაღში ვისეირნებთ სულთანო“... გოგონას თვალები მადლობას უხდიდნენ სულთანს დახმარებისთვის... სულთანმა იგრძნო ეს... ხელი გულზე დაიდო, გაუღიმა, თავი ოდნავ დახარა, ისე, რომ თვალებს არ აშორებდა აბის და მთელი სერიოზულობით მიუგო: „შახ-ნამეს ნება სულთანის ნებაა“. აბიმ ღირსეულად მიუგო: „სმიტი და ლი ჩემი ახალი მეგობრები არიან“. სულთანმა თავი დააქნია გაკვირვებულად და გზა გააგრძელა... ფიქრობდა: „რა უთხრა ისეთი, რომ სახელები ანდეს პატარა გოგოს?“

გადიოდა დღეები... აბი ჩვეულად აგრძელებდა სწავლას... მატილდა მეტად თავისუფლად გრძნობდა თავს... აბი არ იშლიდა საღამოობით ქალაქში გაპარვას... ერთ დღეს, გვიან ღამით, არა ჩვეულად აბი პირდაპირ სასახლის კარიბჭეს მიადგა... მეომრებმა კარი გაუღეს... მათ წინ აბი იდგა... მისი პერანგი სისხლში იყო ამოსვრილი... ცხვირი გასიებული... ტუჩი გახეთქილი და ორივე თვალი ჩაშავებული... ხელში ქისა ეკავა ძვირფასი ქვებით სავსე... აბის უჭირდა ლაპარაკი... მეომრებს თითით ანიშნა „სიჩუმე“. კოჭლობით, ფარულად სასახლისკენ გაემართა... მეომრებმა მთავარს აცნობეს ყოველივე...

ეს მთავართმხედარი აბი-ბო იყო, აბიმ გადაწყვიტა სასახლეს საოცრებათა ბაღის გავლით მიახლოვებოდა... ყვავილების ბუჩქს მიუახლოვდა... გამსკდარი ტუჩიდან სისხლი სდიოდა... დაძაბული აკვირდებოდა სასახლის ფანჯრებს... ენით ტუჩზე სისხლს იშორებდა... აფურთხებდა... დარწმუნებული, სასახლის სიწყნარეში, აუჩქარებლივ, დაჭრილი არწივივით სასახლის კიბეებს კოჭლობით აუყვა... წვალებით კიბეები აიარა... დაღლილობისგან ღრმად სუნთქავდა... უზარმაზარ კარებთან გაჩერდა... შესასვლელთან დანთებული ჩირაღდნები ანათებდნენ... აბიმ გასაღების ჭურჭუტანაში შეიხედა, გასაღები კარებში იყო დატოვებული... უკან გაიხედა... არავინ ჩანდა... წელზე დამაგრებული რამოდენიმე რკინის მასალა ამოიღო, ავაზაკივით ფრთხილად, ნაზად, რაც მთავარია მშვიდად კარის გაღებას შეუდგა... ქისა, რომელიც ხელში ეჭირა, იღლიაში ამოიდო... კარების გაღებას ცდილობდა... კარს ვერ აღებდა... სიმწრისგან ღრმად ამოისუნთქა... კარებს ვიღაც შიგნიდან მოაწვა... აბი უმალ ამოეფარა კარებს. გაისმა ხმა ქალისა: „აბი, შენ ხარ?!“. ჩუმი სიფრთილით სავსე ხმა ეცნო... უსიტყვოდ შევარდა სასახლეში... კარები მოკეტა და გასაღებს ჩაავლო ხელი: „ეს რაარის? კარები არ იყო დაკეტილი“... ჩუმად ჩაილაპარაკა პატარა პრინცესამ და გასაღები გადაატრიალა... მის უკან გაოგნებული იდგა მატილდა... აბი შემოტრიალდა თითქოს არაფერი ხდებოდა... მზერა გადაავლო გარემოს და მატილდას ახედა: „რა გაშეშებული დგახარ წავედით მალე“. ამ სიტყვებით აბი კოჭლობით სწრაფად სასახლეში შევარდა... მატილდა გაკვირვებული აეკიდა მას: „რას გავხარ, რა დღეში ხარ?“’ აბიმ შეუჩერებლივ გამოხედა: „ჩუმად!“. სიტყვებს წვალებით გამოთქვამდა.

ახლა აბი არ იყო არც ბააგრა, არც პატარა გოგო და მითუმეტეს არც პრინცესა, ის პატარა ავაზაკი არწივი იყო დაჭრილი, რომელიც არ ნებდებოდა დაცემას... მისი თვალები დაკვირვებით დასტრიალებდა სასახლეს... ყურებდაცქვეტილი სასახლის სიჩუმეს აკვირდებოდა... მატილდამ აბის ხელი მოახმარა. „მსახურები სად არიან, არ ჩანან“... ჩაილაპარაკა პატარა პრინცესამ ისე, რომ არც გაუხედავს მატილდასკენ. „შემოვლაზე გავიდნენ ერთი წუთია“. უპასუხა: ისევ ავაზაკი არწივის ხმა გაისმა: „კარგია!“ მატილდა ვერ ცნობდა აბის, გაკვირვებული, გაოგნებული შეჰყურებდა პატარა, დაჭრილ არწივს, რომელიც კოჭლობით სიფრთხილით მიბაჯბაჯებდა სასახლის დერეფანში... აბი საძინებლის ოთახს მიუახლოვდა, მატილდას ხელი გააშვებინა, ოთახში

შევიდა: „კარები დაკეტე!“ ამ სიტყვებით საწოლისკენ მიეშურა... ისევ მიუგო: „სასახლის კარები ღია რატომ იყო... შენ დატოვე ღიად?!“. მატილდა კარებს ზურგით მიეყრდნო... გაკვირვებული შეჰყურებდა ნაცემ, დასისხლიანებულ პატარა გოგონას და გაოცებულმა მიუგო: „არსად არ იყავი, ყველა მოვიარე, კარებთან გადავწყვიტე შენი დალოდება“... აბი ლოგინს მიუახლოვდა, ქისა ლოგინის ქვეშ შეაგდო... პერანგი გაიხადა... სისხლიანი ტუჩები მოიწმინდა... პერანგი იქვე დააგდო... შარვალი გაიხადა... გახეთქილ მუხლს ფრთხილად ხელი გადაუსვა... დაკვირდა ჭრილობას და სიმწრით ჩაილაპარაკა... ისევ ავაზაკი არწივის ხმა გაისმა: „მოვკლა მაინცდამაინც ეს ღორები?!“. ამ სიტყვებით აბი ლოგინზე წამოწვა... მატილდა გაოგნებული მისკენ წავიდა... რაღაცის თქმას აპირებდა... აბიმ თქმა არ აცადა: „სველი ნაჭერი მომიტანე სახისთვის და რამე ფეხისთვის... სისხლდენა გავაჩერო“... მატილდა უსიტყვოდ გვერდით ოთახში გაიქცა... აბი ჩაფიქრებული იღიმებოდა... სიცილისგან თავს იკავებდა... ყბები სტკიოდა... ამ ყველაფრის მიუხედავად, შინაგანად ხარობდა... ისევ მზად იყო ბრძოლისთვის. ამ დროისთვის აბიბო სასახლეს დასტრიალებდა ჩაფიქრებული... გადაწყვიტა ქალაქში გასულიყო... ის ერთს ფიქრობდა: „აბი თუ ქალაქში იყო ისე, რომ არავინ იცოდა, თუ მთავარ კარიბჭედან შემოვიდა მხოლოდ იმიტომ, რომ ძლიერ იყო ნაცემი“... აბიბო შეწუხებული დადიოდა ქალაქის ქუჩებში... რა ექნა, დაემალა ეს ყველაფერი სულთანისთვის, არ გამოდიოდა... აბის წყენინებაც არ უნდოდა... აბიბო დაბნეული დაეხეტებოდა ქალაქის ქუჩებში. რა ექნა... გათენებამდე პატარა დრო იყო დარჩენილი.

აბის ტკივილი მთელ სხეულზე მოედო, თვალები ისე დაუსივდა, თითქმის ვერ იყურებოდა... მას ტკივილი არ აწუხებდა... წვალებით, მაგრამ იღიმებოდა... მატილდას სთხოვდა, არ ესაუბრა მასთან, რადგან მის საუბარზე ეცინებოდა... მატილდა უვლიდა ნაიარევებს... სიჩუმეში აბის ჩაეძინა... მატილდა გვერდზე წამოწოლილი, დაჭყეტილი თვალებით დაჰყურებდა ნაცემ სახეს... მიხვდა, ყოველ ღამით გვიან მოსული, გაოფლიანებული აბი არა სულთანისგან ბრუნდებოდა, არა მედ ქალაქიდან... გაიფიქრა: „ეს მომავალი ავაზაკი არ არის, ეს უკვე ავაზაკია!“ გაახსენდა, როგორ შეაგდო აბიმ ლოგინის ქვეშ ქისა... დაიწია ხელი შეჰყო ლოგინის ქვეშ, ჩამოუსვლელად, ქისა გამოიღო... მატილდა იწვა ლოგინზე ძვირფას ქვებს დაბნეული, შეშინებული დაჰყურებდა... იგი რაოდენობამ შეაშინა... პირღია, ყელგამშრალი გაუნძრევლად

ფიქრებმა წაიღო... გათენებას ცოტაღა აკლდა... აბის ჩასძინებოდა... მატილდა, მის გვერდზე წამოწოლილი, ჭერს მიშტერებოდა...

აბიბო ქალაქიდან დაბრუნებულიყო და სასახლის ერთ-ერთი სართულის დერეფანში ჩაფიქრებული, ძალზე შეწუხებული, მოუსვენრად ნასიმას გამოჩენას ელოდა. ნასიმა დერეფანში გამოჩნდა... ჩვეულად პირველრიგში საძინებლისკენ მიემართა... აბიბომ ამოისუნთქა... ის გაუნძრევლად ელოდა ნასიმას მოახლოებას... ნასიმამ შეატყო მეომარს წუხილი და მაშინვე აბიზე გაუელვა... შეწუხდა თავდახრილი ჩვეულად მიუახლოვდა აბიბოს და მიუგო: „რა მოხდა?!“ დიდიხნის ლოდინით შეწუხებლმა აბიბომ მიახალა პასუხი, თან სიფრთხილით დერეფანს მოავლო თვალი... გაისმა შეწუხებული, დაბნეული მეომრის ჩუმი ხმა: „აბი გვიან ღამით ქალაქიდან ნაცემი დაბრუნდა!“ ნასიმამ გაკვირვებით თავი ასწია: „რა-ა-ა?“... აბიბომ ჩუმად გააგრძელა, თან დერეფანს თვალს არ აშორებდა: „აბი ძალზე ნაცემია, მე არ მინახავს... კარის კაცებმა მითხრეს, კოჭლობით მოვიდაო, სისხლში ამოთხვრილი, საოცრების ბაღისკენ წვალებით გაუდგამს ფეხი... ცხოველივით სისხლს იფურთხებოდა, რა ვქნა არ ვიცი, სულთანს როგორ მოვახსენო, რა ვუთხრა რა?“. „დამშვიდდი, ამიხსენი რა მოხდა“... გათენებამდე ქალაქში ვიყავი, რამე გამეგო, ჰო და, გავიგე, ლამის ჭკუიდან გადავედი“. ნასიმამ ვერ მოითმინა: „თქვი რა მოხდა, ნუ აჯანჯლებ სიტყვას!“. აბიბომ თავი ხელში აიყვანა, გარშემო მიიხედ-მოიხედა და ისევ ჩუმი ხმით გააგრძელა: “ჰოდა მისმინე! აბი, რამოდენიმე ბიჭთან ერთად, მონების ვაჭრებთან ძვალს თამაშობდა, ჰო და, ჩემო ბატონო! ტყუილში გამოიჭირეს, ატყდა ჩხუბი... ხალხმა მითხრა ბედზე დაუღწევიათ თავი... მთავარი კი ისაა, რომ მონებით ვაჭრებიდან ზუსტად ჩვიდმეტნი არიან დაჭრილნი და ყველა მათგანი ხელებში და ფეხებში დანით და არა ხმლით“... ნასიმა გაოგნებული უსმენდა... აბიბო საუბარს არ წყვეტდა: „ეს ყველაფერი არ არის, ხალხმა მითხრა, ის ხშირად ქალაქში მხოლოდ ღამით ჩნდებაო და რომ დაინახავენ თავს არიდებენ მას, ყველა გზას უთმობს... შიშისაგან ამბობენ, რომ ცნობილ ავაზაკთან მეგობრობს... ზედმეტ სახელად ბაღდადელ ქურდთან და კიდევ, ავაზაკთა დაჯგუფება თუ ვერ შეძლებდა ძვლით თამაშში მთელი ქონების ამოღებას, ქალაქის მკვიდრნი ამბობენ, რომ თავს ესხმოდნენ მონებით ვაჭრებს უდაბნოში, ნიღბებით შემოსილები და ვარაუდობენ, რომ ეს აბი არის, რადგან მაგაზე დაბალი არავინ არარის ავაზაკთა შორის და იმასაც ამბობენ, რომ ასწავლის ავაზაკებს

ომის ხელოვნებას... მთლიანობაში არ იციან, აბი ვინ არის, თვით აბი ეუბნება, რომ გაქცეულია და ძებნაშია... „მსტოვრები კვალდაკვალ მომდევენო“... აბიბო საუბარს აგრძელებდა, ნასიმა გაბრუებული უსმენდა... ბოლო არ უჩანდა... ნასიმამ სიტყვა შეაწყვეტინა: „ეხლა თავისთანაა?“ „აბა სად იქნება, შენ ის მითხარი, მე რავქნა, სულთანს რა ვუთხრა, გაგიჟდება, ხომ იცი, მისი ბრაზი“... ნასიმამ მშვიდად მიუგო: „მომისმინე! ახლა ალქიმიკოსთან წახვალ, ეტყვი, სასწრაფოდ აბის საძინებელში მოვიდეს, მე იქ დავხვდები... მთავარი... გამოყევი მას და მოკლედ უთხარი რომ აბი დაშავებულია, დანარჩენს მე მოუბავ თავს“. აბიბომ გაკვირვებით მიუგო: „ალ-ქიმიკოსი? ის ხომ ყველაფერს ჩაუკაკლავს სულთანს“. „აბის შეხედავს, რა ჭირს და მე მოვაგვარებ დანარჩენს ისე გავგზავნი სულთანთან... გაიგე?!“ აბიბო თითქოს დამშვიდდა. „მართალი ხარ, მართალი, წავალ, სანამ სულთანს არ გაღვიძებია“. „არ იჩქარო და ნუ ხარ აფორიაქებული... სულთანი კარგა ხანი არ გაიღვიძებს, ღამით ფაშათა-ფაშა ჰყავდა თავისთან... შენ მთავარი, დერეფანს არ მოშორდე... სულთანი რომ მოვა, დაგინახოს სჯობს... ეხლა კი შეგიძლია წახვიდე“. ნასიმამ აბის საძინებლისკენ გააგრძელა გზა... აფორიაქებული აბიბო ალ-ქიმიკოსისკენ გაეშურა.. ერთ მხრივ, სიამოვნებდა აბის ამბავი... გულში ფიქრობდა: „აბი ჩვენნაირი იზრდება, არავისი არ ეშინია არავისი“... ეს ფიქრი ახარებდა მას და ავიწყებდა შიშს სულთანის მიმართ... ნასიმა აბის საძინებელს მიუახლოვდა... ნაზად დააკაკუნა მაშინვე გაისმა დაბნეული მატილდას ხმა... ნასიმა აბის საწოლისკენ მიემართა. მატილდა დუმილით მიჰყვებოდა მას. „იცოდი?!“ იკითხა. „რა უნდა მცოდნოდა, რას მეკითხები?“ ნასიმა აბის ლოგინთან იდგა გაკვირვებული დაჰყურებდა პატარა გოგონას... ცალი ფეხი საბნის გარეთ გამოეყო მუხლზე შემოხვეული ნაჭერი სისხლით გაჟღენთილიყო... ნასიმამ ფრთხილად თვალებზე გადაფარებული ნაჭერი წამოსწია... მაშინვე უკან გადასწია თავი... მოულოდნელობისგან ღრმად ამოისუნთქა: „ეს რაარის?“. მატილდა დუმდა... ნასიმამ გამოხედა გაკვირვებით: „როგორ გამოგეპარა ეს ყველაფერი, ვერ გამიგია“. „მეგონა, სულთანთან რჩებოდა გვიანობამდე, სხვას რას ვიფიქრებდი რას!“. უპასუხა მატილდამ. ნასიმა აბის დახეთქილ ტუჩებს დააკვირდა: „კბილები ჩამტვრეული აქვს?“. „არა, არა, მხოლოდ ტუჩები“... მატილდა დადუმდა და უმალ დაბნევით გააგრძელა სიტყვა: „რა ვქნათ, როგორ დავმალოთ ეს ამბავი?!“. ნასიმამ აბის ლოგინზე ჩამომჯდარმა გამოხედა და გაკვირვებით მიუგო, თან

ხელი აბისკენ გაიშვირა: „ამას როგორ დამალავ, ვერ აზროვნებ, ამხელა ქალი ხარ... თან მეომრებმა იციან... შენ გაუჩერებ მათ ყბას?! ალქიმიკოსი მოვა მალე, შეათვალიერებს პატარას, რამე არ ჭირდეს უბედურება... მას მივგზავნით სულთანთან... სხვა რა გზა გვაქვს"... „გენახა გუშინ ღამით, ქურდივით როგორ მოიპარებოდა, თან ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი ხდებოდა მასთან, ერთად ხარობდა, აშკარად შევატყე, ვერ ვცნობდი, თითქოს ვიღაც სხვა იყო, ყაჩაღი, მკვლელი“... „რასაც ასწავლიან, იმას აკეთებს, აბა, რა ეგონათ, ეს აქ გაუჩერდება გამოკეტილში?! თავისუფლება სწყურია, თან შურისძიება მოსვენებას არ აძლევს... იზრდება პატარა, იზრდება!“. ნასიმა გაჩერდა, გახედა აბის და ისევ შემოუტრიალდა მატილდას: „შენ, ერთი მითხარი, რა გიამბო“. „ხმა არ ამომაღებინა, სიტყვას ვინ გაცლიდა... ერთი გავიფიქრე, ბავშვი ხომ არ გაგიჟდა - მეთქი“... ნასიმას გაეღიმა: „ეს, სანამ გაგიჟდება, ჯერ ჩვენ გადაგვიყვანს ჭკუიდან... დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა... ამას, რასაც ხედავ, ეს დასაწყისიც არარის... ეს სწავლება ძალას აძლევს... სად განიტვირთოს... გონებას დასვენება სჭირდება... ჰოდა აგერ, დაისვენა, ადგება ფეხზე, მეტს გააკეთებს - მეტს“. „რას გააკეთებს? იცი რაც მოხდა?!“ „კარგა ხანია, ავაზაკებთან მეგობრობს, ჩხუბი მოსვლიათ მონებით - ვაჭრებთან... შეიძლება ვთქვათ, სიკვდილს გადაურჩა... ერთი მიკვირს, თავი როგორ დააღწია მათგან, ისენი ხომ ხუთ ასეულზე ნაკლებ არ დადიან ქარავანში... შენ ხომ იცი, მათი ამბავი კარგად?!“. მატილდამ ხელები პირზე აიფარა, აბის დახედა, მის მშვენიერ მწავე თვალებზე ცრემლმა მშვენიერმა, საოცრება შექმნა... ისე მოუხდა შიში და ცრემლი, მისი შემხედვარე მხოლოდ და მხოლოდ ერთს ხედავდა, საოცრებათა საოცრებას... ნასიმა გაკვირვებული შეჰყურებდა და ნაზი ხმით მიუგო: „როგორ გიხდება ცრემლები!!!“ მატილდამ გამოხედა, შეშინებულმა: „რას ამბობ, ვერ გავიგე, რა დღეში ვართ, ვერ ხედავ?“. ნასიმას გაუკვირდა. მატილდამ ვერ ითმინდა: „რა მოგდის, პირველად მხედავ?!“ ნასიმამ თავი გაიქნია, გონს მოვიდა და მშვიდად მიუგო: „არა ამქვეყნიერად მომეჩვენე“. თვალებს ისრესდა მატილდა დაჰყურებდა პატარა გოგოს და თავისთვის საუბრობდა: „ეს რა დღეში ვართ, რა დღეში. იზრდება პატარა, მე კი ამის გაზრდით შიში მემატება... შიში... მართლაც ჭკუაზე გადამიყვანს ეს ბავშვი“. კარებზე ნაზი კაკუნის ხმა მოიმა, ნასიმა და მატილდა ჩურჩულებდნენ. ალქიმიკოსი აბის ნაიარევებს უვლიდა... პატარა პრინცესას გაღვიძებოდა... თვალებს ვერ ახელდა. საუბარი უჭირდა... დუმილით უსმენდა

ალქიმიკოსის საუბარს... რამოდენიმე ხანში ალქიმიკოსი შემოუტრიალდა ქალებს: „გადარჩენილია, აშკარად მუხლმა დასიება დაიწყო... ლოგინიდან არ ადგეს, რამოდენიმე დღე თავზე და სახეზე საფენები გამოუცვალეთ ხშირად... თავი ნარტყამი აქვს... ეს არის, რომ ვერ გაუტეხეს... ეხლა მინდა გავიგო, რა მოხდა, აბიბომ მოკლედ მიამბო“. აბი გაისუსა... თავი და მთელი სახე საფენებით ჰქონდა დაფარული. ნასიმა ესაუბრებოდა ალქიმიკოსს. მატილდა ჩამოუჯდა პატარა პრინცესას, მისი ხელი დაიჭირა: „როგორ იქცევი, რეებს აკეთებ, გინდა გაგვაგიჟო, ეხლა სულთანი გაიგებს, რას ეტყვი, რას?!“ სახეზე გადაფარებული საფენი პირის არეში ამოძრავდა წვალებით, მაგრამ გასაგონად, ნაწილ-ნაწილ გაისმა: „გა-ა-ჩუ-მდი, ნუ მა-ა-ცინ-ებ!“. ალქიმიკოსი ჩაფიქრებული უსმენდა მსახურ-ქალს... საუბარი დასრულდა... იგი დუმდა. „რა ვქნათ?!“ იკითხა ნასიმამ. ალქიმიკოსი დააკვირდა მსახურ ქალს: „სულთანი გაიგებს ამ ამბავს. სჯობს შენ უამბო!“. ნასიმა შეწუხდა: „მე არ გამაკეთებინოთ ეს, გთხოვთ“. „აბა, მე ვუთხრა სულთანს?!“ იკითხა ალქიმიკოსმა. „დიახ, გხოვთ, ბატონო“... მატილდა ლოგინიდან წამოდგა. „მამაკაცი თქვენ ბრძანდებით, ქალებს გაგვიშვებთ ბრძოლის ველზე?“. ალქიმიკოსს ჩაეცინა. „ბრძოლის ველზე არა?!“ საწოლისკენ შეტრიალდა: „ახლა სულთანს ვეახლები, ამის დამალვას აზრი არააქვს, ხომ გესმის მაგდენი პატარავ“. მოისმა ბურტყუნის ხმა: „მესმის“. ალქიმიკოსი მიაცილეს კარებამდე ოთახში სამნი დარჩნენ. „მე რა ვქნა“ იკითხა მატილდამ „სხვა ოთახში გახვალ გაბრაზებულზე შენ არ დაგაბრალოს ყველაფერი“ უპასუხა ნასიმამ. „მართალი ხარ!“ ნასიმა ლოგინს მიუახლოვდა მუხლებზე დადგა, გამოხედა მატილდას: „ვნახო ერთი, ის ქისა მაინტერესებს“... ნასიმამ ლოგინის ქვეშ შეიხედა თავს გარშემო ატრიალებდა, გაისმა გაოგნებული ხმა: „ეს რაარის?....“, მატილდა გაკვირვებული მუხლებზე დაუდგა ლოგინის ქვეშ შეიხედა, გაქვავდა. პირღია ათვალიერებდა ლოგინის ქვეშ თითქმის ორ ათეულამდე კარგად მოზრდილ სავსე ქისებს. ნასიმამ ქისები მოაგროვა... „არც შემიხედავს, ისე გამოვიღე და ისე შევაგდე უკან“. თქვა მატილდამ „დამლაგებელი ვერ ხედავდა ამას დაბრმავდა?“. იკითხა ნასიმამ. “აბიმ აუკრძალა მსახურს ლოგინთან მოახლოება“. ნასიმა ათვალიერებდა ძვირფასებულობას: „რა ამბავია, ამით ჯარის შექმნაა შესაძლებელი. ამას ვერ დავმალავთ, თუ დარტყმაა, დარტყმა იყოს, სჯობს ეხლა გაიგოს სულთანმა, ვიდრე ხვალ, ან სხვისგან“... მატილდას ხელები სახეზე ჰქონდა ჩავლებული: „გავგიჟდები, ეხლა ჭკუიდან გადავალ“. ნასიმამ

ღიმილით ამოხედა თვითონ იატაკზე იყო ჩამომჯდარი ცარიელი ქისების და ძვირფასი ქვებისა და ოქრო ვერცხლის გარემოცვაში: „მე ხომ გითხარი, ჯერ სადა ვართ, სად, ეს დღე სანატრელი გაგვიხდება, სანატრელი“. აბის არ აწუხებდა, რაც ხდებოდა ოთახში, პირიქით, შინაგანად ეცინებოდა კიდეც... აბიბო სულთანის გამოჩენას ელოდა... დერეფანში სიწყნარე სუფევდა... ცოტა ხანში ხმაურის ხმა მოისმა... სულთანი დერეფანში მორბოდა... მას ალქიმიკოსი მოსდევდა მსახურ-მეომრებთან ერთად... ხმლებით წელზე და შუბებით ხელში... გაბრაზებული ხმა ისმოდა.. ალქიმიკოსი დაბნეული იყო... აბიბო გაშეშდა... სულთანი მიუახლოვდა საძინებლის კარებს, გაჩერდა, თავს იმშვიდებდა, გამოხედა აბიბოს: „შენ სად იყავი, რას აკეთებდი, ბავშვს ქალაქში რა უნდოდა?!“ აბიბომ ხელები გაშალა, თავდახრილმა ხმაც ვერ ამოიღო. „გაგაშლევინებთ ყველას ხელებს, მაცალეთ ერთი მაცალეთ!“. ყვიროდა სულთანი. კარებისკენ შეტრიალდა... მატილდა, ნასიმა, აბი გაისუსნენ კარებიდან ხმაური მოისმა... „მატილდა გადი, სხვა ოთახში, ეს სულთანია!“ ნასიმა თვალს არ აშორებდა შემოსასვლელ კარს... მშვიდი კაკუნის ხმა მოისმა... ნასიმას სუნთქვა შეეკრა. აბის გამოხედა და კარისკენ წალასლასდა... პატარა პრინცესა უდარდელად იწვა საფენებში შეფუთული და ერთს ფიქრობდა: „ეხლა კი დაიწყება!“, მატილდა გვერდით ოთახში, კუთხეში ჩაიცუცქა თავი მუხლებზე დაიდო... თვალები დახუჭა,... მისი გული შიშისგან ცახცახებდა. საძინებლის ოთახი გაიღო, სულთანმა ერთი დახედა, გაბრაზებული თვალებით ნასიმას და პირდაპირ აბის ლოგინისკენ მიეშურა... მას ალქიმიკოსი შემოჰყვა... სულთანი ლოგინზე ჩამოჯდა... მისი მზერა მეტად დაიძაბა... ვერ ხედავდა აბის სახეს... საფენების შემყურეს ტანში ჟრუანტელმა დაუარა: „საფენი ახსენით, სახე დამანახეთ!“. სულთანმა აბის ფეხს გადაავლო თვალი. ნაზად შეეხო ფეხის წვივს და ბრაზით ჩაილაპარაკა: „რატომ არ გადატეხეს ძვლებში“. ალქიმიკოსმა ნაზად მოაშორა საფენი სახიდან პატარა გოგოს... სულთანს თვალები გაუფართოვდა... „ეს ვინ არის?!“ ოთახში დუმილი ჩამოვარდა... სულთანმა შეშინებულ ნასიმას გამოხედა: „მატილდა სად იყო, სად?!“ გაბრაზებულმა ხმამ ჟრუანტელად გაუარა მსახურ ქალს... თავდახრილმა შიშით ძლივს წარმოსთქვა: „მატილდას აბი სულთანთან ეგულებოდა მბრძანებელო“... სულთანი აბის შემოუტრიალდა დააკვირდა მის ნაიარეებს და ჩაილაპარაკა სიმწრით: „მატილდას ეგონა სულთანთან ბრძანდებოდა პატარა ავაზაკი, სულთანი კი, ამ დროს ფიქრობს, რომ

ბატონი მატილდასთან ბრძანდება, როდის იყო ავაზაკს ღამე მშვიდად ეძინა“. აბი გატრუნული, გაუნძრევლად, თითქოს არც სუნთქავდა ისე იყო გასუსული ლოგინზე... გაისმა მწუხარე ხმა: „კბილები ჩამტვრეული აქვს?!“. არა ჩემო სულთანო. უპასუხა ალქიმიკოსმა. „მერე რატომ?!“ ხმამ თითქოს ზანზარით მოუარა მთელ საძინებელ ოთახს... ჩამოვარდნილ სიჩუმეში ისევ წუხილის ხმამ გაიჟღერა: „საფენი უნდა დავაფაროთ ჩემო სულთანო“... სულთანი არ აშორებდა აბის თვალს... საჩვენებელი თითი გაშალა. ალქიმიკოსმა ეგრევე გადააფარა ნაზად საფენი. სულთანი ისევ არ აშორებდა თვალს პრინცესას და მშვიდად ჩაილაპარაკა. „ნასიმა მოყევი, რაც იცი“. ალქიმიკოსი აბის უვლიდა... ნასიმამ საუბარი ჩუმი ხმით წამოიწყო... სულთანმა გაკვირვებით გამოხედა: „შემომხედე!“ ნასიმამ თავაუწევლად თვალები ასწია... შიშით კანკალებდა... „ვერ გავიგე, ჩურჩულით რატომ საუბრობ, პრინცესა არ გინდა გააღვიძო?“ არ აცადა მსახურ ქალს თქმა... ალქიმიკოსს გამოხედა: „რომელიმეს სჯერა, რომ ამ ბატონს! ბოდიშს ვიხდი! ქალბატონს! ახლა სძინავს?!“ აბის სახეზე გადაფარებული საფენი, აშკარად მოძრაობდა... სულთანი დაკვირვებული უყურებდა საფენის მოძრაობას. თითით მიანიშნა იმ ადგილს და თავ შეკავებულად ჩაილაპარაკა: „შეხედეთ, ეხლა ყური მოწყდება“... ნასიმას შემოუტრიალდა, ალქიმიკოს შეხედა და ისევ მიუგო საჩვენებელი თითით: “შეხედეთ! შეხედეთ!“ შეშინებული ნასიმა აბის დააკვირდა და სიცილი შეიკავა... ალქიმიკოსს სახეზე ღიმილი მოედო სიხარულისგან. „პრინცესა! თქვენო აღმატებულებავ! ხომ არ გაწუხებთ ჩვენი ხმამაღალი საუბარი?“ იკითხა სულთანმა. აბის საფენი ამოძრავდა... გაისმა „ა-რა“. სულთანმა ნასიმას გამოხედა : „გთხოვთ, გააგრძელოთ, პრინცესა არ წუხდება ჩვენი საუბრით, პირიქით, აინტერესებს კიდეც“. აბის ხმის გაგონებაზე სულთანს სიხარული მოეძალა... ცდილობდა არ შეტყობოდა ეს... აბიმ იგრძნო, სულთანის სიამოვნება... პატარა გოგო ისედაც მშვიდად იყო... ეხლა მთლიანად, შეიძლება ვთქვათ, მოეშვა. აღარც უსმენდა ნასიმას საუბარს და ორივე ფეხის თითებს ათამაშებდა... სულთანმა აბის გამოხედა... ნასიმა საუბარს აგრძელებდა... სულთანს თვალები გაექცა აბის ფეხისკენ... მუხლზე დადებულ ახალ საფენს სისხლი ედებოდა... ფეხის თითები ისე თამაშობდნენ ერთმანეთში, თითქოს ცეკვავდნენ სიხარულისგან... მეორე ფეხზე გადაფარებული საბანი ფრიალებდა, სულთანი აბის დააკვირდა: „თქვენო აღმატებულებავ! ცეკვას ხომარ ინებებთ?!“ აბიმ ფეხები გააჩერა... სულთანი ნასიმას

მიუტრიალდა მშვიდად: „გააგრძელეთ, გისმენთ, ქალბატონო! პრინცესას ცეკვა არ სურს!“. ამ სიტყვებით სულთანი ლოგინიდან წამოდგა და ალქიმიკოსს წუხილით მიუგო: „მუხლიდან სისხლი ჟონავს!“. „გამოვუცვლი საფენს, სისხლს იმიტომ არ ვუჩერებ არ დაუსივდეს ძლიერ“. სულთანი სკამზე წამოჯდა, და ნასიმას უსმენდა. ქალმა დაამთავრა თუ არა, საუბარი სულთანმა მკაცრად მიუგო: „სად არის!“. ნასიმა ლოგინის თავს მიუახლოვდა და იქვე იატაკზე გადაფარებული ნაჭერი ახადა ცარიელ ქისებს, ძვირფას ქვებს და ოქროს... სულთანმა თითქოს მშვიდად გადაავლო თვალი, ღრმად ამოისუნთქა... ის დიდ სიმდიდრეს ხედავდა თავში ერთი უტრიალებდა. „როგორ გაუშვეს, ცოცხალი, დაუჯერებელია?!“. სულთანი აბის აკვირდებოდა გაოცებით, დაუჯერებლად მიაჩნდა, მისი ცოცხლად ყურება და ნახევრად დაბნეული ხმით მიუგო სიყვარულით: „კარგი მასწავლებელი გყოლია, რომ სუნთქავ ახლა!“. აბი დუმდა... სულთანი ფეხზე წამოდგა: „რამდენ ხანში გამოკეთდება?!“ „ვფიქრობ, ათ დღეში ჩიტივით იქნება“... უპასუხა ალქიმიკოსმა. სულთანმა ნასიმას გამოხედა მშვიდად: „შენ და მატილდამ თვალი არ მოაშოროთ ამ ჩიტს... არ გაფრინდეს იცოდეთ... თორემ ორივეს მოგიწევთ ფრენა!“... სულთანი ალქიმიკოსს მოუტრიალდა: „თქვენ გაქვთ აქ კიდევ საქმე?!“ „მე მოვრჩი, საფენებს ნასიმაც გამოუცვლის“... „მე გამომყევით“... უბრძანა. სულთანი აბის მიუახლოვდა თავი დაღუნა და ყურში ჩასჩურჩულა: „არც იფიქრო, რომ ეგრე იოლად გადამირჩი!“. აბი დუმდა... სულთანი გასასვლელისკენ მიეშურა... აბიბო, ნერვიულობისგან გაშეშებული იდგა... საძინებლის კარები გაიღო... სულთანი დერეფანში გაჩერდა... ჩაფიქრებულმა აბიბოს ხელით ანიშნა მასთან მისვლა... თვალებში ჩახედა მკაცრად: „ხომ იცი, ყველა გადავრჩით, ყველა!“. „ვიცი, ჩემო მბრძანებელო, ვიცი“. „აბი რომ ჩემთანაა, ასე ვიცი, ქალაქში არავინ იცის“... „არავინ - მბრძანებელო“... სულთანი ჩაფიქრდა და მაშინვე მიუგო: „აბი დაგვისისხლიანეს, სისხლი სიკვდილად მივართვათ!“ სულთანი გაჩერდა და ისევ გააგრძელა „ჩემთან ავიდეთ, იქ ვისაუბროთ“.

ამ დროისთვის მატილდა ნასიმას ესაუბრებოდა აბის ლოგინთან... პატარა პრინცესა იწვა მშვიდად მკერდზე ხელებდაწყობილი და თითებს ათამაშებდა... აბი იხსენებდა იმ ღამეს, როცა ატყდა ჩხუბი... თან ღიმილს იკავებდა, ტუჩები რომ არ დასკდომოდა. გამხმარი სისხლი მთელ ტუჩებზე მოსდებოდა. იგი იხსენებდა: ერთ-ერთ სახლში შეკრებილები, დიდ დარბაზში წრეში შემომჯდრები, ოცამდე მონებით ვაჭრები, აბი და

მისი რვა მეგობარი ძვალს აგორებდნენ... აბის ცალი მუხლი იატაკზე ედო და ვაჭარს შეჰყურებდა... ყველა იქ მყოფი მათ ადევნებდა თვალს... „ეი, შენ მგელო! გადმოყრი ძვლებს თუ არა!“ მიმართა აბიმ. ვაჭარი ძვლებს ხელში ათამაშებდა და ღრენით მიუგო: „კარგად გიცნივარ მგელი ვარ, მგელი!“ ვაჭრის დამცინავმა სიტყვებმა შეურაცხყო აბი... ვაჭარმა ძვლები გადმოყარა... აბი ფეხზე წამოდგა, სანამ ძვლები გაჩერდა, გაისმა სიმწრის ბღავილის ხმა... ვაჭარმა წააგო... აბი მუხლზე მტვერს იფერთხავდა... მისი მეგობრები მოგებულს აგროვებდნენ... აბიმ ვაჭარს ახედა ღიმილით: „იცი მგელო, ძაღლი რომ ხარ?!“. ვაჭარი გამწარდა, აბისკენ გამოიწია... აბი წელში გასწორდა... მეგობრები საჩხუბრად მზად იყვნენ... ვაჭარი იღრინებოდა... აბიმ მეგობრებს წასასვლელად უხმო და ზურგით შეტრიალდა ვაჭრისკენ მშვიდად... გაისმა გამწარებული ხმა ვაჭარს პირი დორბლებით ამოევსო: „შე საქონლების შვილო, მოდგმავ ნაგვისა!“ აბი გაჩერდა ვაჭარი მის ზურგს შეჰყურებდა: „შენ გეუბნები ღლაპო: საქონლების საქონელიხარ!“ აბის ერთ ერთმა მეგობარმა ჩაილაპარაკა: დავიწყოთ!!! გაისმა მშვიდი, დაწყნარებული პასუხი: „რა თქმა უნდა“. აბის მეგობრები, ცამეტი, თექვსმეტი წლის ბიჭები იყვნენ და არცერთი არ უჩიოდა ტანადობას... აბი მშვიდად შემოტრიალდა... ღიმილით გაუსწორა ვაჭარს თვალები და იმავე სიმშვიდით პერანგის სახელურიდან რაღაც ამოიღო... თითებში აათამაშა სწრაფად, ისე, რომ არ ჩანდა, რა იყო და ქვევიდან ისროლა თითებით... ვაჭარს პირდაპირ, სახეში მოხვდა, მოულოდნელობისგან უკან დაიხია, ხელები გაშალა და ვაჭრებს არ უშვებდა წინ... ის იატაკს დაჰყურებდა გაშტერებული თვალებით... პირიდან დორბლები იატაკზე ეცემოდა... ვაჭარი დაჰყურებდა იატაკზე დაცემულ ყალბ ძვალს და გონს ვერ მოდიოდა... მატილდამ დახედა აბის, თითი მიადო ნასიმას: „შეხედე ამას, ფეხებზე ჰკიდია მომხდარი". ნასიმა ღიმილით დააკვირდა პატარა პრინცესას... სახეზე გადაფარებული საფენი, ორივე ხელი მკერდზე, თითებს ათამაშებდა... ფეხების მტევნებიც ერთმანეთს აყოლილნი თითებთან ერთად მოძრაობდნენ... აბის არც ესმოდა ქალების საუბარი. ის შუა ჩხუბში იმყოფებოდა... მხრებს ამოძრავებდა თითქოს დარტყმებს ახორციელებდა და რაღაცას წვალებით წარმოსთქვამდა... ნასიმას გაეცინა, ხელი დაადო მატილდას: „ფეხებზე რაღაც მაინც რომ ეკიდოს კიდევ არაფერია, რაღაც გვეშველებოდა ამას ფეხებზეც არ ჰკიდია!“ მატილდამ გაკვირვებით გამოხედა: „რა გვეშველება?!“ ნასიმამ სიცილით მიუგო: „ხომ ვთქვი, ეს ჩვენ, ყველას გაგვაგიჟებს, ჰოდა

უნდა ვეცადოთ, თავის ჭკუაზე არ გადაგვიყვანოს, ეს არის მთავარი... ამას ჩვენ, ვერცერთი ვერაფერს მოვუხერხებთ... აქ თუა ჩვენთან მხოლოდ იმიტომ, ფრთები აქვს პატარა, ეს არ გაჩერდება არასდროს!“. აბი თავის ფიქრებში დაჰქროდა. „ამას ეხლა ჩვენი ლაპარაკი არც ესმის, ვითომც არც ვიყოთ აქ“. თქვა მატილდამ. ნასიმა იცინოდა: „მგონი ვიღაცეებს ხოცავს!“. ნასიმა გაჩუმდა და ისევ გააგრძელა: „დააკვირდი! დააკვირდი! ან ჩხუბობს, ანდა კლავს ვიღაცას ან ვიღაცებს!“ მატილდას შეშინებული თვალები პატარა პრინცესას ვერ წყდებოდა და თავისთვის დაბნეულად წარმოსთქვამდა: „რა დღეში ვართ, რას გვიკეთებს ეს პატარა რას, რა გვეშველება რა, გულს გვიხეთქავს, თვითონ კი ნახე, ნაცემიც კი ხარობს ლოგინში, ამას არაფერი არ ადარდებს, შურისძიების გარდა!“.

სულთანი დერეფანში მწარედ ჩაფიქრებული მიდიოდა. მიუახლოვდა თუ არა, ზემო სართულზე ასასვლელი კიბეების საფეხურს, გაჩერდა, აბიბოს და ალ-ქიმიკოსს გზის გაგრძელება უბრძანა... უხმოდ ერთ-ერთ მცველს, რაღაც ჩაულაპარაკა და კიბეების საფეხურს შეუტრიალდა... ერთ-ერთ დარბაზში აბიბო ანერვიულებული, თავდახრილი იდგა, სულთანი ხალიჩაზე წამოწოლილი ორივე ხელი თავქვეშ ედო... მუთაქა ფეხებქვეშ... დუმილით აკვირდებოდა მეომარს... ალ-ქიმიკოსი იატაკს თვალს არ აშორებდა... ასე მძაფრი დუმილი რამოდენიმე ხანი გაგრძელდა... აუტანელი ხდებოდა... კარებზე კაკუნის ხმა გაისმა და მაშინვე კარი გაიღო... სულთანი არც ახლა აშორებდა მზერას დაბნეულ აბიბოს... დარბაზში მასწავლებლები გამოჩნდნენ... ავაზაკი სმიტი და ბრძოლის ხელოვანი ლი ორივე მათგანმა იგრძნო დაძაბულობა... პირველი სულთანს ლი მიუახლოვდა... აბიბო და ალ-ქიმიკოსი თავის აწევას ვერ ბედავდნენ... სმიტი სულთანს დააკვირდა. „სულთანო ვეახელით თქვენს ძახილს“. სულთანმა ლის გამოხედა, შემდგომ სმიტს გადააავლო თვალი, ხალიჩაზე წამოჯდა, ხელები გაშალა, გაისმა მძაფრი ხმა... ალ-ქიმიკოსმა ამოსუნთქვა მოასწრო... თითქოს წყალ ქვეშ იყო. აბიბო ნერწყვებს ყლაპავდა, ყელში ნერწყვის ნატამალიც არ დარჩენილიყო. „ყველანი ჩამოჯექით!“ ბრძანა სულთანმა. აბიბო უმალვე ხალიჩაზე დაეშვა... სმიტმა შეატყო მას შიში... სულთანმა ადროვა ყველას ჩამოჯდომა და იგივე მძაფრი ხმით გააგრძელა საუბარი: „აბი ჩემი ძმის შვილია და ვფიქრობ აქ მყოფებმა იცით, რომ აბი ბიჭი არაა!“. სულთანი დააკვირდა ლის და სმიტს... მათი თვალები არ შეცვლილა გაკვირვებისგან... სულთანმა გააგრძელა მძაფრი საუბარი: „აბის მამა დიდიხანია გარდაცვლილია, ჰო და მე ვარ ეხლა მის მაგივრად... აბი ჩემი

შვილია! მე ვარ მამამისი!“ ბოლო სიტყვები აბიბოს აღარაფერი ესმოდა... მას თვალებში დაუბრმავდა, ალქიმიკოსს კიდევ მიეცა შანსი ამოსუთქვისა... დაძაბულობას დაძაბულობა ემატებოდა... სმიტი ვეღარ ითმენდა გაუგებრობას... ლი მშვიდად ელოდა სულთანს: „ჩემი შვილი გუშინ ღამით დასისხლიანებული დაბრუნდა ქალაქიდან“... წამით გაჩერდა... ტუჩებს კბილები დააჭირა და სიმწრით ჩაილაპარაკა: „არ ეყოთ... შვილი დამისისხლიანეს... მე ლაბირინთში ჩამაგდეს... აბიბოს ვუბრძანე, პასუხი გაეცა დამნაშავისთვის... დავიბენი! დავიბენი! ახლა ვფიქრობ, ჩვენ ოთხნი, შუა ღამეს რომ გადაცილდეს, შურს ვიძიებთ!“. სულთანმა საუბარი შეწყვიტა... გამოხედა აბიბოს და იყვირა: „გამოფხიზლდი!“... სმიტმა ხელი კრა შეშინებულ აბიბოს... თითქოს გაუნათდა თვალებში... სულთანი დუმდა... ლი ჩაფიქრდა... ალ-ქიმიკოსს ერთი აფიქრებდა: „ოთხნიო, სულთანმა მე არ ჩამთვალა მხოლოდ, მე!“... სმიტმა დაუფიქრებლად წამოსთქვა: “ცოცხლად ჩავმარხოთ, ვინც არ უნდა იყოს!“. „არ გაინტერესებს რატომ სცემეს?!“ პასუხი ეგრევე მოჰყვა სულთანის კითხვას: „რომ დავმარხავ, მკვდარს შევეკითხები!“... სმიტის პასუხი დამამტკიცებლად ჟღერდა... სულთანი ხედავდა, მის წინ სისხლით და ხორცით სავსე ავაზაკი იჯდა... მასთან კამათს აზრი არ ჰქონდა... „ყალბი ძვალი რომ გაუკეთე სათამაშოდ და მისი გამოყენება ასწავლე, კი ძალზე კარგად გისწავლებია დიდი ქონება დააგროვა, მაგრამ ერთ დღეს გამოიჭირეს“. სმიტმა გაგრძელება არ აცალა სულთანს და გაკვირვებით მიუგო: „შეუძლებელია, ვერ გამოიჭერდნენ!!!“. „გამოიჭირეს მეთქი“. იყვირა სულთანმა, აბიბოს გამოხედა: „თქვი, რომ ეგრეა!“. აბიბომ მშვიდად მიუგო ავაზაკს: „ყალბი ძვალი უნახეს, ამიტომაც ამტყდარა ჩხუბი, ეს ვიცი მხოლოდ“. სულთანი გაკვირვებით დააკვირდა სმიტს. „შენი საუბრიდან გამომდინარე, იცოდი, აბი ქალაქში რომ დადიოდა?“ სმიტმა პასუხი გასამართლებლად უმალვე აჯახა: „არ ვიცოდი, მაგრამ ვეჭვობდი, რადგან ყოველდღე თამაშზე მეკითხებოდა, თან მუდამ ძვალს ხელში ათამაშებდა“... სმიტი გაჩუმდა ჩაფიქრებულად და გააგრძელა დაჟინებით... დარწმუნებული იყო თავის სიტყვებში: „არ არსებობს, შეუძლებელია, ვერ გამოიჭერდნენ, თავს დავდებ დაუფიქრებლად მე მატყუებდა ბოლო-ბოლო“... ალ-ქიმიკოსს ფიქრი არ ასვენებდა... მოთმინებამ უღალატა: „ჩემო სულთანო, თქვენ ბრძანეთ, ოთხნი წავალთო, შურის საძიებლად... მე ჩემო სულთანო კაცად არ ვითვლები?! არა ნაკლებ მიყვარს პრინცესა აქ მყოფებს შორის“... სულთანი

გაკვირვებული უსმენდა ალ-ქიმიკოსს... სმიტს ჩაეცინა, ლის ხელი ჰკრა: „რაღაც ამგვარს ვეჭვობდი, მაგრამ პრინცესამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა, მაგარია“. ისევ ჰკრა ხელი ლის: „შენ რას იტყვი, სივკდილის ხელოვანო?!“. ლიმ მშვიდად მიუგო, თან პერანგი დაიფერთხა: „გაგიხარდა, პრინცესას ავაზაკისას რომ ასწავლი, ქურდო?!“ სმიტს არ ესიამოვნა: „რითი ხარ ჩემზე კარგი, კვლას ასწავლი ბავშვს, თან გოგოს!“. ლიმ მშვიდად საჩვენებელი თითი სმიტისკენ გაიშვირა: „გაჩუმდი“. მისი მშვიდი სიტყვა სიკვდილს გვირგვინს ადგამდა... სულთანმა დაძაბულობა იგრძნო: „თქვენ ვერ გაიგეთ, აბი ძლიერ არის ნაცემი, სახე სახეს არ უგავს, გაჩერდით! დაბნევა მაკლია ახლა“. სულთანი ალ-ქიმიკოსს მიუტრიალდა: „ბრძოლა არ იცი, არ გვჭირდები არ ჩაერიო ამ საქმეში“... ალ-ქიმიკოსი ძალზე შეწუხდა, ვერ ითმინდა: „მალულად უნდა გაკეთდეს ყველაფერი, მე დაგჭირდებით, სულ არაფერი, ზურგს გაგიმაგრებთ“... ალ-ქიმიკოსის წუხილი ზღვარს გადავიდა: „მე პირველი ვიყავი, მის ნაიარევს რომ ვუვლიდი... მე პირველმა ჩავიხუტე ის გულში... მე პირველს შემიყვარდა პატარა აბი - ბააგრა, გთხოვთ, ყველას ერთად გთხოვთ, არ წამართვათ შანსი მთელი ცხოვრება ვიხარო, დედოფლის გამო შური რომ ვიძიე“... ალ-ქიმიკოსი დადუმდა... მისი წუხილი ყველას გადაედო... სულთანმა იქ მყოფთ გადახედა: „თქვენ რას იტყვით ბატონებო! სახუმაროდ არ ვაპირებთ წასვლას“... ლი ალ-ქიმიკოს აკვირდებოდა: „წამოვიდეს“... სმიტს გაეცინა: „პატივს ვცემ ამ ადამიანს, წამოვიდეს“... სულთანმა აბიბოს შეხედა, შიში, დაბნეულობა აღარ ფლობდა მეომარს; „შურის ძიების ღირსი ყველა არ არის, ალ-ქიმიკოსი ღირსია!“... სულთანს გაეღიმა: „წამოვიდეს, ვნახავ რისი გამკეთებელია ექიმთა-ექიმი!“... ალ-ქიმიკოსმა გაიხარა, სულთანისკენ მიიჩოჩა და ავაზაკივით მიუგო: „უნდა მოვილაპარაკოთ, რა, როგორ და როდის მოვიმოქმედოთ“... ალ-ქიმიკოს არ ჰქონდა სიტყვა დამთავრებული, სულთანს სიცილი აუტყდა... სმიტი მოუთმენლად საუბარში ჩაერთო: „სულთანო! აბის ნახვა მსურს, ჩვენი საუბარი, ვატყობ, დიდხანს გაგრძელდება, ვინახულებთ მე და ლი და მალევე დავბრუნდებით“... „მართალია, ბავშვი არ გვინახავს“. დაეთანხმა ლი. სულთანმა სიცილი შეიკავა: „აბიბოსაც არ ჰყავს ნანახი, ეხლა ისვენებდეს იქნება აბი, მოასწრებთ მონახულებას!“. ჩაფიქრდა, აბიბოს დააკვირდა... სმიტი და ლი დადუმდნენ... ალ-ქიმიკოსი ხარობდა. „ზუსტად იცი, რომ არ იცის არავინ აბის ვინაობა?!“ ჰკითხა ალიმ. „ყველას ჰგონია, ლახარის უდაბნოდან არის, აქ კი დროებით თავს აფარებს“. უპასუხა აბიბომ. სულთანმა გაიკვირვა. „ლახარის

უდაბნო რამ მოაფიქრა?“... „მასწავლებლები ხომ ასწავლიან, ვფიქრობ, იქიდან აირჩია ლახარის უდაბნო, ჩემო სულთანო“. მიუგო აბიბომ. სულთანს გაეღიმა, თან თავისთვის ჩაილაპარაკა სიხარულით: „ხო - ხო მასწავლებლები“... მასწავლებლებს თვალი გადაავლო ღიმილით და მზერა ლიზე გააჩერა: „ლი თქვენ უხუცესი ბრძანდებით, ჩვენს შორის, რას გვირჩევთ?!“ „უნდა გავერკვეთ, სად მივდივართ, რამდენი დაგვხვდება ადამიანი, მოკლედ, დაწვრილებით უნდა ვიცოდეთ ყველაფერი... შემდგომ დავადგებით შუა ღამით, გასაკეთებელს მიუგებთ!“. თქვა ლიმ. სულთანმა საჩვენებელი თითი ყველას შემოავლო: „ყველამ თქვით თქვენი სათქმელი ახლა!“. „მე ავაზაკი ვარ, მართალია, მაგრამ უფროსებს ვერ ვიტანდი ოდითგან, ავაზაკთა შორისაც კი, ვიღაცა უფროსობას მოინდომებდა ძმობის მაგივრად, იმ დღესვე ვიშორებდით ბიჭები მას, ერთს ვიტყვი, ყველას გვიყვარს აბი, ჰო და, ეხლა ერთად ვართ, შევიკრათ ერთ მუშტად და სიყვარულის დარტყმა ვაჩუქოდ მხეცებს“... წარმოსთქვა სმიტმა. „მართალია, ავაზაკი!“... „დანარჩენი რას იტყვის?“ იკითხა ალიმ. „ავაზაკს უკეთ ესმის ავაზაკის გზა, ჩვენ კი ავაზაკთა გზაზე გვიწევს გასვლა“... დაამატა აბიბომ. „მართალია, მალულად მოგვიწევს თავდასხვა და მალულად იქიდან მოშორება, ქალაქი ჩვენია რას იზამ, აბის გამო ვიმოქმედებთ ავაზაკურად... ეს კი ყველაზე უკეთ ავაზაკებს გამოსდით“. თქვა ალქიმიკოსმა. „კარგით ერთ მუშტად შევიკრათ, ხუთნი კი ვართ ზუსტად, მთავარია აბიბომ გაგვიგოს შუაღამემდე ყველაფერი დაწვრილებით“. დაამატა ალიმ. „ვინ არიან ის ხალხი?“ იკითხა ლიმ. „მონებით ვაჭრები არიან, ქალაქში ხუთ ათეულზე ნაკლები არ დადიან, ფრთხილობენ ძალზე... აბის და მის მეგობრებს ჩვიდმეტი ვაჭარი დაუჭრიათ, თან ისე ოსტატურად, თქვენი ხელი ეტყობა მათ“... აბიბო საუბარს აგრძელებდა... ლის ესიამოვნა. სიხარულით სიამოვნების დამალვას ცდილობდა ლი, მაგრამ ამაოდ... მისი სახე ბრწყინავდა... მასწავლებელი ხარობდა... „უნდა გავიგოთ მთავარი, მათ შორის სად ბინადრობს და მას მიუგოთ მისაგებელი“... „მართალია! შენ, აბიბოს! დაღამებამდე ყველაფერს თავს მოუყრი“... „ჩემგან ყველაფერი კარგად იქნება!“... „ვაჭრების მთავარი უნდა მოვკლათ და მის შუბლზე აბის სახელი უნდა ამოვტვირთოთ!“... „მშვენიერი აზრია, მე პირადად, მივხედავ მთავარს!“. დაასკვნა ალიმ. ალ-ქიმიკოსი შეუმჩნევლად აკვირდებოდა სულთანს... მას უკვირდა, თავისუფალი საუბარი ავაზაკთან... „რა გაკვირვებული მიყურებ რა გიკვირს?“ ჰკითხა სულთანმა. ალ-ქიმიკოსი შეიძრა:

„არაფერი, ჩემო სულთანო“. „დაღამებამდე მოემზადე, სჯობს, ხოცვას ვაპირებთ, ხოცვას!!!“. თქვა ალიმ. კარგა ხანს საუბრობდნენ მომავალი ავაზაკები, და შუა შუღამისას შეხვედრა დათქვეს საოცრების ბაღში. აბიბო, სმიტი და ლი აბის მოსანახულებლად კიბეებზე დაეშვნენ. „მე ისედაც ვეჭვობდი, გოგო რომ არის, მაგრამ პრინცესა?!“. გაკვირვებით წარმოსთქვა ავაზაკმა. „ვინც არ უნდა იყოს, ჩვენ ის გვიყვარს და აშკარად, მასაც ვუყვარვართ“. თქვა ლიმ... სმიტმა აბიბოს გახედა: „შენ იცოდი?“. „ვიცოდი“... იყო პასუხი. აბის ეძინა უდარდელად... ნასიმა და მატილდა მის ახლოს ჩუმად იჯდნენ... კარებზე კაკუნის ხმა გაისმა... დღემ მალე გაირბინა, საოცრების ბაღში შუა ღამისას ხუთი ადამიანი ერთმანეთში ჩურჩულით საუბრობდნენ... ცა ნახევრად მოღრუბლულიყო... მთვარე არ ჩანდა, ხუთივე ძალზე ახლოს იდგნენ ერთმანეთთან... საუბარი ძლივს ისმოდა. „შუა ქალაქში ბინადრობს ვაჭრების უფროსი, მდიდარ სახლს ქირაობს, ყოველ მოსვლაზე, სახლი ორ სართულიანია... გალავნის გარეშე, პირველ სართულზე დაცვა ჰყავს, თავისიანები, ორ ათეულამდე იქნებიან, თვითონ მარტოა მეორე სართულზე... ღამით და დღისით სახლის გარშემო ხუთნი მოძრაობენ, ისიც მისიანები“. თქვა აბიბომ... „კარგია!“ დაეთანხმა სმიტი... „აბიზე დაწვრილებით გავიგე ყველაფერი, ყალბი ძვალი მისთვის არავის უნახავს, თვითონ გამოუჩენია და ვისაც ეთამაშებოდა, მისთვის სახეში უსვრია“. გააგრძელა აბიბომ. სმიტმა სიხარულისგან თითქმის წამოიყვირა: „მე ხომ ვთქვი, შეუძლებელია მისი გამოჭერა!“. „ჩუმად! დაწყნარდი!“ დაუყვავა სულთანმა. სმიტი ხარობდა... ლის გახედა... სულთანი აბიბოს მიუტრიალდა: „რატომ ესროლა, არ იცი?“... „აბის მშობლები გაულანძღია, საქონელს ჩემო სულთანო!“... სულთანს აშკარად ესიამოვნა ამის გაგება: „ჩემო სულთანო დაივიწყე, სანამ საქმეს არ მოვრჩებით გაიგე?!!“ აბიბომ გაკვირვებით შეხედა მბრძანებელს და მიუგო: „გავიგე“. ამ სიტყვით აბიბო დადუმდა... რომ არ წამოსცდენოდა სულთანის დიდება. „ჰოდა, კარგი! ეს რა, პირველად მოდის საქმეზე?!“. ღიმილით მიუგო სმიტმა სულთანს. „ზედმეტს ნუ ლაპარაკობ“... „კარგი, კარგი, მხოლოდ ერთს ვიტყვი, მაცალეთ მათი გაქურდვა, მე იქიდან ხელცარიელი არ გამოვალ, გვამს კი არ ვქურდავ!“ წარმოსთქვა სმიტმა. „რა დროს ქურდობაა, რეებს როშავ, გაჩუმდი!!!“. გააფრთხილა ალიმ... „ხელცარიელი არ გამოვალ მეთქი!!!“ სულთანმა ლის გახედა: „მარტო არ დატოვოთ ეს ქურდი, არ გაგვიფუჭოს ყველაფერი“... ლიმ ღიმილით ახედ-დახედა სმიტს. „ამას მარტო არასდროს დავტოვებ“...

სმიტს გაეღიმა ამაყად. „ბადრაგი მაკლდა ეხლა“... ლი გაბრაზდა: „გაგაბადრაგებ!“. სულთანმა ხელი მაღლა ასწია: „თქვენი ჩხუბი გვაკლია ეხლა!“. ლი გაბრაზებული შეჰყურებდა სმიტს. „მე ჩუმად ვარ, მამიკო არ მჭირდება“. მაინც თქვა სმიტმა. „გაჩუმდები?!!!“. სულთანის ხმაში რისხვამ გაიჟღერა... სმიტმა თავი დაღუნა და ჩუმი, ნაზი ხმით წარმოსთქვა: „მე რომ მიყვარს, ისე რომ ვუყვარდე, ჩემზე არ გაბრაზდებოდა“. სულთანმა სიცილი შეიკავა... ლის ესიამოვნა ღიმილით დააკვირდა მას... „კარგით, დავწყნარდეთ... მთავარი ყველამ დაიმახსოვრეთ... მათი მთავარი ჩემი ლუკმაა!“...სულთანმა ყურადღება ალ-ქიმიკოსს მიაპყრო, დააკვირდა მძაფრად: „მზათ ხარ ექიმო?!“... ალ-ქიმიკოსი ხარობდა... მომავალ თავ დასხმაზე და ისე, უბრალოდ თითქოს არაფერი ხდებოდა, თავისუფლად, დაუფიქრებლად, ბედნიერი, ჩუმი ხმით მიუო: „როგორც არასდროს!“. სულთანმა სმიტს და ლის გახედა: „აბიმ როგორ მიგიღოთ?!“ აბიბოს ჩაეცინა... სულთანმა აბიბოს შეხედა და მერე ლის... „ეცინებოდა რომ გვიყურებდა“... „ყბების ტკივილი აჩერებდა, თორემ მის სიცილს მთელი სასახლე გაიგებდა“... სულთანმა სიხარული აშკარად დამალა: „მასზე მოვასწრებთ კიდევ საუბარს... გზას გავუდგეთ... კედლიდან მოგვიწევს გადასვლა, დანარჩენს გზაში მოვუბათ თავი“... სმიტმა ლის გახედა და ყველას გასაგონად, მთელი გულით, ბედნიერებით აღსავსემ წარმოსთქვა: „წავედით ავაზაკებო!“... სულთანს გაეცინა... ლიმ ვერ ითმინა, პირზე ხელი აიფარა, იხრჩობოდა სიცილისგან... აბიბო სულთანს დააკვირდა... ალიმ იგრძნო, ღიმილით გამოხედა: „თავისუფლად მეგობარო!“... აბიბო სიხარულისგან ჭკუაზე აღარ იყო... ალ-ქიმიკოსი პირველად თავის ცხოვრებაში, ავაზაკის გზას ედგა და მთელი სერიოზულობით გადადგა ნაბიჯი... სულთანი დააკვირდა მის კეფას, უძლიერეს ადამიანს ხედავდა, ღირსებით სავსეს, უპატიოსნესს, უღალატოს, რომელიც ავაზაკის გზას დაადგა, აღსავსე ბედნიერებით, მისი თითოეული ნაბიჯი დაფიქრებული, მყარად ადგამდა მიწას ფეხს, მიზნის აღსასრულებლად.

ხუთი ადამიანი, შავებში შემოსილნი, ნიღბებით სახეზე, საოცრების ბაღში, სასახლის უკანა კედლისკენ მიემართნენ... ყველა მათგანი, ალ-ქიმიკოსის გარდა, რომელიც ყველას უსწრებდა, თითქოს ამოფარებოდა ყველას და თავის თავზე იღებდა პირველ დარტყმას... კბილებამდე იყვნენ შეიარაღებულნი... ალ-ქიმიკოსს რამოდენიმე ქისის შეკვრა ჰქონდა წელზე და ზურგზე დამაგრებული... ქისები ქიმიური ნაზავით იყო

სავსე და მხოლოდამხოლოდ პატარა ფარი ეჭირა ხელში... ხუთ ზრდასრულ ადამიანს სიყვარული ამოძრავებდა... მისმა სახელმა მათ გულებში სამუდამოდ დაიმკვიდრა... მას „ბააგრა“ ერქვა, დრო გაჩერდა... ცა ძალზე მოიღრუბლა... დილის ხუთი საათისთვის ქალაქს ქარიშხალი დაატყდა... ბააგრას ეძინა... მატილდა, ნასიმასთან ერთად, მივარდნენ ფანჯრების დასაკეტად, შეშინებულნი... ოთახში ჩირაღდნები ჩაქრა... ცოტა ხანში, სულთნის მთავარ დარბაზში ხმაურმა სასახლის ბინადარნი ფეხზე დააყენა... ბააგრას გაეღვიძა. სულთანი წამოწოლილიყო ხალიჩაზე, თავი მუთაქაზე ედო, ცალი ხელი თავქვეშ ამოედო. მეორე ხელში ჩილიმის მილი ეჭირა და ისე ძლიერ ქაჩავდა, თითქოს ბოლი ბერავდა... სმიტი ხაშხაშისგან გაბრუებული, თვალდახუჭული წამოწოლილიყო და ღიმილით რაღაცას გაუგებრად ბურტყუნებდა... ალ-ქიმიკოსი ხალიჩაზე ჩამომჯდარი სიხარულით ტაშს უკრავდა, ლი ჩაფიქრებული დუმდა, აბიბოც მორიდებულად იჯდა სულთანის მახლობლად... სულთანმა მისკენ თავი გადასწია, გაბრაზებული თვალები სიკვდილით იყო აღსავსე... მან ჩილიმის მილი აბიბოსკენ გაიშვირა: „მოქაჩე!“. სულთანის მძაფრმა ხმამ შეაძრწუნა აბიბო, თითქოს გაშრა... ხმა ისევ განმეორდა... საშინლად მოქმედებდა მხედარ მთავარზე. „მოქაჩე!“ აბიბომ თითქოს მომაკვდავი ხელით გამოართვა მოწოდებული... მოულოდნელობისგან ისე მოქაჩა, თითქოს წყალში დამხრჩვალმა ნაპირზე მოაღწია... არ აპირებდა გაჩერებას... სულთანი გაკვირვებით შეჰყურებდა მას... აბიბო ისრუტავდა ჩილიმიდან ბოლს გაწითლდა... გაიბერა, გაჩერდა, მთელი სერიოზულობით მილი პირიდან გამოიღო... დარბაზში მუსიკის და დოლის ხმა თითქოს აყრუებდა იქ მყოფებს... მოცეკვავე ქალები სასიამოვნო ხმის დაირებს ძლიერ სწრაფად ამოძრავებდნენ... მათი ხმა აბიბოს სმენას უხშობდა... ქალებს თითქოს დააკვირდა... სულთანი მას არ აშორებდა მზერას... ერთი წამი... მეორე წამი... აბიბოს სიცილი აუტყდა გიჟური... მას ჩილიმი ხელიდან გაუვარდა...სულთანს გამოხედა და სიცილით მიუგო: „რა ვნახე, სმიტი ჯერ გაქურდავდა, შემდგომ კლავდა, თან ყვიროდა „მე მკვდრებს არ ვქურდავ ღორებო“. აბიბო სიცილს ვერ იკავებდა, სახე სიწითლიდან სითეთრეში გადაუვიდა. თვალები აუტრიალდა და იქვე, უგონოდ სულთანისკენ გადავარდა... სულთანს სახე ეცვალა... აბიბოს მუთაქა ფეხებ ქვეშ ამოუდო, თვითონ ჩამოჯდა და ალ-ქიმიკოსს დააკვირდა... ლიმ გამოხედა... სულთანმა მშვიდად მიუგო, თან ჩილიმს სწვდა... სიტყვის შემდგომ მოქაჩა: „უარყოფითს რას მეტყვი აბიზე ოსტატო?“

„ერთი ნაკლი აქვს, თავდაცვას არ აქცევს ყურადღებას“. უპასუხა ალიმ... სულთანი ჩილიმს ქაჩავდა... ლის თვალებში უყურებდა, მშვიდად ამოისუნთქა... „დედოფალი რომ იყო, მთავარია გული და არა მახვილი, გული აქვს, მახვილიც ჰოდა თავდაცვა ჩავუნერგოთ ყველამ ერთად“. „ძნელი იქნება, რადგან ტკივილს ვერ გრძნობს“. იყო პასუხი. „არ არსებობს ტკივილი, თუ მიზანი სიცოცხლეზე მეტია“. ლიმ თავი დაუქნია დუმილით. „ხაშხაშს ხომ არ მიირთმევ ოსტატო?“. ღიმილით მიუგო სულთანმა. „არ ვეწევი, ჩემო სულთანო“... სულთანმა ალქიმიკოსს გახედა, გაბრუებული თვალებით და უთქმელად პასუხი მიიღო. „ღვინო, ღვინო და ისევ ღვინო ჩემო სულთანო“... ალ-ქიმიკოსი მოცეკვავე ქალებს მიუტრიალდა და აბიბოზე გაუბა საუბარი... სმიტს ეძინა... აბიბო რაღაცას ბოდავდა... ქარიშხალი არ წყნარდებოდა... დროსტარება გრძელდებოდა... სულთანს მსახური მიუახლოვდა მუხლებზე დაიჩოქა: „ნასიმა დგას კარებთან, სასწრაფო საქმე მაქვსო“. სულთანმა ხელით ანიშნა მსახურს ნასიმას შემოშვება... ნასიმა გაკვირვებული თავდახრილად ჩვეულად მიუახლოვდა სულთანს: „აბიმ წერილის წაღება დამავალა ქალაქში“. ნასიმამ დახვეული გრაგნილი გაუწოდა სულთანს... ალი წამოწვა ხალიჩაზე... მისი სიკვდილით სავსე თვალები სიცოცხლით აივსო. ღიმილით კითხულობდა... შემდგომ აკოცა წერილს. არაბულ ენაზე იყო დაწერილი შეცდომების გარეშე.

წერილი

„მე ფსკერზე ჩავწექი... ბრჭყალები არ გაყოთ... მარტო არ იაროთ... ბაღდადელის გამოჩენა გამაგებინეთ მალე... მეც გამოვჩნდები. ჩემ ძმას, მრისხანეს, არავინ შეეხოს, მიხედეთ!

ძმებს სიცოცხლე

აბი!

სულთანმა წერილი ნასიმას დაუბრუნა... ლი ყურადღებით იყო... ალ-ქიმიკოსი ტაშს უკრავდა... სიცილით გამოხედა სულთანს: „საქმე ხომ არ გამოჩნდა ისევ ბრძანებელო?!“. „მშვიდობაა, მშვიდობა“. უპასუხა ალიმ. ალ-ქიმიკოსი ძალზე დათვრა, ადგა და ცეკვას შეუდგა... ნასიმა დაიძაბა, ასეთი მას არ უნახავს, არც სულთანი, არც აბიბო... ალიმ გაბრუებული ხმით მიუგო: „სად უნდა მიიტანო?!“. “ქალაქის მთავარ პურის საცხობში“... „მიიტანე, მთავარია, შენ არ გიცნონ“... „გასაგებია მბრძანებელო“... ნასიმა იდგა

გაუნძრევლად... სულთანი ჩაფიქრებულიყო... ჩილიმს ისევ მოქაჩა მშვიდად, ნასიმას დააკვირდა: „ქალაქში რასაც ნახავ, ან გაიგებ, აბის არ გააგებინო, კიდევ მთავარი, დღეს არა, ხვალ ქალაქში ჭორს გაავრცელებ, რომ ალ-ქიმიკოსმა ვიღაც ბიჭი ღამით ქუჩაში დაჭრილი იპოვა და თავისთან წაუყვანია, გასაგებია?!“. ქალმა გაკვირვება ვერ დამალა: „დიახ, ბრძანებელო“. „ჰო, ერთიც, თუ შეძლებ, გამიგე, ვის ეძახიან ქალაქში „მრისხანეს“ და წერილი წაიკითხე, რომ იცოდე, რა იზრდება ჩვენი სიცოცხლე“... სულთანს ჩაეცინა და ხელით ანიშნა ნასიმას წასვლა. ნასიმა დარბაზს ტოვებდა გაოგნებული. ალი მას ზურგში აკვირდებოდა, თან აბიზე ფიქრობდა: „რა გაიზრდება პატარა პრინცესა რა?! ადამიანი! ადამიანი! ცხოველზე მაღლა მდგომი, უნიღბო სიყვარულით, ღირსებით, სავსე, ლამაზი, მშვენიერი, გულუბრყვილო, გველივით ბრძენი არწივი“... მხიარულება არ წყდებოდა, მთელი სასახლე ხარობდა უბრალოდ, არავინ იცოდა, რაზე ხარობდა მათი სულთანი... ნასიმა პურის საცხობს უახლოვდებდა გადაცმული, მათხოვრის შესამოსელში, ქალაქი ჩურჩულით, შიშით, გაოგნებულიყო... ქარიშხალი სუსტდებოდა...

ბააგრას ქვეყანაში ჟორდანმა ფესვები მყარად გაუშვა... ის ბობოქრობდა.. ცოფიან მეომრებთან ერთად, ერთ დღეს მეზობელი ქალაქი დაიბყრო... სასახლის ეზოში დიდი ქეიფი გაჩაღდა... ჟორდანი მაგიდაზე ასულიყო - სადღეგრძელოთი გამოდიოდა... ძალზე დიდი ყანწი ეჭირა ორივე ხელით: „ჩემო, საყვარლებო! ჩვენს გამარჯვებას გაუმარჯოს, რომელსაც მოჰყვება უამრავ ქალაქის დაცემა, ამ სასმლით მინდა თქვენი სიმამაცე ვადღეგრძელო“ ყველა ფეხზე წამოდგა ყვირილით: „ჟორდანს, ჟორდანს გაუმარჯოს“. ჟორდანი ამაყად აცარიელებდა ღვინით სავსე ჭურჭელს.. გაცარიელებული ჭურჭელი უკან მოისროლა... ტუჩები მოიწმინდა... ცხოველივით ამოაბოყინა... ღიმილით გადაავლო ყველას მზერა, გაბრუებული ხმით მიმართა იქ მყოფ ცოფიან მეომრებს: „ერთი მინდა მოგახაროთ, ჩემმა საყვარელმა ძმამ, ბოლიმ შემომითვალა, მეც მინდაო თქვენთან ერთად გართობა“. ცოფიანებს სიცილი აუტყდათ, მთვრალი ჟორდანი აგრძელებდა საუბარს: „გაერთოს ჩვენთან ერთად... რას იტყვით, ვფიქრობ მეტ ხალისს შემოგვიტანს“. მეომრების შეძახილი ყველა მხრიდან ისმოდა: „გაერთოს, გაერთოს, სხვა რა საქმე აქვს, ჩვენზე კარგად სხვასთან ვერ გაერთობა მაინც....“ ჟორდანმა ხელი მაღლა ასწია მისმა მკაცრმა და ამაყმა გამომეტყველებამ სიჩუმე ჩამოაგდო... მკაცრად წარმოსთქვა: „მისმინეთ!“. მთვრალი მეომრები დადუმდნენ... ყურადღება ყველას ჟორდანისკენ

ჰქონდა... მან, თითქოს უბრალოდ, გააგრძელა საუბარი: „ნადავლს, პირველ რიგში, ცოფიანი მეომრები მიიღებენ! შემდგომ ბააგრების მოღალატე თავადები, გლეხ ღორებთან ერთად, რათქმაუნდა, თუ დარჩა რამე“. ჟორდანს სიცილი აუტყდა... მოღალატე თავადები შეშინდნენ... ჟორდანი სიცილით და სიხარულით შეჰყურებდა მათ... ცოფიანი მეომრები სასმელს უსხამდნენ ერთმანეთს, ჟორდანს ლოცავდნენ: „ჟორდანს, ცოფიან მეომარს, გაუმარჯოს“. მთავარ მხედრები ფეხზე დადგნენ, თან თავის სადღეგრძელოთი ასწორებდნენ მეომრების სიტყვას: „მართალია, ჟორდანი ცოფიანია, აქედან გამომდინარე, ის მარტო ბოლის ძმა არ - არის, ის ჩვენი უფროსი ძმაა, ჩვენი მხედართ მთავარი... ცოფიან ჟორდანს გაუმარჯოს! ჟორდანს, დაბადებიდან ჩვენნაირს ცოფიანს“... ჟორდანმა ძალზე გაიხარა... მაგიდიდან ჩამოსვლას არც ფიქრობდა... მან ნელა გადადგა ფეხი, თან მიუგო: „მადლობელი ვარ, მადლობელი დაფასებისთვის, ერთი მინდა გკითხოთ! ამ ქალაქის თავადები ცოცხლები რომ დატოვეთ რაში გარგიათ?! გლეხები ცოცხლად დავტოვოთ... გლეხისთვის, სულერთია ვის ემონება... მთავარი მათთვის ერთია, პირში რამე ჩაიტენონ, ჰო და იტენონ ჩვენ კი მათ ცოლებს შევტენით, რომ მშივრები არ დარჩნენ შემთხვევით“. ჟორდანს არ აცალეს სიტყვის დამთავრება... ატყდა ყვირილი ყველა მხრიდან: „შევტენოთ, შევტენოთ, მშივრებს არ დავტოვებთ, არ შეეშინდეთ გლეხებს, პირობას ვდებთ, მივხედავთ მათ ცოლებს და მათ შვილებსაც ზედ მივაყოლეთ“. ჟორდანმა ხელი გაიშვირა ბააგრების მოღალატე თავად-გლეხებისკენ: „შეხედეთ ბააგრების მათხოვრებს, შეეკითხეთ, ხომ სულერთია მათთვის ვინ იქნება მათი მეფე! შეეკითხეთ, შეეკითხეთ ღორებს რომლებიც ლოკავდნენ ბააგრების ნაფეხურებს“. ჟორდანი გამწარებული ყვიროდა, ცოფიანი მეომრები აფორიაქდნენ... ბააგრების მოღალატე ბატონ-გლეხები ძალზე შეშინდნენ... ჟორდანი აგრძელებდა სიტყვას: „ამათ ჰგონიათ, მე მცეს პატივი, გვერდში ამომიდგნენ და მე ამის მჯერა! გვერდში არ დადგებოდნენ, ამოვხოცავდი ბააგრებივით! რად მინდა ამათი გვერდში ყოფნა, როცა ბოლი გვერდით მყავს, თქვენი თამადობით, ერთი ვერ გავიგე, ჩვენს ახლოს როგორ გაბედეს დაჯდომა! გაეთრიონ ჩვენი მაგიგიდან და ჩახოცონ ტყვე ბატონები! რა ჩვენ ვისვაროთ ხელები?!“ ჟორდანმა დამთავრება ვერ მოასწრო, რამოდენიმე ცოფიანი მეომარი წამოხტა სკამიდან, ისენი ცემა-ცემით აძევებდნენ ბააგრების ბატონ-გლეხებს სუფრიდან, თან ყვირილით, მუქარით მიუგებდნენ: „წადით, ჩახოცეთ ტყვე თავადები,

თორემ ზედ დაგაკლავთ ყველას, თქვენ მართლა ღორებო, როგორ გაბედეთ ჩვენს ახლოს დაჯდომა“... ბატონ-გლეხები შეშინებული გარბოდნენ, მიუახლოვდნენ თუ არა დატყვევებულების ადგილ სამყოფელს, ცოფიანმა მეომრებმა უხმეს ერთ-ერთ ბააგრების მოღალატე თავადს: „ეხლა ჩვენ წავალთ, შენ კი თავადო! უხელმძღვანელე დანარჩენს და შენნაირი თავადები ერთიც არ ვნახოთ ცოცხალი, თორემ კი იცი ვინ არის ეხლა თავადი შე შტერო“... მეომარმა პანჩური ამოარტყა შეშინებულ თავადს... დანარჩენები სიცილით ტოვებდნენ შეშინებულ, მოღალატე ლაჩრებს. ტყვეები ერთ-ერთ სასახლის სარდაფში იყვნენ გამომწყვდეულნი... მოღალატეებმა ტყვეებიდან გამოარჩიეს გლეხები, აიძულეს თავ-თავიანთი თავადები დაეხოცათ, ბააგრების მოღალატეები შეჰყურადნენ ხოცვა-ჟლეტვას, თან ერთმანეთში საუბრობდნენ... მოღალატე გლეხ-თავადები, ერთ მდგომარეობაში მყოფნი ეხლა უკვე ჟორდანის მონები, აღარ არჩევდნენ ერთმანეთს, მათი საუბარი აშკარად ზიზღს, შიშს გამოსცემდა: „ჩვენი საშველი არ იქნება არასდროს, გინდა ბააგრები, გინდა ჟორდანი, ვინც გინდა იყოს, ჩვენთვის ყველა ერთი იქნება“. ერთ-ერთმა არ აცადა დამთავრება, საუბარში ჩაერია: „ჩვენ ღორებს გვიწოდებენ თვით ღორები არიან“. ერთ-ერთ მონას სიცილი აუტყდა: „ჰო და ყველა ღორი ერთად ვყოფილვართ შეკრებილნი, როდის იყო, ბააგრებს ეგეთი ეკადრათ, მოღალატე მოღალატეა, რა მნიშვნელობა აქვს, ვის, ან რას ღალატობ! მოღალატეს კი, ერთი სახელი აქვს, ღორი!!! ასე რომ, სჯობს დავწყნარდეთ და ყურადღება მივაქციოთ, ამ გლეხებმა ცოცხლად არ დატოვონ რომელიმე თავადი, თორემ წასულია ჩვენი ისედაც წასული საქმე“... იდგნენ მონები, გუშინდელი თავად-გლეხები შეჰყურებდნენ დატყვევებული თავადების სიკვდილს და ყველას შიშის ჟრუანტელი უვლიდა სხეულში... რამოდენიმე ხნის წინ, ისენი ერთად ატარებდნენ დროს... ეხლა კი მათ სიკვდილს შეჰყურებდნენ, ამაზრზენი ყვირილი არ ნელდებოდა. ჟორდანი ქეიფს აგრძელებდა... ცოფიანი მეომრები იშლებოდნენ, თან ხმაურით, ყველას გასაგონად ყვიროდნენ: „დროა გლეხების ცოლებს მივხედოთ“. „თავადების ცოლებმა რაღა დააშავეს, არ მივუსამძიმროთ?!“. სხვა და სხვა გამოძახილები არ წყდებოდა, მთვრალი სიცილი, სასტიკი დამცინავი ძალზე საშიშად ჟღერდა... ჟორდანს ეცინებოდა... შეჰყურებდა მეომრებს და მხედარმთავარ ბოლიზე ფიქრობდა... მას სურდა ბოლის გამოჩენა... ჟორდანი ათვითცნობიერებდა რომ ბოლი დიდი რაოდენობის ჯარით ჩამოვიდოდა... მის წარმოსახვაში ქალაქები იწვოდა. მისი

მთელი სხეული სიხარულით შეიმოსა... ნოზას გახედა... ის შეშინებული, გაფითრებული, გაშეშებული იჯდა, ჟორდანი ღიმილით მიუახლოვდა... მის გვერდით ჩამოჯდა: „რა შეშინებული ზიხარ?! ხომ გითხარი, რაინდიხარ ჩემი, თან ერთადერთი მთელ სახელმწიფოში, შენ გაბარებ იმ გლეხებს და თავადებს, როგორც გაგიხარდება, ისე მოეპყარი მათაც და მათ ოჯახებს“... შეშინებულმა გლეხმა დაბნეულად ამოისუნთქა, ხმის ამოღება ვერ შესძლო, ჟორდანს სიცილი აუტყდა მხარზე ხელი დაარტყა: „ნუ გეშინია, შენ გლეხი აღარ ხარ, შენ რაინდიხარ, რაინდთა რაინდი“... ნოზას შემყურე ჟორდანი სიცილისგან სკდებოდა.

ბოლი ამ დროისთვის შუა გზაში იმყოფებოდა, ამხედრებული ცხენზე, ძალზე ჩაფიქრებულიყო, მას უამბეს მეგობრის საქციელი რომელმაც პატარა პრინცესა გადაარჩინა... მთავარ მხედარს თვალწინ ედგა მეგობარი, მათი ბავშვობა, მის თავში არ ლაგდებოდა მომხდარი... მათი ბავშვობა, გულუბრყვილო საუბრები, თვალს არ შორდებოდა, თითქოს უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა... ის ერთს ფიქრობდა, მოვლენებს არ გასწრებოდა... მას დაღუპული მეგობრის ბავშვობის სიტყვები წამ და უწუმ ესმოდა: „ბოლი, ჩემო ძმაო, როცა დადგება ის დღე, რომ მე შენი გულისთვის სიკვდილი მომიწევს, ის დღე ჩემთვის ყველაზე ბედნიერი იქნება, რადგან შენ მე მიყვარხარ, სიყვარულის გამო სიკვდილი ბედნიერებაა... სიყვარული კი თვით ღირსება“. მთავარი მხედრის გონება თითქოს ითიშებოდა... ის ჭკუიდან იშლებოდა იმის ფიქრში, რომ ერთადერთმა მეგობარმა თავი დადო დაუფიქრებლად ბააგრას გამო, თვალებზე ცრემლები მოადგა, გადარეული ბღავილ-ყვირილი ცას სწვდებოდა. ნოზამ არ იცოდა, ვის კლავდა... მას სიკვდილი არ უახლოვდებოდა ის მკვდარი იყო, მკვდარი... ბოლი ერთს ფიქრობდა, როგორ მოეკლა ის წამებაში და ისევ არ შორდებოდა ფიქრი პრინცესაზე... მის გონებაში თითქოს ბააგრა მეგობრად ევლინებოდა... ბოლი საღ გონებაზე ვერ იყო...

ფორესტმა სრული თავისუფლება მიიღო... არავინ ერეოდა მის საქმეში, არც არავის ახსოვდა ის სანამ არ გადაეყრებოდნენ სადმე... დებო ხშირად დადიოდა მასთან კლდის ციხეში... ისე მოეწონა ზომბირებული ავადმყოფები, დღეს არ აცდენდა მათ უნახავად... ქალბატონს სიამოვნებდა მათთან მარტო დარჩენა... ესაუბრებოდა მათ, აცეკვებდა, ეფერებოდა, ეჩხუბებოდა... მოფერებით მიღებული სიამოვნება აღემატებოდა ყველაფერს... ის მთლიანად მათ მმართველად, დედოფლად გრძნობდა თავს... მათში

საკუთარ მეომრებს ხედავდა... დებო თითქოს მათ იბირებდა თავისკენ, ცდილობდა, ფორესტზე მაღლა დამდგარიყო. ეს მას აშკარად კარგად გამოსდიოდა... ფორესტი ამ დროს უხშირებდა ტყეში სიარულს... როკის სამფლობელოში... დიდ დროს ატარებდა მიწის ქვეშ, ის ჩაფიქრებული, მარტო თითქოს გრძნობებს უსმენდა, როგორც არანორმალური ექიმი, თავის თავს ესაუბრებოდა, იცინოდა როკის შტერად იხსენებდა, ექიმს სულელად, მისი შექმნილი წამლები დღე და დღე შედეგს უჩვენებდნენ, იმაზე მეტს, რასაც ელოდა თავად... ფორესტს ძალა ემატებოდა, ის მიწის კედლებს, როგორც ცოცხლებს, ესაუბრებოდა... მისი სახე იცვლებოდა... არც ცხოველს ჰგავდა, არც ადამიანს, ამოვიდოდა, თუ არა, მიწიდან, გარშემო გაიხედ-გამოხედავდა, გაიცინებდა და ისევ ადამიანის შეხედულებას იბრუნებდა...

ვინსენტი დღე და დღე სუსტდებოდა.. ექიმმა იცოდა, ფორესტი წამალს წყალში ურევდა.. როკის ბალახეული დამთავრდა... ის საავადმყოფოდან ფეხს ვერ ადგამდა, ერთ დღეს, როგორც ყოველთვის, დილა ადრიანად ვინსენტს გაეღვიძა... ის ოფლში იწურებოდა ექიმს არ ეძინა, ბიჭს სახეზე აშკარად ეტყობოდა, დამბლა დაცემოდა... მისი უაზრო თვალები, ძია ისს შეჰყურებდნენ: „ბააგრა ვნახე სიზმარში, თუ ცხადად, ვერ გამირჩევია“. ექიმი მაშინვე ჩამოუჯდა გვერდით, ოფლს უმშრალებდა, ეფერებოდა: „მომიყევი, მომიყევი“. ექიმი გაბრუებულ ბიჭს შეშინებული შეჰყურებდა... ვინსენტის თვალები თითქოს სივრცეს გაჰყურებდნენ, თან რაღაცას ხედავდა იმ სივრცეში: „ბავშვები რომ ვიყავით, ის ქალაქში დავინახე ერთხელ, ჩემზე საკმაოდ პატარა იყო, ბიჭებს ეჩხუბებოდა... ერთი ქეჩოთი ჰყავდა დათრეული, მეორეს ყელში წვდა... ამ დროს ჩემკენ გამოიხედა... მე შორიახლო ვიდექი, როგორ მახსოვს, არ ვიცი, როგორ ავხსნა, მისი სახიდან თითქოს რაღაც შუქი გამოვიდა, ვიგრძენი მაშინ, რომ მისი სქელი წარბები მალავდნენ მას ბოროტისგან, რომ არ ეცნოთ, ეს ელვისებურად მოხდა, ის ბიჭებისკენ შეტრიალდა... მოვარდნენ ბიჭების მშობლები, პრინცესამ მათ გაბრაზებულმა თავი დაანება... მე ჩემს გზას გავუდექი, ახლა კი, ვნახე ზუსტად ისე, მხოლოდ თხელ წარბებში, თვალს არ მაშორებდა, რა სილამაზეს ვხედავდი, ვერ აღვწერ... მზერას არ მაშორებდა... უცებ მისგან რაღაც ნათელი გამოვიდა და ის ნათელი ჩემში შემოვდა, აგერ აქ არის აქ!“. ვინსენტი სახეზე ხელებს ისმევდა დადუმდა... ექიმი ძალზე შეშინდა: „ხო, და, კარგია, ის ცოცხალია, ცოცხალი!“. ბიჭი ისევ გაბრუებული იჯდა, ძია „ის“ შეჰყურებდა მას

სინანულით... შუგი ჩახუტებოდა ძიას და არ აშორებდა წუხილით ვინსენტს თვალს. : „ექიმო! იცით, რა ლამაზი გამხდარა, მე მის გვერდით დგომაც შემრცხვება!“... ექიმს გული აუჩქარდა: „გვერდით კი არა, წინ დაუდგები, თვალებში ჩახედავ და ეტყვი - პრინცესა დრო მოვიდა!“ ამ სიტყვებით მახვილს მიაწოდებ, თან ერთს კი არა, ორს, ერთდროულად და ის უსიტყვოდ, ღიმილით ორივეს გამოგართმევს!“. ვინსენტი ხვნეშოდა, ცრემლები ლოყებს უსველებდა, თვალები ეხუჭებოდა, პატარა ბიჭი შუგი ჩახუტებული ძია ისს აჰყუროდა... მონსტრი, შუბლზე სვირინგით, უმშრალებდა პატარა ბიჭს ცრემლებს: „ნუ სტირი, ჩვენც ავიღებთ მახვილს, და მათ გვერდით დავდგებით“. შუგის აუჩუყდა გული. „მართლა ძია?!“, „როდის მომიტყუებია შენთვის“. ვინსენტმა ექიმს გამოხედა, მის თვალებში სიცარიელე მეფობდა: „მთავარია არ დაეცეს, ის ხომ პატარაა“. „შენ უნდა იყო ძლიერად, შენ! არ უნდა დაეცე! ის რომც დაეცეს, არ გაჩერდება ხაფანგში, კი იცი, რა სისხლის არის“... ვინსენტმა არ აცადა დამთავრება, ჩუმად აუჩქარებლივ, თითქოს არაფერი, წარმოსთქვა: „ვგრძნობ ვეცემი ვგრძნობ“... ექიმს შიში მოემატა: „ბააგრაზე იფიქრე, ბააგრაზე, მარტო მაგაზე, სხვაზე არაფერზე იფიქრო, ის არის ეხლა შენი მხსნელი, ის და სხვა არავინ“. გაბრუებული ბიჭი უსიტყვოდ წამოწვა, გადატრიალდა კედლისკენ, თან თავისთვის გაბრუებულმა ჩაილაპარაკა: „ჰო, ჰო, ბააგრა, ბააგრა“. ექიმს გული უსკდებოდა, ვინსენტის დაცემას ხედავდა... ბიჭი ჭკუიდან გადადიოდა, ექიმმა თავზე ხელები შემოიჭდო... თავს აბრალებდა ვინსენტის უბედურებას... ძია „ის“ და შუგი ერთმანეთში საუბრობდნენ... მათზე ძლიერ არ მოქმედებდა ფორესტის წამლები, ისენი გაჟღენთილები იყვნენ წამლისგან. გამთენიისას როკი საკანთან იდგა, ექიმს ესაუბრებოდა... ფორესტი, რამოდენიმე ბადრაგთან ერთად, ირონიული ღიმილით საკანს მიუახლოვდა, გაისმა სასტიკი, მშიშარა ხმა: „გამოეთრიე ექიმო!“ როკი საკანს მოშორდა: „სად მოეთრევი ბებერო მოეთრიე აქ“. როკი ფორესტს დააკვირდა, ექიმმა ვინსენტს დახედა კარისკენ გადადგა ნაბიჯი, გაისმა უძლური, დაბნეული ხმა: „რა ხდება ექიმო?“ ვინსენტმა უძლურად წამოსწია თავი, კარები გაიღო, ფორესტი წვდა როკის თმებში, შეაგდო საკანში: „აღარ მჭირდები დამპალო ბებერო!“ როკი დაეცა ბადრაგებმა ექიმი ჩაიგდეს ხელში და უსიტყვოდ წიხლებით შედგნენ მას, საკნის კარი დაიკეტა, ფორესტმა დახედა ექიმს: „თავი, თავი არ დაუზიანოთ, ძალზე ბევრი დევს მასში“. ვინსენტი ძლივს წამოდგა, როკის წამოყენება სცადა, ვერ შესძლო.,.. ძია „ის" დაეხმარა... ვინსენტი კარებს

მიუახლოვდა... ჩამოჯდა შეჰყურებდა, როგორ სცემენ ექიმს... კბილებით სწვდა თავის ხელს და ნელ-ნელა ხორცი ამოიგლიჯა, უძლურებისგან გამწარებულმა ისევ სწვდა ხელს კბილებით... ძია „ის“ მივარდა კარებთან, ჩაავლო ხელები გისოსებს, თან ღმუილით ცდილობდა კარის განგრევას... მისი ღმუილი აზანზარებდა მთელ საავადმყოფოს... შუგი კედელთან აეყუდა, უგონოდ შეჰყურებდა სისხლში ამოსვრილ ვინსენტის სახეს, გაბრუებული უსიცოცხლო თვალებით... ახალგაზრდა ბიჭი თავისი ხორცის ნაგლეჯს სიცილით ღეჭავდა... როკი სწვდა მას თმებში... თავი უკან გადააწევინა: „გადმოაფურთხე გადარეულო!“ ბებერმა ძალით ამოაცალა ხორცის ნაჭერი პირიდან... ექიმი ცემა-ცემით მოაშორეს იქაურობას... ძია „ის“ გამწარებული ღმუოდა, შუგი გაშეშებული განძრევას ვერ ბედავდა... როკიმ დასისხლიანებული ბიჭი ლოგინამდე მიათრია. „შემომხედე გადარეულო!“. ვინსენტი წამოწოლილი იყო... როკი სწვდა მას ისევ თმებში... ვინსენტმა უძლურად დაუსწორა თვალები: „მე ექიმი არ გეგონო! დაგახრჩობ სულელო! თვალები არ მომაშორო!“ როკი მიუახლოვდა სახით მის სახეს, თვალებში ჩახედა, ცალი ხელით თვალის უპე გადაუწია: „ღრმად ჩაისუნთქე! ეხლა ამოისუნთქე... თვალებში მიყურე! სუნთქვა გააგრძელე თავისუფლად, ღრმად, ერთდროულად, რაც გააკეთე ეხლა ნაბიჯია დაცემისკენ... არ გასწავლა იმ შენმა ჭკვიანმა ექიმმა?" ბებერი დადუმდა, მზერას არ აშორებდა მის თვალებს... ვინსენტი თითქოს მონუსხა... ექიმის ცემის ხმა აღარ ისმოდა... ძია ის ვინსენტისკენ შემოტრიალდა... გამწარებული, ღმუილით მიუახლოვდა... როკი ნაიარევს უხვევდა... ვინსენტის სახეზე ღიმილი გამოჩნდა... ძა „ის“ დაჰყურებდა წუხილით, როგორც პატარა უტვინო ბავშვს... როკი მშვიდად დააკვირდა მწოლიარეს: „შენ ექიმს კარგად ვერ სცნობ, დრო გავა ფორესტი სულელის ადგილას მოაჯდება, ნახავ შენ მაგას, და თუ გესმის მაგდენი, რომ ვერაფრით შველი... ითმენ? მაშინ ბოლომდე ითმინე!“ ბებერი აგრძელებდა საუბარს, შუგი მოწყდა კედელს, ძია „ის“ შემოეხვია, თან ვინსენტს დაჰყურებდა. – : „სმენა უსწავლებია ექიმს შენთვის, კარგია, კარგი“ ბებერმა გაუღიმა ბიჭს თითით ნეკნებზე მიაწვა: „მითხარი, როგორ გასწავლიდა უჭკვიანესი ექიმი? შეხვალ, გამოხვალო არა? ფიქრებით ცურვას არ გასწავლიდა? - ფრენას, ფრენას ფიქრებით ხომ გასწავლიდა!“ ბებერმა კაცმა ვერ შესძლო საუბრის გაგრძელება... მას სიცილი არ აძლევდა საშუალებას... როკიმ ხელები გაშალა, საკანში სირბილი დაიწყო, თითქოს დაფრინავდა... თან ძლივს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოსთქვამდა: „იფრინეთ,

იფრინეთ ჩემთან ერთად, ფიქრებით ვიფრინოთ... ერთად შევიდეთ, გამოსვლა არ დაგვავიწყდეს გამოსვლა". შუგი, ჩახუტებული ძია ისზე, გაკვირვებული ღიმილით შეჰყურებდა ბებერ კაცს. როკი მიუახლოვდა, რაღაც ჩაულაპარაკა ყურში... შუგიმ ვერ მოითმინა... მას სიცილი აუტყდა... ძია ის შეჰყურებდა როკის და ერთს ფიქრობდა წუხილით: „ეს ექიმზე ცუდ დღეშია, ეტყობა ავადმყოფია საწყალი, არაფერია ვინსენტის ხათრით დავეხმარებით. ძია ის ეჰყურებდა მორბენალ ბებერს, რომელიც ხელებს ფრთებივით ამოძრავებდა, როგორც გენიოსი ექიმი ხელიდან წასულ ავადმყოფს. ძია „ის“ ჩამოუჯდა ვინსენტს, ყურში ჩაულაპარაკა: „გიჟია ხომ?“ ვინსეტნტმა მოწყენილად როკის გახედა, მის სახეს ნელ-ნელა ღიმილი ეპარებოდა, როკი გაჩერდა, გადაავლო ყველა იქ მყოფს თვალი, შუგის დააკვირდა, ხელი დანარჩენ იქ მყოფებისკენ გაიშვირა: - „შედიან, გამოდიან, დაფრინავენ, ფიქრებით“. შუგი ღიმილით ჩაეხუტა ძია „ისს“ თვალს არ აშორებდა ბებერს, როკის გიჟური სიცილი მთელ საავადმყოფოს ესმოდა... ის კარისკენ გაიქცა, წამოწვა, თავი მიადო და სიცილით ყვიროდა: „ჩვენ გავფრინდებით, შევალთ, თან გამოვალთ, და თუ მოვისურვებთ, არც გამოვალთ იქედან, სადაც შევალთ! გესმით ძაღლებო! თქვე ღორების მონებო...!“. რაინდის შვილი დააკვირდა მოხუცს, ძია ისს შეხედა, შუგი სიცილს ვერ იკავებდა, ძია ისმა ჩაილაპარაკა ჩუმი ხმით: „გიჟია გიჟი!“ ვინსენტს სიცილი აუტყდა, სევდიანი სახით ის ათვითცნობიერებდა, რომ საგიჟეთში იმყოფებოდა, როკი ყვირილს აგრძელებდა... მან მოახერხა ვინსენტის მდგომარეობიდან გამოყვანა.

ბააგრების ექიმს ხელები შეუკრეს, ხელებსა და თავს შორის ჯოხი დაუმაგრეს ზურგის არეში... რომ თავი არ დაზიანებულიყო, ცხენს მოაბეს და კლდის ციხისკენ გაეშურნენ... ფორესტი შესასვლელთან ელოდა... გადმოჰყურებდა, როგორ მოათრევდნენ ექიმს... მისი სასტიკი ღიმილი, ლაჩრის გამოხედვით, მის ხმას გამარჯვებულ, ამაყ კმაყოფილებას ანიჭებდა...: „თავი, თავი ხომ არ დაუზიანეთ, ჩემს საყვარელ ნიჭიერ ექიმს“. ბადრაგები კიბეებზე მოათრევდნენ ნაცემ ნახევრად უგონო პატიმარს: „თავი დაცულია, დაცული, ჩვენო ბატონო!“. – : „ფეხზე წამოაყენეთ, თოკები მოაშორეთ!“. ამ სიტყვებით ის გამოქვაბულში შევიდა... ექიმი ცემისგან გაბრუებული, მაგრამ საღ გონებაზე მყოფი, იქ მყოფთ აკვირდებოდა... შესასვლელთან რამოდენიმე ზომბირებული, ჯაჭვებით ყელზე, თან კარებზე მიჯაჭვულნი იმყოფებოდნენ... მათმა ღმუილმა ექიმს

ტკივილის შეგრძნება გაუქრო... გამოქვაბულში, საკნებში ადგილი აღარ ყოფნიდათ, თითქმის ხუთი ასეული იყო, ზოგი ნახევრად ზომბირებული ფორესტს გარშემო შემოხვეოდნენ: - „რაინდებო! რაინდთა რაინდი მოგიყვანეთ, თქვენთვის საკვებიც არ დამვიწყებია“... გამოქვებულში სიხარულის ღიმილი მატულობდა. ექიმი კედელთან მიათრიეს, სადაც წყალსაცავი მდებარეობდა, კლდის კედლიდან მომდინარე წყლის ნაკადი მომრგვალო, ქვის ბუნებრივ ბასეინში იყრიდა თავს... წყალში ჩაგდებისას ის მთლიანად გამოფხიზლდა, ხელებზე ბორკილები დაადეს, თან ჯაჭვის ბოლოები ქვაზე მიაჭედეს, ექიმი კისრამდე წყალში აღმოჩნდა... ფორესტმა უბიდან პატარა წყლის ჭურჭელი ამოიღო, შეხედა მას, გაუღიმა, მოეფერა, რაღაც ჩაიჩურჩულა და უმალ ერთ-ერთ ბადრაგს მიაწოდა: „პირში ჩაასხით, რომ ერთი წვეთიც არ დაიღვაროს“. ორი ბადრაგი მიუახლოვდა წყალში მყოფს, ერთმა თავი გადაუწია, სატევარი პირის შუა გაუჭედა, მეორემ აუჩქარებლივ, ფრთხილად ჩაასხა პირში სითხე, ფორესტი არ აშორებდა თვალს... ექიმს გადააყლაპეს მირთმეული... ფორესტი მიუახლოვდა, თვალებში ჩახედა, გაუღიმა, მის ყურს ბაგეები მიადო: „მალე გამოჩნდება, ვინ არის ჩვენს შორის საუკეთესო“. ექიმმა ამოისუნთქა, პირში სიმწარემ აიძულა გადმოეფურთხებინა. „ეს აღარ გიშველის, პირველ საფეხურზე უკვე დგახარ“. ფორესტმა ხელი გამოქვებულში მყოფებისკენ გაიშვირა: „შეხედე ამათ! ამათზე უკეთესს შევქმნი შენგან!“. მან ეგრევე ბადრაგებს გახედა: „შემოიყვანეთ! ყველა საკანი გააღეთ!“ ფორესტი წელში გაიჭიმა... წყალში მყოფი დუმდა, ზომბებს აკვირდებოდა, შემოსასვლელიდან ცემა-ცემით ათამდე დასუსტებული პატიმარი შემოიყვანეს... ექიმი გაკვირვებით ადევნებდა მათ თვალს... კოცონი გიზგიზებდა... ფორესტი ერთ-ერთი ქვაზე დადგა: „რაინდებო მიირთვით ძღვენი!“. წყალში მყოფმა გონს მოსვლა ვერ მოასწრო, ზომბები ადამიანებს ეცნენ: „გაჩერდით!“. ფორესტის ყვირილმა გააჩერა ყველა, ზოგს პირში უკვე ხორცის ნაგლეჯი ედო, სისხლიანი პირები თითქოს გაუქვავდათ პირღია... ბატონს შესცქეროდნენ... ფორესტმა ხელი წყალში მყოფისკენ გაიშვირა: „ხომ ხედავთ მას?! ერთი ღერი თმა რომ ჩამოუვარდეს, ჩემს გარეშე, საკვებს ვერ მიიღებთ. ჩამოვარდა წამიერი სიჩუმე: „გაიგეთ რაც ვბრძანე?" ატყდა ამაზრზენი ღმუილი... თანხმობის ნიშანი მიღებული იყო: „ეხლა შეგიძლიათ გააგრძელოთ!“. ფორესტმა ექიმს გახედა... წყალში მყოფს თვალები გაშტერებოდა... თითქოს ვერ აღიქვამდა ყოველივეს...

საკანში სიცილი არ წყდებოდა... როკი ფეხზე წამოდგა თან ღიღინებდა: „ჩვენ დიდიხანია შევედით და არ ვაპირებთ გამოსვლას, ჩვენ გადავცურავთ ზღვას, გადავუფრენთ მთას, რად გვინდა გამოსვლა, ჩვენ ბოლომდე გაუწევთ გზას, ჩვენ დავიწყეთ და ყველას დაგაჭრით თავს!“. როკიმ წამოაყენა ვინსენტი... ყველა დააყენა წრეში გადაახვევინა მხრებზე ხელები და ააცეკვა ისენი, როკიმ აიყოლა სიცილ-სიცილში ავადმყოფები... ყველაზე მეტად პატარა ბიჭი ხარობდა... მისი ხმა ჩრდილავდა სხვებისას: „გადმოვცურავთ, გადაუფრენთ, ფსკერზეც რომ მოვხვდეთ, არც იქ მოვისვენებთ, ფსკერზე დაჭრილი ფრთებით ვივლით, სანამ ნაპირზე არ გავალთ და გავშლით დაჭრილ ფრთებს, ვანახებთ მათ, გიჟებს რადგან მათ არ უნახავთ გიჟები“. შუგის აღარ შეეძლო სიმღერის გაგრძელება ის იკეცებოდა სიცილისგან... როკის შემხედვარე, ვინსენტი ხარობდა... მისი სისუსტე სადღაც გამქრალიყო... მის მხარზე ბებერი ხელი იდო, რომელიც უძლიერეს ძალას გადასცემდა, ძია „ის“ აჰყვა შუგის სიმღერას და მთელი ძალით, ბღავილ-ყვირილით მთელი სერიოზულობით აგრძელებდა: „ჩვენ ვანახებთ, ვინ არის გიჟი რადგან მათ არ უნახავთ ის! ის! ის! და ის ვარ მე ის-ის-ის!!!“ როკი აჰყვა მის სიტყვებს, თავისას ამატებდა და მის წარმოსახვაში თვალწინ ედგა ჟორდანის, ფორესტის მოჭრილი თავები და ესაუბრებოდა მათ... ვინსენტი მის თვალებს დააკვირდა, მან დაინახა უჭკვიანესი ადამიანი, რომელმაც წამებში ამოიყვანა ის ფსკერიდან, იმავე დროს ხედავდა ყველაზე გადარეულ არსებას, თუ რამე უნახავს ცხოვრებაში. ექიმის გაყვანა, როკის შემოგდება, ისე უეცრად მოხდა ყველასთის, რომ თვით წყალში მყოფი ექიმი ვერ მოდიოდა მთლიანად გონს... ის ჩაფიქრებოდა თავს, თან აკვირდებოდა სხეულს... მიღებული სითხის შემდგომ, რა ხდებოდა მის სხეულში... ექიმი ვერაფერს გრძნობდა, თითქოს არაფერი ხდებოდა თავშიც კი, ეს მდგომარეობა აშინებდა, ექიმი მიხვდა, ის ხაფანგში აღმოჩნდა სხეულით, თან სხეულს გონება მოჰყვებოდა... უძლურებაში მყოფი, ერთიდაიგივეს იმეორებდა ფიქრებში: „მთავარი გონებაა! ფიქრები, ფიქრები! ის ჩემს ხელშია!“ არ მისცე ფიქრებს უფლება, დაგიპყროს, შენ ფიქრებზე მაღლა დგახარ... შენ ადამიანი ხარ ადამიანი...“. ხაფანგი, ლაბირინთი ერთდროულად, აშკარად ძლიერ უტევდნენ ექიმის გონებას მას თვალები გაუფართოვდა... მზერა გარშემომყოფ ზომბებს ეკუთვნოდა.

სასახლეში მისვლისას ფორესტმა სიამაყით უამბო დებოს ახალი ამბავი... ქალბატონი წამოწოლილიყო თავის საძინებელში... სიხარულით წამოჯდა ლოგინზე... დაწვრილებით აიძულა ეამბნა ფორესტს ყველაფერი... მის თავში ერთი და იგივე ფიქრი ტრიალებდა... მისი გონება წყურვილით აივსო, ბააგრების ექიმის ნახვა არა აძლევდა მას მოსვენებას, ვნებით გამძღარი ფორესტი თავის საძინებლისკენ გაეშურა... კმაყოფილმა ყველაფრით, თითქოს ფრენით, გაშლილი ხელებით გაიარა დერეფანი... დებომ ვერ მოითმინა დილამდე... შუა ღამეს გადაცილებული იყო... მან, რამოდენიმე მეომართან ერთად, კლდის ციხისკენ მიაშურა... ამინდი არეულიყო... სუსტი ქარი წვიმის წვეთებს სახეში ურტყამდა... ქალბატონი სიამაყით, გამარჯვების გრძნობით აღსავსე, ვერ გრძნობდა სისველეს... ის მთლიანად, წვიმისგან დასველებული, ამხედრებული ცხენზე სიხარულის ფიქრებს მიცემოდა: „ესეც ერთი მონა, ვინ დარჩა მეტი? ფორესტი კარგად ასრულებს თავის ჩანაფიქრს, რავიცი, იქნებ დავიტოვო გადარეული ჩემთვის, სარგებელი კი მოაქვს, თან კატასავით მლოკავს, ეგეთს ვერ ვნახავ! რას ვფიქრობ გავსულელდი უნდა დავიტოვო დავი-ტო-ვო ამაზე ფიქრიც ზედმეტია“... კლდის ციხესთან მიახლოებისას წვიმამ იკლო... დებო კიბეებზე ადიოდა მთლიანად დასველებული, სიხარულით... ატყდა ღმუილი კარიბჭესთან მყოფი ზომბები ამოძრავდნენ... რამოდენიმე საფეხური დარჩენოდა ქალბატონს დასაძლევი... მეომრები უკან მოჰყვებოდნენ ჩირაღდნებით... დებომ ღიმილით ახედა ზომბ-ბადრაგებს: „ჩემო კარგებო! გაგიხარდათ დედოფლის მოსვლა?“ დებომ უმალვე უბრძანა ცოფიან მეომრებს ტომარა ზომბებისთვის მიეწოდებინათ, ჭკუიდან გადასულნი ზომბირებულნი ეცნენ ტომარას... ისენი ვეღარ ხედავდნენ მოსულ სტუმრებს... იქვე მყოფი ცოფიანი ბადრაგები შეუდგენენ კარიბჭის გაღებას, წყალში მყოფ პატიმარს არ ეძინა... რულს მიცემოდა... საშინელ ხმაურზე თვალები გაახილა, ყველამ იქ მყოფმა, ვისაც არ ეძინა ყურადღება შემოსასვლელისკენ მიიტანა... ქალბატონი დებო ამაყად ექიმისკენ მიემართებოდა... მეომრები გარშემო შემოხვეოდნენ მას: „ექიმო, ექიმო, მე ვარ, თქვენი დედოფალი“. პასუხის შემდგომ დებომ დამცინავად გააგრძელა: „არ გეგონოს ანნა მკვდრეთით აღდგა ჩემო შტერუკანა ექიმო". წყალში მყოფი პატიმრის მზერა წყალს მისცემოდა ჩაფიქრებულად, დებომ აიარა რამოდენიმე საფუხური, დააკვირდა ღიმილით ექიმს: "გავიგე რაინდთა რაინდობისთვის იბრძვით ამ წყალში“ პატიმარი დუმდა... მისი მზერა

წყალს არ შორდებოდა... დებო ბრაზს მიეცა: „ხმა გამეცი, უტვინო! დედოფალი დგას შენს წინაშე“. ექიმმა თვალები მისკენ ასწია... მშვიდად დააკვირდა: „გამარჯობათ პაციენტო“. მისმა მშვიდმა გამოხედვამ წყნარმა სიტყვებმა მეტად გააღიზიანა ქალბატონი: „გიხარია? ძლიერი ხარ? ვნახოთ რამდენხანს გაძლებ შენ ფორესტი ხუმრობა გგონია, მალე იხილავ მის შემოქმედებას შენი სახით“. დებომ ხელი გამოქვაბულისკენ გარშემო გაიშვირა: „ამათ ვერ ხედავ! ბრმა ხარ ტვინით და ბრმა იყავი ყოველთვის... მალე აგიხილავს ფორესტი შენ ბრმა გონებას“... „შენზე აქ ერთმა ფიქრი დაიწყო ჩემო პატიენტო გაიხედ-გამოიხედე, თუ იცნობ მას“. დებომ გახედა ბრაზით იქ მყოფ პატიმრებს და ეგრევე ექიმს დახედა დაბნევით: „რა-ა-ა?“ „ვერ იცანი! ვიცოდი ვიცოდი მე მხოლოდ მის სახელს გეტყვი, მას მშვენიერი, ლამაზი, მარადი სახელი აქვს ის შენზე ფიქრობს! სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი ჰქვია მას!“ ექიმს გიჟური სიცილი აუტყდა. დებო არ აშორებდა მას თვალს... მისი არანორმალური სიცილი შიშად შემოეხვია ქალბატონს... რამოდენიმე ზომბი მიუახლოვდა სტუმრებს... დებომ შეშინებულმა მეომრებს გახედა: „მალე წავიდეთ აქედან“. ამ სიტყვებით დებო წყალში მყოფს ძალზე მიუახლოვდა: „გადადიხარ ჭკუიდან? კარგია, კარგი, შენი ტვინი ჩვენს ხელთ არის, მალე როგორც ვისურვებ, ისე დავატრიალებ კი არა, დავაბზრიალებ“. სიცილი არ წყდებოდა... დებომ მიაფურთხა მას და გასასვლელისკენ გაეშურა. ის შეშინებული, მაგრამ კმაყოფილი ტოვებდა გამოქვაბულს. ზომბები კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ სტუმრებს, მხეცური ღმუილით. ექიმი ძალიან შეწუხდა, ღმუილი თანდათან ნელდებოდა... დანთებული კოცონი მთლიანად აშუქებდა გამოქვაბულს... ლაბირინთში მყოფი ექიმი ხაფანგში გაება...

კლდის ციხიდან გაქცეულებმა, ფრენკის მეთაურობით, ერთ-ერთ მთის მწვერვალზე მოიწყეს ბუდე, გარშემო ტყე შემოხვეოდათ... ყველა მათგანი კოცონს მიუჯდა, ამ დროის განმავლობაში, რაც თავისუფლება მოიპოვეს, ქურდობით, ყაჩაღობით ირჩენდნენ თავს, დაბრუნებულები ნაალაფარ ძვირფასეულს ინაწილებდნენ... გათენებამდე აკლდა ცოტაღა, ფრენკიმ ნაჭერში გახვეულ ძვირფასეულს თავი მოუკრა, გადახედა იქ მყოფთ და ჩაკს ესროლა: „ხომ ვთქვი ასჯერ, არ მინდა ნაქურდალი, რაარის აქ გაუგებარი“. გაისმა სხვა ხმა: „მეც ვთქვი, არ მინდა ნაქურდალი“. ყველამ მათ შეხედა... სმიტს სიცილი აუტყდა: „კარგია, კარგი, ნუ იღებთ, ჩვენ გავიყოფთ თქვენსას“. ლეს ღიმილით დაკვირდა ორივეს: „ეი! თქვენ დაგვღალეთ უკვე! ფიქრობთ, რას ამბობთ?! ერთხელ გავჩუმდით,

მეორეთ გავჩუმდით, გამოდის, ჩვენ ცუდები ვართ?! ისინი ვინ არიან მაშინ, ვისაც ვართმევთ, ღორები არ არიან, თუ სხვა სახელი აქვთ მათ“. ლეს გაბრაზდა, ფრენკიმ დაძაბულობა იგრძნო: „გაჩერდი! არ უნდათ, ნუ იღებენ, მთავარია მუშაობენ ჩვენთან ერთად“. რეჯი ღრენით ჩაერთო საუბარში: „მართალია ფრენკი“ მოიპარონ, იყაჩაღონ, მოკლან, სხვა რა ჩვენი საქმეა“. ლეს იცინოდა თითით მასწავლებლისკენ მიაშვირა: „შეხედეთ ნაქურდალს ხელს არ მოვკიდებო, არადა ყველაზე დიდი ხორცის ნაჭერი უკავია ხელში, მეთევზე კი, როცა მიირთმევს ბარკალს, არ ახსოვს, რომ ისიც ნაქურდალია". ფრენკიმ ხელი ასწია: „გაჩერდით, მთავარია, იპარავენ ჩვენთან ერთად, ტვირთად არ გვაწვებიან“. რეჯიმ თავი დააქნია: „იპარავენ ჩვენთან ერთად, მოპარულს არ კადრულობენ, ეგეთი არ გამიგია არსად". მასწავლებელს, მეთევზესთან ერთად, თავი მორცხვად დაეხარა, ფრენკი დააკვირდა პატიოსნებს, გადაავლო თვალი დანარჩენს, ყველა მათ შესცქეროდა... ლესი სიცილს არ წყვეტდა: „მე ერთს ვეტყვი, პატიოსნებს, ჩვენთან ერთად ივაზაკეთ, წართმეული არ იკადრეთ! მაგრამ ის ღორის ხორცი დადანარჩენი საკვები რა, მოპარული არ იყო?! ხომ მიირთვით! ჰო და ავაზაკები ხართ, ავაზაკები... მხოლოდ ეს არის, რომ პატიოსანი ავაზაკები ბრძანდებით... მასწავლებელო და თქვენ, პატიოსანო გლეხო“. ლესი დადუმდა, ჭამას შეუდგა.. მეთევზე და მასწავლებელი გაქვავებულნი ერთმანეთს შეჰყურებდნენ... სმიტ დააკვირდა ორივეს, მშვიდად ჩაილაპარაკა ღიმილით: „მართალია, მართალი, ავაზაკები ხართ, ნაქურდალს მიირთმევთ, მართალია, ქვას და რკინას არ კადრულობთ, მაგრამ ღორის ხორცი ორივეს გიყვართ, რას იზამ, ისიც ნაქურდალია... ასე რომ, ზედმეტი სახელი უნდა დაგარქვათ“. ძმებს სიცილი აუტყდათ ფრენკი მშვიდად აკვირდებოდა მოვლენებს... ლეს დააკვირდა პატიოსნებს: „ვფიქრობ ერთს, პატიოსნება შევარქვათ, მეორეს უპატიოსნო, მაგრამ, არ ვიცი, რომელს რომელი დავარქვა“. ლეს სიცილისგან გადატრიალდა... ძმები სიცილისგან იგუდებოდნენ... ფრენკიმ ვერ მოითმინა, აჰყვა მათ ყველა იქ მყოფი იცინოდა... მასწავლებელი და მეთევზე ღრმად სუნთქავდნენ... მათი დაძაბული სახეები მეტად აოცებდა იქ მყოფთ... მასწავლებელი ჩაუფიქრდა თავის მდგომარეობას, იქ მყოფთ გადაავლო მზერა, გაახსენდა მოსწავლე ბავშვები და ვერ მოითმინა, აჰყვა სიცილს... მას მეთევზეც აჰყვა... ფრენკი ჩაფიქრებული შეჰყურებდა პატიოსნებს... ერთი ფიქრი უტრიალებდა თავში.... ხომ არ გაეშვა ეს ორი ადამიანი თავ-თავის გზაზე... ერთი

აჩერებდა მათი გაშვება და სიკვტილი გარდაუვალი იყო... ფრენკი წასვლას აპირებდა... მას კაპიტან ნინო უნდა ენახა... დატოვება ქურდებში, ყაჩაღებში, მკვლელებში ამ ორი პატიოსანი ადამიანისა უჭირდა... გარემოცვას, რომელშიც იმყოფებოდა მასწავლებელი აშკარად უცნობი იყო მისთვის, მეთევზე სცნობდა ავაზაკებს და კარგად იცოდა, რა წრეში მოხვდა... ფრენკი დუმდა... მისი ფიქრი ყველა იქ მყოფს ეკუთვნოდა... ის ყველას სცემდა შინაგანად პატივს. ცოტა ხანში ყველა მათგანი დამშვიდდა. ერთმანეთში საუბარს შეჰყვნენ... მასწავლებელი და მეთევზე, ერთ დასკვნამდე მივიდნენ, სჯობდა ტყეში ყოფნა, ვიდრე გზას გაჰყოლოდნენ, რომელიც სად მიიყვანდა, არავინ უწყის... ფრენკიმ ცაში აიხედა... ვარსკვლავები აღარ მოჩანდა... გათენებას ცოტა აკლდა: „ერთი, მომისმინეთ ყველამ“... იქ მყოფებმა ყურადღება ფრენკისკენ გადაიტანა... ყველამ იგრძნო, ფრენკს რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა, სევდიანი თვალებით შეჰყურებდა ყაჩაღი თავის ახალ მეგობრებს: „კარგი დრო გავიდა, რაც თავი დავაღწიეთ ფორესტის კლანჭებიდან, ყველაფერი დღეს დღეობით კარგად არის... შეიძლება ითქვას, კარგზე კარგად... აქ ვერავინ მოგვადგება ჩვენ თვითონ გვიჭირს აქ ამოსვლა... ყველაფერი ხელის გულზე მოჩანს აქედან“. ფრენკი გაჩერდა, ამოიხვნეშა... ლეს დაიძაბა: „ფრენკ! ამხელა კაცი ვარ, ჩემი წლოვანება არ ვიცი და არასდროს არც მიდარდია ამაზე, შევწუხდი ეხლა რომ გისმენ შენ, რა, ჩვენს მიტოვებას აპირებ?!“. „დამშვიდდით, დროებით მინდა დაგტოვოთ, ციხეში მეგობრებს პირობა მივეცი, ერთი ადამიანი უნდა ვინახულო, ვნახავ და მაშინვე დავბრუნდები“. ბაკი ჩაერია საუბარში: „მეც მინდა დროებით წასვლა, ჩემს საქმეს მოვილევ და უმალ თქვენთან ვარ, მე და ჩემს ძმას ცოცხლად თქვენს მეტი მეგობარი არავინ გვყვას“. რეჯი ამაყად შეჰყურებდა მოსაუბრეებს: „თქვენ რა, წასვლა მოგინდათ, წადით, ვინ გიჭერთ, მაგრამ მეც თქვენს გვერდით ვიქნები, ერთად უნდა ვიყოთ, ერთად... დაგვხოცავენ ცალ-ცალკე!“. სმიტი დაიძაბა: „მართალია რეჯი, ჩაგვხოცავენ“. ფრენკი ფეხზე წამოდგა... შემოუარა ყველას, გაჩერდა... მიდამოს გადაავლო თვალი... შემოუტრიალდა მეგობრებს.: „ყველაფერი არის აქ! რამოდენიმე თვე ფეხი რომ არ გაადგათ ... რა მოგდით, გეუბნებით, ჩავალ ოცნების კარიბჭეში და პირობას ვდებ, ეგრეევე დავბრუნდები, ბაკი და ფაკი ვიცი რაზეც მიდიან, თავის ქვეყნის მეფეს უნდათ ბოლო მოუღონ, ჰოდა, მათ დაეხმარეთ“. ფაკი ფეხზე წამოხტა: „ეს პირადულია, დახმარება არ გვჭირდება!“. „დამშვიდდი, დაჯექი ფაკ, მოკლედ ჩაკს წავიყვან თან,

განათლებულია დამჭირდება გზაში... თქვენ კი, რეჯი, სმიტ, და ლეს მიხედეთ მეთევზეს, იმედია მალე აქ ვიქნებით... ჩვენს მეგობრობას ბოლო არააქვს და ვცეთ ერთმანეთის აზრს პატივი“... საუბარი გრძელდებოდა... ყველაზე უკმაყოფილო რეჯი იყო მათ შორის... გადაწყდა მოესვენათ წამსვლელებს და ეგრევე გზას დადგომოდნენ... ფაკი ხარობდა... მის წარმოსახვაში მეფის გვამი ტალახში ტივტივებდა... ჩაკი გაკვირვებული კოცონს შეჰყურებდა. სმიტს ერთი ადარდებდა, ღვინო ძალზე ცოტა იყო ბანაკში... დრეგანმა მშვიდად მიიღო თავის მდგომარეობა, ლეს სევდით დუმდა... რეჯი, როგორც გაცოფებული ხარი, ერთ ადგილზე ცოფებს რომ ყრის, ისე იჯდა გაბრაზებული... ფრენკი მიუახლოვდა მას, თავზე ხელი დაადო: „მეგობრები გყვარებია რეჯ!“.

გაიარა რამოდენიმე დღემ... აბი-ბააგრა გამოკეთდა... მხოლოდ მუხლის ტკივილი აწუხებდა... კოჭლობდა... სულთანი საოცრების ბაღში სეირნობდა... შუა დღე ახლოვდებოდა... ამინდი საკმაოდ კარგი იდგა... ნელი ნიავი მზის სიმხურვალეს ანელებდა, დღეები, რაც პრინცესა ლოგინს იყო მიჯაჭვული, ალის არ უნახავს... ნასიმა სულთნს უახლოვდებოდა.: „მიხმეთ ბრძანებელო?!“ „პრინცესა გუშინ ბაღში სეირნობდა, ვფიქრობ, უკეთ არის“. „უკეთ ბრძანდება, საუბრისას, რომ ვეუბნები როგორ მოიქეცი მეთქი, რას აკეთებ, რა დღეში იყავი მეთქი, ხარხარს იწყებს... ლამის მუცელი გაუსკდეს“. სულთანმა გაიხარა... მისი ღიმილი მთელ სახეს მოედო. „უთხარი ლისთან რომ დადის სამეცადინოდ, ისე შეიმოსოს, აქ დაველოდები“. ნასიმა მოიხარა რამოდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა და ბაღიდან გაუჩინარდა... მიუახლოვდა, თუ არა აბის საძინებელს, კარი გაიღო აბის თავი კარებშუა აღმოჩნდა, ნასიმას ჩაეცინა. „შემო, შემო, მალე მითხარი, რა უნდოდა?“ აბი მოუთმენლად ელოდა პასუხს. „ბაღში გელოდება...“ მატილდამ იკვირვა ბააგრამ გაიხარა. „რა ხდება, საჩხუბრად მივდივართ?!“ მატილდამ ამოისუნთქა. „გააგიჟეს ეს ბავშვი“. „ეს კი არა, ჩვენ გაგვაგიჟა ამან“. აბი მშვიდად, აუჩქარებლივ იმოსებოდა. „კარგით, დამშვიდდით, მერე გაარკვევთ ვინ არის ჩვენ შორის გიჟი, სჯობს მითხრათ, ლამაზად ხომ ვარ". მეგობრების წინაშე პატარა ავაზაკი ღიმილით შეჰყურებდა მათ. მისი ავაზაკური გამოხედვა გულზე ეცა ორივეს... მატილდა თითებით საფეთქელს იზილავდა. „ეს გიჟია, მეც ხომ გიჟი ვარ და შენც, ჩემო კარგო! გიჟი ხარ“. მწუხარედ ნათქვამი სიტყვები გულში ჩასწვდა ნასიმას. ტანში გააჟრჟოლა... ორივეს გადახედა და მზერა აბიზე გააჩერა. „მე ეს ჭკუიდან ვერ გადამიყვანს, ვერა!“ ბააგრა მიუახლოვდა მშვიდად

დააკვირდა ორივეს, დადგა მათ შორის, ხელებში სწვდა ორივეს... „სამივე თუ გიჟები ვიქნებით, დამიჯერეთ, უკეთ გავუგებთ ერთმანეთს“. აბი მაშინვე კარებისკენ მიემართა, კარი შეაღო, გაჩერდა, გამოხედა მშვიდად ორ ზრდასრულ ქალს და იგივე მშვიდი ხმით, თითქოს ჩაუბურტყუნა. „რომელიმე გამომყვება, თუ აქ აპირებთ ყოფნას გიჟივით“. ბააგრას ჩაეცინა, საძინებელი დატოვა, ნასიმა ღრმად სუნთავდა: „ადექი, ადექი რას გაშეშებულხარ, გავყვეთ, თორემ ეგრე მართლაც გავგიჟდებით!“. მატილდა თითქოს მშვიდი, დაწყნარებული წამოდგა, თმები შეისწორა, ჩადრი მოირგო ისე, რომ არც შეუხედავს ნასიმაზე: „საყვარელო შენ თუ ვერ გრძნობ, რომ ამ ბავშვმა გაგაგიჟა, კარგად ყოფილა შენი საქმე, აი მე შემომხედე, შევეგუე, გიჟი ვარ, გიჟი მერე რა? ცოტანი არიან გიჟები? ჰოდა, მეც გავგიჟდი, რა მოხდა, მთავარია იცოდე, რომ გიჟი ხარ!“. მატილდა საძინებელს ტოვებდა ნასიმა გაბრუებული მიჰყვებოდა მას. სულთანი ყვავილებს ნაზად თითებით ეფერებოდა, თან ჩურჩულით რაღაცას მიუგებდა მათ... ბააგრა სასახლის კიბეებზე გამოჩნდა... მუხლის ტკივილს მალავდა მისი თავისუფალი ნაბიჯი თითეულ საფეხურზე დამაჯერებელი, ძლიერი ადამიანის სვლას გამოხატავდა, აბი აბი არ იყო, ის არც ბააგრა იყო, არც პრინცესა, სასახლის კიბეებზე მთლიანად შავებში შემოსილი, უქუსლო, შავ ჩექმებში, თავზე შემოკრული შავი ნაჭრით, რომლის ბაფთაც მის მკერდზე ფრიალებდა, მთელი ღირსებით შეჰყურებდა სულთანს... კიბეებზე მსოფლიოს პატარა მბრძანებელი მობრძანდებოდა... სასტიკი და იმავე დროს სიყვარულით სავსე ნაბიჯებით... სულთანი ნახევრად ზურგით იდგა, ყვავილების ფერებაში თავაუწევლად ქვევიდან ზევით ახედა სასახლის კიბეებს... პატარა გოგოს მზერა მის თვალებს გაუსწორდა, რამოდენიმე საფეხური დარჩენოდა პრინცესას... სულთანი, იმავე მდგომარეობაში, თვალს ვერ სწყვიტავდა პატარას... მისი მთელი ფიქრი გრძნობას შერწყმოდა და ერთს ეუბნებოდა.: „ამას ვერავინ გააჩერებს“. აბიმ ვერ ითმინა... მისი სახე ღიმილს მოეცვა... პრინცესა საოცრების ბაღში სულთანს უახლოვდებოდა.: „გამოკეთდი პატარავ?!“. „კარგა ხანია“. სულთანს გაეღიმა ნასიმა მატილდასთან ერთად კიბეებზე ეშვებოდნენ... აბიმ სულთანს ხელი ჩასჭიდა. „როგორ ხარ უჩემოდ ალი?!“. „უშენოდ რატომ, შენ ჩემს გულში ხარ... იქიდან ვერ გამექცევი!“. აბის გაეცინა, გაახსენდა ალის ყურში ჩაჩურჩულება, ლოგინში ნაიარევებით რომ იწვა, მათ ორი დაცვის მსახური უახლოვდებოდა... შავი... შავ ღამეზე შავი ცხენი მოჰყავდათ... სულთანმა ხელი ასწია.

„კმარა, გამოუშვით“. აბი ზურგით იდგა, მათკენ შეტრიალდა, გაშეშდა... სხეული აუკანკალდა, გაკვირვებულმა ჩაილაპარაკა... მოულოდნელობისგან... მისი სახე საოცრების ბაღში საოცრებას შეჰყურებდა.: „ლამაზი“. სულთანმა ცხენს შესძახა, ულამაზესი, ახალგაზრდა ცხენი ნელი სვლით უახლოვდებოდა... ეს სულთანის უსაყვარლესი ცხენი სახელად „ლამაზი“ იყო... სულთანი მოეფერა შავ სილამაზეს, უღელი პრინცესას მიაწოდა.: „ლამაზი ჩემგან ლამაზზე ლამაზს საჩუქრად“. პრინცესას გაბუჟებული ხელი დაბნეულად სწვდა უღელს..: „მოეფერე, შაქარყინული უყვარს“. „მეც მიყვარს შაქარყინული“. ბედნიერი მოულოდნელობისგან ბავშვის ხმა გაისმა... სულთანი აბიზე მეტად ხარობდა... მისი შემხედვარე, ბევრჯერ ყავდა ნანახი აბის ლამაზი და მის მართლაც ულამაზეს სილამაზეს ნატრობდა, მაგრამ ერთხელაც არ უხსენებია არავისთან, თავის გულის თქმა, მან იცოდა, რომ „ლამაზი“ სულთანის უსაყვარლესი ცხენი იყო, მატილდა ნასიმასთან ერთად მიუახლოვდნენ სულთანს... ნასიმას არეულმა თვალებმა ალის ყურადღება მიიპყრო.: „რა ხდება?!“ „არაფერი საგანგაშო ბრძანებელო მშვიდობით ვარ“. „რაღაც არ გეტყობა მშვიდობის არაფერი“: "აბიზე ვნერვიულობ, ძალზე შეიცვალა“. „ბავშვია, ბავშვი, რა ვერ გაიგეთ... იზრდება ესაა და ეს“... მატილდამ მშვიდად, ჩვეულად ჩაილაპარაკა.: „ეს თუ ბავშვია, მე მხედარმთავარი ვყოფილვარ“. მატილდას მზერა იქ მყოფთ არ ეკუთვნოდა... სულთანი დააკვირდა მას.: „შენ რაღა მოგდის“. „არაფერი, არაფერი, მე უკვე შევეგუე“. სულთანი ჩაფიქრებული შეჰყურებდა ორივეს... აბი მიუახლოვდა ხელი ჩასჭიდა ნაზად. ალიმ დახედა მას... აბი მალულად იღიმოდა... „რა ხდება?“ სულთანმა პასუხად პატარა გოგოს ღიმილი მიიღო, ნასიმა თავდახრილი იდგა... „შეეკითხეთ მატილდას, მბრძანებელო, რას შეეგუა“. ალი დააკვირდა მატილდას უმშვენიერეს მწვანე თვალებს.: „რას შეეგუე მატილდა?“ მატილდა მშვიდად იყო, თითქოს არ ადარდებდა არაფერი... მისი ფიქრი ერთი იყო, არ ეფიქრა არაფერზე... ბააგრას გარდა: „მე ჭკუაზე გადავდიოდი ნელ-ნელა, იმის მერე, ბააგრა რაც გავიცანი, ეხლა კი, მთლიანად გადავედი ჭკუიდან, ამას ვარ შეგუებული“. მატილდას ძალზე სერიოზულმა გამოთქმამ სულთანს ღიმილი მოჰგვარა, მან აბის დახედა.: „რას აკეთებ, გამაგებინე“. „ნერვიულობენ ქალები ჩემზე, მე რა შუაშივარ“. „აბი კმარა, მთელი სასახლე თავდაყირა დადის, შენ გგონია ვერ ვამჩნევ ვერაფერს?“ აბიმ ნაზად შეუცურა თითები სულთანის თითებს შუა... მეორე ხელი გაკვირვებულად გაშალა.: „მე რაშუაშივარ, ვერ გავიგე“.

სულთანმა ვერ ითმინა ჩაეცინა... ნასიმას და მატილდას შეხედა. „ბავშვია რა ვქნათ“. მატილდამ მშვიდათ ჩაილაპარაკა. „მე კი მხედართმთავარი“, ნასიმას გაეცინა, მას აბი აჰყვა სულთანმა ხელი შუბლზე აიფარა და მათ სიცილს აჰყვა... მატილდამ შეხედა ზრდასრულ ადამიანებს.: „იცინეთ, იცინეთ, მეც ეგრე მეცინებოდა“. ამ სიტყვებზე უარესი სიცილი ატყდა... სიცილის ხმა მთელ საოცრების ბაღს მოედო თან სასახლეში შეაღწია... გაკვირვებული მსახურები სასახლის სტუმრები, მეგობრები, შორიდან ცდილობდნენ გაერკვიათ რა ხდება საოცრების ბაღში, სულთანი სიცილით ცხენს მიუახლოვდა, მოეფერა.: „აბი, მინდა ამ ცხენით ქალაქში გახვიდე, მხოლოდ მარტო“. ამ სიტყვების შემდგომ სულთანი პრინცესას შემოუტრიალდა... „არ გეკითხები, გეშინია, თუ არა, ვიცი უშიშარიხარ“. ბააგრამ იხარა, მატილდა, რომელსაც ეგონა, რომ ჭკუიდან გადასულიყო უცებ ჭკუაზე მოვიდა.: „მარტო ქალაქში როგორ გავუშვათ“. ქალი ძალზე შეწუხდა მსახურ ქალს არც გაკვირვებია, სულთანის ნება, პრინცესას სიხარული სულთანს მოედო.: „მარტო რა მოხდა, მე ისეთი პატარა აღარ ვარ“. პრინცესამ სულთანს შეხედა.: „ხომ ეგრეა ალი!“. „ეგრეა, ეგრე თქვენო აღმატებულებავ“. პრინცესას კმაყოფილმა პასუხმა წელში გაჭიმა.: “თქვენ რა, მართლა გინდათ ჭკუიდან გადამიყვანოთ, არ გამაგიჟოთ ახლა“. მატილდამ ცოფები გადმოყარა. „თვითონ როგორც გადაწყვეტს, ისე იქნება.“ „ჰო, ჰო, ეგრეა, ჩემი საქმე ჩემი გადასაწყვეტია“. აბი მატილდას მიუახლოვდა, შემოეხვია წელზე.: „არ ვიჩხუბებ პირობას გაძლევ, ჩემო სიყვარულო“. მატილდა მოლბა, თვალებზე ცრემლები მოადგა... სულთანმა გაიფიქრა, როგორ ულბობს ეს ბავშვი ყველას გულს და იმავე დროს ლისთან ვარჯიშისას რა სასტიკი ხდება.: „ახლა კი, ყველა გაჩერდით, ცხენზე დამეხმარეთ ასვლა“. პრინცესა ცხენს მიუახლოვდა. შავი, ხალიჩისებური ნაჭერი ჰქონდა ცხენს ზურგზე. აბის ფსიქოლოგი ფიქრებს ასწავლიდა... ერთ-ერთი მთავარი ფიქრი ის იყო, არ ეფიქრა ცუდზე... ცუდზე ფიქრი შედიოდა, სიკვდილი ძმების, დედის, დაკარგულ, წართმეულ ქალაქზე, დაკარქულ გვირგვინზე, თეთრ არწივზე, და ყველა შემოკლულ მეგობარზე... პრინცესა დავალებას მშვენივრად ასრულებდა... მაგრამ, როცა ღამით ლოგინში აღმოჩნდებოდა ცრემლების ზღვაში აღმოჩნდებოდა... მისი პატარა თვალები და მთელი მისი ძილი ცრემლების ზღვას ეკუთვნოდა.

ცხენზე ამხედრებული ბააგრა აღვირს ხელზე ირგებდა... სულთანი დააკვირდა პატარა პრინცესას.: „ქალაქში რომც არ შეგეკითხონ ძმა ბიჭებმა, თქვი, ალ-ქიმიკოსმა

შემიფარა-თქო, ჩემი სახელი არ ახსენო, ცხენზე იტყვი, მათხოვეს, თუ შეგეკითხნენ ვინ? უპასუხებ „მხედართმთავარმა აბიბომ", თან მოუყვები რა კარგად გივლიდნენ პატარა ბიჭს!“. ალის გაეცინა, ნასიმას შეხედა: „მინდა საოცრების ბაღი ცხენით მოიაროს, თქვენ კი სასახლის კარიბჭემდე გააცილეთ“. სულთანმა პრინცესას ახედა... ის ღიმილით შეჰყურებდა ცხენს, თან ეფერებოდა.: „სასახლის კარიბჭესთან ბიჭი ზის, ეს დღეები, რაც ლოგინად იყავი, არ მოშორებია იქაურობას... ვფიქრობ შენი ძმაკაცია - მრისხანე“. სულთანს ისევ გაეცინა... აბის ესიამოვნა ამის გაგება.: „მას რა უნდა აქ?“. „გეუბნები ქალაქში ყველამ იცის, რომ ალ-ქიმიკოსმა ვიღაც დაჭრილი ბიჭი იპოვა და შეიფარა“. პრინცესას გაეცინა: „გასაგებია, სულთანო!“ ალის სიხარულს სიხარული ემატებოდა ბააგრას შემხედვარე ბაღში ავაზაკი და ალ-ქიმიკოსი გამოჩნდნენ... სულთანმა ორივეს მოჰკრა თვალი: „შეხედე შენი მასწავლებელი, რა გახარებული მოაბიჯებს“... აბიმ შეატრიალა თავი, გაუღიმა მათკენ მომავალთ. ავაზაკმა ხელი აუწია მას, ბააგრამ შეკრა მუშტი და ასწია ხელი საპასუხოდ: „არ გამიგია არსად, რომ პრინცესას ავაზაკი ასწავლიდა, თან ქურდობას“. გაკვირვებით ჩაილაპარაკა სულთანმა... მატილდამ ჩურჩულით მიუგო მის გვერდზე მდგომ მოსამსახურე ქალს: „თვითონ დაუწესა ქურდი მასწავლებლად, ეხლა კი უკვირს“. „ჩუმად, გადაირიე?! არ გაგვიგოს“. „გაიგოს, რას მიზამს?“ ხმამაღლა წარმოსთქვა მატილდამ... მათ პრინცესას ორი მასწავლებელი მიუახლოვდა... ბააგრა გახარებული შეჰყურებდა მათ: „მოგესალმებით მასწავლებლებო,“ სმიტმა სულთანს შეხედა: „რა ხდება“. „მოგიყვებით მაცადეთ“. ცხენს კისერთან ორი მახვილი ჰქონდა დამაგრებული (კატანა). ორი მახვილი ამშვენებდა ცხენს მხედართან ერთად... ბააგრა ხარობდა... სულთანი მასწავლებლებისკენ შეტრიალდა: „თქვენ წამომყევით, აბი მიხედავს თავს: სულთანი სასახლისკენ მიემართა... აბიმ დაძრა ცხენი... მას მატილდა, ნასიმასთან ერთად, საოცრების ბაღის შუა გულისკენ ნელი სვლით საუბრით გაყვნენ... მატილდამ ვერ მოითმინა: „მგონი რაღაცაში უნდა გამოსცადოს". ნასიმამ გაკვირვებით შეხედა, აბიმ გამოხედა მწვანე თვალებით, ღიმილით: „მე მაგას არ მაკადრებს!“ ბააგრა ჩაფიქრდა: „ვფიქრობ, ქალაქში საჩუქარი მელის“. ისევ გაჩერდა პრინცესა, ჩაფიქრებული გადმოხედა მეგობრებს: „ერთი ვერ გავიგე, რატომ თქვა საოცრების ბაღს შემოუარეთ და მერე გაუშვითო მარტო საოცრება". ნასიმამ სევდით ახედა... მართლაც პატარა საოცრებას, დიდ საოცარ ბაღში, ლამაზ ცხენზე ამხედრებულს:

„ცოლ-შვილი ამ ბაღში განისვენებენ, თავის ხელით გააშენა ყველაფერი... არავის ახლოს არ იკარებდა... წლეები წვალობდა... ცრემლებს გულში იხჩობდა... ეს ქალაქი მისი შექმნილია... ამ ადგილას იპოვა ისინი გარდაცვალებულები, ამ ბაღში ვინმე ამხედრებულს რომ შეუსწრებდა, მთელ მის ოჯახს აწიოკებდა... არ კლავდა, მაგრამ ქალაქიდან აძევებდა“. პრინცესამ ცხენი გააჩერა, უკან გაიხედა, სულთანი მასწავლებლებთან ერთად, სასახლის კიბეებზე საუბრით ადიოდა... აბი არ აშორებდა თვალს ალის ზურგს: „რატომ აქამდე არ მომიყევი ეს ამბავი?!“. „შურისძიების მეტი არაფერი გაფიქრებს... ჩემი ან მატილდასი გესმის?“ სულთანი უნებლიედ შემოტრიალდა... მათი მზერა გაუსწორდა ერთმანეთს... პრინცესას სევდა მოადგა... ის მამის თვალებს იხსენებდა... სულთანის თვალებში მამას ხედავდა... სულთანი თავის შვილს შეჰყურებდა... ბააგრა არ აშორებდა თვალს ლამაზ, ღირსებით სავსე სულთანს: „თქვენ წადით გოგოებო, მე მარტო გავაგრძელებ გზას... ნერვიულობას თავი დაანებეთ... ჩვენ მეგობრები ვართ, არ დაგავიწდეთ ეს!“. პრინცესამ ცხენს დეზი ჰკრა. მისი ზურგი ცეცხლში გაეხვა... გრძნობდა სულთანის მზერას, ცხენი გააჩერა... ნაზად ჩამოვიდა... აღვირი ხელში ჩაიგდო... მიუახლოვდა ყვავილებს, რაღაც ჩაულაპარაკა და ფეხით გააგრძელა სვლა... სულთნი ალ-ქიმიკოსის საუბარს უსმენდა ისე, რომ თვალს არ აშორებდა პრინცესას: „რამდენი წლისაა ის ბავშვი?“ „რომელი მბრძანებელო“. სულთანი შეტრიალდა სასახლისკენ, თან სვლა გააგრძელა: „რომელი“ რომელი“ და ლის შვილის შვილი!“ „თერთმეტი წლისაა ჩიჩი ჰქვია“. „ჩიჩი რა, გოგოს სახელია, ან რა სახელია საერთოდ?!’ „სულთანო სახელი რა სახელია არ ვიცი, მაგრამ ერთს მოგიყვებით, დავხვდი ქალაქის კარებჭესთან, ვუყურებ ბავშვი გოგო, სიმპატიური მორიდებული, ჩვენს ენაზე საუბრობს... გზაში ხმას არ იღებდა... გარემოს ათვალიერებდა, მოკლედ ჩავიყვანე ბაბუამისთან დარბაზში, დაინახა თუ არა, კედელზე ახტა გაირბინა რამოდენიმე ნაბიჯი, ზურგით გადახტა ლისკენ, თან ყვიროდა არაბულად „სინინი სიცოცხლე თავის სიცოცხლისაკენ მოფრინავს“. დაიჭირა მოკლედ ლიმ და ეს წყნარი ბავშვი ყვირის, „მითხარი ვინ მოვკლა?!“. ლი იცინის და პასუხად, „არა შენ მითხარი ვინ მოვკლა“. ის ბავშვი კი პასუხობს, „მაშინ ერთად მოვკლათო!“. სულთანმა ვერ ითმინა“ კედელზე როგორ გაირბინა?“ „ჩვეულებრივ თითქოს მიწაზე დარბოდეს“. „აბი ჯერ არ უანხავს?“. „არა ჩემო სულთანო“. ალქიმიკოსი და სულთანი ჩაფიქრებული საუბრობდნენ სმიტს

სიცილი აუტყდა... სულთანმა დაღვრემილად გახედა: „რას ხედავ სასაცილოს“. „აი, როცა ერთმანეთს გაიცნობენ აბი და ჩიჩი, მერე გაიგებთ რა მაცინებს სულთანო". ალ-ქიმიკოსი ღიმილს ძლივს მალავდა, ბააგრა სასახლის კარიბჭეს მიუახლოვდა, მცველებმა უსიტყვოთ გაატარეს ის გასცდა, თუ არა კარიბჭეს მარჯვენა მხარეს კედელთან თვალში ეცა პატარა ბიჭი... ის ჩამომჯდარი მიყრდნობოდა კედელს, თვლემდა მუხლებზე დაედო თავი. აბის გაეღიმა: „ეი მრისხანე!“. პატარა ბიჭი მაშინვე წამოხტა, მივარდა მხედართან, ჩექმებში ჩაავლო ხელები: "აბი, აბი აქ ვარ, ეს დღეები, გავიგეთ, ალ-ქიმიკოს უპოვიხარ უგონოდ“... აბი თავზე მოეფერა მას, თვალში ეცა პატარა რაღაც მის წელზე: „უკან დაიწიე, წელზე რა გაქვს, მანახე“. ბიჭმა მუცელზე ხელი დაიდო: „აბი, აბი შენ რომ წერილი გამოგზავნე, იმის მერე არავინ დამცინის და ეს, მაჩუქეს, მითხრეს, ვინმე გაგაბრაზებს ესროლეო“. მრისხანემ ქამარში გაჩრილი შურდული ამოიღო, სიხარულით აბის მიაწოდა, აბი გაბრაზდა, მის ხელში ჩიტების საფლავი აღმოჩნდა, უკან დაუბრუნა „ახლავე, შენი ხელით გატეხე და შორს გადააგდე“. პატარა ბიჭმა გაიკვირვა... უსიტყვოდ გადააგდო გატეხილი შურდული: „ვანახებ მათ შურდულს, არ განებებენ ხომ თავს?!“. მრისხანემ მოწყენილად ახედა აბის: „აბი, აბი ნუ ბრაზობ ისინი ხომ ბავშვები არიან, ჩვენი ძმები?". პრინცესამ ხელი გაუწოდა: „ამოდი ცხენზე“. პატარა ბიჭმა გაიხარა, უკან მოუჯდა, ხელები შემოხვია თავი ზურგზე დაადო: „იცი, აბი, როგორ მომენატრე, ვტიროდი, მეშინოდა, რამე არ დაგმართოდა კიდევ კარგი, გიპოვეს“. აბიმ ცხენს შესძახა, ნელი სვლით უახლოვდებოდნენ ქალაქის შუა გულს: „ბაღდადელი ქურდი არ გამოჩენილა?“ „არა, არა, აბი... ბიჭები ნერვიულობენ, ხომ არ დაიჭირესო!“. „ამდენი ხანი გავიდა, რომ დაეჭირათ გავიგებდით, ეტყობა ვიღაცას, ან რაღაცას ჩაუსაფრდა“. „ყველას ჰგონია, ერთად იყავით, იმიტომაც ფიქრობენ, რომ ის ტყვედ ჰყავთ აყვანილი მონებით ვაჭრებს“. პრინცესამ იკვირვა, დადუმდა, ვერ ითმინა: „სად ვიყავით, რას ამბობ, ვერ გავიგე?“ „იქ აბი, იქ, ხალხი რომ ჩახოცეთ, დაჭრილი რომ გიპოვა ალ-ქიმიკოსმა“. ბააგრა დაიბნა. ჩაფიქრდა, იგრძნო რაღაც მოხდა ისეთი, რაც მას დაბრალდა... თან ხალხის ხოცვა... პატარა გოგო ცდილობდა ხმა არ ამოეღო, არ შემცდარიყო საუბარში, „მრისხანეს“ თავი აბის ზურგს მთელი სიყვარულით ეხებოდა: „აბი, მე ვიცოდი, შენ ყველაზე, ყველაზე, ყველაზე, ძლიერი რომ იყავი... მე ეს ვიცოდი, ვიცოდი, აბი“. პატარა ბიჭი ხარობდა... ის აბისთან ერთად, ერთ ხენზე იჯდა, აბი გაკვირვებული დუმდა... ელოდა „მრისხანესგან“

გაეგო მომხდარი... ამ დროს ბიჭი ადიდებდა მისთვის უცნობ, პრინცესას... აბი ვერ იგებდა მთავარს ნერვებზე აიშალა... დაბნევისგან არ იცოდა რა ეფიქრა: "მრისხანე გაჩუმდი, თავი მეტკინა". „ჩუმად ვარ, ჩუმად არ გაბრაზდე". სიყვარულით ჩაილაპარაკა „მრისხანემ", ამხედრებული ბავშვები ხალხმრავლობას უახლოვდებოდნენ, რამოდენიმე ადამიანმა დაინახეს ამხედრებული აბი... ხალხმა ერთმანეთში ჩურჩული გააბა, გვერდზე მყოფებს ხელს კრავდნენ და აბისკენ მიუთითებდნენ... აბიმ იგრძნო ყურადღება, რომელიც მისთვის ჩვეული არ იყო, ადამიანებისგან გაკვირვების შიში... მას გზას უთმობდნენ, ხალხში დერეფანი შეიქმნა, აბი იბნეოდა ცდილობდა, არ შეტყობოდა გაოცება... დაბნეულობამ პიკს მიაღწია... პრინცესამ ცხენი გააჩერა. თითქოს ვიღაცას ეძებდა: „ვის ეძებ აბი?" „გაჩუმდი, ხომ გითხარი ერთხელ?!" გაბრაზდა პრინცესა, მაგრამ პასუხი მაინც ნაზი გამოდგა... ბააგრა გრძნობდა, მოხდა რაღაც სერიოზული, მაგრამ რა? რა? ეს კითხვა აბნევდა ახლო-მახლო ჩუმი ხმა მოისმა. „შავი, შავი, შავი არწივი" ამ სიტყვებს იგივე სიტყვა მოჰყვა, სხვა ადამიანისგან... აბი თითქმის ქალაქის ბაზრობის შუა გულში იმყოფებოდა... ყველა მას შეჰყურებდა... გაისმა ოდნავ ჩუმი ხმა, იგივე სიტყვებით: „შავი არწივი". ხალხი აჰყვა... გამოთქმულს ჩურჩულით... შემდეგ ყვირილი მოჰყვა... ყველა აჰყვა: „შავი არწივი... შავი არწივი...". აბი იბნეოდა, ხმა ძლიერდებოდა... თითქმის ყველა აჰყვა ჩურჩულით წარმოთქმულ სიტყვას, პრინცესას სუნთქვა ეკვრებოდა... მან მთლიანად შეიგრძნო: „შავი არწივი" ის იყო, იქვე, მახლობლად სცენა იყო განლაგებული... ბოშები იყვნენ ჩამოსულები... ყველა ამხედრებულ აბის შეჰყურედნენ... მრისხანემ ვერ მოითმინა, ნაზად ზურგზე დაარტყა რამოდენიმეჯერ: „აბი, ნახე როგორ გიყურებს! ხედავ?!" აბი დააკვირდა ბოშებს... მათ შორის გამორჩეულად წინ გამოსული ბოშა გოგონა იდგა თოთხმეტი თხუთმეტი წლის, გოგონას მარცხენა ხელი თეძოზე ედო.... მას შავი, გრძელი თმები ძალზე უხდებოდა... მის აჭრელებულ კაბას ლამაზი, ბოშა გოგო თვალს არ აშორებდა... აბის ბააგრას ყელი გაუშრა, გაშეშდა ისიც მიაშტერდა ბოშას... ყვირილი არ წყდებოდა, პირიქით იმატებდა: „შავი არწივი - შავი არწივი" . ყვირილის ხმა მთელ ქალაქს მოედო ისმოდა ყველა ქუჩაზე თითქოს ექოდ ვრცელდებოდა. ძახილით პრინცესას სხეულში ჟრუანტელად გადიოდა. ეხლა ბოშა გოგოს ყურადღება დაემატა. თავბრუ დაეხვა... ძლივს იკავებდა თავს, არ ჩამოვარდნილიყო ცხენიდან... პრინცესას ბოშა გოგო სიყვარულის თვალებით

შეჰყურებდა, როგორც ბიჭს... ბააგრა ცდილობდა თავი ხელში აეყვანა. „ნახე როგორ გიყურებს „ესენია“, შეხედე, ადრე ერთს არ გამოგვხედავდა, ეხლა კი თვალებით შეგჭამა“. აბიმ თავი გააქნია თვალები თითებით მოიჩრდილა... ძალა მოიკრიფა და ცხენს დეზი ჰკრა. თან ხელი მაღლა მუშტად ასწია: „შავ არწივს ვუძღვნი სიმღერას“. ესენიამ რამოდენიმეჯერ წარმოსთქვა სიტყვა... ბაზრობა დადუმდა. „მრისხანემ“ ხელი დაარტყა წინ მჯდომს: „გაჩერდი „ესენიამ“ შენ უნდა გიმღეროს, შენ, ხომ შავი არწივი ხარ!“. აბიმ აღვირი თავისკენ მოსწია, ცხენი გაჩერდა თითქოს მხედარს გამოხედა... ბააგრამ თავისუფლად გახედა ბოშა გოგოს თან ცხენი მისკენ მიატრიალა... პრინცესა თავს ფლობდა, ძლიერი იყო... ფლობდა გარემოს, ხალხი დუმდა... ესენიამ რაღაც გადაულაპარაკა ბოშა კაცებს, სცენის შუაგულში დადგა, ხელით დაწყება ანიშნა... ორივე მხარეს მამაკაცები დადგნენ... ორივეს დაირა ეჭირათ ხელში... ერთ-ერთმა მამაკაცმა ესენიას ბარბითი მიაწოდა, მან ერთი ჩამოჰკრა ინსტრუმენტს ხელი, გაისმა სასიამოვნო ხმა და მაშინვე უკან დაუბრუნა, გაისმა დაირას ხმა... მამაკაცები ნაზად ურტყამდნენ ხელებს პატარა, დოლისებურ ინსტრუმენტს და ნელნელა უმატებდნენ დარტყმას. ესენიას მზერა ლამაზ, შავ ცხენზე, შავებში შემოსილ ლამაზ ბიჭს ეკუთვნოდა, ბააგრას ერთი აწუხებდა, არ ეგრძნო ბოშა გოგოს გოგო!. გრძნობას რომელსაც შეეპყრო პატარა პრინცესა მისთვის უცნობი იყო, მას მხოლოდ გაეგო მასზე და მეტი არაფერი... მზერა ბოშა გოგოსი სიყვარულს გადმოსცემდა და ეკუთვნოდა არა პრინცესას, არამედ ბიჭს, ლამაზ ბიჭს სახელად აბი, რომელიც სინამდვილეში ბააგრა იყო.. პატარა, ლამაზი მშვენიერება, ბააგრა პირველად გრძნობდა სიბნელეში ნათელს... მან მარადისობა იგრძნო უნებლიედ პრინცესა მატყუარა გახდა. სიყვარულის პირისპირ... მან იცოდა რა მოაქვს ტყუილს სიწმინდეში... ბააგრა ძალზე შეწუხდა... გაისმა ესენიას ხმა... ის დატრიალდა... მისი კაბა გაიშალა... თითქოს გაიფურჩქნა ყვავილი... ბააგრა გაბრუებული უსმენდა უმშვენიერეს ბოშურ სიმღერას... სიმღერას ერქვა „არწივი ცაში“. „მრისხანემ“ შენიშნა, როგორ უახლოვდებოდა მათ ერთ-ერთი მონების ვაჭარი... ის შეშინდა აბის გამო, მხარზე თავი დაადო, თითქმის ჩასჩურჩულა საყვარელ მეგობარს: „ფრთხილად ვაჭრები გვიახლოვდებიან!“. აბიმ მიიხედა, მისკენ ორი მონათვაჭარი შიშით მოემართებოდა. აბი მახვილს შეეხო... ვაჭრები გაჩერდნენ... ესენია სიმღერას აგრძელებდა... ხელით ბოშებს აბისკენ მიუთითა... რამოდენიმე ბოშა სცენიდან ჩამოხტა... ხალხმა ყურადღება აბისკენ

გადაიტანა... ესენია არ წყვეტდა სიმღერას, ვაჭრებმა თავი დაღუნეს... აბიმ „მრისხანე“ მათთან მიუშვა... ბოშა ბიჭები აბის წინ დადგნენ დასაცავად... „მრისხანე“ ვაჭრებს ესაუბრებოდა... იქაურობა დაიძაბა... აბი მეორე მახვილსაც შეეხო... ის მზად იყო ბრძოლისთვის. „მრისხანე“ ღიმილით აბის უახლოვდებოდა: "იძახიან, შეეკითხე, რამდენი უნდა რომ ვუხადოთ ყოველ ჩამოსვლაზე ქალაქში?“. აბიმ მახვილებს ხელები უშვა... ვაჭრებს გახედა, არცერთი მათგანი თავის მაღლა აწევას არ ბედავდა, პრინცესა გაკვირვებული იყო, რომ არ დაბნეულიყო და შცდომით არ გაეცა პასუხი ბრძნულად მოიქცა: „უთხარი, ღამით მე თვითონ მოვალ მათ მგლების ბუნაგში და იქ გადაწყდება არა მარტო ეგ“. „მრისხანეს“ სიცილი აუტყდა: „ნუ იცინი!“. მრისხანემ თავი შეიკავა, ვაჭრებისკენ შეტრიალდა, შეხედა მათ. იქითკენ გაემართა. ქალაქის მცველებმა დაძაბულობა იგრძვნეს... ისენი შორიახლოს იმყოფებოდნენ... ორი მათგანი, შუბებით ხელში მახვილით შემოსილნი აბისკენ გაემართნენ... „ეს ის ბავშვი არ არის, თავი რომ დაგვახვედრა ქალაქში მთავარი ვაჭრის?“ „ჰო, ის არის“. „ჰოდა, მოდი, დავიჭიროთ“. აბიმ იგრძნო საფრთხე, შეატრიალა ცხენი მათკენ და მრისხანეთ შეჰყურებდა, ქალაქის მცველი ერთ-ერთი გაჩერდა: „რას გაჩერდი?“ მიუგო მეორემ გაკვირვებით: „დააკვირდი ცხენს, ეს ხომ სულთანის საყვარელი ცხენია, სახელად „ლამაზი“. მეორე მცველი დააკვირდა ცხენს და მის მხედარს... შემოტრიალდა მეგობრისკენ: „მართალი ხარ, სულთანის ცხენია, წამო, გავეცალოთ აქაურობას მალე“. ორივე ქალაქის მცველმა უკან დაიხია, აბიმ ყურადღება ესენიაზე გადაიტანა... ბოშა ბიჭები არ შორდებოდნენ აბის... ხალხი დამშვიდდა... ღიმილით ერთმანეთს გადაულაპარაკეს: „ნახე, ყველა შეშინებულია, თავს არიდებენ“. „არ მოარიდებენ და მათი აჯობებს „შავი არწივი“ მათაც მოაჭრის თავებს და ქალაქის შუაგულში შუბებზე გამოფენს ისე, როგორც მთავარ ვაჭარს დაემართა. აბიმ მოკრა ყური საუბარს, ესენია აგრძელებდა სიმღერას... პატარა ბოშა გოგოს ეშხი, ხმა თითქოს ადნობდა ხალხის გულებს, აბი ღრმად სუნთქავდა ესენიას შემყურე... „მრისხანე“ მიუახლოვდა აბის ისევ ღიმილით: „შეშინებულები წავიდნენ ასე თქვეს, როგორც ბატონი ინებებსო“. აბის გაეღიმა.

სასახლეში სულთანი ადგილს ვერ პოულობდა... პრინცესა იგვიანებდა.. მზე უდაბნოს ქვიშაში იმალებოდა... მოუსვენრობამ სულთანი სასახლედან გამოიყვანა... ის საოცრების ბაღში აშკარად ანერვიულებული სეირნობდა... ამასობაში სმიტის ქოხს

მიადგა: „სმიტ! სმიტ! ეი, ავაზაკო! გამოდი!“. პასუხი არ ისმოდა... მბრძანებელი შევიდა ავაზაკის სამფლობელოში.. ოთახები დაიარა... სმიტი არსად იყო... სულთანი ქოხიდან გამოსვლისას კარებთან გაჩერდა... რაღაცამ ჩააფიქრა... ნელა, გაკვირვებით შემოტრიალდა, მთავარ ოთახში შევიდა... მაგიდას მიუახლოვდა... გაშლილ პერგამენტს დააკვირდა... პერგამენტის საკმაოდ დიდ ნაჭერზე რაღაც იყო დახაზული. სულთანმა იქვე, კედლიდან ჩირაღდანი ჩამოხსნა... გააჩაღა და ისევ მაგიდას მიუახლოვდა... მბრძანებელი პერგამენტზე ნახაზს აკვირდებოდა... თვალები ჩაუსისხლიანდა... აბის მოპოვებული ძვირფასეულობა თვალწინ მოელანდა, პერგამნეტზე სასახლე იყო დახაზეული, თან სიტყვები იყო მიწერილი არაბულ ენაზე: „შესვლა გვირაბში, სიფრთხილე, საშიშროება, გაქცევა პირველი, გაქცევა მეორე, საცავი...“. სულთანმა იცნო აბის ხელწერა. „სმიტ! დაგახრჩობ სმიტ! სადა ხარ, მოეთრიე აქ, სმიტ! დაგკუწავ - შეგჭამ...“ ყვირილი ისეთი ძლიერი და გამწარებული იყო, რომ სულთანის მცველები სმიტის ქოხისკენ თავქუდმოგლეჯილი მირბოდნენ... ოთახში ერთ-ერთი მცველი ენა ამოგდებული შევარდა... ძლივს, შიშით მიუახლოვდა თავჩაღუნულ სულთანს: „მომითრიეთ სმიტი აქ! ყველას დაგხოცავთ, ყველას!“ მცველი უსიტყვოდ გაიქცა... სულთანი გამწარებული ნახაზს აკვირდებოდა... მან გაიხსენა აბის მამასთან სტუმრობა... მისი სასახლე და დარწმუნდა, პერგამენტზე ასახული, ეჭვის გარეშე, ბააგრების სასახლე იყო. სულთანს თავში ერთი უტრიალებდა, აბის ძვირფასეულობით, რაც მან მის საძინებელში იხილა მებრძოლების თავმოყრა ძალზე იოლად შესაძლებელი იყო. ურიცხვი ჯარის შეგროვება შეიძლებოდა. ალი ფიქრობდა, სმიტს და აბის გაპარვა სურდათ და გეგმად ქალაქის აღება ჰქონდათ, სულთანმა სიმწრისგან პერგამენტი ნაკუწ-ნაკუწ დაგლიჯა, ძირს დაყარა ფეხებით შედგა: „სმიტ! ეს რა გაბედე! ეს რამ გაფიქრა, ცოცხლად დაგმარხავ... აბი ხომ ბავშვია... ვის აყევი... უდაბნო იქნება შენი ბოლო, უდაბნო“... მბრძანებლის ყვირილი ამაზრზენი იყო, სასახლში ყველა შეშინდა, იცოდნენ, სულთანის გაბრაზებას სისხლის ღვრა მოჰყვებოდა, ქოხთან მდგომი მცველები დაბნეულნი ერთმანეთს გადახედავდნენ უსიტყვოდ, გაუგებრობაში მყოფნი. ქოხიდან ნგრევა-ლეწვის ხმები მატულობდა... რაც კი ხვდებოდა ხელში სულთანს ინგრეოდა... იქამდე მივიდა, კარ-ფანჯრებს მიადგა, ცოტა ხანში ხმიტი ორმა მცველმა ხელებამოტრიალებული მოათრიეს... სმიტი ტკივილისგან ღმუოდა... სულთანი

გაჩერდა... სმიტს დახედა სმიტი ძლივს წევდა თავს მაღლა... მცველები გაჭიმულები იდგნენ... არ უშვებდნენ ხელს დაკავებულს: „რა ხდება, რა არის...“ ავაზაკმა ძლივს აღმოთქვა, სულთანმა ძირიდან აიღო პერგამენტის ნაგლეჯი... სმიტს სახეზე ააფარა; „ეს რაარის არ ეშვები ხომ შენსას, ჩემთან როგორ ბედავ ამას“. სმიტი გაკვირდა: „ხელებს მომტეხენ, უთხარი, გამიშვან“. სულთანმა უბრძანა მცველებს სახლის დატოვება... ავაზაკი ხელებს იზილავდა... ტკივილისგან სახე მოეღრიცა: „თქვი, მიპასუხე, რაარის ეს?!“. პერგამენტის ნაგლეჯი სულთანის ხელში ტრიალებდა... სულთანის ხმა, მზერა შთამბეჭდავი იყო, ბრაზით სავსე თვალს არ აშორებდა სმიტს, მან მშვიდად შეხედა მბრძანებელს: „რა უნდა იყოს, აბის სასახლეა და ოქროს საცავის ადგილ-მდებარეობა“. „რა ოქროს საცავი?!“. „გავქურდოთ გვინდა საცავი, ის ხომ აბის ეკუთვნის?!“ სულთანი უცებ დამშვიდდა, ჩაფიქრდა, სმიტი პერგამენტის ნაგლეჯებს აგროვებდა, თან გარშემო დალეწილ სახლს გაკვირვებით ათვალიერებდა... სულთანი მიუახლოვდა ავაზაკს: „ესეიგი გაქურდვას აპირებთ?!“. „ჰო, ჰო, უნდა გავქურდოთ, რადგან არ არის ძვირფასეულობა, ჯარიც დაიშლება!“. სულთანმა გაიღიმა: „ეს ვის მოაფიქრდა?“. „აბის მეტი ვის მოაფიქრდება!“. მბრძანებელმა არ აცადა ავაზაკს სიტყვის დამთავრება, თვალებში მრისხანედ ჩახედა თითი მუცელზე მიაჭირა: „აბი ვინ არის, იცი?“. „არ ვიცი, მაგრამ აბი რომ აბი არ არის, ეს ზუსტად ვიცი, ხომ ვისაუბრეთ ამაზე სულთანო, არ გახსოვთ“. „მახსოვს! აბი აბი არ არის, მართალიხარ, ის ბააგრების ქვეყნის პრინცესაა!“. ავაზაკმა არც იკვირვა: „არ გიკვირს ავაზაკო, რაც გითხარი?!“. „არა“. „კარგი საქმეს მივხედოთ! აბის გარდა, ვინ მოდის მოსაპარად?“. „ვიღაც ბაღდადელი ქურდი, მე მას არ ვიცნობ, მასვე ველოდებოდით, მის გამოჩენას უფრო სწორედ“. „მოკლეთ ავაზაკო! აბის მაგივრად მე მოვდივარ და იმ ბაღდადელს ერთად გადავხედოთ, გვიღირს მისი წამოყვანა თუ არა?!“. სმიტი გაკვირვებული მიაცქერდა სულთანს: „რას მიყურებ, მე მოვდივარ - მეთქი, აბის მაგივრად, გართობა მარტო შენ არ გიყვარს“. მბრძანებელი გაჩერდა წამით: „მადლობა მითხარი, რომ არაფერს გეუბნები, რომ მიმალავდი ამას!“. „გასაგებია გასაგები“. „ჰო, მაინტერესებს, როგორ აპირებდით გაპარვას?“. „გაპარვას არ ვაპირებდით... აბიმ თქვა, წასვლისას მე მოვაგვარებ მასთანო!“ სულთანმა გაიკვირვა ღიმილით: „ამას შენს მეტი, ვინ ასწავლიდა“. „მასწავლებელი უამრავი ჰყავს, სწავლით კი, დიდი ხანია, აქეთ დამიწყო სწავლება“. სულთანს გაეღიმა: „მის დინასტიას, დიდიხანია,

ვცნობ, ძლიერნი არიან, მთავარია არ დაივიწყოს, ვინც არის“. „მაგის საშიშროება არ არის, ჰო სულთანო, არ დაბრუნებულა აბი“. „სულ გადამავიწყდა, წადი, აბიბო ნახე, ქალაქში აბი ნახოს, რას შვება და მე მომახსენოს, ეცადოს თვითოს არ დაენახვოს“. სულთანმა ხელიდან გამოართვა პერგამენტის ნაგლეჯები. „წადი ახლა, მე კი მანამ გადავხედავ ნახაზს“. სმიტმა ოთახი უსიტყვოდ დატოვა.

აბიბო ქალაქს, რამოდენიმე მეომართან ერთად, აბის ძებნაში კარგა ხანს უვლიდა... პრინცესა აბის სახით, მონებით ვაჭრებს ესაუბრებოდა... რამოდენიმე ავაზაკ მეგობართან ერთად... ერთ-ერთ ვაჭრის სახლში, ოთახი კარგად განათებული იყო... კედლებზე ჩირაღდნები ძალზე კარგად ანათებდნენ... შუა ოთახში დიდი მაგიდა იდგა, მუხისგან გაკეთებული... მაგიდის კუთხეები ამოტვიფრული იყო მგლის სახეებით... ფეხები გველს ჰგავდა... კედლებზე შუბები, ხმლები, ნაჯახი ეკიდა... თან რამოდენიმე, ძვირფასი, სხვადასხვა ზომის კარადა იდგა... ხალიჩა მთელ იატაკს ფარავდა... მშვენიერება არ აკლდა გარემოს... ვაჭრები შემოუსხდნენ მაგიდას... აბის თამადის ადგილი უძღვნეს... პრინცესა ფეხზე იდგა... წრეს ურტყამდა ნელი ნაბიჯით ვაჭრებს, თან ესაუბრებოდა მათ... აბის რამოდენიმე მეგობარი მზად ყოფნაში იყვნენ მის დასაცავად... კედელთან მდგომნი ვაჭრებს აკვირდებოდნენ, ამ დროისთვის აბიმ იცოდა, რაც მოხდა მთლიანობაში... ეჭვი სულთანზე გაამახვილა... იმავე დროს, გონს ვერ მოდიოდა, როგორ ჩაიდინა ამხელა სისასტიკე... თუმცა გრძნობდა სულთანის უზომო სიყვარულს: „კარგათ მისმინეთ ვაჭრებო! მეორედ არ გავიმეორებ!“. ვაჭრები, ზოგი შიშით, გამწარებით, ზიზღით, შეჰყუროდნენ პატარა აბის: „შემოსავლიდან ნახევარს გადამიხდით, არ ექნება მნიშვნელობა მე, თუ ჩემს მეგობრებს მისცემთ შესაწირს... არ გავიგო, მკვდარ ზღვაში მიჰყავდეთ გამორჩეული ტყვეები... აქ კი მკვდარ - ცოცხლები ჩამოგყავდეთ... ავადმყოფების ბუდე არ გახადოთ აქაურობა, მოგონება იქნება რაც მოხდა... არც იფიქროთ, სადმე დამემალოთ, მკვდარი ზღვიდან ამოგათრევთ საჭირო თუ იქნა და თქვენივე თავებს ხელში დაგაჭერინებთ, ბავშვებს ყველას აქ ჩამოიყვანთ. ეს თქვენი ჩვენზე საჩუქარი იქნება... თუ რამეს არ გეუბნებით ხლა, შემდგომ შეგატყობინებთ... ქალაქი, როგორც ხედავთ, ჩვენს ხელშია, თამაშს თამაში მოჰყვება... მე კი წაგებული წაგებაშიც არ დავრჩები... ჩაგხოცავთ, მე თუ არა, აგერ ჩემი ძმები იზამენ ამას... აბის მეგობრები გაიჭიმნენ... სიამოვნება, რასაც ისენი გრძნობდნენ, მათთვის უცნობი იყო და

იმავე დროს სასიამოვნო... აბი დუმილით აკვირდებოდა ვაჭრებს... მერე სიტყვა შესთავაზა... ყველა დუმდა, ერთ-ერთი ვაჭარი იღრინებოდა გამწარებულად... აბი მიუახლოვდა მის ზურგს დუმილით... მის კეფას შეჰყურებდა... ვაჭარი შეშინდა: „ნუ გეშინია, მგლის ძუკნავ, მე ზურგში არ ვარ მიჩვეული დარტყმას, შემოტრიალება არ გაბედო! იმ გაქვავებულ გულს შენვე გაჭმევ“. ვაჭარი აკანკალდა მისი სახე თეთრ ქვას დაემსგავსა: „ნუ ბრაზობთ ბატონო! მე ყველაფერზე თანახმავარ, მე მხოლოდ ერთი მაგიჟებს, თქვენ ძალზე პატარა ბრძანდებით და რა გაქვთ ჩადენილი“. ვაჭარი ძლივს აღმოთქვამდა სიტყვებს... გაჩუმდა... ძლივს სუნთქავდა... მისი შიში მასზე ძლიერი აღმოჩნდა: „მაგიდის კუთხეებს შეხედე რა არის მათზე გამოსახული“. ვაჭარი ძალზე აკანკალდა: „მგლები, ბატონო, მგლები“. „მერე შე ძაღლის შვილო! მგელი ძაღლი არარის?!“. „დიახ, დიახ, ძაღლია, ძაღლი“. „მერე მაგიდის ფეხები გველით რომ არის გამოსახული, გველი ბრძენი არ არის?!“. „ბრძენია - ბრძენი“. ვაჭარს გული მისდიოდა შიშისგან: „შენ მხეცო ძაღლი ბრძენს თავზე დაუსვი, რა უნდა აგიხსნა მე შენ, რა პასუხი უნდა გამცე, მე ვარ პატარა, შენ კი დიდი ხომ?!“. „ბოდიში, ბოდიში, ბატონო! ბოდიში“. ვაჭარმა თავი მაგიდაზე დადო. აბი ორი კატანით იყო შეიარაღებული... გარეთ ბიჭები ელოდებოდნენ... „მრისხანე“ ძალზე ნერვიულობდა. სახლს წრეს ურტყამდა და ცდილობდა რამესთვის ყური მოეკრა, ავაზაკ ბიჭებს რამოდენიმე ბოშა უახლოვდებოდა... ქალაქი ჩაბნელდა... ბოშებს აბის ნახვა სურდათ, გაისმა ლამაზ ლამაზი სტვენის რამოდენიმე სასიამოვნო ხმა, აბიმ მშვიდად ამოიღო ხმალი... ვაჭრები დაიძაბნენ... ღიმილით მიუახლოვდა ფანჯარას... ხმლით ფარდა გაწია, გადაიხედა, ბოშებს დააკვირდა... იმავე სიმშვიდით შემოტრიალდა, მეგობრებს გასვლა ანიშნა თვალებით... აბი მარტო დარჩა ვაჭრების გარემოში, ხმალი ხალიჩაზე ნაზად გაუსვა: „რამდენი სისხლია ამ ხალიჩაზე, ღირს კი ეს მაგად?!“ იმავე სიმშვიდით ოთახი უსიტყვოდ დატოვა... ვაჭრებმა ამოისუნთქეს... რამოდენიმე ოფლად იღვრებოდა შიშისგან...

სულთანი და სმიტი, გართულნი ახალი ნახაზის შექმნაში, ერთმანეთში საუბრობდნენ, საიდან და როგორ სჯობს შეღწევა ოქროს საცავში, გამოსვლა იქიდან, მსჯელობდნენ ოქროსა და ძვირფასი ქვების რაოდენობაზე და მის იქიდან გამოტანაზე... ისე გაერთნენ, აღარც ახსოვდათ მეტი არაფერი... ისენი თითქოს იქ იყვნენ, ბააგრების

სასახლეში და ქურდავდნენ ჟორდანს... კარებზე კაკუნი გაისმა, ეს აბიბო იყო: „რა ხდება, აბი სად არის?“. სულთანი ეგრევე გამოფხიზლდა: „სულთანი აბი ქალაქ გარეთ იმყოფება ბოშათა ბანაკში, ესენიას დაუპატიჟებია აბი და მისი ავაზაკი მეგობრები“... სულთანს გაუკვირდა: „ესენიამ დაპატიჟა? ეს ხომ ის ბავშვი გოგოა, ძმა რომ მოუკლეს უდაბნოში?“. „დიახ, მბრძანებელო“. „მოთმინებას ვკარგავ, მოყევი, რაც იცი“. „აბი ხალხმა შავ არწივად მოიხსენია, ესენიამ კი, სიმღერა მიუძღვნა... თითქმის მთელი ქალაქი იქ იყო“. სულთანს გაეცინა, სმიტს გახედა: „გესმის, ჩვენს აბის ბოშა გოგომ სიმღერა მიუძღვნა!“. „ჩვენს შავ არწივს სულთანო“. სულთანს სიცილი აუტყდა: „მართალი ხარ, მართალი, ჩვენ შავ არწივს“. სულთანი აბიბოს მიუახლოვდა: „შავ არწივს ხომ ადევნებენ თვალყურს?!“. „რათქმაუნდა მბრძანებელო! ქალაქის კედლიდან კარგად მოჩანს ბოშათა ბანაკი, თუ რამე, ვუბრძანე, ჩაერიონ მეომრებს“. „კარგია, აბიბო, ახლა მთავარია, „შავი არწივი“ არ გაგვიფრინდეს!“. სმიტი და სულთანი იცინოდნენ... აბიბოს ეღიმებოდა... ალიმ რამოდენიმეჯერ ღიმილით ჩაილაპარაკა: „შავი არწივი, შავი არწივი, ეგრე ხომ?!“ აბიბოს თანხმობის ღიმილი ეხატა სახეზე...